მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის წიგნი

მარინე ჯაფარიძე
მაია ფირჩხაძე
მანანა ბოჭორიშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2013

შესავალი

სარჩევი

მარინე ჯაფარიძე 9

მაია ფირჩხაძე 45

მანანა ბოჯორიშვილი 137

მარინე ჯაფარიძე 9

მოსწავლეთა „ცუდი ქცევის“ ფსიქოლოგიური მოტივები, პრევენცია, მართვა 11

ძალაუფლებისმოყვარე და შურისმაძიებელი მოსწავლის ქცევის მახასიათებლები 20

კონფრონტაციის სიტუაციაში ჩარევის წესები 28

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, იგრძნონ თავიანთი ინტელექტუალური კომპეტენტურობა 35

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კომუნიკაციური კომპეტენტურობის ამაღლებაში 40

მოსწავლეთა „ცუდი ქცევის“ ფსიქოლოგიური მოტივები, პრევენცია, მართვა

ფსიქოლოგები მოსწავლეთა ქცევითი დარღვევების სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ: ბავშვის ფსიქიკური სამყაროს სენსიტიურობას, არაცნობიერ მოტივებს, მემკვიდრეობას, გარემოს, აღზრდის დეფიციტს და სხვა, — მაგრამ მხოლოდ ეს მეცნიერული ახსნა ვერ დაეხმარება მასწავლებელს, კლასში კარგი დისციპლინა უზრუნველყოს. მასწავლებელს არ შეუძლია დააბრუნოს მოსწავლე წარსულში, შეცვალოს მისი გენეტიკა, ცხოვრება სკოლის გარეთ და ა.შ.

უპირველესად, უნდა გავარკვიოთ, რატომ იქცევიან მოსწავლეები ცუდად და რა განაპირობებს ამგვარი ქცევის ნაირგვარობას. ზოგადი პასუხი ასეთია: ისინი იმ ქცევას ირჩევენ, რომელიც კონკრეტულ სიტუაციას „შეეფერება“.

მოსწავლის ნებისმიერი ქცევა ერთ ზოგად მიზანს ემსახურება — იპოვოს თავისი ადგილი სკოლაში, იგრძნოს სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა, თავისი მნიშვნელოვნება და საჭიროება. ეს ნებისმიერი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა — ადამიანი ხომ სოციალური არსებაა. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი უ. გლასერი წერს: თუ ბავშვის პიროვნული მოთხოვნილებები სახლში არ რეალიზდება, მისი რეალიზება სკოლაში უნდა მოხდეს. წარმატებისკენ მიმავალი გზა გულისხმობს მათთვის იმის მიცემას, რაც აკლიათ — თანატოლებსა და უფროსებთან თბილი ურთიერთობისას. ზოგჯერ მათთვის უკანასკნელ იმედად სკოლა რჩება. სწორედ სკოლამ უნდა გაუხსნას რეალიზების გზა მის მთავარ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებას — გააცნობიეროს საკუთარი თავი როგორც სრულფასოვანმა პიროვნებამ.

სასკოლო ცხოვრებაში ამ მოთხოვნილების რეალიზაცია 3 სფეროში უნდა განხორციელდეს: მოსწავლემ უნდა მიაღწიოს ინტელექტუალურ, კომუნიკაციურ და სოციალურ კომპეტენტურობას. ამას ის მისთვის მისაწვდომი ხერხებით ცდილობს და თუ ეს ხერხები არასწორია, შედეგად ვიღებთ დისციპლინის დარღვევას ანუ „ცუდ ქცევას“.

თვითდამკვიდრების რა ხერხებს მიმართავს მოსწავლე, ეს დამოკიდებულია მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ხარისხსა და კლასის ატმოსფეროზე — წარმატებისკენაა ის მიმართული თუ პირიქით, დესტრუქციულია.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რატომ არის, რომ მოსწავლე ზოგ მასწავლებელთან კარგად იქცევა, ზოგს კი ხელს უშლის, ან სახლში პრობლემებს არ ქმნის, სკოლაში კი აგრესიულად იქცევა ან პირიქით.

დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში მოსწავლე შესაძლოა ხვდებოდეს, რომ არასწორად იქცევა, მაგრამ ვერ აცნობიერებდეს, რა განაპირობებს მის ამგვარ ქცევას: ყურადღების მიპყრობის, ძალაუფლების, შურისძიების თუ წარუმატებლობისგან გაქცევის სურვილი. ეს მოტივები გამოყო ამერიკელმა პედაგოგმა რუდოლფ დრეიკურსმა. მას მიაჩნია, რომ ქცევითი დარღვევის ათიდან ცხრა შემთხვევაში მიზეზი ამ ოთხიდან ერთია. მისი სწორი განსაზღვრა კი ეფექტიანი მუშაობის აუცილებელი წინა პირობაა, მასზეა დამოკიდებული ჩარევის ხერხების სწორად შერჩევა, არასასურველი ქცევის აღკვეთა და პროსოციალური ქცევების ფორმირება.

როგორ უნდა მოახდინოს მასწავლებელმა ცუდი ქცევის მოტივის იდენტიფიცირება? ეს არც ისე იოლია, რადგან თითოეული ბავშვის ქცევის უკან მიზეზებისა და მოტივების უნიკალური კომბინაცია დგას. რა შემთხვევასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, აუცილებელია რამდენიმე მომენტის გათვალისწინება: არ არსებობს ქცევის გამოსწორების უნივერსალური ხერხი, ამიტომ დისციპლინის გასაუმჯობესებლად მუშაობა ინდივიდუალურ მიდგომას უნდა ეყრდნობოდეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მივაგნოთ მოსწავლის ქცევის მიზეზებს, ვიმოქმედოთ არა სპონტანურად, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი მეთოდებით. ეს მუშაობა 5 ნაბიჯს მოიცავს:

ნაბიჯი 1. შევკრიბოთ და სწორად აღვწეროთ კონკრეტული ფაქტები, მოვერიდოთ სუბიექტურ შეფასებას: სად, როდის, რა. არ გამოვიყენოთ სიტყვები: „არასოდეს“, „ყოველთვის“, „არაფერი“ და ა.შ. ვიყოთ ზედმიწევნით ობიექტური და აკურატული.

ნაბიჯი 2. ზუსტად განვსაზღვროთ დისციპლინის დარღვევის მიზეზი. ეს მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს: ყურადღების მიპყრობის, ძალაუფლების, შურისძიების ან წარუმატებლობისგან თავის დაღწევის სურვილი. ქცევის მოტივის ცოდნა საჭიროა არა მხოლოდ იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ საპასუხო ქცევა, არამედ იმისთვისაც, რომ გამოვიცნოთ მოსწავლის რეაქცია ჩვენს პედაგოგიურ ზემოქმედებაზე.

ნაბიჯი 3. ავირჩიოთ დასციპლინის დარღვევის მომენტში გადაუდებელი ჩარევის ხერხები. გვახსოვდეს, ჩარევა არ გულისხმობს დასჯას; მას ორი მიზანი აქვს: შეაჩეროს არასასურველი ქცევა და იმოქმედოს მოსწავლეზე იმგვარად, რომ მისი შემდგომი ქცევა უფრო მისაღები იყოს.

ჩარევა ეფექტიანი რომ იყოს, საჭიროა, ის მოხდეს დაუყოვნებლივ („აქ და ამჟამად“) და სწორად. სისწრაფე არ გულისხმობს იმპულსურობას, სპონტანურობას, აგრესიულობას. სისწორე კი ეფუძნება ტექნიკის სწორ შერჩევას (მაგ., ძალაუფლებისმოყვარე და წარუმატებლობის მოშიში ბავშვები სხვადასხვანაირ ზემოქმედებას მოითხოვენ).

ნაბიჯი 4. შევიმუშაოთ თვითპატივისცემის ფორმირების ხელშემწყობი სტრატეგიები. მოსწავლეში ეს გრძნობა ფორმირდება მაშინ, როცა ის:

1. გრძნობს რომ აქვს სათანადო ინტელექტუალური შესაძლებლობები, უკიდურეს შემთხვევაში, თავს არ გრძნობს არაკომპეტენტურად. ეს გახლავთ ე.წ. ინტელექტუალური კომპეტენცია.
2. აგებს მისაღები ფორმის სოციალურ ურთიერთობებს თანატოლებსა და მასწავლებელთან. ეს არის ე.წ. კომუნიკაციური კომპეტენცია.
3. შეაქვს პირადი წვლილი კლასისა და სკოლის ცხოვრებაში (ჩართულია საქმიანობაში), რასაც გულისხმობს ე.წ. სოციალური კომპეტენცია.

ნაბიჯი 5. ეფექტიანად ვიმუშაოთ მშობლებთან: მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი მუშაობის შესახებ, მოვამზადოთ მათთვის ბავშვთან მუშაობის პროგრამის მოკლე ვარიანტი (აუცილებლად წერილობითი ფორმით), ვაქციოთ ის ამ პროცესის თანამონაწილედ და ხელშემწყობად.

მასწავლებლებს ძალიან უჭირთ პირველი ნაბიჯის გადადგმა, რადგან იგი დიდი მოთმინებით ჩასატარებელ ერთგვარ რუტინულ სამუშაოს მოითხოვს. ამავე დროს, წარმატებით გადადგმული სწორედ ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს მეტწილად შედეგს. შეკრიბეთ ფაქტები და ზუსტი ფორმულირება გაუკეთეთ მათ. ხარისხიანი აღწერა მოიცავს: რას აკეთებს მოსწავლე, როცა ცუდად იქცევა, ჩვეულებრივ, როდის იქცევა ასე და რა სიხშირით. მოსწავლის ქცევა ფორმულირებული უნდა იყოს შეულამაზებლად, „უემოციოდ“, ფაქტის აღწერით. რასაკვირველია მასწავლებელს თავისი ხედვა აქვს, მაგრამ შეეცადეთ, აღწეროთ მხოლოდ ფაქტები. არასწორია: „გიგა აუტანლად იქცევა“, „ნინო დაბნეულია“, „ზურაბი ინფანტილურია“, „რუსუდანი არაკომუნიკაბელურია“, „გაგა მოუთოკავია“ და სხვა. ეს ნაწყენი მასწავლებლის სიტყვებია, რომლებიც მასწავლებლის პრობლემებზე უფრო მიუთითებს, ვიდრე მოსწავლისაზე. ისიც ცნობილია, რომ იარლიყი ადვილად ეწებება ადამიანს და ძნელად შორდება. აღწერა ასეთი უნდა იყოს: „ნიკამ ფეხები გასასვლელში დააწყო და სხვა მოსწავლეებმა ფეხი წამოჰკრეს“, „ნატამ ერთხელ აიწია ხელი ინგლისურის გაკვეთილზე“, „დათო სკამს არწევს და უკანა მერხს ეჯახება“, „როცა ნინოს ვთხოვ, უფრო სრული პასუხი გამცეს, ის მეუბნება: „არ ვარ ვალდებული“. ეს დებულებები მოსწავლის საქციელს გვამცნობს და არა მასწავლებლის ემოციებს.

უნდა აღირიცხოს ქცევის სიხშირე. ბევრი მასწავლებლისგან გაიგონებთ, მაგალითად, ასეთ ფრაზას: „ნინო მთელი გაკვეთილი აკაკუნებს ფანქარს“. ერთხელაც ადექით და დათვალეთ — დაინახავთ, რომ ასე არ არის. ხშირად მასწავლებელი ერთი ან ორი შემთხვევის შემდეგ აწებებს მოსწავლეს იარლიყს, რაც არასწორია. საჭიროა დაკვირვება არანაკლებ ერთი თვე და არასასურველი ქცევის მოტივების სისტემატური ანალიზი. ხომ შესაძლოა, მოსწავლის ასეთი ქცევა გარკვეული ემოციური მდგომარეობის დროებითი გამოვლენა ან ერთჯერადი რეაქცია იყოს მასწავლებლის ან თანატოლის „უსამართლო“ საქციელზე?

პრობლემას ქმნის ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა: იშვიათად, ჩვეულებრივ, ხშირად, დროდადრო, მუდმივად, ყოველთვის, არასოდეს და სხვა. საქმე ის არის, რომ ეს სიტყვები გაუგებრობას იწვევს თავისი განუსაზღვრელობით. როგორ გამოასწორებინებ მოსწავლეს „აუტანელ“ საქციელს, თუ სათქმელი არ დააკონკრეტე?

გააორმაგეთ ობიექტურობა, მაგალითად, ასეთი ხერხით: თუ თქვენი ჩანაწერი იმავეს აღწერს, რასაც სხვა მასწავლებლისა, ანდა მას ვიდეოჩანაწერი ადასტურებს, ეს უკვე სანდოობაზე მიუთითებს.

ამჯერად ყურადღების მისაპყრობად მიმართული ცუდი ქცევის მახასიათებლებს განვიხილავთ, მომდევნო სტატიებში კი დანარჩენ მოტივებსაც შევეხებით.

ამ ტიპის ბავშვები ნამდვილი მსახიობები არიან. მათ აუდიტორია სჭირდებათ. დაწყებით კლასებში მასწავლებლის ყურადღებას მოითხოვენ, უფროს კლასებში კი ასეთი მცირე აუდიტორია აღარ ჰყოფნით... ყურადღება, მეტ-ნაკლებად, ყველას სჭირდება, მაგრამ ზოგიერთი მოსწავლე „გაუმაძღარია“ — სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. ამისთვის ისინი ათასგვარ ხრიკს იგონებენ, რომელთა მიზანი ერთი რამაა: მოახდინონ საკუთარი თავის დემონსტრირება.

გამოყოფენ ყურადღების მისაპყრობად მიმართული პრობლემური ქცევის ორ ფორმას: აქტიურს და პასიურს.

აქტიური ფორმა. მოსწავლის ხრიკებს შეიძლება „ყურადღების მიპყრობის მექანიზმები“ ვუწოდოთ. ეს შეიძლება იყოს ფანქრის კაკუნი, წრიალი, გაუჩერებლად ლაპარაკი, ფეხის გამოდება, სხვადასხვა მიმიკა, სისტემატური დაგვიანება, კითხვების დასმა, განმარტოებით დაჯდომა და ათასი სხვა რამ. ასეთი ქცევა კლასის ყურადღებას იპყრობს და თუ რეაგირება დროულად არ მოხდა, შესაძლოა, მასწავლებელმა კლასზე კონტროლი დაკარგოს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოსწავლის ყოველი ასეთი ხრიკი მასწავლებლის მხრიდან განსაკუთრებულ საპასუხო რეაქციას არ მოითხოვს.

პასიური ფორმა. ხრიკები აქაც მრავალფეროვანია, თუმცა, წინა ფორმისგან განსხვავებით, ისინი ვერ „ქოქავენ“ კლასს. მათი გამოვლენა თვალსაჩინო არ არის და ამით უფრო საშიშია. „მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზეა“, – ფიქრობს მასწავლებელი და სულ რამდენიმე წუთში ხვდება, რომ კლასში ჩუმი საბოტაჟის მომწყობი მოსწავლე ზის. ის უარს არ ამბობს თქვენი მოთხოვნების შესრულებაზე, მაგრამ ყველაფერს აკეთებს ნელა და ტემპს თანდათან უფრო ანელებს. ამ ხრიკს შეიძლება ეწოდოს „წვეთ-წვეთად“. ის რვეულს მაშინ გადაშლის, როცა სხვებს უკვე სამი ამოცანა აქვთ ამოხსნილი. თქვენ ისეთი განცდა გეუფლებათ, თითქოს ჭაობიდან ბეჰემოთის ამოთრევას ცდილობდეთ, თანაც იცით, რომ გაკვეთილის გარეთ იგი საკმაოდ სწრაფად რეაგირებს და მოქმედებს. მისი გამოსწორება გაცილებით რთული საქმეა. „რას მერჩით, რას ვაკეთებ ცუდს?“ – გეკითხებათ გაოცებული სახით. დისციპლინის აქტიურ დამრღვევებს კი თავის მართლება არ შეუძლიათ, რადგან მათი გამოხტომები საკმაოდ თვალსაჩინოა

რისი ბრალია ამგვარი ქცევა?

1. როგორ ისწავლა ბავშვმა ცუდი ქცევით უფროსის ყურადღების მიპყრობა? ჯერ კიდევ პატარაობისას ატირებულ ბავშვთან მშობელმა მიირბინა, მოზრდილმა რაღაც გატეხა და უფრო მეტი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, ვიდრე მაშინ, როცა კარგად მოიქცა. ბავშვი ასკვნის: რაიმე ცუდი უნდა გავაკეთო, რომ ყურადღება მომაქციონ; უყურადღებობას ისევ ასეთი ყურადღება სჯობია. ეს მოდელი მას თანდათან კლასშიც გადააქვს. აი ჩვეული სიტუაცია: ნინო მშვიდად და ყურადღებით მუშაობს ამოცანის ამოხსნაზე, ქეთევანი კი მეგობარს ხმამაღლა ელაპარაკება მერხის უკან, რითაც მასწავლებელს აღიზიანებს. როგორ ფიქრობთ, უპირველესად ვის მიაქცევს მასწავლებელი ყურადღებას? რასაკვირველია, ქეთევანს.
2. არავინ ასწავლის ბავშვს, როგორ მოითხოვოს ყურადღება მისაღები ფორმით. ყურადღების მოთხოვნილება საბაზო ფსიქოლოგიური მოთხოვნილებაა, ისეთივე, როგორიც ჭამისა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. თუ ბავშვს ასწავლიან, საჭიროების შემთხვევაში როგორ მოითხოვოს საჭმელი მისაღები ფორმით, მაშ, რა დააშავა „ფსიქოლოგიურმა შიმშილმა?“
3. რაც ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვს სახლში, მით მეტია ალბათობა, ყურადღება მოითხოვოს სკოლაში. ტელევიზორთან გატარებული საათები, მშობელთა ფორმალური შეკითხვები: „რა ხდება სკოლაში?“, „ჭამე?“, „რა ნიშანი მიიღე?“, ურთიერთობის ვიწრო წრე, მარტოობა და შედეგიც სახეზეა – სკოლაში პრობლემები თითქმის გარანტირებულია.

ამ ტიპის დარღვევებს ერთი დადებითი მხარეც აქვს, რაც ასევე კარგად უნდა გააცნობიეროს მასწავლებელმა: მოსწავლეები, რომლებიც ყურადღებას მოითხოვენ, უბრალოდ გვაჩვენებენ, რომ მასწავლებელთან ურთიერთობა

სურთ, მაგრამ არ იცნობენ ამ სურვილის გამოხატვის სწორ ფორმას. თუ ეს გავაცნობიერეთ მათი საქციელი ნაკლებად გაგვაღიზიანებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა უმეტესობას ასეთი მოსწავლე ურჩევნია მათ, ვისაც არავინ და არაფერი სურს.

პროფილაქტიკის პრინციპები. როგორ მოვიქცეთ, რომ ქცევითი დარღვევები არ გამეორდეს? უნდა დავიცვათ ორი მთავარი პრინციპი: 1. ყურადღება მივაქციოთ იმათ, ვინც კარგად იქცევა. მეტი ყურადღება კარგ ქცევას! 2. ვასწავლოთ მოსწავლეებს, მარტივად და ღიად მოითხოვონ მასწავლებლის ან კლასის ყურადღება, როცა ეს განსაკუთრებით სჭირდებათ.

მეცნიერები გვთავაზობენ გადაუდებელი პედაგოგიური ზემოქმედების სტრატეგიებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1. ყურადღების მინიმალიზაცია. ხდება პარადოქსული რამ: მოსწავლის გამოხტომებისადმი ყურადღებით მის ასეთ ქცევას განვამტკიცებთ — მაშინ, როდესაც მოზარდი ცუდად იქცევა და შენიშვნას იმსახურებს, ის ყურადღების ცენტრში ექცევა და მასწავლებლის „ლექციებს“ მისდამი გამოვლენილ განსაკუთრებულ ყურადღებად აღიქვამს. მაშ, როგორ მოიქცეს მასწავლებელი? მინიმუმამდე დაიყვანოს ყურადღება. ეს შეიძლება ასე განხორციელდეს:

უგულებელყავით მოწაფის ქცევა. დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს: „რა მოხდება, თუ არაფერს შევიმჩნევ?“ თუ თქვენი პასუხია, რომ არაფერიც არ მოხდება (გარდა იმისა, რომ მოსწავლე ყურადღებას ვერ მიიღებს), თამამად მოახდინეთ მისი ქცევის იგნორირება. შანსია, რამდენიმე მცდელობის შემდეგ მოსწავლემ თავი დაანებოს ასეთ ქცევას.

თვალით კონტაქტი. შეაჩერეთ მზერა მასზე, — გვირჩევენ გამოცდილი პედაგოგები. მოსწავლეებმა იციან, რას აკეთებენ. მათ ისიც იციან, რომ ეს ჩვენც ვიცით. მათ იციან, რომ ეს მზერა ნიშნავს: „საკმარისია!“ დაჟინებული მზერა ის არის, რაც ამ მომენტში ჩვენგან მიიღეს, გამოგვტყუეს. არავითარი სიტყვები, მხოლოდ მზერა.

მოსწავლის გვერდით. ფიზიკური მიახლოება კიდევ ერთი ხერხია, რითაც ყურადღების მინიმალიზაციას მოვახდენთ. გაკვეთილი გრძელდება, დგახართ მოსწავლის გვერდით, თვალით კონტაქტის გარეშე, უსიტყვოდ. მოსწავლე ხვდება რომ რაღაც არასასურველს აკეთებს, რადგან მასწავლებელი გვერდით უდგას.

გამოიყენეთ მოსწავლის სახელი. ამ ხერხით მოსწავლე ყურადღების მინიმუმსაც იღებს და რეკომენდაციასაც, ჩაერთოს გაკვეთილში. მაგალითად, ასე: „ამგვარად, ჰიპოტენუზის კვადრატი, გაგა, ტოლია..“

გაგზავნეთ „საიდუმლო სიგნალი“. შეიძლება გამოიყენოთ რაიმე ჟესტი, რომლის მნიშვნელობაც მოსწავლეებმა იციან. მაგ., თითის ტუჩთან მიდებით ანიშნეთ, შეწყვიტოს საუბარი.

გააკეთეთ წერილობითი შენიშვნები. თუ ხვალ გაკვეთილს ატარებთ კლასში, სადაც ქცევითი დარღვევის მქონე რამდენიმე მოსწავლეა, წინასწარ მოამზადეთ პატარა ფურცელი ერთგვაროვანი წარწერით: „თუ შეიძლება შეწყვიტე იმის კეთება, რასაც აკეთებ“. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ფურცელი უსიტყვოდ დაუდეთ მერხზე.

ჩამოაყალიბეთ „მე-შეტყობინება“. ეს ხერხი გამოგადგებათ მაშინ, როცა გრძნობთ, რომ ნერვებმა გიმტყუნათ და ერთი სული გაქვთ, როდის დაიყვირებთ: „სასწრაფოდ შეწყვიტე!“ ფსიქოლოგები გვირჩევენ, ასეთ დროს „მე-შეტყობინება“ გამოვიყენოთ. ამ სპეციფიკური ფორმით მოსწავლეს ვაძლევთ ინფორმაციას ქცევითი დარღვევისა და ჩვენი შთაბეჭდილებების შესახებ. მაგ.: „კატო, როდესაც გაკვეთილის ახსნის დროს ლენას ელაპარაკები, ვგრძნობ, რომ ძალიან ვღიზიანდები, რადგან აზრი მეფანტება. თუ შეიძლება, შეწყვიტე საუბარი“.

მე-შეტყობინება 4 ნაწილისგან შედგება:

- პირველი — ცუდი ქცევის ობიექტური აღწერა, რომელიც „აქ და ამჟამად“ ხდება: „როდესაც გაკვეთილის ახსნის დროს ლენას ელაპარაკები...“
- მეორე — მასწავლებლის გრძნობის დასახელება: „ვგრძნობ, რომ ძალიან ვღიზიანდები...“
- მესამე — ცუდი ქცევის შედეგის აღწერა: „რადგან აზრი მეფანტება...“
- მეოთხე — თხოვნა: „თუ შეიძლება, შეწყვიტე საუბარი“.

ამ ფორმით მიწოდებული ინფორმაცია ცუდი ქცევის განმტკიცების საშიშროებას არ ქმნის. საჭიროა, ინტონაციაშიც იგრძნობოდეს კეთილგანწყობა.

2. ნების დამრთველი ქცევა. აკრძალული ხილი ტკბილია, ამიტომ ზოგჯერ მოსწავლეს უნდა მისცეთ „ვაშლის ჭამის უფლება“, მაგალითად, ასეთი ხერხით:

ააგეთ გაკვეთილი დაუშვებელი ქცევის საფუძველზე.

მაგალითად, არალიტერატურული ენის გამოყენების მოყვარულთათვის დაგეგმეთ გაკვეთილი თემაზე „ჟარგონი“. განიხილეთ ქართული, რუსული, ინგლისური და სხვა ენის ჟარგონები, რომლებიც ასახულია სიმღერებში, როკჯგუფების სახელწოდებებში, ახალგაზრდულ ლოზუნგებში და ჩამოწერილი ტერმინები განიხილეთ ორთოგრაფიის, პრაქტიკული სტილისტიკის, პუნქტუაციისა და სხვა თვალსაზრისით.

ზღვრამდე მიიყვანეთ დემონსტრატიული გამოხტომა. მაგალითად, მოსწავლე არ ჯდება მერხზე – დააყენეთ მთელი გაკვეთილი ფეხზე ან მთელს კლასს სთხოვეთ, იგივე გააკეთოს. ანდა, მაგალითად, ირინე ფანქრით მერხზე აკაკუნებს. მასწავლებელი კლასს მიმართავს: „მაშ ასე... ახლა მთელი კლასი იღებთ ფანქარს და 2 წუთი განუწყვეტლივ აკაკუნებთ. დაიწყეთ!“ ირინე ვეღარ გრძნობს განსაკუთრებულობას და კაკუნის მიმართ ინტერესი უქრება.

გამოიყენეთ „ნებართვის კვოტა“. მისი არსი ასეთია: მოსწავლეს უწესო ქცევის ნება ეძლევა, მაგრამ იმ პირობით, რომ მას თანდათან შეამცირებს. „თუ მაინც გააგრძელა, რა ვქნათ?“ – იკითხავს ზოგი. შეცვალეთ ტექნიკა. ამასთანავე, კიდევ ერთხელ გააანალიზეთ მოსწავლის ქცევის მიზეზი – სხვა მოტივთან ხომ არ გვაქვს საქმე, მართლა ყურადღების მიპყრობა სურს? გახსოვდეთ, ეს ტექნიკა მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოდგება! თქვენი ღიმილი და მისთვის მიძღვნილი დრო ასეთ მოსწავლეზე მუშაობს – მას ხომ ყურადღება სჭირდება და არა ძალაუფლება ან შურისძიება.

3. ჩაიდინეთ მოულოდნელი საქციელი. მოსწავლის არასასურველი ქცევის შეწყვეტა ხშირად უფროსის მოულოდნელ საქციელსაც შეუძლია. ამით ვამბობთ: „ყველაფერს ვხედავ, ვიცი, რასაც აკეთებ, მაგრამ არ ვაპირებ, შენი თამაშის წესები მოვიღო“. თამაშს ორი მონაწილე მაინც ხომ უნდა ჰყავდეს, რომ ის შედგეს. მოულოდნელი ქცევა შეიძლება უჩვეულო ხერხით გამოხატოთ, მაგალითად, იუმორით – გემრიელად გაიცინეთ. აი, რამდენიმე სხვა ხერხიც: აანთეთ (ან ჩააქრეთ) სინათლე და გაჩუმდით, ილაპარაკეთ ხმადაბლა, მონოტონურად. ვოკალიზაციის ეს ხერხები მოსწავლის ყურადღებას მიიპყრობს და შესაძლოა თავისი უსაქციელობა შეწყვიტოს. დაელაპარაკეთ კედელს ანდა, მაგალითად, ილიას პორტრეტს, რომელიც საკლასო ოთახის კედელზე კიდია. ეს ხერხი კარგად მუშაობს დაწყებით კლასელებში. მიმართეთ სურათს: „ძვირფასო ილია, შენ ვერ წარმოიდგენ რა ხდება ახლა ჩემს კლასში. ბავშვები კითხვებზე პასუხებს წამოიყვირებენ, არ იწევენ ხელს, ზოგი ჩემკენ ზურგშექცევით ზის. ხედავთ იმ ბავშვს, თვითმფრინავს რომ აფრენს? აი, ჩვენი ახალი თაობა“. ან კიდევ დროებით შეწყვიტეთ გაკვეთილი. ეს მოსწავლისთვის სიგნალია, რომ დროა, გაჩერდეს. ეს შეიძლება გააკეთოთ დაფის გვერდით მდგომმა ან თქვენს მაგიდას მიუჯდეთ. თქვით მხოლოდ ეს: „მითხარით, როდის იქნებით მზად გაკვეთილის გასაგრძელებლად“.

4. მოსწავლის ყურადღება სხვა შინაარსზე გადაიტანეთ. დიდხანს ორი საქმის ერთდროულად კეთება შეუძლებელია. სწორედ ასეა, როცა მოსწავლე წესრიგს არღვევს, თქვენ კი მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაგაქვთ. მაგალითად, დაუსვით პირდაპირი შეკითხვა წესრიგის დარღვევის მომენტში: „ლილიკო, რა დავალება მოგეცით?“ „ზურა, რას ფიქრობ ამ საკითხზე?“ ეს ხერხი კარგად ჭრის ყურადღების მინიმალიზაციის სტრატეგიებთან ერთად.

სთხოვეთ დახმარება: „გიორგი, გთხოვ, რვეულები შემიგროვო“. ოღონდ ამ ხერხს დისციპლინის დამრღვევთან ხშირად ნუ გამოიყენებთ, რათა არ იფიქროს, რომ ცუდი საქციელისთვის ჯილდო მიიღო.

შეცვალეთ საქმიანობა: თუ ერთდროულად ბევრი მოსწავლე „გაგიჟდა“ და ამ ხერხით ცდილობენ თქვენი ყურადღების მიპყრობას, სთხოვეთ, ყველაფერი შეინახონ და ახალი დავალებისთვის მოემზადონ, ახალი ამოცანა მოისმინონ და ა.შ.

5. კლასის ყურადღება მიაპყარით კარგი ქცევის მაგალითებს. სასარგებლო იქნება, თუ ბევრს არ ვისაუბრებთ უდისციპლინო მოსწავლეზე, სამაგიეროდ, ყურადღებას გავამახვილებთ მათზე, ვინც კარგი ქცევით გამოირჩევა. მოსწავლე უნდა მიხვდეს, რომ კარგი ქცევა იმსახურებს ყურადღებას.

მადლობა გადაუხადეთ მათ, ვინც თქვენი თხოვნა შეასრულა. შეიძლება, ეს იუმორნარევი ელფერითაც გამოხატოთ, მაგალითად, ასე: „გმადლობ, ნიკა, ხელები მაგიდაზე რომ გიწყვია და ფეხები – მაგიდის ქვეშ“. ეს ხერხი ეფექტიანია, თუ ქცევა აღიწერება ობიექტურად და არა ზოგადი ფრაზებით: „გმადლობ, რომ კარგი ხარ“, – ეს სიტყვები არაფრის მთქმელია. იყავით ფრთხილად, ნუ გადაუხდით მადლობას ერთსა და იმავე მოსწავლეს, რათა ის „ფავორიტად“ არ ჩათვალონ და კლასის დაცინვის ობიექტად არ იქცეს. დაფაზე დაწერეთ სამაგალითო მოსწავლის სახელი. ეს კარგად მუშაობს დაწყებით კლასებში და სიგნალია მათთვის, ვინც წესრიგს არ იცავს.

6. უცვალეთ მოსწავლეებს ადგილები. ხშირად ეს ხერხი სასურველ შედეგს იძლევა. გაადგილებისთვის საჭირო ხნის განმავლობაში მოსწავლე ყურადღების ცენტრშია და მეტი არც არაფერი უნდა. თქვენ მიერ ამ სახით გამოხატული ყურადღება ზოგჯერ სავსებით საკმარისია მოსწავლისთვის, მას ის ჯილდოდ აღიქვამს.

„ფიქრის სკამი“. ეს სკამი განცალკევებით დგას, მაგალითად, კარადის, ფარდის ან ინსტრუმენტის უკან. ასე რომ, კლასი მას ვერ ხედავს. მას განსხვავებული ფორმა ან ფერი აქვს. მასზე მჯდომმა მოსწავლემ უნდა იფიქროს იმაზე, როგორ მოიქცევა თავის ადგილზე დაბრუნების შემდეგ. ამისთვის საკმარისია 5 წუთი. შესაძლოა, მოსწავლე არ დათანხმდეს ამ სკამზე დაჯდომას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხერხი უვარგისია; უბრალოდ, მოსწავლის ქცევის მიზეზი შესაძლოა სხვა რამ იყოს და არა ყურადღების მიპყრობის სურვილი.

ძალაუფლებისმოყვარე და შურისმაძიებელი მოსწავლის ქცევის მახასიათებლები

1. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალაუფლებისმოყვარე ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა გზით ცდილობენ თვითდამკვიდრებას, თანდათან იზრდება. ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი მიზეზი თანამედროვე სოციალური დამოკიდებულებებია: დემოკრატიული პრინციპები, ქალთა ემანსიპაცია, ავტორიტეტებისადმი მორჩილების შესუსტება და სხვა. თუ ადრე როლები მკაცრად იყო განსაზღვრული: კარგი სწავლა, დამჯერე, ზრდილი მოსწავლე, მასწავლებელი კი მომთხოვნი, ახლა ბევრი რამ შეიცვალა. ბავშვები უფრო მეტად თავისუფლები და დაუმორჩილებელნი გახდნენ. მეორე მიზეზი „ძლიერი პიროვნების“ მოდაა: მებრძოლი, ინდივიდუალური, გამარჯვებული — აი, დღევანდელი გმირი. თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა და კინოფილმები ასეთ გმირებს სთავაზობს ახალგაზრდობას. მასწავლებლებიც მეტ ყურადღებას ინდივუდუალურობის, სხვადასხვა უნარების განვითარებას უთმობენ, აქცენტს მიღწევებზე აკეთებენ. აქედან იკვეთება ახალი მიზანი — პიროვნული სიძლიერე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვებს ხშირად არასწორად ესმით ცნების- „ძლიერი პიროვნება“ — მნიშვნელობა. მათთვის პიროვნული სიძლიერე საკუთარ თავზე კონტროლს კი არ გულისხმობს, არამედ სხვებზე გავლენას. ისინი ამ გზით ცდილობენ თვითდამკვიდრებას. ამ ტიპის მოსწაცლეთა ქცევის არაასურველ შედეგებს ხშირად აწყდება მასწავლებელიც და თანაკლასელებიც. ყოველივე ამისთვის მასწავლებელიმზად უნდა იყოს. მისი მუშაობა უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლეში სწორი ორიენტირების ჩამოყალიბებას — თუ რა არის ჭეშმარიტი ძლიერი პიროვნება. როდესაც მასწავლებელი ამას ახერხებს, კლასის ატმოსფერო თვითონვე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას.

ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლე გამუდმებით ხელს და ნერვებს უშლის მასწავლებელს, ახდენს მის გამოწვევას, შესაძლებელია შეურაცხყოფაც მიაყენოს. ამ მიზნით ისინი სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ: ზანტად ან საერთოდ არ ასრულებენ სამუშაოს, ხმაურობენ, ბილწსიტყვაობენ, არ უჯერებენ მასწავლებელს ან უჯერებენ, მაგრამ აშკარად განაწყენებულნი არიან. ისინი, როგორც წესი, მაყურებლის გარეშე არ მოქმედებენ და ამიტომ მასწავლებელს პროვოცირებას უკეთებენ მთელი კლასის წინაშე. ამ ბრძოლის წაგება მასწავლებლისთვის არ შეიძლება. მასწავლებელმა ეს იცის, ამიტომაც დაძაბულია და შფოთავს.

ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლის ქცევა ორი სახით ვლინდება – აქტიური და პასიური ფორმით.

აქტიური ფორმა. აღშფოთების ამოფრქვევა. პატარები არ მალავენ თავიანთ აღშფოთებას. ისინი ყვირიან, ფეხებს აბაკუნებენ, იატაკზე გორდებიან, მანიპულირებენ უფროსით, რათა მაგ. აყიდინონ მაღაზიაში სათამაშო. სკოლის ასაკში ისინი უპატივცემლოდ და გამომწვევად იქცევიან. მასწავლებლები ასეთი ქცევების მრავალგვარ ვარიანტს ხვდებიან სკოლაში. „ვერ მაიძულებ“, „სხვა კლასს ამას არ ავალებენ“, „მაინც არ გავაკეთებ“.... აცხადებენ მოსწავლეები. განსხვავებული ვარიანტებიც არსებობს. ამ შემთხვევასი მოსწავლეები არ უზრდელობენ, ლაპარაკობენ მეგობრული ტონით, მაგრამ გვთავაზობენ სრულიად ალოგიკურ მიზეზებს მაგ. თუ რატომ არ შეასრულეს დავალება: „ხომ ხედავთ დრო აღარ არის“, ან „გაკვეთილის მაგიერ ფორმულას გეტყვით და მიხვდებით, რომ გაკვეთილი ვიცი“ – გეუბნებიან ისინი. მათი „მეგობრული“თავხედობა ძნელი ასატანია და მასწავლებელიც ხშირად მწყობრიდან გამოდის.

პასიური ფორმა. ჩუმი გაუგონრობა. ამ ტიპის მოსწავლეები გაურბიან „სცენებს“, არ გამოხატავენ აშკარა კონფრონტაციას, არ ლაპარაკობენ ბევრს. ისინი გვიღიმიან, გვეუბნებიან იმას, რისი მოსმენაც გვსურს, მაგრამ აკეთებენ იმას, რაც თვითონ უნდათ. მაგ.: უკვე 10 წუთია მოსწავლეები დამოუკიდებელ სამუშაოს ასრულებენ, მაიკო კი ფანჯარაში იყურება. რვეული ცარიელია. მასწავლებელი ეკითხება: – „მაიკო, რამე მოხდა?“ მაიკო იღიმება და თავს უარის ნიშნად აქნევს. როცა ეკითხებიან, რატომაა ფურცელი ცარიელი, პასუხობს, რომ ფიქრობს. რამდენიმე ხნის შემდეგ მასწავლებლის შეკითხვაზე ,აპირებს თუ არა დაწერას, ის პასუხობს, რომ აპირებს, თუმცა გაკვეთილის ბოლოს მისი რვეული ისევ ცარიელია. მისი ქცევა გვეუბნება, რომ მას არ უნდა ამის გაკეთება. ასეთი სიტუაციები მასწავლებელში უსუსურობის განცდას ბადებს. ფსიქოლოგები სიტყვისა და საქმის განსვლას „არაკონგრუენტულ კომუნიკაციას“ უწოდებენ. მასწავლებლები, როგორც წესი, სიტყვას ენდობიან და მასზე რეაგირებენ. შეიძლება იმიტომ, რომ პედაგოგები „სიტყვის ხალხნი“ ვართ, ჩვენ ლაპარაკით ვირჩენთ თავს, ჩვენ გვჯერა სიტყვის, მისი ძალის, ჩვენ იდეალისტები ვართ. რასაკვირველია, იმასაც ვხვდებით, რომ საქმე გვაქვს შემთხვევასთან, რომელიც სათანადო ზემოქმედებას მოითხოვს, მაგრამ როგორს, – ზოგჯერ არ ვიცით.

ნიღბები, რომელშიც იმალება ფარული ძალაუფლებისმოყვარეობა

სიზარმაცით გამართლება. „მასწავლებელო, ბოდიში. მინდოდა გამეკეთებინა დავალება, მაგრამ სიზარმაცე ვერ დავძლიე, შევეცდები ეს აღარ განმეორდეს“. მოსწავლის გულწრფელობა და თვითკრიტიკა მასწავლებელთა უმრავლესობაზე ზეგავლენას ახდენს. სინამდვილეში მოსწავლე სიმართლეს რომ

ამბობდეს იტყოდა"; შაბათ-კვირას მეგობრებთან ყოფნა ვარჩიე, დავალების შესრულების ხასიათზე არ ვიყავი". ამის აღიარება რისკს შეიცავს, ეს მოსწავლემ კარგად იცის. როდესაც მოსწავლე სიზარმაცეს იმიზეზებს, აუხსენით, რომ ამ პიროვნული მახასიათებლის შეცვლა შესაძლებელია. თუ მასწავლებელი გრძნობს რომ ეს ფარული ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლის ქცევაა, საჭიროა მასთან მუშაობის დაწყება.

ყურადღების სისუსტით გამართლება. „დიდი ხნით დაჯდომა არ გამომდის, არ შემიძლია" – აცხადებს ის. დააკვირდით მოსწავლეს , თუ თავისუფალ დროს ის დიდი ხნის განმავლობაში ყურადღების კონცენტრირებას ახდენს რაიმე საქმიანობაზე, ჩათვალეთ რომ ის დიდი მანიპულატორია.

გულმავიწყობით გამართლება. დავიწყების გამო არავინ გაუგდიათ სკოლიდან – ეს კარგად იცის მოსწავლემ. გულმავიწყობა რაღაც დოზით ყველას შეიძლება ახასიათებდეს, მაგრამ სისტემატურად მისი მოშველიება უკვე სიგნალია. რომ შეეკითხოთ, მათ ალბათ კარგად ახსოვთ ახლობლების ტელეფონის ნომრები, მსახიობთა გვარები, და ა.შ.

ცუდი სმენით გამართლება. „ვერ გავიგონე თუ თქვენ ეს დაგვავალეთ" ამბობს ის. მაშ, რატომ ესმით კარგად სხვა შემთხვევაში ყველაფერი? შეიძლება მართლაც არსებობდეს რეალური დარღვევები, მაგ. იგივე სმენის, მაგრამ ზოგჯერ ასეთი მოსწავლეც კი იყენებს ამ მიზეზს მანიპულირებისთვის.. ეს კარგად უნდა იცოდეს არა მხოლოდ მასწავლებელმა, არამედ სპეციალისტმაც.

მასწავლებლის რეაქცია ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლის ქცევაზე. არსებობს ორი არსებითი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ადვილი გამოსაცნობია იყო თუ არა ქცევა მიმართული ძალაუფლებაზე. პირველი ნიშანი ეს არის თვითონ მასწავლებელში აღმოცენებული რისხვის ემოცია, დაბნეულობა, აღშფოთება საკუთარი უმწეობის გამო, შიშიც კი. მეორე ნიშანია მასწავლებლის ბუნებრივი იმპულსი – დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მოსწავლის გამოხტომა, შესაძლებელია ფიზიკური ძალის გამოყენებითაც კი. მაგ. შეანჯღრიოს, ხელი მოკიდოს ან მოუჭიროს.

მოსწავლის რეაქცია აღმზრდელობით ზემოქმედებაზე. არსებითი ნიშანი მოსწავლის რეაქციაშიც ჩანს. ეს არის კონფრონტაცია. „ვერაფერსაც ვერ მიზამთ" – ამბობს მოსწავლე ან არ გეუბნებათ, მაგრამ იგრძნობა, რომ ამას ფიქრობს. ის მშვიდად აგრძელებს ქცევას, თვითონ „ინარჩუნებს სახეს" და ელოდება თქვენს რეაქციას. როდესაც დარწმუნდება, რომ ყველამ ნახა რაც მოხდა, წყვეტს გამოხტომას, რადგან ახლა ასე სურს.

ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლის ქცევის ძლიერი მხარეები. მრავალი მოსწავლე, რომელიც ძლაუფლებისმოყვარეა, გამოირჩევა ლიდერის თვისებე-

ბით, თვითდამკვიდრების სურვილით, თავმოყვარეობით, დამოუკიდებელი აზროვნებით. ასეთი მოსწავლეები იოლად არ ექცევიან სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ისინი დამოუკიდებლად იაზრებენ სიტუაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს, აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას, რაც უკვე სერიოზული ბაზაა ჯანსაღი და საინტერესო თვისებების ფორმირებისთვის. მასწავლებლისთვის სირთულეს ქმნის ის, რომ ეს წინაპირობები ზოგჯერ მოსწავლის მიერ არასწორად არის გამოყენებული სხვების დასაჩაგრად – მანიპულირებენ, მართავენ და აკონტროლებენ სხვებს.

პროფილაქტიკის პრინციპები. ძალაუფლების მოყვარე მოსწავლეები ეშმაკები და მოქნილი აზროვნების არიან. მათი მასწავლებელთან დამოკიდებულება კატა-თაგვობანას თამაშს შეიძლება მივამსგავსოთ. ისინი ელოდებიან დროს, მომენტს, ადგილს და მიზეზს თავისი ძალაუფლების გამოსავლენად, იბრძვიან მეთოდურად და მასწავლებელს უძებნიან მომენტს, როცა ის მოშვებულია და თანაც ზუსტად იციან მისი სუსტი მახარეები.

პროფილაქტიკა ორი მთავარი პრინციპის გათვალისწინებას მოითხოვს: 1. მოერიდეთ უშუალო კონფრონტაციას და 2. ნება დართეთ გამოავლინონ ძალაუფლება, მაგრამ იხელმძღვანელონ დაშვებული ხერხები

2. **შურისმაძიებელი მოსწავლის ქცევის მახასიათებლები**. მოსწავლეები, რომლებიც ყურადღების მიპყრობის ან ძალაუფლების ქცევის დემოსტრირებას ახდენენ საინტერესონი და გაკვეული მიმზიდველობის მატარებლები არიან. შურისმაძიებელი მოსწავლის მიმართ კი ამის თქმა ძნელია. ისინი ავები, კუშტები და ძალიან ძნელი მოსავლელები არიან. სწორედ ისინი უქმნიან ყველაზე დიდ სირთულეებს მასწავლებლებს, მუდმივ მზად არიან მოახდინონ დაპირისპირების პროვოცირება. მათი ამოცნობა ლექსიკითაც შეიძლება, რომელიც სავსეა უკმეხი გამონათქვამებით, უცენზურო სიტყვებითა და უხეში ეპითეტებით. მათი შურისძიების მიზეზი რეალური ან წარმოსახული წყენაა.

თუ ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლის ქცევაზე მასწავლებელი პასუხობს ძალის გამოყენებით, შედეგად შესაძლოა სწორედ შურისძიება მივიღოთ – რამდენიმე წუთის, დღის, კვირის ან წლის შემდეგაც კი. როგორც ამბობენ, ასეთი მოსწავლეები მოგაგებინებენ ბრძოლას თავდასხმაში, მაგრამ მოგიგებენ პარტიზანულ ომს.

სკოლაში ძალადობას იმიტომ აქვს ადგილი, რომ ის ბევრია სკოლის გარეთ. საზოგადოებაში იზრდება დანაშაული. მას მოსწავლე ხედავს ტელევიზიით, დიდი ქალაქის ქუჩებში... ამასთანავე იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანი განრისხებას ან წყენას მისაღები, ღირსეული ხერხებით პასუხობს. ამას ხედავს მოზარდიც. ქცევის ტიპური მოდელი ასეთია: დარტყმაზე უპაუხე დარტყმით. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ბავშვისა და მოზარდის რეაქციებიც სასტიკია.

შურისძიება ყოველთვის არ იწყება აშკარა წყენით. ის შესაძლოა სრულიად შემთხვევით პროვოცირდეს. შურისძიების პროვოცირება ადვილად შეუძლია მშობელს, ასევე თანაკლასელებს, სკოლის ადმინისტრაციას და ნებისმიერ სხვა ვინმეს. მოსწავლემ იცის, რომ მათზე შურისძიება შეიძლება სარისკო საქმე აღმოჩნდეს, მასწავლებელი კი ყოველდღე აგერაა, მშვენიერი სამიზნეა, რათა სხვების ნაცვლად მას გადაუხადო სამაგიერო (მით უფრო, თუ მას თავისი „ცოდვებიც“ საკმარისი აქვს..)

შურისძიების ქცევაც ორი ფორმით ვლინდება: **აქტიური** და **პასიური**

აქტიური ფორმა. ძალადობის პირდაპირი ფიზიკური აქტები. იშვიათად, მაგრამ დღეს სკოლაში მასწავლებელზე ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც დასტუდება. მსოფლიო სტატისტიკა იცნობს მასწავლებლის ცემის, დაჭრის და იარაღით მოკვლის არა ერთ ფაქტს. მოსწავლეთა ასეთი ქცევის უკან სწორედ შურისძიების მოტივი დგას. ვხვდებით ძალადობის არაპირდაპირ ფიზიკურ აქტებსაც. ასეთ შემთხვევაში მასწავლებლის მაგიერ ძალადობრივი აქტის მსხვერპლი ხდება მერხი, მაგიდა, ფანჯარა. მოსწავლეები ამტვრევენ ყველაფერს, რაც ხელში ხვდებათ, ჭრიან დანით მერხებსა და სკამებს, ოთახის ყვავილებს ანადგურებენ, იპარავენ ტანსაქმელსა და საფულეს. მოსწავლე სწორედ იმას მოიმოქმედებს, რაც ყველაზე მეტად გაამწარებს მასწავლებელს.

ძალადობის ფსიქოლოგიური აქტები. ესენია შეურაცხყოფა და უხეშობა. პატარა შურისმაძიებლები კარგად გრძნობენ რა გაამწარებს მასწავლებელს. მათ უამრავი ისეთი სიტყვები იციან, რის ქვეშაც იგულისხმება – „ვერ გიტან“. მაგ. გეუბნებათ: „ამ ქვეყნად ყველაზე უსამართლო მასწავლებელი მე მყავს“, „ჩემს დას გაუმართლა ამ კლასში რომ არ სწავლობს“, „კიდევ კარგი ამ საგანს არ ვაბარებ, თქვენს ხელში ვერაფერს ვისწავლიდი“, „კლასში რომ ამდენი „დედიკოს ბიჭები“ არ იყვნენ, თქვენ დიდი ხანია აქ აღარ იქნებოდით“. ამგვარი უხეშობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ ნებისმიერი თანამშრომელი: დარაჯი, ბიბლიოთეკარი. ამ უკანასკნელს მაგ. ეტყვის: „ვხედავ აქ წასაკითხიც არაფერია“, „ეს გადასაყრელი წიგნები სად იშოვე?“ დ.ა.შ.

მოქმედებით შეურაცხყოფა. მოსწავლემ კარგად იცის მასწავლებლის „სუსტი ადგილები“, რა არის მისთვის ღირებული და ძვირფასი. სწორედ ეს ღირებულებები ხდება შეტევის ობიექტები. მაგ. თუ მასწავლებლისთვის სისუფთავე ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლე სკოლაში ჭუჭყიანი, დახეული პერანგით მოვა. თქვენი ლექციები სისუფთავის შესახებ „კედლისთვის ცერცვის შეყრის“ ტოლფასი აღმოჩნდება. მან ხომ ეს სპეციალურად თქვენს გასამწარებლად გააკეთა. თუ ზრდილობაა თქვენი „სუსტი წერტილი“ მაგ. ის ასეთ ხერხს მიმართავს: უმცროსკლასელებს გინებას ასწავლის და ყოველნაირად ეცდება მათი

გინება მოგასმენინოთ. თუ პუნქტუალობაა – მუდმივად დაიგვიანებს და სხვა. ასეთი საქციელი ყველაზე დიდ ზიანს სწორედ თვითონ მოსწავლეს აყენებს. ისინი ხშირად ხდებიან ნარკომანები, ალკოჰოლის მოყვარულები. ესეც შურისძიების ხერხებია, რომლის მსხვერპლი ათასობით მოსწავლე ხდება.

პასიური ფორმა. შურისმაძიებელთა უმეტესობა ქცევის აქტიურ ფორმას ირჩევს. ერთადერთი ფორმა, რომელსაც შეიძლება პასიური ვუწოდოთ არის ე.წ. „გაუცხოებული განრიდება". ასეთი ბავშვები ჩაკეტილები, არაკომუნიკაბელურნი, კუშტები არიან. თქვენ სულ ცდილობთ დაუახლოვდეთ, ისინი კი გამუდმებით გაგირბიან. მათ მოსწონთ რომ ვერაფერს უხერხებთ. მათგან არ მოდის საპასუხო იმპულსი, რომელიც გიჩვენებდათ, რომ თქვენთან ურთიერთობა სურთ. ბოლოს თქვენ გეუფლებათ უმწეობის და სრული უსუსურობის განცდა.

როგორია მასწავლებლის რეაქციები? მასწავლებლის უშუალო რეაქცია იმდენად ტიპიურია, რომ ის შეიძლება ამგვარი ქცევის ინდიკატორად გამოდგეს. კერძოდ, არსებობს ორი არსებითი ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ მოსწავლის ქცევის ფარული მიზანი შურისძიებაა. 1. თუ ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლის ქცევაზე მასწავლებელი ბრაზდება, აღშფოთდება და შიშის გრძნობაც კი ეუფლება, შურისმაძიებლურ ქცევაზე მას ემატება წყენა, ტკივილი და განადგურების სურვილი. ეს ძალზე უსიამოვნი განცდაა, რადგან ხვდები, რომ ვიღაცას მიზანში ჰყავხარ ამოღებული და შურისძიების მსხვერპლი ხარ. ეს გრძნობები ძალიან ძლიერია, თანაც უსიამოვნო. 2. იმპულსური მოქმედება, რომელიც მასწავლებელს ეუფლება ესაა, რაც შეიძლება სწრაფად შეწყდეს შურისძიების ქცევა. ასეთი იმპულსი ორია: ა) დაუყონებლივ უპასუხოთ ძალის გამოყენებით, რათა „დასვა მოსწავლე თავის ადგილზე", ჩაახშოთ ქცევა, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ და ბ) გაეცალო სიტუაციას, გაიჯახუნოთ კარი. ორივე ტიპის რეაქციები ადამიანის ბუნებრივი რეაქციაა, ცნობილი პირველყოფილი საზოგადოების დროიდან. სტრატეგია „იჩხუბო ან გაეცალო", ადამიანს დაეხმარა გადარჩენაში. სამწუხაროდ, არც ერთი ეს რეაქცია მასწავლებელს არ გამოადგება. მასწავლებლებს ამ უძლიერესი ინსტიქტების შეკავება უწევთ, რაც ძალზე ძნელია.

როგორია პედაგოგიურ ზემოქმედებაზე მოსწავლის რეაქცია. დამატებითი ნიშანი, რითაც შესაძლოა შურისძიების ქცევის იდენტიფიცირება მოვახდინოთ, ესაა მოსწავლის რეაქცია მასწავლებლის ქცევაზე. თუ მოსწავლე კონფლიქტის ექსკალაციაზე მიდის, ეს იმის ნიშანია, რომ ის მაშინ მორჩება გამოხტომებს, როცა ეს თვითონ მას მოუნდება. ამით ისინი ადასტურებენ ჩვენით მანიპულირების უნარს , ამასთანავე პოულობენ ხერხებს თუ როგორ გამოიყვანონ მასწავლებლები წყობიდან, როგორ „დააკარგვინონ სახე".

შურისძიების ქცევის ძლიერი მხარეები. ამგვარი ქცევის ძლიერი მხრეების დასანახად საჭიროა ამ ბავშვებს შევხედოთ პერსპექტივაში. მათი თავდაც-

ვის ხერხი აგრესიაა — მიმართული გარეთ, სხვებზე და არა საკუთარ თავზე. საკუთარი ფსიქიკური ჯამრთელობის შენარჩუნებისათვის ისინი უპირატესობას ანიჭებენ რაღაცის კეთებას, განსხვავებით იმათგან, ვინც ასეთ სიტუაციაში უმოქმედობას ამჯობინებს. ეს უკანასკნელნი კი აპათიაში და უიმედობაში ვარდებიან. პასიური მოსწავლის სულიერი ტკივილი, თუ ეს ტკივილი ძლიერია და დიდი ხნით გრძელდება, ქრონიკულ დეპრესიას და სუიციდსაც კი იწვევს. ამ მხრივ, შურისმაძიებელთა ქცევა სოციალური თვალსაზრისით არც თუ ისე უიმედოა.

არსებობს პროფილაქტიკის ორი მთავარი პრინციპი, რომლებიც ასეთი ქცევის შესუსტებას უზრუნველყოფს. 1. ყველა მოსწავლესთან ურთიერთობები ააგეთ მათზე ზრუნვის გრძნობით. რასაკვირველია, ეს არც თუ ისე ადვილია, მაგრამ მისდიეთ პრინციპს: „გამოყავი ქცევა მისი ჩამდენისგან“, ამით პირველი ნაბიჯი გადაიდგმება პოზიტიური მიმართულებით. 2. ასწავლეთ მოსწავლეს, როგორ გამოხატოს ნორმალური ხერხებით თავისი სულიერი ტკივილი და ესაუბრეთ მას რთულ მომენტებში. თუ მოსწავლეებს ამას ასწავლით, ისინი შეწყვრტენ ყველა მიმართულებით დარტყმების განხორციელებას .

მაინც, როგორ ავაგოთ ურთიერთობა მოსწავლესთან, რომელიც, გულწრფელად რომ ვთქვათ, არ გვიყვართ? უნდა შეგვეძლოთ მათთან მშვიდობიანი თანაარსებობა. განვიხილოთ მასწავლებლის ქვევის რამდენიმე სტრატეგია:

შეიცვალეთ თქვენეული აღქმა. იპოვეთ მასში რაღაც კარგი. დაიწყეთ იმით, რომ მისი სუსტი მხარეები განიხილეთ, როგორც მისი სიძლიერე. გამოიყენეთ პოზიტიური ენა.სიჯიუტე განიხილეთ, როგორც ხასიათის სიმყარე, სიმტკიცე,. ასეთი ენა ჩვენ თვითონ დაგვეხმარება გავთავისუფლდეთ ურთიერთობის სიმძიმისაგან. მაგ. ვთქვათ ნიკას სთხოვთ ნუ აკაკუნებს მერხზე პასტით, მას თქვენი არ ესმის და კაკუნს აგრძელებს. სთხოვთ ფანქარი დადოს. ის ამას აკეთებს, სახაზავს იღებს და კაკუნს ბრახუნით ცვლის ა. შ. რასაკვირველია, ის შენიშვნას იმსახურებს, მაგრამ შესაძლებელია ასეთი ხერხი უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს, ეუბნები: „შენი შემოქმედებითი შესაძლებლობები შთამბეჭდავია, მაგრამ მე არ შემიძლია ყველაფერი გამოვიცნო, რაც შენ ჩანთაში გაქვს. შეგიძლია საერთოდ შეწყვიტო კაკუნი?“. იმედია ის გაჩერდება, თანაც ისე ,რომ არ დაკარგავს ღირსებას, თავის სახეს.

შეცვალეთ რეაქციები. საჭიროა გამივიყენოთ სხვადასხვა ხელისშემწყობი სტრატეგიები (რომლებსაც შემდეგ სტატიაში მოგაწოდებთ) . ეს ძალზე ძნელია იმ მოსწავლის მიმართ, რომელიც არ გიყვართ, მაგრამ შედეგიანია. მოსწავლე მადლობელი დაგრჩებათ და თქვენც დამოკიდებულება შეგეცვლებათ.

შესაძლებლობისდაგვარად იმოქმედეთ თავდაჯერებულად. „ვისაც ეშინია, ძაღლიც მას კბენს“. ეს ზოგადი პრინციპია. თუ თავდაჯერებული არა ხართ, მაინც არ აჩვენოთ ეს. გააკეთეთ ეს მუდმივად და ასეც მოხდება.

აჩვენეთ მოსწავლეს, რომ მასზე ზრუნავთ. შურისმაძიებლები სწორედ ზრუნვას საჭიროებენ და არა იმდენად თქვენს სიყვარულს. ჩვენ არ შეგვიძლია ყველა გვიყვარდეს, მაგრამ შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ მასზე ვზრუნავთ. მოქმედებების კონტროლი, გრძნობებისგან განსხვავებით, უფრო ადვილია.

ასწავლეთ მოსწავლეებს გამოხატონ გრძნობები და მართონ ისინი. ამით თქვენ მათ დიდ დახმარებას გაუწევთ, რადგან მათი დამანგრეველი გრძნობები შემცირდება.

ხმამაღლა ისაუბრეთ მოსწავლეთა გრძნობებზე. ჰკითხეთ გაბრაზებულ მოსწავლეს რას გრძნობს ის. თუ არ გითხრათ, შეეცადეთ გამოიცნოთ ის. უთხარით მას: „ჩემი აზრით, შენ დღეს გაღიზიანებული და გაავებული ხარ. ასეა?“ თუ ცდებით, მოსწავლე აუცილებლად გაგისწორებთ, თუ ის სიტუაციაა, რომ მას საუბარი არ სურს და არც არის მიზანშეწონილი, მაშინ მოგვიანებით დაელაპარაკეთ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვუსმინოთ და მოვერიდოთ მითითებებს. „რა განაპირობებს ამ შენს აგრესიულ გრძნობებს?“ — ჰკითხეთ მოსწავლეს. თუ შეძლებთ, ისიც კითხეთ, რის გამო არის თქვენს მიმართ აგრესიულად განწყობილი, შესაძლოა ბევრი საინტერესო რამ მოისმინოთ საკუთარი თავის შესახებ. თუ არაფერი გითხრათ, არაუშავს. არ განიხილოთ მოსწავლესთან საუბრის შინაარსი სხვებთან. გადაუხადეთ მადლობა და უთხარით, რომ იფიქრებთ მოსმენილზე.

ემოციების ფიზიკური გამოვლენა. ამ მიზნით კარგია სკოლაში მოეწყოს სპეციალური კუთხე თიხისთვის, პლასტელინისთვის (უმცროსკლასელთათვის), უფროსებისთვის კი სპორტდარბაზში მაგ. კრივის მსხალი.

შემდეგ სტატიაში მოგაწოდებთ კონფრონტაციის სიტუაციაში ჩარევის სტრატეგიებსა და ტექნიკებს, გაგაცნობთ სანქციების ფორმებს, რომელთა გამოყენებაც დასაშვებია და ეფექტიანი.

კონფრონტაციის სიტუაციაში ჩარევის წესები

წესი პირველი: ყურადღება მიაპყარით მოსწავლის ქცევას და არა მის პიროვნებას.

ერიდეთ სიტყვებს: „ცუდი“, „სულელური“, „უხეში“ და სხვა. გამოიყენეთ წესი „აქ და ამჟამად“ – ნუ გაუხსენებთ მოსწავლეს წარსულ „ცოდვებს“. მართლაც, თუ ზურა „სულ ცუდად იქცევა“, ახლა რატომღა მოიქცევა კარგად? იყავით მტკიცე, მაგრამ კეთილგანწყობილი: მტკიცე – მოსწავლის ცუდი საქციელის მიმართ, კეთილგანწყობილი – მისი პიროვნების მიმართ. მასწავლებლის ამ-გვარი ქცევის ქვეტექსტში იკითხება: „რასაც აკეთებ, ახლავე უნდა შეწყვიტო, მაგრამ შენდამი მე ჯერ კიდევ სიმპათიით ვარ განწყობილი“. თქვენი რწმენა ყველაზე ძლიერი იმპულსია ბავშვის თვითშეფასების ასამაღლებლად.

წესი მეორე: აკონტროლეთ ემოციები

ბუნებრივია, მოსწავლის ცუდი საქციელი მასწავლებელს აღიზიანებს, აბრა-ზებს. ასეთ დროს ადამიანს უჭირს ლოგიკურად აზროვნება, სწორად მოქცევა. მოსწავლე თქვენს გაბრაზებას ცდილობს, ნუ წამოეგებით მის ანკესს! თუ მან თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა მოახერხა, მართლაც ძლიერი ყოფილა. როდესაც მასწავლებელი მართავს თავის ემოციებს, ის: ა) ახერხებს მოსწავ-ლის არასასურველი ქცევის აღკვეთას; ბ) ამზადებს ნიადაგს წარმატებული ურთიერთობისთვის, რაც უფრო მნიშვნელოვანია. თქვენი ბრაზი მოწინააღმ-დეგის გამარჯვებაზე მიუთითებს. ეცადეთ, არ აჰყვეთ მოსწავლის გამოწვევას. ბრაზის განსამუხტავად გამოიყენეთ თვითრეგულაციის ხერხები, მაგალითად, ასეთი: დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ თქვენი “მწვალებელი”, გულში უთხარით ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობთ, უყვირეთ კიდეც. ნახეთ, როგორ განიტვირთებით. საზოგადოდ კი მიმართეთ სპორტს, მუსიკას, ისეირნეთ და სხვა. ეს ერთგვარად დაგიცავთ პროფესიული გადაწვისგან, რომლის მხვერპ-ლიც ათასობით მასწავლებელია.

წესი მესამე: ნუ გაამწვავებთ ვითარებას

ნურასოდეს იტყვით იმას, რაც ვითარებას გაამწვავებს. ცდებით, თუ: 1) უწევთ ხმას, ყვირით, იყენებთ გამომწვევ პოზებსა და მიმიკას (მაგალითად, სათქმელს

კბილებში ცრით); 2) ამბობთ: „აქ მე ვარ უფროსი“, სიტუაციის ბატონ-პატრონივით იქცევით, მოითხოვთ, მბრძანებლობთ; 3) ბოლო სიტყვა ყოველთვის თქვენია; 4) აფასებთ ბავშვის ხასიათის თავისებურებებს (მაგ., „უხეში“, „უზრდელი“); 5) იყენებთ ფიზიკურ ძალას, აყენებთ ბავშვს კუთხეში; 6) კლასში ეძებთ მხადამჭერებს და ითრევთ მათ კონფლიქტში; 7) თავს იცავთ მოსწავლის „მოქრთამვით“; 8) დასცინით მოსწავლეს და სხვა. შესაძლოა, ზოგიერთმა ხერხმა დროებით გაჭრას, მაგრამ სწორედ დროებით. დროებითი სიმშვიდისთვის მოსწავლის მოქრთამვა არ ღირს. ერთხელაც რომ უთხრათ მას: „თუ დღეს არ გადაიწერ და სამუშაოს დამოუკიდებლად შეასრულებ, ხვალ გეომეტრიაში არ გამოგიძახებ“, — ის მეორედაც აუცილებლად გკითხავთ: „არ გადავიწერო და ხვალ არ გამიძახებთ?“ წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოჩნდებით.

წესი მეოთხე: განიხილეთ მოგვიანებით

არასწორ საქციელზე უნდა ვისაუბროთ, მაგრამ არა მაშინვე. ცხელ გულზე საუბარი არ ღირს. მაშ, როდის? ერთი საათის შემდეგ, ან სულაც ხვალ, ზეგ, როცა მასწავლებელი მზად იქნება, მოსწავლის ქცევა განიხილოს და არა პიროვნება. ბუნებრივია, იკითხავთ: თუ ამ წესს მივდიეთ, როგორ მიხვდება მოსწავლე, რომ ცუდად მოიქცა? ეს მან უთქვენოდაც მშვენივრად იცის. მაგალითად, გაკვეთილზე ბიჭმა შეიგინა. მან, რასაკვირველია, იცის, რომ ეს ცუდი საქციელია. თუ თქვენ მას მთელი კლასის წინაშე ლექციას წაუკითხავთ ენის სიწმინდის შესახებ, ეს მისთვის დიდი საჩუქარი იქნება. რეაგირება საჭიროა, ლექციის წაკითხვა კი — ისეთ დროს, როცა ეს მისთვის ხელსაყრელი არ იქნება. კლასიც მიხვდება, რომ თქვენ ხელი არ გაქვთ მიშვებული, რადგან დროდადრო ამ თემას ეხებით და ზოგად დისკუსიას მართავთ.

წესი მეხუთე: მიეცით მოსწავლეს საშუალება, შეინარჩუნოს სახე

ზოგიერთი მოსწავლე, მაგალითად, ძალაუფლებისმოყვარე, არ გაჩერდება, ვიდრე წარმოდგენას არ მოაწყობს. ისინი მასწავლებელს სთავაზობენ თამაშის საკუთარ წესებს. წესები ასეთია: აკეთებენ იმას, რასაც ვთხოვთ, მაგრამ თავისებურად. სწორედ ეს აბრაზებს ყველაზე მეტად მასწავლებელს. მაგალითად, თქვენ სთხოვთ ლილის, მორჩეს კლასში სიარულს და თავის ადგილზე დაჯდეს. ის გემორჩილებათ, მაგრამ მერხისკენ მიბრუნებული ბუზღუნებს. რას აკეთებს ამ დროს მასწავლებელი? არსობრივად, მოსწავლემ დაგიჯერათ და დაჯდა, მაგრამ მასწავლებელთა უმრავლესობას აქ მოსდის ტიპობრივი შეცდომა — მოითხოვს სრულ დაქვემდებარებას. „რა გაბუზღუნებს?“ — მიმართავს მოსწავლეს და იწყება ახალი კონფრონტაცია, რომელიც შესაძლოა პირველზე მძიმე შედეგით დასრულდეს.

ბუზღუნი ბუნებრივი რეაქციაა, მას ყურადღება არ უნდა მიაქციოთ. ჩვენც ასე ვიქცევით, როცა ვინმე ჩვენგან მორჩილებას მოითხოვს. მოსწავლეები სხვა

ხერხებსაც მიმართავენ: აჭიანურებენ მოთხოვნის შესრულებას, გრიმასებით გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს, იყენებენ უპატივცემულობის გამომხატველ ჟესტებს, იმეორებენ იმ მოქმედებას, რომლის შეწყვეტასაც მოითხოვთ და სხვა, თუმცა ბოლოს მაინც გემორჩილებიან. თუ საშუალებას მისცემთ, ითამაშონ თავიანთი „თამაში“, ინციდენტი ამოიწურება, მიიღებთ იმას, რაც გინდათ და არც მოსწავლის ღირსებას შეურაცხყოფთ. შედეგად ორივე მოგებული რჩებით.

წესი მეექვსე: ნუ გამოამჟღავნებთ აგრესიას

ზოგჯერ მასწავლებელიც ბრაზდება, მაგრამ აგრესიის გამომჟღავნების უფლება მას მხოლოდ წარმოსახვაში თუ ექნება.

მისდიეთ შემდეგ წესებს:

ა) გადადეთ დისციპლინური ზომები და გამოიყენეთ სათანადო ტექნიკები მშვიდობის დასამყარებლად;

ბ) გადადეთ აღმზრდელობითი ღონისძიებები, ვიდრე დამშვიდდებით. თქვენი ასეთი ქცევა თანდათან მოსწავლისთვისაც მოდელად იქცევა, ეს კი ძალზე ღირებული რამ არის.

კონფრონტაციის სიტუაციაში ჩარევის ტექნიკები

შურისძიება ყველაზე მძიმე ქცევაა. ის მხოლოდ მასწავლებელს კი არ ურთულებს მუშაობას, არამედ მწყობრიდან გამოჰყავს მთელი კლასი. წარმოვიდგინოთ, როგორ ხდება ვულკანის ამოფრქვევა: ჯერ რაღაც ხმები მოისმის, შემდეგ რყევა იწყება, ბოლოს კი გავარვარებული ლავა ამოიფრქვევა, რომელსაც შეუძლია, ყველაფერი წალეკოს. შურისმაძიებელი მოსწავლის ქცევაც ასეა, მაგრამ, ვულკანისა არ იყოს, ისიც ჩაქრება, ეს კი უკვე ის ეტაპია, რომელიც გაანალიზებას მოითხოვს, რათა აღარ განმეორდეს.

გამოყოფენ „საკლასო ვულკანის ამოფრქვევის“ 3 სტადიას: 1. „ჩუმი რყევებისას“; 2. „აფეთქებისა და ლავის ამოფრქვევისას“ და 3. გადაჭრისას.

„ჩუმი რყევების“ სტადია. ამ სტადიაზე მოსწავლე გაფრთხილებთ, რომ მზადდება კონფლიქტი. გაფრთხილებთ არავერბალურად ან ინტონაციით. რასაც არ უნდა აკეთებდეს იგი, ეს ყველაფერში იგრძნობა, სიცილშიც კი. დახვეწილი მანევრირება საშუალებას მოგვცემს, „შევინარჩუნოთ სახე“, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და გამოვიყენოთ საჭირო ტექნიკები — არასტანდარტული და მოულოდნელი:

1. აღიარეთ მოსწავლის ძალა. ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია, მოსწავლეს, რასაც მინდა, იმას გავაკეთებინებო. ეგებ ერთხანს მოახერხოს კიდეც, მაგრამ ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: ვიდრე მოსწავლე თვითონ არ გააკეთებს არჩე-

ვანს, მაგ., ისწავლოს თუ არა მათემატიკა, თქვენ მიზანს ვერ მიაღწევთ (გაიხსენეთ ნიუტონის მესამე კანონი — რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია წინააღმდეგობა).

2. ნუ ჩაებმებით დამარცხებისთვის განწირულ ომში. ურთიერთობა დაიწყეთ, მაგალითად, ასეთი ფრაზით: „ნიკა, მე მივხვდი, რომ ვერ ვახერხებ, დავალება შეგასრულებინო“. ნიშნავს თუ არა ამის აღიარება თქვენი ავტორიტეტის დაცემას და იმას, რომ ნიკას შეუძლია, ყველაფერი აკეთოს, რაც მოესურვება? არა! ამის შემდეგ გადადით მესამე სტადიაზე — პრობლემის მოგვარებაზე, რომლის მიზანია მოსწავლეზე ზემოქმედება, რათა მან სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. მოსწავლის ძალის აღიარება ხშირად სიტუაციის განმუხტვას იწვევს, რადგან ამით ძალთა თანაფარდობის აღიარება ხდება, ეს კი მოწოდებაა თანამშრომლობისკენ და არა კონფრონტაციისკენ.

3. მოიშორეთ მაყურებელი. თუ ორი მოსწავლე დერეფანში სხვების თანდასწრებით ჩხუბობს, უპირველესად მაყურებლები მოიშორეთ. უმაყურებლოდ ჩხუბი სიმწვავეს კარგავს. თუ კამათი საკლასო ოთახში ხდება და მოსწავლე ცდილობს, კამათში ჩაგითრიოთ ისეთ საკითხზე, რომელიც არ ეხება გაკვეთილის თემას (თანაც კლასისგან დიდ ყურადღებას გრძნობს), უთხარით, რომ ამის თაობაზე აუცილებლად დაელაპარაკებით აუდიტორიის გარეშე. წესისამებრ, უმაყურებლოდ სპექტაკლი არ შედგება!

4. გადაიტანეთ საკითხის განხილვა. ბოლო გაკვეთილია და მოსწავლეებს დავალებას აძლევთ. ნანა თავის მეგობარს ყველას გასაგონად ეუბნება: „რამდენი დავალება მოგვცა, მეტი საქმე არა მაქვს, ამ სისულელეს შევწირო მთელი საღამო“. მთელი კლასი თქვენი რეაქციის მოლოდინშია. ჩაერთვებით ამ ორომტრიალში და მთელი კლასი ნანას მხარს დაიჭერს, თქვენ კი თავის ტკივილს აიტეხთ. ოპტიმალური გამოსავალია საკითხის განხილვის გადადება. მაშინვე შეგიძლიათ მხოლოდ ერთი-ორი ფრაზა თქვათ, მაგ., ასეთი: „ახლა არ მსურს ამაზე საუბარი“, „შენ სკანდალი გინდა თუ მართლა ამ პრობლემის მოგვარება გსურს?“ თუ გითხრათ, რომ სკანდალი უნდა, უპასუხეთ: „ოღონდ ჩემთან არა“, „სხვა აირჩიეთ“, „მე მოსწავლესთან ამას არ გავაკეთებ“, — ან: „მოდი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ“.

5. გააკეთეთ ჩანაწერები. როგორც კი მოსწავლე თქვენს გამოწვევას დაიწყებს, ამოიღეთ ბლოკნოტი და მიმართეთ მოსწავლეს: „თანახმა ვარ, ამ საკითხის განსახილველად დრო დაგითმო, მოდი, შევთანხმდეთ, სად და როდის. დღეს, მაგალითად, 3 საათსა და 15 წუთზე. გაწყობს?“ სადისკუსიო თემის შესახებ მეტი არაფერი თქვათ.

6. დააყენეთ მოსწავლე ამოცანის წინაშე. ეს თქვენი მხრივ პროვოკაციული განცხადებაა, რომლის ქვეტექსტია: „ჩემით მანიპულირება არ შეიძლება!“ გვთავაზობენ ორ ძალზე ეფექტურ ტექნიკას:

1. დაეთანხმეთ მოსწავლეს. მოსწავლე გაკვეთილზე „არევის“ მომენტში ყველაზე ნაკლებად თქვენს თანხმობას ელის. ეს აოცებს მას და ხშირად ყველაფერი ამით მთავრდება. ერთი მასწავლებლი ქალის მონათხრობი: „როგორც კი ჟურნალიდან გვარების ამოკითხვა დავიწყე, ერთი მოსწავლე მეკითხება, რატომ მაქვს ულვაშები. მე ვპასუხობ, რომ ეს ზედმეტი კალციუმის ბრალია და ხმამაღლა ვაგრძელებ: „დაფასთან გამოვა..“ ინციდენტი ამით ამოიწურა.

2. შეცვალეთ თემა. ზემოთ მოყვანილი შემთხვევის გაგრძელება შეიძლება ასეთი იყოს: მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება, ხომ არ მოუსმენია ტელევიზორში, მაგ., როგორი ამინდი იქნება ხვალ, ან რა სპექტაკლი... მოსწავლემ თვითონაც კარგად იცის, რომ მისი სიტყვები სულელურია და საწყენი, ამიტომ ლექციის კითხვას აზრი არ აქვს. მასწავლებლის მიზანია, შეწყდეს კონფრონტაცია, ამის შანსი კი ასეთი ხერხის გამოყენებისას ნამდვილად არსებობს.

„ლავის ამოფრქვევის“ სტადია. თუ კონფრონტაცია არ დასრულდა, პირველ ეტაპზე გაფრთხილდით — აფეთქებაა მოსალოდნელი. ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს დროებითი იზოლაციის ტექნიკები, როგორც, მაგალითად, საფეხბურთო მატჩზე. საქციელზეა დამოკიდებული, რამდენი ხნით და სად გაუშვებთ მოსწავლეს. არასწორია მოსწავლის კორიდორში ან „გაურკვეველ ადგილას“ გაშვება. ქვემოთ ჩამოთვლილია ტექნიკები სიმკაცრის ზრდის მიხედვით:

1. განცალკევება კლასიდან გაუშვებლად. ამისთვის შეიძლება კლასში სპეციალური ადგილი გამოიყოს: კარადის, ინსტრუმენტის უკან. მთავარია მოსწავლე იზოლაციაში მოექცეს.
2. პარალელურ ან რომელიმე უფროს კლასში გაშვება, მაგრამ არა უმცროსში — ეს მოსწავლის თავმოყვარეობაზე იმოქმედებს (ამ ტექნიკის გამოყენების თაობაზე მასწავლებლები წინასწარ შეთანხმდებიან).
3. სპეციალურ ოთახში გაშვება. ამ მხრივ დასავლეთის სკოლებში არსებობს საინტერესო გამოცდილება - ეს არის ჩვეულებრივი ოთახი და არა დირექტორის კაბინეტი.
4. გაშვება სკოლის ადმინისტრაციის კაბინეტში. ეს უკიდურესი ზომაა. სახლში გაშვებას მაქსიმალურად უნდა ვერიდოთ, რადგან ხშირად მშობლები შინ არ არიან.
5. კლასიდან გაძევება ძალის გამოყენებით. ეს უკიდურესი ზომაა. როგორ მოვიქცეთ, თუ მოსწავლე კლასიდან არ გადის? დაიხმარეთ, მაგალითად, მანდატურები.

ვიდრე მოსწავლეს კლასს დაატოვებინებთ, მას არჩევანის უფლებას აძლევთ: „დაწყნარდები თუ დატოვებ კლასს?“ იზოლაციის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ასაკზე. უმცროსკლასელებისთვის საკმარისია 5 წუთი, უფრო დიდე-

ბისთვის — 15-30 წუთი. შეიძლება, მოსწავლემ თვითონვე განსაზღვროს დრო. თქვენ სთავაზობთ: „დაბრუნდი, როცა იგრძნობ, რომ მზად ხარ, წესიერად მოიქცე“. თუ დაბრუნების შემდეგაც ცუდად მოიქცა, უფრო მეტი ხნით გაუშვებთ, ოღონდ ამის თაობაზე აღარ უთანხმდებით და თუ სიტუაცია არ მოგვარდა, მომდევნო სტადიაზე გადადიხართ.

მოგვარების სტადია. დანაშაულს გამოსყიდვა სჭირდება. მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ ამას. და, აი, აქ დგება სანქციების საკითხი. სანქცია განსხვავდება სასჯელისგან: ა) სანქცია ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული დარღვევასთან. რაც უფრო მჭიდროა ეს კავშირი, მით უფრო დიდია წარმატების ალბათობა; ბ) სანქცია დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს; გ) სანქცია მოსწავლის ასაკს უნდა შეესატყვისებოდეს. მაგალითად, თუ მოსწავლე მერხს არყევს და სხვას ხელს უშლის, უნდა შეაწყვეტინო რყევა (რა გზით, ეს თქვენი საქმეა), მაგრამ თუ ამის გამო აიძულებ, გაკვეთილების შემდეგ კლასი დაგავოს, ეს არც თანაზომიერია და არც ლოგიკური. ასევე, სანქცია მოსწავლეს გზას არ უნდა უღობავდეს წარმატებული მომავლისაკენ. გახსოვდეთ, არ დაუშვათ ზემოთ განხილული ტიპური შეცდომები. მოახდინეთ სანქციების ფორმულირება უემოციოდ, მისაღები ტერმინებით, ფაქტებზე დაყრდნობით. სხვაგვარად ეს უკვე სასჯელია, რაც სხვა შედეგს გამოიღებს — სიძულვილსა და ანტაგონიზმს გამოიწვევს და თანამშრომლობა და პარტნიორობა შეუძლებელი გახდება.

ჯ. ჯილბერტი გვთავაზობს სანქციების საინტერესო კლასიფიკაციას:

1. უფლების ჩამორთმევა
   1.1 **მოქმედებისა** — თუ მოსწავლე თავისი საქციელით სხვებს დროს აკარგვინებს, შეიძლება, მას ძვირფასი დრო ჩამოვართვათ, მაგალითად, ნაკლებ ხანს დავასვენოთ, დაგვიანებით გავუშვათ კლასიდან. რამდენ დროსაც სხვას დააკარგვინებს, მასაც იმდენს ვართმევთ.
   1.2 **ნივთების გამოყენებისა** — ერთხანს არ მისცეთ ნება, ისარგებლოს, მაგალითად, სპორტული იარაღით, რომელიც დააზიანა.
   1.3 **სკოლაში რაიმე ტერიტორიით სარგებლობისა** — თუ სასადილოში ხულიგნობს, არ მისცეთ სასადილოში შესვლის ნება;
   1.4 **ურთიერთობისა** — მაგალითად, აუკრძალეთ სხვა მოსწავლეებთან ყოფნა.

2. შეხვედრის მოთხოვნა
   2.1 **სკოლის პერსონალთან** — თუ მასწავლებელმა ვერაფერი გააწყო მოსწავლესთან, შეიძლება მოითხოვოს სასწავლო ნაწილთან ან დირექტორთან ვიზიტი, რომლის მიზანია, დაიგეგმოს მოქმედებები სიტუაციის გასაუმჯობესებლად.
   2.2.**მშობლებთან** — ზოგჯერ საჭიროა მშობლების ინფორმირება მოს-

წავლის გამოხტომების თაობაზე. ხანდახან საკმარისია, ტელეფონით თვითონ მოსწავლე მოუყვეს მშობელს თავისი საქციელის შესახებ.

2.3 **პოლიციასთან** – ზოგჯერ მოსწავლეები კანონს არღვევენ: ქურდობა, ნარკოტიკი, მკვლელობაც კი. ჩვენ მათ არ უნდა ვასწავლოთ კანონისთვის გვერდის ავლა. ამ შემთხვევაში მოსწავლესთან სკოლის ფსიქოლოგიც მუშაობს.

3. გაფუჭებულის აღდგენა

3.1 **ნივთის შეკეთება** – შეღებოს და გაასუფთაოს მერხი, რომელიც დასვარა ან დაკაწრა, გარეცხოს და დაალაგოს თავის მიერ დასვრილი ან არეული ნივთები.

3.2 **ნივთის ადგილზე დაბრუნება** – მოსწავლე აბრუნებს ნივთს ან თანაზომიერი ღირებულების ნივთით ანაზღაურებს.

როგორ რეაგირებენ მოსწავლეები სანქციებზე? ზოგი თავს გაჩვენებთ, თითქოს ეს სულაც არ ადარდებს. ნუ მოტყუვდებით, ეს მხოლოდ პოზაა. სინამდვილეში სწორად შერჩეული სანქცია თავის საქმეს აკეთებს.

მომდევნო სტატიაში იმაზე ვისაუბრებთ, რა თავისებურებები ახასიათებს წარუმატებლობის შიშით გამოწვეულ ქცევით დარღვევებს.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, იგრძნონ თავიანთი ინტელექტუალური კომპეტენტურობა

ქცევითი დარღვევების თავიდან აცილება მხოლოდ ერთი გზით არის შესაძლებელი — მოსწავლე პატივს უნდა სცემდეს საკუთარ თავს. ის უნდა გრძნობდეს, რომ: 1. შეუძლია სასწავლო ამოცანის გადაწყვეტა, 2. შეუძლია, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობა ააგოს მასწავლებელთან და 3. შეაქვს თავისი წვლილი საკლასო კოლექტივში. თუ ეს ასეა, მას აღარ გაუჩნდება სურვილი, დახარჯოს ენერგია ცუდ ქცევაში.

რწმენა, რომ ნიჭიერი ხარ, გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ნიჭიერების რეალური დონე, ყოველ შემთხვევაში, მოტივაციის თვალსაზრისით, ეს კი სწავლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეს რწმენა წარმატებას არა მარტო ფორმალურად, არამედ ემოციურადაც განგვაცდევინებს. მოსწავლეები, რომლებსაც სჯერათ თავიანთი ნიჭიერების, სკოლაში თავს კარგად და თანაც წარმატებულად გრძნობენ. მასწავლებელმა კი უნდა გაითვალისწინოს, რომ ნიჭი კარგად სწავლის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი კომპონენტია. „შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ თუ არ ხარ მიზანსწრაფული, სწავლაში წარმატებას ვერ მიაღწევ“ (ანასტაზი).

რა შეიძლება გააკეთოს მან ამ თვალსაზრისით?

სტრატეგია 1. განიხილეთ შეცდომა ბუნებრივ და საჭირო მოვლენად. უპირველესად, იმუშავეთ იმაზე, რომ მოსწავლეს გაუქრეს შეცდომის შიში. ბავშვები ხშირად თავიანთ შეცდომებს ხედავენ, სხვისას კი ვერა (ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ), ამიტომ შესაძლოა, თავი სხვებზე უარესებად მიაჩნდეთ. მასწავლებელს შეუძლია, შეუცვალოს მათ საკუთარ თავისადმი დამოკიდებულება, თუ აჩვენებს, რომ შეცდომა ყველას მოსდის და ეს ბუნებრივია. ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა თამაში, მაგ., „პაროლობანა“. მისი იდეა ასეთია: როცა ზარი დაირეკება, ჩადექით კარში და გამოაცხადეთ, რომ მოსწავლეებს კლასიდან მხოლოდ პაროლის თქმის შემდეგ გაუშვებთ. პაროლი კი ისაა, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა დაასახელოს ერთი შეცდომა, რომელიც ოდესღაც მოუვიდა და რომელმაც რაღაც ასწავლა (ნებისმიერ საგანში). თავდაპირველად მოსწავლეებს უჭირთ ამ თამაშში ჩართვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამას თავად გააკეთებთ, ის სასიამოვნო გასართობად იქცევა.

შეიძლება, თამაში ასეთ რამესაც გულისხმობდეს: „როგორ მოვიქცეთ, რომ ეს შეცდომა აღარ გავიმეოროთ?“ — და სხვა. მასწავლებლმა შესაძლოა ასეც უთხრას მოსწავლეს: „შეცდომა უკვე დაშვებულია, ახლა ვნახოთ, რას გვეუბნება ის“, — ან იუმორი მოიშველიოს: „ეს შეცდომაა, მაგრამ არა უშავს; შენ რომ შეცდომებს არ უშვებდე, მე სამსახურიც არ მექნებოდა“. ცნობილია შემთხვევები, როცა დიდი საწარმოები აჯილდოებენ თანამშრომლებს, რომელთა შემოქმედებითი იდეები ჩავარდა, მაგრამ მათ განიხილავენ როგორც არასტანდარტულს და ღირებულს.

როგორც ვიცით, მასწავლებლის ე.წ. „წითელი ფანქრის“ აზროვნებას აყალიბებს პედაგოგიური პრაქტიკის წლები. მასწავლებელი მცირე შეცდომებზეც კი ავტომატურად რეაგირებს. უარი თქვით ამ პრაქტიკაზე. ნურც პრაქტიკულად გამოიყენებთ წითელ ფანქარს და ნუ დაუბრუნებთ მოსწავლეს წითლად გადახაზულ რვეულებს. ბავშვები ნაკლებად ენდობიან ფურცელს, რომელიც შეცდომას სამუდამოდ აღნუსხავს. თუმცა ეს კონსტრუქციულ კრიტიკაზე უარის თქმას არ ნიშნავს. ერთ ჯერზე გაასწორებინეთ ერთი ან ორი შეცდომა, ნახავთ, რომ შიშის დაძლევა უფრო მეტს მოგცემთ, ვიდრე წითელი პასტით აჭრელებული რვეული.

სტრატეგია 2. გამოუმუშავეთ მოსწავლეებს წარმატების რწმენა. ამისთვის გამოიყენეთ ხერხები, რომელთა ღერძს პოზიტიური უკუკავშირი წარმოადგენს. ჩვეულებრივ, მასწავლებელი ელოდება, როდის ამოხსნის მოსწავლე ამოცანას უშეცდომოდ. ასეთი განწყობით დიდხანს მოგიწევთ ლოდინი. პროცესს მეტი ყურადღება მიაქციეთ, ვიდრე შედეგს, ხაზი გაუსვით ყოველგვარ წინსვლას, თუნდაც უმნიშვნელოს, წარმოაჩინეთ მოსწავლის ძლიერი მხარეები. როგორც კი მცირე უკეთესობას შეამჩნევთ, ჩაუწერეთ ეს რვეულში. ყველა მოსწავლე უხარია ქება და ეძლევა უფრო მეტი მოტივაცია წარმატების გასამეორებლად. ეს ძალზე ეფექტიანი სტრატეგიაა.

არასოდეს შეადაროთ მოსწავლეები ერთმანეთს. შესაძლოა, მოსწავლე სათანადოდ ვერ წერდეს, მაგრამ კარგი იყოს ზეპირ გამოკითხვასა და დისკუსიაში. ხაზი გაუსვით თითოეულის შესაძლებლობებს. ამით ისინი საკუთარ კომპეტენტურობას იგრძნობენ.

ბევრ მასწავლებელს ეშინია, მოსწავლეებს „თავში არ აუვარდეთ“ . ეს შეცდომაა. ადრე ნახსენები თამაში „პაროლობანა“ აქაც დიდ სამსახურს გაგვიწევს: შესთავაზეთ მოსწავლეებს, დაასახელონ თავიანთი ძლიერი, კარგი მხარეები, ან ფურცელზე დაწერონ — ეს იქნება გარეთ გასაშვები ბილეთი. აჩვენეთ, რომ მათი წარმატების გჯერათ. მაგრამ მოლოდინი გულწრფელი უნდა იყოს — მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება ის ძლიერი ინსტრუმენტი. კომენტარები: „შენ ამას შეძლებ“, „შენ ერთი მათგანი ხარ, ვისაც ამის უნარი აქვს“ და სხვა, — სასარგებლო აღმოჩნდება მოსწავლისთვის. უთხარით: „შენი შესაძლებლობე-

ბის პატრონი, უკეთეს შედეგსაც მიაღწევ“, — და არა „შენთვის ეს შედეგიც არ არის ურიგო“, — თუნდაც მართლა ასე იყოს.

აღიარეთ თქვენ მიერ მიცემული ამოცანების სირთულე. ნურასოდეს იტყვით, რომ დავალება ადვილია. თქვით, რომ რთულია, მაგრამ გჯერათ, მოსწავლეები თავს გაართმევენ. „ადვილი“ დავალების შეუსრულებლობა დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეებს უფრო მეტად დაუქვეითებს საკუთარი თავის რწმენას. თუ რთულ ამოცანებს შეასრულებენ, ცხადია, თვითშეფასებაც აუმაღლდებათ.

ზოგჯერ შეუზღუდეთ ამოცანის ამოხსნისთვის გამოყოფილი დრო. თუ ხედავთ, რომ მოსწავლე ვერაფერს ახერხებს და დროის დამატებას აზრი აღარ აქვს, თქვით: „დავამთავრეთ“. ამით თქვენ მას იხსნით წარუმატებლობის განცდისგან — იმიტომ ვერ გააკეთა, რომ ვერ მოასწრო.

სტრატეგია 3. ხაზი გაუსვით წარსულ წარმატებებს.

უფროსები ყურადღებას უმთავრესად იმაზე ამახვილებენ, რას ვერ აკეთებს ბავშვი კარგად. ისინი ფიქრობენ, რომ ამით ბავშვს აიძულებენ, მომავალში უკეთესი გახდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. განათლების ფსიქოლოგებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ერთადერთი უხიფათო გზა, რომელიც ბავშვს სწავლის მოტივაციას გაუძლიერებს, არის ხაზგასმა ყოველივე იმისა, რასაც იგი სწორად აკეთებს.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ წარმატებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ძალისხმევის ზომა, სხვების დახმარება, ამოცანის სირთულე, გამართლება. მოსწავლეს მხოლოდ პირველი ორის მართვა შეუძლია. ჩვენ მას იმის გაგებაში უნდა დავეხმაროთ, რომ სწორედ ეს ორია მთავარი. თუ მოსწავლე კითხვაზე: „შენი აზრით, რამ განაპირობა წინა კვირას შენი წარმატება ამოცანის ამოხსნისას?“ — გიპასუხებთ: „ძალიან მოვინდომე“, ან: „ვიცოდი, თავს გავართმევდი“, — დაუდასტურეთ და შეგიძლიათ, აღარ გააგრძელოთ, მაგრამ თუ მან გიპასუხათ, რომ დაეხმარნენ, უთხარით: „კი, მართალია, მაგრამ შენ ცდილობდი და თანაც ნიჭიერი ხარ“. თუ გითხრა, რომ დავალება ადვილი იყო, უთხარით: „ეს შენთვის იყო ადვილი“. თუ გითხრათ, რომ გაუმართლა, დააზუსტეთ: „შენ განაპირობე შენივე იღბალი, რადგან უნარი გაქვს და მონდომებულიც ხარ“. გაიმეორეთ და განამტკიცეთ წარმატებები. თუ მოსწავლე ახალ მასალაში მოიკოჭლებს, ნუ იჩქარებთ, დაუბრუნდით მის მიერ წარმატებით ამოხსნილ ამოცანას და გაიმეორეთ ის. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ხერხია. მოსწავლეებს უყვართ წარმატების დემოსტრირება. მიეცით ამის საშუალება, გაამეორებინეთ, გამეორება ხომ ცოდნის დედაა. ამით იზრდება შანსი, ახალი მასალაც უკეთ გაიგოს. უფროსებსაც მოგვწონს ეს ხერხი — დააკვირდით რა ხშირად ვაკეთებთ იმ კერძს, რომელიც კარგად გამოგვდის.

სტრატეგია 4. გახადეთ სწავლების პროცესი ხელშესახები. ერთერთი მიზეზი, რის გამოც მოსწავლეებს არ სჯერათ თავიანთი წარმატებისა, ის არის, რომ ისინი ვერ გრძნობენ პროგრესს. შეფასება არ იძლევა ამისთვის საკმარის ინფორმაციას. მაგ., თუ მოსწავლეს საგანში 6 ქულა აქვს, მან შესაძლოა ჩათვალოს, რომ წინ არ მიდის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დაწყებითი კლასის მოსწავლისთვის. მათთვის აუცილებელია, შეკითხვა „რა მიიღე?“ შეიცვალოს შეკითხვით „რა ისწავლე?“

წახალისების მიზნით მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ასეთი ხერხი, მაგ., პირველ კლასში მათემატიკის სწავლებისას: რა მოქმედებასაც დაეუფლება მოსწავლე, იმის აღმნიშვნელი წებოვანი ფურცელი ეკვრება მის მერხს. „შეკრება“, „გამოკლება“, „გამრავლება“, „გაყოფა“... ბავშვებს მოსწონთ ეს კოლექცია და მისი სიმრავლით ამაყობენ. ეს კარგი თვალსაჩინო მასალაა მშობელთა კრებისთვისაც — მასში ხომ თითოეული ბავშვის შესაძლებლობები და მონდომებაა ჩადებული.

წარმატების ალბომები. უფროსკლასელებმა შეიძლება ასეთ ალბომებში თავი მოუყარონ მათემატიკურ ამოცანებს, თემებს და სხვადასხვა პროექტში შესრულებულ სამუშაოებს, ასევე — წაკითხულ წიგნებს. მთავარია, ალბომი იყოს ინდივიდუალური და უკავშირდებოდეს პროგრამას. ერთმანეთს ნუ შეაჯიბრებთ მათ, ხაზი გაუსვით, რომ განვითარების პიროვნული გზა განსხვავებულია.

საუბარი გუშინდელის, დღევანდელისა და ხვალინდელის შესახებ. სხვა ხერხებთან ერთად ძალზე ეფექტიანია ეს მეთოდიც. მაგ., „მოკლედ მოგვიყევი იმის შესახებ, რომ შარშან ერთი სიტყვაც არ იცოდი, მაგ., ინგლისურ ენაზე, რა იცი დღეს და რა გეგმები გაქვს სამომავლოდ“. ცხადია, ეს საუბრები კორექტული უნდა იყოს, რომ ხელი შეუწყოს თვითრწმენის ამაღლებას. ისიც უნდა ითქვას, რომ წარსული წარუმატებლობა არაფერია, თუ დღეს გაცილებით წინ წაიწიე და ამდენი და ასეთი საინტერესო გეგმა გაქვს ხვალისთვის.

სტრატეგია 5. მიღწევების აღიარება. არიან წარმატებული მოსწავლეებიც და ისეთებიც, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა წარმატებას მიაღწიონ. მათთან შეიძლება გამოვიყენოთ მხარდაჭერის რამდენიმე ხერხი:

აპლოდისმენტები. ქების სიტყვებში ენთუზიაზმი უნდა იგრძნობოდეს. მაგ.: „ყოჩაღ, ნინი, შენი მოხსენება (თხზულება) ისეთივე გემოვნებიანია, როგორიც შენი ნახატები“. თუ შეამჩნიეთ, რომ ანა, რომელსაც უჭირს კოლექტივში ჩართვა, ფიზკულტურის გაკვეთილზე თამაშში ჩაერთო, უთხარით: „ანა, ვხედავ, შენი წყალობით გუნდი ახლებურად თამაშობს“. მოსწავლე უნდა შევაქოთ სკოლის გარეთ მიღწეული წამატებისთვისაც.

ვარსკვლავები და სტიკერები. უმცროსკლასელებს ეს ძალიან მოსწონთ, სახე უბრწყინდებათ და მადლიერებას გამოხატავენ. თუ სხვა მასწავლებელმაც იგი-

ვე გააკეთა, უთხარით, რომ მოხარული ხართ. მედლები და ჯილდოები ეძლევათ მათ, ვინც შინაც კარგად იქცევა და სკოლაშიც. დაიხსომეთ, უნდა შევაქოთ ასაკისა და შესაძლებლობების შესატყვისი მცდელობა, გულმოდგინება და არა „საუკეთესო შედეგი“. იუმორისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებისთვის ზოგჯერ შეიძლება უცნაური ხერხი გამოვიყენოთ და დავაჯილდოოთ მოსწავლე, მაგ., „გადაწერის საუკეთესო და ორიგინალური ხერხის გამოყენებისთვის“ (ჯილდოც მოიფიქრეთ).

მოაწყვეთ თხზულებების, ნახატების, მოხსენებების გამოფენა. კარგი იქნება, თუ სხვა კლასსაც მოიწვევთ.

პოზიტიური იზოლაცია. ზოგჯერ მოსწავლეს ქცევითი დარღვევისთვის იზოლაციაში ვამყოფებთ. ეს ნეგატიური გამოცდილება შეიძლება შეიცვალოს, თუ ორგანიზაციას გავუწევთ პოზიტიურ იზოლაციას. ამ მიზნით ბავშვი შეიძლება გაიგზავნოს სკოლის დირექტორთან, ფსიქოლოგთან ან სხვა, რომლებიც დაადასტურებენ მოსწავლის წარმატებას. ეს მეთოდი კარგად მოქმედებს საკუთარ თავში დაურწმუნებელ ბავშვებზე. შეიძლება სხვა ხერხის გამოყენებაც. მაგ., გაკვეთილის შემდეგ ცოტა ხნით დაიტოვოთ ბავშვი და ესაუბროთ მის წარმატებაზე. კარგია „სკამი პლუს ნიშნით“ — მოსწავლისთვის, რომელმაც დღევანდელ გაკვეთილზე თავი კარგად წამოაჩინა.

თვითაღიარება. ბავშვი საკუთარი წარმატების აღიარებას სხვისგან ელოდება. ასწავლეთ მას საკუთარი წარმატებების შეფასება, მაგ., ასე: „დაფიქრდი, შენი რომელი წარმატება ღირს იმად, რომ სხვასაც გააცნო“. ასეთი განცხადების გაკეთება თავდაპირველად ბავშვებს უჭირთ, განსაკუთრებით — დაბალი თვითშეფასების მქონეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინიც ახერხებენ.

წინადადება მასწავლებლებს: მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ე.წ. დაუმთავრებელი წინადადებების მეთოდი. მოსწავლეებს დაურიგეთ დაუსრულებელი წინადადებების ჩამონათვალი, სთხოვეთ მათი დასრულება (შეგიძლიათ, ჩამონათვალი თქვენი ინტერესების შესატყვისად შეადგინოთ), მაგ., ასეთი:

1. ნიჭიერების თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ მე...
2. ჩემი აზრით, მონდომება სწავლაში...
3. როდესაც შეცდომა მომდის...
4. სხვისი შეცდომების მიმართ...
5. შეცდომის აღიარება...
6. მასწავლებლის მიერ ჩემს რვეულში გაკეთებული შენიშვნები...
7. როდესაც ვინმეს მადარებენ...
8. წარსული წარმატებების გახსენება...

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კომუნიკაციური კომპეტენტურობის ამაღლებაში

ზოგადად, ეფექტური კომუნიკაციის განსახორციელებლად საჭიროა ადამიანის ე.წ. სუბიექტური რეალობის გათვალისწინება. ეს უკანასკნელი შეკუმშული სახით მნიშვნელობების, სიმბოლოების და საზრისების მეოხებით გადმოსცემს ჩვენს გარეთ არსებულ სამყაროს. იგი შედგება:

1. ღირებულებათა სისტემისგან, ანუ იმისგან, რასაც მნიშვნელობა ენიჭება. მაგ. დაწყებითი კლასელისთვის ეს არის მასწავლებლის აზრი, მოზარდისთვის კი თანატოლთა შეხედულებები.
2. გონებრივი წარმოდგენებისაგან, მაგ მაწავლებელს საკუთარი წარმოდგენები აქვს თუ რა და როგორ ასწავლოს.
3. ჩვენი აღქმებისგან – ზოგი რეალური. ზოგიც ილუზორული. იმისათვის რომ კომუნიკაცია ეფექტიანი აღმოჩნდეს, აუცილებელია მოსწავლის სუბიექტური რეალობის გათვალისწინება,რაც არც ისე მარტივია – მასწავლებელმა უნდა მოახერხოს „შეერწყას" მოსწავლის აღქმებს, წარმოდგენებს, ღირებულებებს. მხოლოდ ასეა შესაძლებელი კომუნიკაციამ მიზანს მიაღწიოს.

მაწავლებელი უნდა ფლობდეს აქტიური მოსმენის უნარს ანუ უნდა იყოს კარგი მსმენელი. ვიდრე ამ უკანასკნელის მახასიათებლებზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ განვიხილოთ რა იგულისხმება ცუდ მოსმენაში, რას ნიშნავს იყო ცუდი მსმენელი. აქ გამოყოფენ 2 კატეგორიას: ცუდი მსმენელი და მოჩვენებითად კარგი მსმენელი.

ცუდი მსმენელების რამდენიმე ტიპი ასებობს: 1.. ე.წ. „პოლკოვნიკი" – მბრძანებელი და დიქტატორი (ამ ტიპის მასწავლებლის საყვარელი ფრაზებია: „ნელა ილაპარაკე", „მოკლედ თქვი", „შენ ინანებ თუ მაგას გააკეთებ" და სხვ.) 2. ე.წ. „კურდღელი". იგი მუდმივად გაურბის მწვავე საკითხებს და საუბარი გადააქვს სხვა თემაზე (ამ ტიპის ადამიანის საყვარელი ფრაზებია: „ეგ ამოიგდე თავიდან" „ყველაფერი თავისით მოგვადება"...), 3. ე.წ. „ინტელექტუალი". იგი საუბარში ბრძენკაცობს, იშველიებს ავტორიტეტებს და საბოლოო ჯამში უთიერთობაში გაგების ნაცვლად, სიტუაციას კიდევ უფრო გაუგებარს ხდის.

არსებობენ ე.წ. მოჩვენებითად კარგი მსმენელებიც. აქაც რამდენიმე ტიპს გამოყოფენ : 1. ე.წ. „შემფასებელი" – მსჯელობაში კატეგორიულნი, რომლებიც მოვლენებს დადებითად და უარყოფითად ახარისხებენ, 2. ე.წ. „ინტერპრეტატორები", რომლებიც აანალიზებენ სიტუაციას და უფრო „მარჩიელობენ", რადგან

თავისივე ვარაუდების ტყვეები ხდებიან, 3. ე.წ. „გულშემატკივარი“, რომელიც ზედმეტ თანაგრძნობას გამოხატავენ, უზომოდ აქებენ და ამშვიდებენ თანამოსაუბრეს, 4. ე.წ. „დიაგნოსტიკოსი“, რომელთაც ახასიათებთ ჭკუის სწავლება, კითხვების დასმის სიჭარბე და სხვა.

ახლა გავეცნოთ აქტიური მოსმენის ტექნიკებს:

1. მოსმენის განწყობა და „სხეულის ენა“. მოსმენისას მნიშვნელოვანია ისე განვეწყოთ, რომ მოვახერხოთ თანამოსაუბრის სამყაროს წვდომა და არა საკუთარი ვარაუდების გამოთქმა. ამასვე უნდა მიუთითებდეს თქვენი გამომეტყველება, ჟესტი, მიმიკა...,
2. არარეფლექსიური მოსმენა-მოსმენა შეფასების გარეშე, ეს არის ყურადღებიანი დუმილის პროცესი, მხოლოდ პაუზების დროს გამოითქმება მოკლე სიტყვები: „გავიგე“, „აჰა“ და სხვა,
3. გარკვევა და დაზუსტება: ხდება ღია კითხვების დასმა საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით. კითხვის დასმის სტილიც უნდა იყოს არადირექტიული, მაგ ასე: „ხომ არ მოჰყვებოდით.. “ და არა ასეთი: „აბა, მოყევით...“
4. რეფრაზირება-თანამოსაუბრის ნათქვამის გამეორება სხვა სიტყვებით, ამით საკუთარ თავსაც ვეხმარებით და თანამოსაუბრესაც, რათა უკეთ გავიგოთ, მან კი უკეთ გამოხატოს თავისი აზრი,
5. შეჯამება, რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანია, როცა თანამოსაუბრე დიდხანს „ტკეპნის“ ერთსა და იგივე ადგილს დისკუსიის დროს,
6. „გრძნობების არეკვლა“. ამ ხერხით თამნამოსაუბრეს ვაგრძნობინებთ, რომ მისი განცდები ჩვენთვის გასაგებია. ეს არის ემოციური მხარდაჭერა.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით,მოსწავლეებშიკომუნიკაციურ კომპეტენტურობის ფორმირებას სწორედ თქვენს მიერ გამოვლენილი აქტიური მოსმენის უნარი — მათი მიღება, ყურადღება, პატივისცემა, მოწონება და თბილი გრძნობები ეხმარება. როდესაც ჩვენ ურთიერთობის ამ კომპონენტების მოდელირებას ვახდენთ, ამით ჩვენ მოსწავლეებს ვასწავლით კიდეც, როგორ ააგონ და განამტკიცონ პოზიტიური დამოკიდებულება სხვებთან.

მიღება. მოსწავლე უპირობოდ უნდა მიიღო და არა იმის მიხედვით რას აკეთებს ან რას გააკეთებს. ეს არის ყველა დანარჩენის საფუძველი. მივიღოთ ის, ვინც აკეთებს და არა ის, რასაც აკეთებს. მოსწავლეს მუდამ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ პოზიტიური ადამიანია, მაშინაც კი როდესაც ცუდად იქცევა. ეს გრძნობა მათ ეხმარება დაძლიონ სირთულეები. საჭიროა მივიღოთ მოსწავლის თავისებურებებიც. მაგ. ხშირად მასწავლებლებს აღიზიანებთ მოსწავლის ჩაცმულობის მანერა, იმათ კი ჩვენი ჩაცმულობის მკაცრი სტილი. ამ ტიპის მიუღებლობა (ჩაცმულობა, ჩვევები) ძალზე აღიზიანებთ მოსწავლეებს. გვახსოვდეს, დრო იცვლება და თაობებიც თავისი დამახასიათებელი სტილით მოდიან. ისეთი სახის პრობლემა, როგორიცაა „ჩემს დროს ეს ასე არ იყო“ — უფრო მასწავლებლის პრობლემაა, ის არ უნდა გადავიტანოთ მოსწავლეზე.

ყურადღება. მოსწავლის მიმართ პოზიტიური ყურადღების გამოხატვა ურთულესი საქმეა, დიდ დროს, ენერგიას, ძალას და ემოციებს მოითხოვს მასწავ-

ლებლისგან. ერთი რამ იმთავითვე უნდა ითქვას: რაც უფრო მეტ პოზიტიურ ყურადღებას გამოხატავს მასწავლებელი ნორმალურ სიტუაციაში, მით ნაკლებ ნეგატიურ ყურადღებას საჭიროებენ ამრევები გაკვეთილზე.

როგორ მოვახერხოთ ეს , როდესაც კლასში 30-40 მოსწავლეა? საბედნიეროდ, აქ მნიშვნელოვანია თვისობრიობა (ხარისხი) და არა რაოდენობა. ხარისხიანი ყურადღების რამდენიმე გაელვება საკმარისია, შედეგი კი იგრძნობა საათობით და დღეებითაც კი. აი რამდენიმე ხერხი:

მიესალმეთ მოსწავლეებს. ყველაზე სწრაფი და მარტივი გზა იმაში გამოიხატება, რომ გამოიყენოთ 1-2 წუთი, რათა თითო სიტყვა უთხრათ თითოეულს გაკვეთლის დასაწყისში ან ბოლოს. ეს თქვენგან დიდ ორგანიზებულობასა და მოქნილობას მოითხოვს. რა შეიძლება მოყვეს ასეთ მიდგომას რთულ მოსწავლეში?

შემთხვევა: 7 წლის ვასიკოს მაწავლებლის არაფერი მოსწონს, არც ნათქვამი, არც გაკეთებული. მასწავლებელმა გადაწყვიტა უბრალოდ ყურადღება გამოეხატა მისადმი და რადგან ხასიათში ვერაფერი იპოვა მიმზიდველი, შეაქო მისი პერანგი, ის რაც უცებ თვალში მოხვდა. ერთი კვირის თავზე მან შეამჩნია, რომ ბიჭი პერანგს არ იცილებდა, მასწავლებელს უღიმოდა და თავმომწონეობდა.

მოუსმინეთ მოსწავლეებს. გამოიყენეთ ზემოთ განხილული აქტიური მოსმენის წესები, რათა გააუმჯობესო ურთიერთობა „მასწავლებელი-მოსწავლე". მოუსმინეთ მოსწავლეებს, რაზეც არ უნდა გელაპარაკოს. მოსმენა უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მისალმება, მაგრამ ნაკლებს, ვიდრე თქვენ გგონიათ. ნუ იფიქრებთ, რომ მისი პრობლემები თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, მისცეთ რჩევა ან კონსულტირება გაუწიოთ. თქვენ უპ. ყოვლისა მოუსმინეთ.

ასწავლეთ მოსწავლეებს ყურადღების მოთხოვნა. რასაკვირველია უკეთესია თუ მოსწავლე ყურადღებას მოითხოვს და არ მოიქცევა ცუდად. ჩვენ ყოველთვის ვერ მოვახერხებთ მაშინვე მისი სურვილის დაკმაყოფილებას, მაგრამ შესაძლებელია ბოდიში მოვუხადოთ და დაპირება მივცეთ. თუ „სახელს არ გაიტეხთ" მოსწავლე დაგაცდით და დაელოდება ამ მომენტს. გთავაზობთ იდეათა ნაკრებს, თუ როგორ გამოვხატოთ ყურადღება. ეს იდეები ერთ-ერთი სემინარის მონაწილეებს ეკუთვნით: გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებთან რაიმეზე ისაუბრეთ, დაინტერესდით სკოლის გარეთ ვინ რას აკეთებს, მათი ნათქვამი დაიმახსოვრეთ და შესაფერის დროს გამოიყენეთ, სასადილოში ზოგჯერ მათთან ერთად მიირთვით, სახლშიც მიიწვიეთ, მათი მონაწილეობით მიმდინარე ღონისძიებებს დაესწარით, მათ მიერ მოფიქრებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეთ, მათთან ერთად საინტერესო ღონისძიებები მოაწყვეთ, სპორტულ თამაშებშიც მიიღეთ მონაწილეობა მათთან ერთად, მათი დაბადების დღე აღნიშნეთ, მაგ. მილოცვით , თუ ავად არის გაუგზავნეთ თქვენი ხელით დაწერილი მოკითხვა და დავალებებიც კი, მათი ჰობის მიმართ გულწრფელი დაინტერესება გამოხატეთ...

პატივისცემა (აღიარება). აღიარება ძალიან სჭირდება ადამიანს. აჩვენეთ მოსწავლეს, რომ ის საჭიროა სკოლისთვის. აღიარება უნდა ხდებოდეს ხმამაღლა და ნათლად. აღიარებას ხშირად აიგივებენ მხარდაჭერასთან. აღიარება მხარ-

დაჭერის მხოლოდ ერთი ტექნიკაა. აღიარეთ საქმე და არა მისი გამკეთებელი! ამით საქმეც გაგრძელდება და არც მოსწავლეს „აუვარდება თავში“, რისაც ასე ეშინიათ მასწავლებლებს. გამოიყენეთ შემდეგი ხერხები:

„მე-გამოთქმა“. აღწერეთ ქცევა და მისი შედეგი აკურატულად, ობიექტურად — შეფასებისა და სუბიექტურობის გარეშე. არავითარი ზოგადი სიტყვები, მხოლოდ კონკრეტიკა. „გმადლობთ დახმარებისთვის“, „კარგად იმუშავე“ არაფრის მომცემია. გამოიყენეთ 3 ნაწილიანი ფორმულა:

1. მოსწავლის ქცევა და მისი შედეგი,
2. რას ფიქრობთ მასზე,
3. მისი პოზიტიური ეფექტი. მაგ. „ქეთი, გაკვეთილი რომ ისწავლე ძალიან კმაყოფილი ვარ, ახლა შენ უკვე იცი უნაშთოდ როგორი რიცხვები იყოფა“.

ფოკუსირება აწმყოზე. გამოიყენეთ პრინციპი „აქ და ამჟამად“. ფრაზა: „ლალი, ადრე რატომ არ ცდილობდი ასე?“, მოსწავლეს თავის წარუმატებლობას ახსენებს და არც ისე სასარგებლო ხერხია. ახლა ის ამაყია თავისი წარმატებით და ნუ შეახსენებთ „ცუდ დროს“.

ასეც ნუ ეტყვით: „ლიზი, იმედია მომავალშიც კარგად დაწერ“ — ეს შეცდომაა, ის მომავალ აღიარებაზეა მიმართული. ასეთ მომენტებში არასოდეს შეადაროთ მოსწავლეები ერთმანეთს.

წერილობითი აღიარება. მოსწავლის წარმატების შესახებ მისწერეთ მშობელს და ბავშვსაც ჩაუწერეთ რვეულში ან დღიურში. ზოგიერთი მოსწავლე თვეობით ინახავს ამ ჩანაწერებს.

ასწავლეთ მოსწავლეს მოითხოვოს აღიარება. რადგან ჩვენ ყოველთვის ვერ ვამჩნევთ კარგს, ვთხოვოთ მოსწავლეებს გვითხრან, მათი აზრით, რა იმსახურებს აღიარებას. სცადეთ ასეთი ექსპერიმენტი: სთხოვეთ მოსწავლეებს თვითონ ჩაიწერონ რა გააკეთეს კარგი. დღის ბოლოს სთხოვეთ წაიკითხონ ის. თუ თვლით, რომ ჩანაწერები სიმართლეს შეეფერება ხელი მოუწერეთ და ნება დართეთ სახლში წაიღოს. ეს ხერხი კარგად მუშაობს, ხელს უწყობს საკუთარი თავის აღიარების ჩვევის ფორმირებას.

მოწონება. ჩვენ მოსწავლეებს იმასაც ვეუბნებით რომ მოგვწონს მისი ხასიათის ესა თუ ის თავისებურება და მცდელობა გააკეთოს რაიმე (თუნდაც უმნიშვნელო). ეს მათთვის დიდი სტიმულის მიმცემია. როცა მათი დადებითი თვისებები მოწონებულია, მათ სურვილი უჩნდებათ კიდევ უკეთესები გახდნენ. აი რამდენიმე სიტყვა, რომელიც დადებით თვისებებს გამოხატავს. ეს სიტყვები მუდმივად უნდა შევახსენოთ ზეპირად და წერილობითი ფორმით მოსწავლეებს: ღირსება, სიმამაცე, გონიერება, შემოქმედებითობა, ენერგიულობა, ენთუზიაზმი, პუნქტუალურობა, მოსმენის უნარი, შეუპოვრობა და ა.შ. შეადგინეთ ასეთი მარტივი წინადადებები და გამოიყენეთ: „როგორი საინტერესო მიდგომაა“. თავიდან ეს

სიტყვები ბავშვისთვის შესაძლებელია უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ რამდენიმე ხანში საოცარ ეფექტს დაინახავთ, ეს მათ ბუნებრივად მოეჩვენებათ. ვიმედოვნოთ, რომ თვითონაც გამოიყენებენ ასეთ მიმართვებს ურთიერთობებში.

თბილი გრძნობები. კარგი მასწავლებელი თბილ ემოციურ გარემოს ქმნის კლასში. ის არა მხოლოდ გადასცემს მოსწავლეებს ცოდნას, არამედ თბილ ურთიერთობებსაც ასწავლის. გრძნობა არ არის საშუალება ან ინსტრუმენტი, რომელიც შედეგებს განამტკიცებს. არა! არ შეიძლება მისი ასეთი მიმართულებით გამოყენება: „მე შენ მომეწონები თუ...“ მოსწავლე პირობის გარეშე უნდა გვიყვარდეს. მას უნდა სჯეროდეს, რომ მასწავლებელი არ გადაიყვარებს თუ იცელქა, გაკვეთილი არ ისწავლა, გაუგებრობებში გაერია ან სხვა გარია. გრძნობა პიროვნებისადმია მიმართული, მიუხედავად იმისა როგორ გააკეთა ან არ გააკეთა რაიმე. გრძნობის გამოხატვა სწორედ მაშინ უნდა მოსწავლეს, როდესაც რაღაც კარგად ვერ გააკეთა. აი, მაგ. ასე; „დათო, მჯერა ეს საკონტროლო უკანასკნელია, რომელიც არ გამოგივიდა. შეცდომისგან არავინ არაა დაზღვეული, იმედია გამოასწორებ. შესვენებაზე შეგვიძლია ცოტა ვილაპარაკოთ ამასთან დაკავშირებით“. ასეთი კომენტარები მყარ საფუძველს ქმნის პარტნიორული ურთიერთობისთვის. კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე ბევრი რაიმეს დაშენებაა შესაძლებელი. როცა ადამიანი გიყვარს, უარის თქმაც გიჭირს მის მოთხოვნებზე, თანაც თუ ის ჩვენთვისაც სასარგებლოა.

თბილი გრძნობების გამოხატვა შეხებით. ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ მაგ. ხელის გადასმა კარგად მოქმედებს მოსწავლეზე. ფიზიკური კონტაქტის მოთხოვნილება ჩვილობიდან მოყვება ადამიანს. შურისმაძიებელ და ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლესთან ამ ხერხების გამოყენება საჭირო არაა, მათ ეს არც მოსწონთ. ასეთ მოსწავლეებთან საჭიროა დადებითი ემოციები სიტყვიერად გამოხატო. ის სჭირდება გაუბედავ, მორცხვ მოსწავლეს.

რამდენი მხარდაჭერა სჭირდება მოსწავლეს? ზედმეტი ხომ არ მოგვივა? ბავშვი შეიძლება გავაფუჭოთ სამი ხერხით:

1. როცა ცუდად იქცევა და არ ვახდენთ სათანადოდ რეაგირებას,
2. როცა ჩვენ ზომაზე მეტად ვუკეთებთ იმას, რაც თვითონ მისი გასაკეთებელია,
3. როცა „გამოგვყავს“ იმ უსიამოვნო სიტუაციიდან, რომელშიც თავისი ნებით აღმოჩნდა. ხელშეწყობის ყველა სტრატეგია სასარგებლოა თუ სწორად იქნა გამოყენებული. მათი გაორმაგება, გასამმაგება უარყოფითი ზეგავლენის რისკს არ ზრდის. თუ მოსწავლე სულ „სისხლს მიშრობს“ მე როგორღა გამოვხატო მისადმი მხარდაჭერა? იკითხავს მასწავლებელი. რასაკვირველია ძნელია, მაგრამ თანდათან მხარდაჭერა თავის შედეგებს გამოიღებს.

მეორეს მხრივ, ბევრ მოსწავლეს აკლია მხარდაჭერა, რის გამოც ისინი გაბოროტებულნი და გაღიზიანებულნი არიან. ისინი კარგ სიტყვებსაც ერთი ყურიდან მეორეში ატარებენ. გამოიჩინეთ მოთმინება, დააკვირდით მათი სახის გამომეტყველებას, ნახეთ რა იწვევს დადებით ემოციებსა და რა ტოვებს შთაბეჭდილებას. ძნელია, მაგრამ აქაც სხვა გზა არ არსებობს.

მაია ფირჩხაძე 45

სააზროვნო პროცესების ხარისხი, მისი ინდივიდუალური თავისებურებები და სასკოლო პრაქტიკა 47

ცოდნის ფორმირება, იდეათა მოწესრიგება და სასკოლო პრაქტიკა 54

გაკვეთილისადმი ანალიზური მიდგომები — სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი დეტალი 61

ცნების შინაარსში წვდომის პროცედურები ინდუქციური და დედუქციური სწავლებისას 68

სასწავლო პროცესი და ინტუიციური და დისკურსიული აზროვნება 75

ქსელური ჩანაწერების გაკეთების ტექნოლოგიები 86

საშინაო დავალება და პრაქტიკა — სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდი 92

ინტერვიუს ტექნოლოგია და ცოდნის აგების პროცედურები 100

კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და „მსოფლიო კაფე“ 109

ფასილიტაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები 117

პედაგოგიური ექსპერიმენტი და სასწავლო პროცესი 127

საazროვნო პროცესების ხარისხი, მისი ინდივიდუალური თავისებურებები და სასკოლო პრაქტიკა

ტერმინით **„აზროვნება“ აღინიშნება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური და უაღრესად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური შესაძლებლობა**. იგი უმნიშვენ-ლოვანესია იმდენად, რამდენადაც გონება ადამიანის თანდაყოლილი დამახა-სიათებელი თვისებაა. ამით აზროვნება, როგორც ასეთი, იძენს სოციალურ და პიროვნულ მნიშვნელობას. მაგრამ როდესაც ადამიანი ფიქრობს, აზროვნებს, ის არ შემოიფარგლება ამა თუ იმ ფაქტის მხოლოდ კონსტანტაციით, რაოდენ ნათელი, საინტერესო, ახალი და მოულოდნელიც არ უნდა იყოს ის. აზროვნება მუდმივად მიდის წინ, ღრმავდება და წვდება მოვლენათა არსს და ამ გზით მიჰ-ყავს ადამიანი მეტნაკლებად მსგავს მოვლენებს შორის კანონზომიერებების აღმოჩენამდე.

და მაინც, რა არის აზროვნება როგორც პროცესი?

აზროვნება როგორც პროცესი, ნიშნავს, შეისწავლო შინაგანი, ფარული მიზე-ზები, რომელთაც მივყავართ ამა თუ იმ შემეცნებითი რეზულტატის მიღებას-თან. ასეთი აზროვნების რეზულტატებს, პროდუქტებს, მიეკუთვნებიან, მაგა-ლითად, შემდეგი ფაქტები:

- გადაწყვიტა თუ არ გადაწყვიტა ამოცანა მოცემულმა მოსწავლემ;
- წარმოეშვა თუ არა მას აზრი, გადაწყვიტის გეგმა, ჩანაფიქრი;
- შეითვისა თუ არა გარკვეული ცოდნა, მოქმედების საშუალებები;
- ჩამოუყალიბდა თუ არა მას ახალი გეგმები და ა.შ.

ამოცანის ამოხსნისას ადამიანი ავლენს ცოდნის შეძენის ახალ-ახალ, აქამდე მისთვის უცნობ პირობებს. შესაბამისად, ახალი მიზნების და იდეების კვალ-დაკვალ მიმდინარეობს აზროვნების პროცესის კორექციაც. ამიტომ ძნელია, წინასწარ დააპროგრამო აზროვნების მიმდინარეობის ეტაპები.

აზროვნების პროცესზე სხვადასხვა შეხედულებების არსებობის გამო ფსიქო-ლოგები აზროვნების ფორმირების სხვადასხვა გზას გვთავაზობენ:

პირველ შემთხვევაში, ისინი ამოდიან იქედან, რომ **აზროვნების ყოველი წინა სტადია („ნაბიჯი“) დასაბამს აძლევს მომდევნოს**. ზოგადად ეს თეზისი სწორია,

მაგრამ არასაკმარისია. შეუძლებელია პრობლემის გადაჭრის მოლოდინში გონებრივი შესაძლებლობები ზუსტად გაითვალოს.

მეორე, საწინააღმდეგო მოსაზრება კი პირიქით, **გადამეტებით აფასებს „მოულოდნელი“ გადაწყვეტილების მოლოდინს**.

ორივე მოყვანილი თვალსაზრისი აღიარებს შემეცნების პროცესში „მოლოდინის“ უპირატესობას, თუმცა პირველი მათგანი არასათანადოდ, მეორე კი გადამეტებით აფასებს მის მნიშვნელობას. **არსებობს მესამე შეხედულებაც**, რომელიც **საერთოდ უარყოფს „მოლოდინის“ მნიშვნელობას ამოცანის გადაჭრის პროცესში**.

შედარებით ფართო გავრცელება ჰპოვა მესამე შეხედულებამ. იგი გულისხმობს, რომ სააზროვნო პროცესის მიმდინარეობის კვალადაკვალ (გაიხსენო, გაითვალისწინო, შეეცადო გამოიყენო...) უნდა შეარჩიო ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია. მისი მიგნების პროცესში კი მოსწავლემ უნდა მოიგონოს, გაიხსენოს საგნის, მოვლენის ყველა თვისება და უნდა შეეცადოს გამოიყენოს თითოეული მათგანი. საბოლოოდ, იგი იპოვის ამ შემთხვევის შესაბამის პასუხს. ამ დროს პასუხის შერჩევისას ობიექტის მხოლოდ განსაკუთრებული თვისება წამოიწევა წინა პლანზე და ის გამოიყენება გადაწყვეტილების მიღებისას.

მაგრამ რა წარმართავს ზოგადად აზროვნების პროცესს? აზროვნების პროცესს წარმართავს წინააღმდეგობა მიზანსა და საშუალებას შორის. სქემატურად პრობლემის სტრუქტურული ელემენტები ასე შეიძლება გამოიხატოს:



მაგრამ **აზროვნება, როგორც ყველა სხვა საქმიანობა, ყოველთვის გამოწვეულია რაღაც მოთხოვნილებით**, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კონკრეტულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც ადამიანს უჩნდება ანალიზის, სინთეზის და ა.შ. მოთხოვნილება.

ზოგადად აზროვნების მოტივები ორი სახისაა: სპეციფიური და არასპეციფიური. პირველ შემთხვევაში **(სპეციფიური აზროვნება)**: სააზროვნო პროცესების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ინტერესები და მოტივები, რომელშიც ვლინდება შემეცნებითი მოთხოვნილებები (ცნობისმოყვარეობა, ცოდნის შეძენისადმი მიდრეკილება და ა.შ.).

მეორე შემთხვევაში **(არასპეციფიური აზროვნება)** აზროვნება იწყება მეტნაკლებად შინაგანი მიზეზების და არა წმინდა შემეცნებითი ინტერესების გამო. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება მოამზადოს გაკვეთილები და ამოხსნას ამოცანა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ცოდნის შეძენა აინტერესებდეს, არამედ იმისთვის, რომ არ ჩამორჩეს ამხანაგებს. აზროვნების საწყისი მიზეზის მიუხედავად, მთავარია, რომ ზოგადად ამ პროცესის დაწყებისას განხორციელებას იწყებენ შემეცნებითი მოტივები. მაგალითად, ხშირია, რომ მოსწავლე სწავლობს მხოლოდ უფროსების ძალდატანების გამო, მაგრამ სწავლის პროცესში, აზროვნების კვალდაკვალ წარმოიშობა და ვითარდება გაცილებით ღრმა და ძლიერი შემეცნებითი მოთხოვნილებები.

მაშასადამე, ადამიანი იწყებს აზროვნებას ამა თუ იმ მოთხოვნილების გამო და მისი შემოქმედების, აზროვნების კვალდაკვალ წარმოიშობა და ვითარდება უფრო ღრმა და ძლიერი შემეცნებითი მოთხოვნილებები.

მიზნის მიღწევის და შესრულების აუცილებელი პირობების მოძებნის პროცესია პრობლემის გადაწყვეტა. **გამოყოფენ სამი ტიპის სააზროვნო ქმედებას, რომელიც შეესაბამება პრობლემის გადაწყვეტის პროცესს. ესენია: პრობლემაზე ორიენტირებული ქმედება, შესასრულებელი სამუშაო და პასუხის მოძიება**.

ორიენტირენული ქმედება იწყება პირობის ანალიზიდან. ამ დროს, აზროვნებითი ძიებისას, მთავარია ჰიპოთეზის წარმოშობა, რომელიც მიიღება არსებული ინფორმაციის საფუძველზე, პირობების ანალიზის საფუძველზე და ხელს უწყობს შემდეგი ძიების პროცესს, მართავს აზროვნებას, რის შედეგაც ვიღებთ გადაწყვეტილების მიღების გეგმას. ჰიპოთეზების ჩამოყალიბება ჩვეულებრივ ხდება პიროვნების შემოქმედებითი საქმიანობის დროს.

შესასრულებელი სამუშაო ძირითადად რეალიზდება გადაწყვეტილების მიღებისას. **პასუხის ძიებისას** შერჩევის შედეგად მიღებული შედეგი თუ შეესაბამება ამოსავალ პირობებს, პროცესი მთავრდება. თუ არა – გადაწყვეტილებს პროცესი გრელდება და გრძელდება მანამ, სანამ გადაწყვეტილება არ იქნება ბოლოდე თანხმობაში პრობლემის პირობებთან.

მაგრამ თუ სუბიექტს გააჩნია ე.წ. წინარე ცოდნა (გამოცდილება, მიზნის მიღწევის საშუალებები) მოძიებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, მაშინ სიტუ-

აცია, როგორც ასეთი, არ იქნება პრობლემური სუბიექტისთვის და მისი გადაწ-ყვეტა ფაქტიურად მოხდება მზა ცოდნის საფუძველზე (ფსიქოლოგიაში ასეთ აზროვნებას უწოდებენ რეპროდუქტიულს).

მაგრამ თუ არაა მზა საშუალებები, წარმოიქმნება მათი მიღწევის, მოძიების აუცი-ლებლობა. ეს პროცესი მოითხოვს რეპროდუქციულ, შემოქმედებით აზროვნებას.

პრობლემის გადაჭრისას მნიშვნელობა ენიჭება ემპირიულ და თეორიულ აზ-როვნებასაც. მაგალითად, ეძებს რა ამოცანის გადაჭრის საშუალებებს, სუბიექტს შეუძლია ააგოს მოცემული კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის საშუალება, ანდა იპოვოს ზოგადად ყველა ასეთი ტიპის დავალების გადაწყვეტის საშუალე-ბა. თეორიული აზროვნება განზოგადებული ფორმით გვაძლევს ამოცანის ამოხ-სნის გზებს, რომელსაც პრაქტიკული ქმედებისას ისედაც წავაწყდებით შემდეგში. თეორიული აზროვნების დროს აზროვნებას აქვს ე.წ. დაგეგმვის ფუნქცია.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აზროვნებას გააჩნია მკვეთ-რად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი. და რომ არა ის, სააზროვნო პროცესები ასეთი მრავალმხრივი და ამოუწურავი არ იქნებოდა. ზოგადად ადამიანებში აზროვნების თავისებურებები ვლინდება იმით, რომ მათთან სხვადასხვაგვარადაა დალაგებული სააზროვნო პროცესებს შორის (ვიზუალუ-რი, გამომსახველობითი, სიტყვიერ-ლოგიკური და აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნება) თანაფარდობა. **აზროვნების თავისებურებას მიეწერება ის შემეც-ნებითი პროცესებიც, რომელიც თან ახლავს გონების პროდუქტიულობას: და-მოუკიდებლობა, სიღრმე, ფართო აზროვნება, მოქნილობა, აზროვნების სიჩქა-რე, შემოქმედებითობა, კრიტიკულობა, ინიციატიურობა და ა.შ**.



მაგალითად, შემოქმედებით საქმიანობაში აუცილებელია, რომ ადამიანი ფლობდეს დამოუკიდებლობას, კრიტიკულ აზროვნებას, შეეძლოს საგნის არსის და მოვლენის სიღრმისეული წვდომა, იყოს ცნობისმოყვარე, რომელიც დიდწილად უზრუნველყოფს გონებრივი მოღვაწეობის პროდუქტიულობას.

რამდენად მნიშვნელოვანია აზროვნების თითოეული თვისება სწავლა/სწავლების პროცესში?

აღნიშნული საკითხი განვიხილოთ ისტორიის სწავლების მაგალითზე:

მაგალითად, „ისტორიის შესავლის“ კურსში, XIX–XX საუკუნეების ისტორიოგრაფიის სწავლებისას მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს ასეთი ტიპის სამუშაოს:

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წყარო, განიხილეთ და უპასუხეთ მოცემულ შეკითხვებს:

ე. კანტი სამყაროს შესწავლისათვის ისტორიის საჭიროების შესახებ:

„სამყაროს შემეცნებისათვის საჭიროა უნივერსალური ისტორია, მაგრამ მისი რეალიზაციისათვის საჭიროა მეთოდოლოგიური მიდგომა; ფაქტები არა მარტო უნდა მოვიყვანოთ, გამოვავლინოთ, არამედ უნდა შევაფასოთ, გავიგოთ, დავინახოთ გარედანაც და შიგნიდანაც“.

- თქვენი აზრით, არის თუ არა სამყაროს შემეცნება ისტორიის კვლევის მთავარი მიზანი? როგორ უნდა ახსნას ისტორიკოსმა მომავალი?

პასუხის მისაღებად მასწავლებელი მოსწავლეს უნიშნავს საკმაოდ მცირე დროს, რადგან მას პასუხი გაკვეთილის შემდეგი პროცესის წარმატებული გაგრძელებისთვის ჭირდება.

დამეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ რთული კითხვაა კრიტიკულად მოკლე დროში პასუხის გაცემისთვის, მით უფრო, როცა გაკვეთილის შემდგომი წარმატებული დ საინტერესო მსვლელობა ბევრადაა დამოკიდებული ამ პასუხზე.

მოცემული დავალების საპასუხო მოსალოდნელი ქცევის მაგალითზე (მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას, გამოიყენა მთელი წინარე ცოდნა და ა.შ.) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლის აზროვნებამ საკმაოდ სწრაფად შეასრულა მოცემული დავალება, გაიაზრა, გამოიყენა მთელი წინარე ცოდნა, შეადარა ერთმანეთს ანტიკური, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პერიოდის ისტორიული კვლევის მეთოდები, მიზნები და მივიდა შედეგამდე. გაკვეთილი წარმატებით გაგრძელდა.

ფაქტობრივი მასალის ცოდნის გარდა რამ შეუწყო ხელი მოსწავლეს დავალების წარმატებით შესრულებაში? თუ დავაკვირდებით შესასრულებელი სამუ-

შაოს მოთხოვნას და პირობას, დავინახავთ, რომ მისი შესრულებისთვის მოსწავლემ თითქმის ყველა ის სააზროვნო უნარი გამოიყენა, რომელიც აზროვნების ინდივიდუალური თავისებურებების მაჩვენებელია (დამოუკიდებლობა, სიღრმე, ფართო აზროვნება, მოქნილობა, აზროვნების სიჩქარე, შემოქმედებითობა, კრიტიკულობა, ინიციატიურობა და ა.შ.).

დაწვრილებით განვიხილოთ, რას გულისხმობს თითოეული მათგანი:

აზროვნების სიჩქარე/სწრაფი აზროვნება — ეს უნარი გულისხმობს სააზროვნო პროცესების სიჩქარეს, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანისაგან მოითხოვენ კრიტიკულად მოკლე დროში გადაწყვეტილების მიღებას.

რაც შეეხება **დამოუკიდებელ აზროვნებას** — ესაა საკუთარი აზროვნების გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა. იგი გამოვლინდება უნარში — დაინახო და წამოაყენო ახალი კითხვა, ახალი პრობლემა და შემდეგ გადაწყვიტო იგი საკუთარი ძალებით. ითვლება, რომ აზროვნების შემოქმედებითი ხასიათი ზუსტად ასეთი დამოკიდებულების დროს გამოიხატება ყველაზე მკვეთრად.

აზროვნების მოქნილობა — ესაა შესაძლებლობა შეცვალო საგნებისა და მოვლენების, მათი თვისებების და უთიერთობების აქამდე არსებული განხილვის ასპექტები; ესაა უნარი, შეცვალო ამოცანის ამოხსნის აღებული კურსი, თუ ის ვერ შეესაბამება შეცვლილ პირობებს აზროვნების მოქნილობა — ესაა არსებული მონაცემების აქტიური სტრუქტურირება, მათი გაგება და გამოყენება, როცა შეგიძლია შეცვალო მანამდე არსებული წარმოდგენები, პრობლემის გადაჭრის გზები, თუკი ისინი ვერ დააკმაყოფილებენ იმ ახალ პირობებს, რომლებიც თავად ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე დროდადრო წარმოიქმნებიან.

აზროვნების ინერტულობა — ეს იგივე შაბლონებით აზროვნებაა, როცა აზრები „ჩვეულებრივ“, „არსებული, ერთხელ მიღებული წესის მიხედვით მიედინებიან“, უჭირთ გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ანუ ვერ ახერხებენ „არსებული სისტემების გადაფასებას“.

სააზროვნო პროცესების განვითარების ტემპი — ესაა იმ სავარჯიშოების მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების პრინციპის განზოგადებისთვის.

აზროვნების ეკონომიურობა — ესაა ლოგიკური ნაბიჯების, განხილვების რაოდენობა, რომელთა საშუალებითაც ხდება ახალი კანონზომიერებების ათვისება.

გონების სიფართოვე – ესაა უნარი აითვისოს და გადაამუშავოს დიდი ინფორმაცია ცოდნის სხვადასხვა სფეროდან და მიმართულებებიდან.

აზროვნების სიღრმე – ესაა აზროვნების უნარი, შეაღწიოს არსში, მოვლენაში, „შიგნიდან" გაარკვიოს მიზეზები, წინასწარ განჭვრიტოს შედეგები.

აზროვნების თანმიმდევრულობა – ესაა უნარი შეინარჩუნო მკაცრი ლოგიკური წესრიგი ამა თუ იმ საკითხის განხილვისას.

კრიტიკული აზროვნება – აზროვნების თვისება, რომლის მეშვეობითაც ხდება ზოგადად აზროვნების შედეგების შეფასება, მასში ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; ამ დროს ხდება პოზიტიურის გამტკიცება.

აზროვნების მდგრადობა – აზროვნების ხარისხი, რომელიც ვლინდება უკვე არსებული ღირებულებების, მნიშვნელოვანი თვისებების, კანონზომიერებებისადმი ერთგულებაში; როცა ყველა საჭირო უნარ-ჩვევა და ცოდნა ორიენტირებულია აღიარებულ ჭეშმარიტებაზე.

გააზრებული აზროვნება – აზროვნების ხარისხი, რომელიც ვლინდება შესაძლებლობაში, დაინახო მუშაობის შედეგი, ასევე ის თვისებები, საშუალებები, რომლეთა დახმარებითაც ეს შედეგი იქნა მიღწეული.

ყველა ზემოთნახსენები თვისება (გონების პროდუქტიულობა, დამოუკიდებლობა, სიღრმე, ფართო აზროვნება, მოქნილობა, აზროვნების სიჩქარე, შემოქმედებითობა, კრიტიკულობა, ინიციატიურობა და ა.შ.) ინდივიდუალურია, მაგრამ ისინი ასაკის მიხედვით იცვლებიან და გადიან კორექციას.

ეს ინდივიდუალური თვისებები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რათა სწორად შევაფასოთ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები და ცოდნა. ამით ჩვენ შევძლებთ, წინ წამოვწიოთ მოსწავლეთა აზროვნების პოზიტიური მხარეები და სწავლა/სწავლების პროცესი უფრო მოტივირებული და ეფექტური გავხადოთ.

ცოდნის ფორმირება, იდეათა მოწესრიგება და სასკოლო პრაქტიკა

ცნობილია, რომ ადამიანური ცოდნის ბუნება მონაცემებზეა დაფუძნებული. მონაცემები თავისებური ფაქტები და ციფრებია, გადაუმუშავებელი ინფორმაცია და კონცეფცია, რომლებიც შემდეგ ფაქტების მეშვეობით ფორმულირდება. ამ დროს დიდი მოცულობის მასალა ურთიერთდაკავშირებულ მცირე ნაწილებად გარდაიქმნება. გადამუშავებული მონაცემები უკვე ინფორმაციაა, რომელიც ჩამოყალიბდება მონაცემთა გაანალიზების გზით, მონაცემების სინთეზის საფუძველზე კი ფორმირდება უფრო დიდი და რთული (მოდელებზე დაფუძნებული) სტრუქტურები, სწორად გაიწერება პროცესები და განისაზღვრება შესაძლო მოქმედების მაგალითებიც. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ცოდნა სინთეტიკური ინფორმაციაა, და რამდენადაც იგი მთელი პროცესის შედეგია, ამიტომ ცოდნის სხვადასხვა ხარისხს დონეც სხვადასხვა შეესაბამება.

ცოდნის დონეები

I. ცოდნის დაბალი დონეა ფაქტები, რომელთა კონსტატირებაც შესაძლებელია. ისინი გადმოიცემა ასევე ცხრილის სახით, დიაგრამით, ილუსტრირებულად და გრაფიკულადაც;
II. შემდეგი დონეა გაგება, რომლის არსიცაა განზოგადება ანუ ობიექტების, სიმბოლოების, პროცესებისა და მოვლენების საერთო ატრიბუტების ახსნა და განმარტება;
II. ცოდნის შემდეგი დონეა წესები, რომელთა გამომუშავება ხდება ფაქტების ანალიზისა და გაგების გზით. წესები წარმოადგენს ნაკრებს პრობლემისმოგვარებაზე ორიენტირებული პროცესებისა, რომლებიც ძირითადად პასუხობს ფორმულას: „თუ ასეა, მაშინ...“.

ასეთ ცოდნას ევრისტიულსაც უწოდებენ. იგი უნიკალურია თითოეული ადამიანისთვის, ვინაიდან ეფუძნება ინდივიდუალურ ემპირიულ წესებს ანდა „სისტემურ მიგნებებს“ და მეტწილად დამოკიდებულია აღმოჩენებისა და ინოვაციების მეთოდებზე, ადრე შესწავლილი წესებისა და ახალი ფაქტების სინთეზსა და გაგებაზე. ევრისტიული ცოდნა განკუთვნილია იმ ამოცანების ამოსახსნელად, რომელთა შესაძლო ამოხსნის გზებიც გამოკვეთილი არ არის.

ცოდნა შეიძლება მივიღოთ წიგნებიდან, სამეცნიერო ნაშრომებიდან, ჩანაწერებიდან, გამოკვლევათა მასალებიდან, აუდიო- და ვიდეოჩანაწერებიდან და

ა.შ., მაგრამ ცოდნის წყაროს, უპირველესად, წარმოადგენენ მკვლევარები და, რაც მთავარია, მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც ყველაზე ხშირად იყენებენ სისტემურ ცოდნას და ცოდნას სისტემატიზაციისთვის.

მაშასადამე, ცოდნა სისტემური ხასიათისაა. ეს ის სისტემებია, რომლებიც ინტელექტის იმიტირებას ახდენს (ექსპერტული სისტემები, ჰიპერმედია, ჰიბრიდული სისტემები და სხვ.); ესაა ხელოვნება, რომელიც გამოიყენება მეცნიერების განვითარებისთვის. ხოლო ის უნარები, რომელთა გამოყენებაც ხდება ამ დროს, მოიცავს ცოდნას შემეცნების ისეთი დარგების შესახებ, როგორიცაა ინფორმატიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია, ქცევის თეორია, კონკრეტული საგნის განსაზღვრული კომპეტენცია და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ცოდნის ანუ ინფორმაციის გადამუშავებისას ხდება ინდივიდების, ადამიანთა ჯგუფების, კულტურის ანუ, საზოგადოდ, ცოდნის ფორმირება. შემდეგ ამ ცოდნას ადარებენ სხვა ცოდნას, რითაც მიიღწევა გაგება და ამის საფუძველზე — შესაბამისი, წარმმართველი გადაწყვეტილებების მიღება.

მიღებული ცოდნა ფასდება იმით, რომ იგი აისახება ღირებულებებში, კანონებში, პროფესიულ სტანდარტებში. არსებული ცოდნის საფუძველზე იღებენ ბრძნულ გადაწყვეტილებებს, ამრიგად, ცოდნა გადადის ხარისხში — სიბრძნეში, რომელიც ცოდნის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ, როგორც ვხედავთ, თავად მონაცემების შეკრება, ინფორმაციის ანალიზი, სინთეზი და მისი გარდაქმნა სიბრძნედ ერთი მთლიანი იერარქიული პროცესია. ამ პროცესის, მთლიანი სრტრუქტურის საფუძველზე ცოდნა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოდელი, რომელიც გამოიყენება ინტერპრეტაციისთვის, პროგნოზირებისა და მართვისთვის და რომ ის წარმოადგენს დეკლარაციული (ფაქტები) და პროცედურული (მეთოდები) მტკიცებულებების ნაერთს.

აქედან პირველი, დეკლარაციული ცოდნა, საგნის რომელიმე მხარის აღწერით წარმოდგენას გულისხმობს. ეს არის ზედაპირული ცოდნა იმისა, რას წარმოადგენს საგანი, როგორ გამოიყურება და რას აღნიშნავს იგი. მისგან განსხვავებით, პროცედურული ცოდნა წარმოადგენს ინტელექტუალური შესაძლებლობების ნაერთს, რომელიც მიმართულია იმისკენ, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ რამე (მაგალითად, როგორ მოვამზადოთ ფირმის წლიური ანგარიში შემოსავლისა და გასავლის შესახებ და ა.შ.). პროცედურული ცოდნას ძირითადად მოქმედების განსაზღვრისთვის ვიყენებთ.

დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის ნაკრებია ასევე ცოდნის განსაკუთრებული სახე, რომელსაც საღ აზრს უწოდებენ. იგი ადამიანთა სიმრავლისთვის არის დამახასიათებელი და დროთა განმავლობაში ფორმირდება. საღი აზრი, რომელიც „ინფორმაციულ ნაერთებზეა“ აგებული, წარმოადგენს

ცოდნას ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც „ყველამ უნდა იცოდეს“. ასეთ ცოდნას საერთო ცოდნასაც უწოდებენ და იგი მიმართულია სხვადასხვა (პროფესიული) დავალების ეფექტური შესრულებისკენ.

ფაქტები და ცნებები მეტწილად დეკლარაციულ ცოდნას მიეკუთვნება, წესები და ალგორითმები კი უკვე პროცედურული ცოდნის მაგალითებია. დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის გამოცდილებაზე, მის აღზრდასა და განათლებაზე.

საზოგადოდ, დეკლარაციული ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ცოდნის სისტემებში შემავალი კატეგორიაა.

ცოდნის სისტემებში შემავალი ხუთი კატეგორიის საგნობრივი ცოდნა:

1. სიტყვათა მარაგი და ფრაზები;
2. დეტალები;
3. იდეათა მოწესრიგება;
4. უნარები და ტაქტიკა;
5. პროცესები.

პირველი სამი კატეგორია ინფორმაციული და მტკიცებითი ცოდნის სახელით მოიხსენიება, ორი უკანასკნელი კი უფრო პროცესზეა ორიენტირებული და პროცედურული ცოდნის სახელითაა ცნობილი (ამ დროს, მოცემული ტიპის ცოდნის მოსწავლეებისთვის გადასაცემად, მასწავლებელს შეუძლია, კონკრეტული მეთოდი შეარჩიოს /იგულისხმება, რომ ცოდნის სხვადასხვა ტიპს სწავლის და, შესაბამისად, სწავლების სხვადასხვა მეთოდი უკავშირდება/).

დეკლარაციული ანუ მტკიცებითი ცოდნის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტიპია განზოგადებასა და პრინციპებთან დაკავშირებული იდეათა მოწესრიგება.

კერძოდ, რა არის განზოგადება და პრინციპი?

განზოგადებული ცნება ისეთი ლოგიკური ოპერაციაა, როდესაც აზრი მიემართება, მიედინება კერძო შემთხვევიდან სახეობის ცნების გაგებისკენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სააზროვნო მომენტია, რადგან მეცნიერული შემეცნების პროცესში არაერთხელ წარმოიშობა აუცილებლობა პატარა ინფორმაციის განზოგადებისა კერძო შემთხვევიდან სახეობის ცნებამდე. მაგალითად, ცნება „რიცხვი“ თავიდან მოიცავდა მხოლოდ მთელ რიცხვებს, მოგვიანებით ამ ცნებაში შემოიტანეს მსგავსი, უარყოფითი, ირაციონალური, წილადი და კომპლექსური სიდიდეები, რითაც ცნება „რიცხვის“ განზოგადება მოხდა: „მთელი რიცხვი“ გადაიქცა „ზოგადად რიცხვად“ (ანდა: „ყვავილი“ – „მცენარე“ – „ცოცხალი ორ-

განიზმი“; „ადამიანი ისეთია, რომ ის სტუდენტია და მოწინავეა“ – „ადამიანი ისეთია, რომ ის სტუდენტია“ და ა.შ.).

განზოგადება არის მტკიცებულება, რომლის საბუთიც არსებობს. მაგალითად ავიღოთ შემდეგი მტკიცებულება: „შუა საუკუნეების ფეოდალურ ქვეყნებში მეფის მოხელეები, როგორც წესი, მდიდარი და გავლენიანი ოჯახებიდან იყვნენ“. ეს არის განზოგადება და მის საბუთად შეიძლება მაგალითებიც მოვიყვანოთ.

განზოგადება ხშირად ერევათ ფაქტებში, რომლებითაც კონკრეტული ადამიანების, ადგილების, სულიერი და უსულო საგნებისა და მოვლენების მახასიათებლების იდენტიფიკაცია ხდება. განზოგადება ზოგჯერ აბსტრაქტულ ცნებათა მახასიათებლების იდენტიფიცირებასაც ახდენს, უფრო სწორად, აბსტრაქტული ცნების შესახებ ინფორმაცია ყოველთვის განზოგადების ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად: „წიგნი, რომელსაც მე ვკითხულობ, საინტერესოა“, – ეს მტკიცებულება ფაქტია, ხოლო „წიგნი ადამიანის ყველაზე დიდი მეგობარია“ – განზოგადება.

მახასიათებლების მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ განზოგადების შემდეგი ტიპები:

- ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიის მახასიათებლები (მაგალითად, „იმისთვის, რომ ფოტოგრაფის პროფესიას დაეუფლოს, ადამიანს ექვსთვიანი მომზადება მაინც სჭირდება“);
- ადგილების სხვადასხვა კატეგორიის მახასიათებლები (მაგალითად, „დიდ ქალაქებში მაღალია ტოქსიკური გამონაბოლქვის დონე“);
- სულიერი და უსულო საგნების სხვადასხვა კატეგორიის მახასიათებლები (მაგალითად, „იარაღის ტარების საკითხი საკამათოა“);
- მოვლენათა სხვადასხვა კატეგორიის მახასიათებლები (მაგალითად, „არჩევნები ქვეყნის მთავარი პოლიტიკური მოვლენაა“);
- აბსტრაქტულ ცნებათა სხვადასხვა კატეგორიის მახასიათებლები (მაგალითად, „სიყვარული ყველაზე ძლიერი ადამიანური გრძნობაა“).

განზოგადებები ცოდნის უფრო ფართო საფუძველს უვითარებს მოსწავლეს, რადგან ის სხვადასხვა სიტუაციაში აწყდება მათ და მათი გამოყენება სჭირდება, ამიტომ განზოგადებული მტკიცებულებების დამახსოვრება ისევე საჭიროა მოსწავლისთვის, როგორც, მაგალითად, სიტყვებისა და დეტალებისა (ცოდნის სისტემებში შემავალი სხვა საგნობრივი ცოდნის ძირითადი ნიშნებისა).

სასწავლო პროცესში მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ:

1. იდეათა მოწესრიგების შესახებ მოსწავლეებს თავდაპირველად, როგორც წესი, არასწორი წარმოდგენა აქვთ, რომლის შეცვლაც ადვილი არ არის;
2. მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რეალურად მოახდინონ იდეათა მოწესრიგება;

3. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ განზოგადებებისა და პრინციპების ცხადად წარმოდგენა და რამდენიმე მაგალითის მოყვანა;
4. მოსწავლეებს უნდა დავეხმაროთ განზოგადებისა და პრინციპების გაგებასა და სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

როგორ უნდა გააკეთოს ეს მასწავლებელმა? ცხადია, უპირველესად არასწორი წარმოდგენის კორექტირებით, ამისთვის კი საჭიროა:

- წინარე ცოდნის გააქტიურება, ანუ მოსწავლეებს უნდა ვთხოვოთ, გაიხსენონ, რა იციან იდეათა მოწესრიგების კონკრეტული მეთოდის შესახებ;
- დისკუსია (მოსწავლეებს ვთხოვოთ იმის განხილვა, რაც იდეათა მოწესრიგების კონკრეტული საშუალების შესახებ იციან. განხილვის პროცესი მოსწავლეებს ახალი მიდგომების აღმოჩენისა და იდეების გენერირების საშუალებას მისცემს);
- არგუმენტაცია, როდესაც მოსწავლეებს საკუთარი პოზიციის დასაცავად კონკრეტული არგუმენტების მოშველიება უწევთ, ან როდესაც წარმოვუდგენთ ძლიერ არგუმენტებს მოწესრიგების კონკრეტული ფორმის შესახებ (ყველაზე დიდი კონცეპტუალური ცვლილება ხომ, საზოგადოდ, არგუმენტაციის პროცესს უკავშირდება);
- მოსწავლეებს „შევაძლებინოთ“ იდეათა რეალური მოწესრიგება, განზოგადებისა და პრინციპების ურთიერთმისადაგება.
- მასწავლებელმა იდეათა მოწესრიგების მეთოდების გამოყენებას მეტი დრო უნდა დაუთმოს, ვიდრე იმის ახსნას, რას გულისხმობს იდეათა მოწესრიგება (რა თქმა უნდა, აუცილებელია, მოსწავლეებს ესმოდეთ, რა არის განზოგადება და პრინციპები);
- საჭიროა, მოსწავლეებმა დაიწყონ აქტიური ვარჯიში იდეათა მოწესრიგების საშუალებების სხვადასხვა სიტუაციაში გამოსაყენებლად.

მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები.

I. ავიღოთ ასეთი მტკიცებულება: „ცალკეული ბრძოლები სხვადასხვა, ხშირად არაპროპორციულ გავლენას ახდენს ომის საბოლოო შედეგზე“. ამ მაგალითის საფუძველზე მოსწავლე იღებს ცოდნას, რომ, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომისდროინდელმა ბრძოლებმა, დიდმა თუ პატარამ, ორივე ფრონტსა თუ სხვადასხვა კონტინენტზე, საბოლოოო ჯამში, გავლენა მოახდინა ომის შედეგებზე; ანდა, მაგალითად, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ომში საქართველომ რამდენიმე დიდი თუ პატარა ბრძოლა გადაიხადა. დავით IV-ის მიერ გადახდილი დიდგორის ბრძოლაც ამ ომის ნაწილი იყო. კონკრეტულმა ბრძოლებმა საბოლოო ჯამში გავლენა მოახდინა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ წარმოებული ომის შედეგზე — ქვეყანა თურქ-სელჩუკთა ბატონობისგან გათავისუფლდა, რასაც სხვა დადებითი შედეგებიც მოჰყვა.

II. მომდევნო მტკიცებულება, მაგალითად, „ბრძოლების შესახებ განზოგადება

ყველა ომს შეიძლება მივუსადაგოთ“. მაგალითად, დიდგორის ომი კონკრეტული მოვლენაა და შეუძლებელია, ის პირდაპირ მოვარგოთ სხვა სიტუაციას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დეტალები არ არის მნიშვნელოვანი და პირიქით.

მაშასადამე, იმისთვის, რომ ჩასწვდეს განზოგადების არსს, აუცილებელია, მოსწავლეს შეეძლოს კონკრეტული მაგალითების მოყვანა განზოგადების საილუსტრაციოდ (ზემომოყვანილი მაგალითის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ გვინდა, მოსწავლეებმა გაიაზრონ წინა აბზაცში მოყვანილი განზოგადება, მათ უნდა შეეძლოთ საილუსტრაციო მაგალითების დასახელება, რომელთა შორის შეიძლება დიდგორის ბრძოლაც იყოს).

და რა არის პრინციპი? პრინციპი არის განზოგადების კონკრეტული სახეობა, რომელიც ურთიერთობებს ეხება.

სკოლასთან დაკავშირებულ დეკლარაციულ ცოდნასთან პრინციპების მხოლოდ შემდეგი ორი ტიპი ასოცირდება: მიზეზშედეგობრივი პრინციპები და კორელაციური პრინციპები.

მიზეზშედეგობრივი პრინციპები მიზეზშედეგობრივ ურთიერთობებზეა დამყარებული. მიზეზშედეგობრივი პრინციპის გაგება მიზეზშედეგობრივი სისტემის კონკრეტული ელემენტების ცოდნას და იმ ურთიერთობათა შესახებ ინფორმაციის ფლობას გულისხმობს, რომლებიც მიზეზშედეგობრივი სისტემის ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს.

მაგალითად, წინადადება „კონფლიქტი თავისი ბუნებით ომს იწვევს“ ნიშნავს, რომ კონფლიქტსა და ომს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირის გასაგებად ადამიანს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავად სისტემაში (ამ შემთხვევაში — კონფლიქტის ბუნებაში) მიმდინარე მოვლენათა თანამიმდევრობაზე, სისტემის ელემენტებზე, ელემენტებს შორის არსებული ურთიერთობების ტიპსა და სიძლიერეზე.

აქედან გამომდინარე, მიზეზშედეგობრივი პრინციპის გაგება დიდი მოცულობის ინფორმაციის ფლობას გულისხმობს.

კორელაციური პრინციპები კი იმ ურთიერთობებს აღწერს, რომლებიც მიზეზობრივი არ არის, მაგრამ ერთი ელემენტის ცვლილება მეორის ცვლილებას უკავშირდება.

მაგალითად, „ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი წინსვლა საზოგადოების კულტურული აღმავლობის ზრდის პირდაპირპროპორციულია“ — ამ

პრინციპის გასაგებად მოსწავლეს ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთობათა კონკრეტული დეტალების ცოდნა სჭირდება; მან უნდა იცოდეს ამ ურთიერთობების ზოგადი პარადიგმა — რომ კულტურის განვითარების ზრდის მაჩვენებელი იმავე სიხშირით იცვლება, როგორითაც ეკონომიკური პროცესების განვითარებისა.

ახლა ავიღოთ ასეთი მაგალითიც: ამერიკის სამოქალაქო ომის გამომწვევი მიზეზები მიზეზშედეგობრივ თანამიმდევრობაში ერთიანდება. ეს მიზეზები მხოლოდ ამერიკის სამოქალაქო ომს (ერთ კონკრეტულ სიტუაციას) ეხება. მიზეზშედეგობრივი პრინციპი კი, რომელიც კონფლიქტსა და კონფლიქტის ბუნებიდან გამომდინარე ომს ერთმანეთთან აკავშირებს, ეხება მრავალ სიტუაციასა და მოვლენას (მკვლევარები ამ პრინციპს სხვადასხვა სიტუაციისა და მოვლენის მიმართ იყენებენ).

აქედან გამომდინარე, მიზეზშედეგობრივ პრინციპსა და მიზეზშედეგობრივ თანმიმდევრობას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პირველი მრავალ სიტუაციას ეხება, ხოლო მეორე — ერთ კონკრეტულს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იდეათა მოწესრიგება როგორც ცოდნის სისტემებში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგნობრივი ცოდნა სასკოლო პრაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ხელს შეუწყობს მოსწავლესა და მასწავლებელს საგაკვეთილო პროცესის პოზიტიურად წარმართვაში

გაკვეთილისადმი ანალიზური მიდგომები – სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი დეტალი

სასწავლო პროცესში მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ შედეგის მისაღწევად განუზომლად დიდია თავად პროცესის სწორად წარმართვის მნიშვნელობაც. **მასწავლებლის მუშაობის შედეგს სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი მიზნების სწორად ჩამოყალიბება და მასწავლებლის მიერ გამოყენებული მეთოდების ორგანიზება განსაზღვრავს**. ცხადია, მუშაობის პროცესში ძნელი გასარკვევია, მიდის თუ არა გზა სასურველ ნიშნულამდე, ამიტომ უმჯობესია, შედეგებზე წინასწარ ვიზრუნოთ. ამ მიმართულებით მასწავლებელს ძალიან გამოადგება თავისი თუ სხვისი გაკვეთილისადმი ანალიზური მიდგომა.

ანალიზური მიდგომის ტიპებია: დიდაქტიკური, ფსიქოლოგიური, მეთოდური, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი და ა.შ. ფორმათა ასეთი სიმრავლე თავად გაკვეთილის მრავალგვარობიდან გამომდინარეობს. ანალიზისთვის განკუთვნილი გაკვეთილის სქემა მრავალნაირია და განსაზღვრული ხასიათის მონაცემებს ეფუძნება.

განვიხილოთ იგი X **კლასის** ისტორიის გაკვეთილის მაგალითზე:

თემის სათაური: „ეპოქის ოთხი მხარე“ (თვითანალიზის გაკვეთილისთვის მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს ასეთი თემატური, კომბინირებული სათაურიც)

მოცემული გაკვეთილი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ნაკვეთიდანაა – „ანტიკურობის აღორძინება“ და **ეფუძნება იმ ფუნდამენტურ ცოდნას, რომელიც მოსწავლეებმა მიიღეს პროგრამის ამ ნაწილის გავლისას**.

გაკვეთილის ტიპი: ცოდნის განზოგადებისა და სისტემატიზაციის გაკვეთილი.

გაკვეთილის ანოტაცია:

I ნაწილი

დავალება 1. ტექსტის გაცნობა:

ევროპის აღორძინების ხანა XIV ს-ის 40-იან წლებში დაიწყო და XVII ს-ის პირველ ათწლეულამდე გაგრძელდა. ანტიკური ტრადიციების ხელახლა

აღორძინებას მრავალი პირობა უძღოდა წინ. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლდათ საქალაქო ცხოვრების დაწინაურება, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ფართოდ გავრცელება, სავაჭრო კონტაქტებისა და, საზოგადოდ, გეოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოება. ეს იყო გარკვეული საფეხური ფეოდალური ეპოქიდან ადრეულ კაპიტალიზმზე გადასასვლელად. ასეთმა პროცესებმა გაზარდა ადამიანის, ინდივიდის როლი, უფრო აქტიური გახადა პიროვნება, რამაც შეცვალა შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობის ტრადიცია, მოითხოვა სულიერი ცვლილებები. „შუა საუკუნეები“ მიიჩნიეს „ჩამორჩენილობად“, „ბარბაროსულ პერიოდად“. შეიცვალა დამოკიდებულებაც ისტორიის მიმართ. ჰუმანისტები ადამიანის როლს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისტორიული პროცესების მსვლელობაში, ამიტომ მოითხოვდნენ ისტორიული მოვლენების რაციონალურ ასახვას. მათთვის ძირითადად დამახასიათებელი იყო დაინტერესება სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით, რომლებიც მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ეთიკასთან, ისტორიასთან, პედაგოგიკასთან.

...ჰუმანისტები ისტორიაში ხედავდნენ „პოლიტიკისა და პრაქტიკული ცხოვრების მასწავლებელს“, ამიტომ მოითხოვდნენ წყაროთა კრიტიკულ შესწავლას. ამით რენესანსის ეპოქამ ანტიკურობის მსგავსად კვლავ წინ წამოსწია ისტორიის პრაქტიკული დანიშნულების იდეა.

დავალება 2. უპასუხეთ კითხვებს:

- იწვევს თუ არა სამყაროზე წარმოდგენების შეცვლა სამყაროს შემეცნების გზების შეცვლას ან პირიქით?
- როგორ წარმოგიდგენიათ ამ პროცესში ისტორიული მოვლენების ადგილი?

გაკვეთილის ამ ნაწილის გაანალიზების შემდეგ მასწავლებელი ყურადღებით აანალიზებს მეორე ნაწილს:

II ნაწილი – პრაქტიკული სამუშაო: შეავსე სქემა და ჩამოწერე სავარაუდო პრობლემური საკითხები მითითებული პუნქტების მიხედვით:



III ნაწილი ცოდნის საფეხურების მაღალი დონეების გაანალიზებას ეხება, რაც, იმავდროულად, თავად მასწავლებლის მუშაობის შედეგების თაობაზეც მრავლისმთქმელია:

იმსჯელეთ:

ა) რომელმა კონკრეტულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემამ შეასრულა ბიძგის როლი აღორძინების პერიოდის ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებაში?

ბ) გამოყავით ამ პრობლემის ეტაპები და ჩაწერეთ უჯრებში:

გ) რომელი იდეების ანალოგია გაგიჩნდათ თემის გაცნობისას? ჩამოთვალეთ ისინი. რატომ ფიქრობთ ასე?

დ) აქვს თუ არა ისტორიას პრაქტიკული მნიშვნელობა? ოდესმე თუ გამოგადგათ მისი ცოდნა?

	→		→		→		→	

სქემამ „ეპოქის ოთხი მხარე“, რომელიც შეივსო გაკვეთილის შეჯამებისას, საშუალება მისცა მოსწავლეებს, არა მარტო განეზოგადებინათ ისტორიული მასალა და სისტემაში მოეყვანათ იგი, არამედ ერთგვარი მეტაფორებით, ანალოგიებით გამოეყოთ ამ ეპოქის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტები და წარმოედგინათ იგი სხვადასხვა მოსაზრების სახით.

ამგვარი ანალოგიებით აზროვნება სკოლაში არა მარტო შესაძლებელი, არამედ საჭიროცაა. პარალელებმა თითოეული პერიოდის სირთულეებთან მოსწავლეთათვის ისტორია „უფრო ნათელი და დასამახსოვრებელი“ გახადა, ეს კი უმთავრესია, რადგან საშუალებას გვაძლევს, სისტემაში მოვიყვანოთ ცოდნა, განვაზოგადოთ, შევადაროთ, დავიმახსოვროთ აუცილებელი თარიღები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გაკვეთილი აგებულია მოსწავლე/მასწავლებლის თანამშრომლობის პრინციპზე. ამგვარი მუშაობით სქემა კიდევ უფრო საინტერესო და განმაზოგადებელი გახდა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ამ პერიოდის საერთო ისტორიული პროცესების გაცილებით ნათლად წარმოდგენას;

გაკვეთილის მსვლელობისას **შესწავლილი მასალის განზოგადებამ მოცემული სქემით „ეპოქის ოთხი მხარე“** – ანტიკური პერიოდის ეპოქები დაალაგა პრობლემატიკის მიხედვით და ხელი შეუწყო ეპოქის საერთო გააზრებას, ისტორიული პროცესების ნათლად წარმოდგენას.

აღნიშნული გაკვეთილის მიზანი:

ა) გაკვეთილის **საგანმანათლებლო** მიზანია, ერთი მხრივ, ანტიკურობისა და აღორძინების პერიოდის შესახებ მოსწავლეთა ცოდნის აქტუალიზაცია, განზოგადება, სისტემატიზაცია და, მეორე მხრივ, ისტორიული აზროვნების, ისტორიული ცოდნის იმ განსაკუთრებული თვისებების წარმოჩენა მოსწავლეებში, რომელიც ხელს უწყობს მათ ინტელექტუალურ განვითარებას;

ბ) გაკვეთილის **განმავითარებელი** მიზანია დედუქციური ლოგიკური აზროვნების, მონოლოგის ხელოვნების, მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა და არგუმენტირების უნარების წარმოჩენა;

გ) გაკვეთილის **აღმზრდელობითი** მიზანია, გაუღვიძო მოსწავლეს ინტერესი, დამოუკიდებლად აწარმოოს წარსულის კვლევა, აჩვენო, დაარწმუნო, რომ წარსულის შესწავლით უკეთესად გავიგებთ დღევანდელობას და დავგეგმავთ მომავალს.

ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილი ისეთნაირად იყო დაგეგმილი, უზრუნველყოფდა დასახული მიზნისა და ამოცანის კომპლექსურობას და ურთიერთკავშირს; გეგმის კონსტრუირებისას გათვალისწინებული იყო კლასის ასაკობრივი თავისებურებებიც; ამოცანა შეესაბამებოდა სასწავლო მასალის შინაარს, გამოყენებული იყო სწავლის სხვადასხვა მეთოდი — თხრობითი, ვიზუალური, ინტერაქციული;

აქტიური სააზროვნო გარემოს შესაქმნელად გაკვეთილზე გამოყენებულ იქნა მუშაობის შემდეგი ფორმები: „მასწავლებელი — კლასი“, „მოსწავლე — მოსწავლე“, „მოსწავლე — კლასი“; ასევე — სწავლების სხვადასხვა ფორმა: ფრონტალური, წყვილებში, დამოუკიდებელი, ინდივიდუალური — რამაც გაკვეთილი ერთობ ეფექტური და საინტერესო გახადა; გამოიკვეთა საგანთაშორისი კავშირებიც ისეთ საგნებთან, როგორიცაა ეკოლოგია, ბიოლოგია და ინფორმატიკა;

გაკვეთილის უფრო მეტი პროდუქტიულობისა და ცოდნის კონტროლისთვის გამოყენებულია საინფორმაციო-კომუნიკაციური საშუალებები, პრეზენტაციები და ტესტური დავალებები.

გაკვეთილი დაიწყო ორგანიზებულად, თუმცა მასწავლებელმა წაახალისა კიდეც მოსწავლეები.

„სიტყვის ვარჯიშის“ გამოყენებამ მოსწავლეებს გაუუმჯობესა მეტყველების უნარები, გააცოცხლა აზრები, განუვითარა არგუმენტირების უნარები;

შემდეგში მოსწავლეებმა დამოუკიდებლად განსაზღვრეს გაკვეთილის მიზანი და ამოცანა, შეძლეს გამოეყოთ ამ ეპოქის ძირითადი პრიორიტეტები, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, გაკვეთილზე მომხდარიყო მოსწავლეთა ცოდნის მეტი სრულყოფა, გაღრმავება, გაფართოება, მოსწავლეთა შეხედულებების მტკიცებულებებად ქცევა.

დაბოლოს, **მოსწავლეებმა შეძლეს მოცემული სქემის საფუძველზე ისტორიული ცოდნა შეეხამებინათ საზოგადოების განვითარების კანონებთან**.

ამავე დროს **ცოდნის სრულყოფისა და განმტკიცებისთვის** მათ შეასრულეს ტესტური სამუშაო ინტერაქციული ბარათების გამოყენებით და მაშინვე მიიღეს შედეგები, რომლებმაც გამოავლინა მოსწავლეთა ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე საბოლოო საკონტროლო ტესტური დავალების შესასრულებლად.

ანალიზური მიდგომებისთვის მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ გაკვეთილის ზოგადი სქემები:

1. **სასწავლო დაწესებულება, კლასი, საგანი, ვინაობა, მოსწავლეთა რაოდენობა და დასწრება**;
2. **გაკვეთილის თემა და მისი საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი მიზნები**;
3. **გაკვეთილის ორგანიზაციული მხარე**, რომელშიც შედის მასწავლებლის მზადყოფნა გაკვეთილისთვის (გეგმა-კონსპექტი, დამხმარე მასალები და ა.შ), მოსწავლეთა მზადყოფნა (სახელმძღვანელო, რვეული და ა.შ.), საკლასო სივრცის ორგანიზება (სისუფთავე, დაფა, ცარცი და ა.შ.);
4. **გაკვეთილის ორგანიზაციულ სტრუქტურაში** ყურადღება გამახვილებულია გაკვეთილის დროულად, მობილიზებულად დაწყებაზე, თანმიმდევრულობაზე, მისი ყველა ნაწილის ურთიერთკავშირზე, გაკვეთილის ტემპზე და ა.შ.;
5. **საგაკვეთილო მასალის შინაარსობრივ ანალიზში** აქცენტირებულია არჩეული სასწავლო მასალის საფუძვლიანობის დამტკიცება, პროგრამისა და მოსწავლის ცოდნის დონის შესაბამისობის ჩვენება, პრაქტიკული და თეორიული მასალის შეჯერება და სხვ.;
6. **გაკვეთილის მიმართ საერთოპედაგოგიური და დიდაქტიკური მოთხოვნები** მოიცავს გაკვეთილის შესაბამისად მომზადებულ გეგმა/კონსპექტს; სწავლების მეთოდების შერჩევას; სწავლების პროცესში დიდაქტიკური პრინციპების რეალიზებას; სწავლების დიფერენცირებული და ინდივიდუალური ხასიათის ჩვენებას; გაკვეთილის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ასპექტების ურთიერთკავშირს;
7. **მასწავლებლის მოღვაწეობა გულისხმობს** მასწავლებლის ცოდნის მეცნი-

ერულ ხასიათს, მის მიერ ახალი ცოდნის მიღწევადობისა და პედაგოგიური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას; სასწავლო მასალის გამტკიცების და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების შესაძლებლობას; მასწავლებლის შეკითხვებზე მოსწავლის ავტომატურ პასუხს; საშინაო დავალების მიცემასა და შემოწმებას; ვიზუალური ეფექტების წარმატებით გამოყენებას; კომუნიკაცია და ა.შ.;

8. **მოსწავლეთა საქმიანობა გაკვეთილზე** – ესაა სამუშაო ადგილის მომზადება; ქცევის წესების დაცვა გაკვეთილზე, აქტიურობა, ყურადღება; დამოუკიდებელი სამუშაოების ინტესიურობა; ზეპირი და წერილობითი კონტაქტი; მოსწავლეთა თეორიული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა; მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობის, საზოგადოდ, კოლექტიური ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი;
9. **დასკვნაში** უნდა გამოიკვეთოს გაკვეთილის გეგმის შესრულების, გაკვეთილის მიზნის მიღწევის დონე; უნდა გამოიყოს გაკვეთილის ყველაზე საინტერესო ნაწილი; აღინიშნოს, რაზე გაამახვილეს ყურადღება მოსწავლეებმა; რა ცვლილებებია შესატანი უკეთესი შედეგისთვის და, საერთოდ, ზოგადად შეფასდეს გაკვეთილი.

ზემომოყვანილ საერთო სქემასთან ერთად არსებობს თვითანალიზის სქემებიც, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია. მათი **დანიშნულებაა, მიზნის შესაბამისად უზრუნველყოს მასწავლებლის გაკვეთილის კონსტრუირება, შეუქმნას მას, საზოგადოდ, სწავლისთვის საჭირო ოპტიმალური პირობები და მოახდინოს გაკვეთილის კონსტრუირება**. აღსანიშნავია, რომ თვითანალიზისას უმთავრესი ყურადღება ეთმობა დეტალების გამოკვეთას, რათა პედაგოგს შეუმჩნეველი არ დარჩეს არც ერთი წვრილმანი, რადგან ნებისმიერი დეტალი შესაძლოა ძალზე წაადგეს გაკვეთილის სწორად წარმართვას.

მაგალითად, **გაკვეთილის თვითანალიზის სქემის** შედგენისას **გამოიკვეთება მასწავლებლის სამუშაო პროცესის შემდეგი ასპექტები**:

- რა საგანმანათლებლო, განმავითარებელ და აღმზრდელობით მიზნებს მივაღწიეთ გაკვეთილზე? რომელი იყო მათ შორის უმთავრესი და რატომ? როგორი იყო მათ შორის ურთიერთკავშირი?
- როგორი იყო გაკვეთილის სპეციფიკა? როგორი იყო მისი ტიპი? რა ადგილი უკავია მოცემულ გაკვეთილს, საზოგადოდ, თემაში, კურსის შინაარსში?
- როგორ იყო განაწილებული მოსწავლეთა ჩართულობა გაკვეთილის მთელ გეგმაში?
- რაციონალურად იყო თუ არა არჩეული გაკვეთილის სტრუქტურა და სწორად იყო თუ არა განაწილებული დრო გაკვეთილის ცალკეული ეტაპების შესაბამისად?
- გაკვეთილის რომელ ნაწილზე, რა მასალაზე დაისვა მთავარი აქცენტი?
- როგორ შეესაბამებოდა ერთმანეთს სწავლების მეთოდები და შინაარსი?

- როგორი შერჩეული შერჩეული იყო სწავლის მეთოდები?
- რატომ იყო უმჯობესი სწავლების დიფერენცირებული ფორმის გამოყენება გაკვეთილზე და როგორ მოხდა მისი რეალიზება?
- რით აიხსნება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების გამოყენებული ფორმების უპირატესობა?
- რა გზით მოხერხდა გაკვეთილზე მოსწავლეთა შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფა?
- რა საშუალებებით მოხდა მოსწავლეთა წახალისება, განტვირთვა გაკვეთილზე?
- შესრულდა თუ არა დასახული მიზანი და რატომ? რა ცვლილებებია აუცილებელი ამ ტიპის გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარებისას?

ცხადია, ზემომოყვანილი შეკითხვები ვერ ამოწურავს კონკრეტული გაკვეთილის ცალკეული ეტაპების ყველა მხარეს. მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ვერ გამოვიყენებთ შეფასების ისეთ ზედაპირულ ფორმას, როგორიცაა: „მე ძალიან მომეწონა გაკვეთილი“, ან „მოსწავლეები და მასწავლებელი ნაყოფიერად მუშაობდნენ“, „გაკვეთილის მიზანი მიღწეულია“ და ა.შ. ამიტომ უმჯობესია, გაკვეთილის ანალიზის და თვითანალიზის სქემა მასწავლებლის მხედველობის არიდან არ დაეკარგოს და მხოლოდ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ არ გახდეს იგი ინტერესის საგანი.

თვითანალიზით აზრობრივად დალაგდა, თვალი გადაევლო უკვე ჩატარებულ გაკვეთილს და შედეგები შეედარა იმ გეგმას, რომელიც არსებობდა დასაწყისში; ამით მასწავლებელს საშუალება მიეცა, დაენახა ჩატარებული გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეები და ამ გზით მიღებული ანალიზი ექცია მომავალი გაკვეთილების ეფექტური კონსტრუირების საფუძველად.

ცნების შინაარსში წვდომის პროცედურები ინდუქციური და დედუქციური სწავლებისას

სწავლა/სწავლების ძირითადი მიზანი განათლებული და უნარიანი ახალგაზრდების აღზრდაა. სწორედ ეს განაპირობებს სწავლების იმ მრავალფეროვან მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, რომლებსაც მიზნის მისაღწევად იყენებს პედაგოგი. ზოგადად, სწავლის მეთოდიკა პასუხს გვაძლევს კითხვაზე: რა გზით შეგვიძლია მივღწიოთ სათანადო შედეგებს სწავლებისას? ხოლო სწავლების ტექნოლოგია გვპასუხობს კითხვაზე: როგორ გავხადოთ შედეგი გარანტირებული? ამიტომ ნებისმიერი დიდაქტიკური ამოცანის ეფექტურად გადაწყვეტა, მეტწილად, ტექნოლოგიების სწორად შერჩევაზეა დამოკიდებული.

ამგვარი გაგებით, ნებისმიერი მეთოდიკა შეგვიძლია ტექნოლოგიებამდე დავიყვანოთ. იგი გვაძლევს კორექტირების, უფრო სრულყოფილი დიდაქტიკური და მეთოდური მიდგომების გამოყენების საშუალებას; შეგვიძლია საჭიროებისამებრ შევცვალოთ და დავაზუსტოთ მეთოდური პარამეტრები და სხვ. როგორც თეორიული და პრაქტიკული კვლევები ცხადყოფს, ყველაზე ეფექტურ საშუალებას სასურველი შედეგის მისაღწევად სასწავლო პროცესში ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენება წარმოადგენს. მეცნიერებაში შემეცნების ეს ტექნოლოგიები იზოლირებულად არ გამოიყენება. უფრო მეტიც, ინდუქციური მეთოდის გამოყენებისას გარკვეულწილად „ფარულადაც“ კი ხდება დედუქციის გამოყენება.

დედუქცია და ინდუქცია

დედუქცია შემეცნების ისეთი მეცნიერული მეთოდია, რომელიც გულისხმობს საერთო ნიშან-თვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. ამ დროს აზროვნება ისე მიმდინარეობს, რომ ყოველი კომპონენტი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა აზრიდან. დედუქციური მეთოდი საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ სწორი დასკვნა, გამოვყოთ საერთო პრინციპები და კანონები, რომლებიც არ მოგვცემს შეცდომის დაშვების უფლებას: ისინი კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში გვეხმარება.

ინდუქცია კი შემეცნების ის ფორმაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ ძირითადი დასკვნა ცალკეული ფაქტების საფუძველზე, ანუ **ესაა აზროვ-**

ნების მოძრაობა კერძოდან ზოგადისაკენ. ინდუქციის მეთოდები გამოიყენება ობიექტებსა და მოვლენებს შორის ემპირიული კავშირების დასადგენად. ეს მეთოდებია:

1. **ერთადერთი მსგავსების მეთოდი** (რომელიმე შემთხვევაზე ან მოვლენაზე დაკვირვებისას გამოიკვეთება მხოლოდ ერთი საერთო ფაქტორი. ცხადია, რომ ეს ერთადერთი ფაქტორი წარმოადგენს მოცემული მოვლენის მიზეზს);
2. **ერთადერთი განსხვავების მეთოდი** (თუ არსებობს გარკვეული პირობები რაღაც მოვლენის ან გარემოების წარმოშობისა, თუ ყველა მათგანი თითქმის ერთმანეთის მსგავსია და მხოლოდ ერთი ფაქტორით განსხვავდება, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ფაქტორი არის კიდეც მოცემული მოვლენის წარმოშობის მიზეზი);
3. **მსგავსებისა და განსხვავების დაკავშირების მეთოდი** (იგი წარმოადგენს ორი ზემოთ მითითებული მეთოდის კომბინაციას);
4. **თანმხლები ცვლილებების მეთოდი** (თუ ერთი მოვლენის ცვლილებები მუდმივად იწვევს გარკვეულ ცვლილებებს სხვა მოვლენებში, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამ მოვლენებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი);
5. **„ნარჩენების“ მეთოდი** (ესაა რთული შემთხვევა „მრავალფაქტორიანი მიზეზისა“. თუ რომელიმე ფაქტორთაგანი ცნობილია, როგორც მოცემული მოვლენის რომელიმე ნაწილის მიზეზი, აქედან მივიღებთ დასკვნას: სხვა ნაწილების მიზეზებს შეიძლება სულ სხვა ფაქტორები განაპირობებდეს, რომლებიც ერთიანობაში მოცემული მოვლენის საერთო მიზეზი იქნება).

ინდუქციური და დედუქციური მეთოდები ყველაზე ეფექტურად გამოიყენება სწავლის დროს ცნებების სწორად გაგებისთვის, ცნებების წვდომისა და ათვისებისთვის. „ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია, წყლის ერთი წვეთით გააკეთოს დასკვნები ატლანტიკის ოკეანის ან ნიაგარას ჩანჩქერის არსებობაზე, თუნდაც არც ერთი არ ჰქონდეს ნანახი;... ფრჩხილის, ფეხსაცმლის, სახის გამომეტყველების და სხვა „წვრილმანი“ დეტალებით ძნელი არაა, გამოიცნო ადამიანის პროფესია“, – ეს სიტყვები შერლოკ ჰოლმსს ეკუთვნის, რომელსაც შეეძლო, პატარა დეტალებიდან (ცნებების სწორად გაგების გზით) ლოგიკურად აეგო მოვლენათა ჯაჭვი, რისთვისაც იყენებდა დედუქციურ მეთოდს.

დედუქციური მსჯელობის მაგალითი:

1. თუ წვიმს, დედამიწა დასველდება / წვიმს. / მიწა სველია;
2. თუ ჰელიუმი ლითონია, ის ელექტროგამტარია. / ჰელიუმი ელექტროგამტარი არაა. / ჰელიუმი ლითონი არაა;
3. ყველა ადამიანი მოკვდავია. /Yყველა ბერძენი ადამიანია. / მაშასადამე, ყველა ბერძენი მოკვდავია;

4. „თუ ნეტარება სხვა არაფერია, ვიდრე მარადიული ცხოვრება, ხოლო მარადიული ცხოვრება – ეს ჭეშმარიტების შეცნობის საშუალებაა, მაშინ ნეტარება – ეს სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტების შეცნობა“ (ორიგენე).

ინდუქციის მაგალითია:

1. ვენესუელა რესპუბლიკაა, ეკვადორი რესპუბლიკაა. / არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, ეკვადორი ლათინოამერიკული სახელმწიფოებია. / ყველა ლათინოამერიკული სახელმწიფო რესპუბლიკაა;
2. იტალია რესპუბლიკაა, პორტუგალია რესპუბლიკაა, ფინეთი რესპუბლიკაა, საფრანგეთი რესპუბლიკაა. იტალია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი დასავლეთევროპული ქვეყნებია. / ყველა დასავლეთევროპული ქვეყანა რესპუბლიკაა.

მოყვანილი მაგალითებით უკეთ გასაგებია შემდეგი ცნებები: სველი მიწა; ლითონი; ადამიანი; მოკვდავი; ნეტარება; მარადიული ცხოვრება; ლათინოამერიკული სახელმწიფოები; დასავლეთევროპული ქვეყნები.

ზოგადად, ცნება – ესაა აზროვნების ფორმა, აზრი, განზოგადება, ჰიპოთეზა, ინტერპრეტაცია, რომელშიც ასახულია საგნის არსებითი ნიშნები. საგნის ნიშნებს უწოდებენ იმ ნიშნებს, რითაც საგნები ჰგვანან ერთმანეთს ან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არსებითია ის ნიშნები, რომლებიდანაც თითოეული, ცალკე აღებული, აუცილებელია საგნის დასახასიათებლად და ყველა ერთად აღებული კი საკმარისია, რომ მოცემული საგანი (მოვლენა) განვასხვავოთ დანარჩენებისაგან და განვაზოგადოთ ერთგვაროვანი საგნები. არაარსებითი, მეორეხარისხოვანია ის ნიშნები, რომელთა შეძენით ან დაკარგვით საგანი რჩება იგივე (მაგალითად, ცნება „ადამიანი“-ს არაარსებით ნიშანს წარმოადგენს მისი ხმა, წონა, სიმაღლე და სხვ)**; ანუ ზოგადად, ცნებები გამოიხატება ტერმინებით და საშუალებას გვაძლევს, მათზე დაყრდნობით ავხსნათ ფაქტების შინაარსი – დამოკიდებულება, გრძნობა, საგნის რაობა.**

ცნება, როგორც ჭეშმარიტება

ცნების, კონცეფციის ღირებულება ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება კი ისეთი ინტერპრეტაციაა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სამყაროზე. ამიტომაა, რომ ცნებას, როგორც ასეთს, გრძნობითი და რაციონალური ხასიათი აქვს. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

მაგალითად, ცნება „ვაშლი“ გულისხმობს შემდეგ მახასიათებლებს: წითელი, მრგვალი, ტკბილი. მოცემულია სამი ცნება: ფერის, ფორმის და გემოვნების აღმნიშვნელი (მართალია, ცნება „ფერი“ ბევრ სხვადასხვა ფერს გულისხმობს, მაგრამ ამ შემთხვევაში მითითებულია წითელი). ამ კერძო შემთხვევაში ინ-

დუქციურ/დედუქციური მეთოდი დაგვეხმარა, სწორი წარმოდგენა შეგვექმნა ცნება „ვაშლის“ რაობაზე და ეს მოხდა საერთო ნიშან-თვისებებიდან კერძო ნიშნების (წითელი ვაშლი, ტკბილი ვაშლი...) გამოყოფით (და პირიქით).

ცნება „მოსწავლე“ გულისხმობს ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა: „ახლის შეცნობა“/ „მასწავლებლის მეთვალყურეობით მეცადინეობა“/ „სკოლაში წასვლა“; ხოლო **ცნება „კარგი მოსწავლე“** გულისხმობს: „ახლის შეცნობას“/ „მასწავლებლის მეთვალყურეობით მეცადინეობას“/ „სკოლაში წასვლას“/ „კარგი შეფასების მიღებას“/ „შესრულებას, პასუხისმგებლობას“/ „მოვალეობას, აღზრდას“. **ცნება „მდინარე“** მოცულობითია, მოიცავს მდინარეთა სიმრავლეს, როგორც ასეთს. მაგალითად, იგი თავის არსში მოიცავს მდინარეებს – მტკვარს, ნილოსს, სენას და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ცნების მოცულობა და შინაარსი ურთიერთდამოკიდებულია, უფრო მეტიც, ერთი განაპირობებს მეორეს. მაგალითად, **ავტომობილი** სატრანსპორტო საშუალებაა, რომელსაც აქვს ძრავა, ბორბალი და სამართავი მოწყობილობა. ისინი ქმნიან **ცნების შინაარსს**, მის **მოცულობას, რაოდენობრივ შინაარსს** კი წარმოადგენს ყველა ავტომობილი, რაც კი არსებობს. ასევე, **„მოსწავლე“** მოიცავს თავის თავში ყველა მოსწავლეს, რომელიც ოდესმე ყოფილა მოსწავლე, ან ყველა მოსწავლეს, რომელიც ან სწავლობს, ან მომავალში ისწავლის. თუ ერთი ცნება მეორეზე ფართოა, მაშინ პირველი შინაარსობრივად უფრო ღარიბია, ვიდრე მეორე. თუ პირველი ცნება უფრო მცირეა მოცულობით, მაშინ ის მეორეზე უფრო მდიდარია შინაარსობრივად. მაგალითად, ცნება „რომბი“-ს შინაარსია ორი საერთო ნიშანი – „პარალელოგრამი“ და „თანაბარი მხარეები“ და ისინი ერთმანეთს განაპირობებენ ყველა იმ მაჩვენებლით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ.

მოვიყვანოთ პრაქტიკული მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ისტორიის გაკვეთილზე ცნების უკეთ გაგება ინდუქციისა და დედუქციის გზით:

გამოვიყენოთ დედუქციური მეთოდი და განვიხილოთ, რა არსებით ნიშნებს გულისხმობს ცნება „საისტორიო წყარო“?



ინდუქციური მეთოდით მივიღებთ შემდეგ შედეგს:

- არქეოლოგია სიძველეთა შემსწავლელი მეცნიერებაა და შესაბამისად, ისტორიის დამხმარე დარგია;
- ეპიგრაფიკა სწავლობს მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი, ხე, მინა, ძვალი, კერამიკა) შესრულებულ ძველ წარწერებს და ამიტომ იგი ისტორიის დამხმარე დისციპლინაა;
- საისტორიო თხზულებები წერილობითი თხრობითი მასალებია და აუცილებელია ისტორიის შესწავლისათვის;
- ჰაგიოგრაფიული თხზულებები წმინდანთა ცხოვრებებია და მრავალ საინტერესო დეტალს შეიცავს ისტორიის შესწავლისთვის;
- ისტორიული დოკუმენტები ყველაზე უტყუარი მასალებია ისტორიის შესწავლისთვის;
- სამართლის ძეგლები ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისთვის გამოიყენება;
- საეკლესიო ტიბიკონები ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისთვისაა მნიშვნელოვანი და ამდენად, საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია;
- კინო, ფოტო, ფონური, ვიდეო, აუდიო მასალები, ანუ ზოგადად, ვიზუალური, სემიოტიკური მასალები ფართოდ გამოიყენება ისტორიის შესწავლისთვის.

დასკვნა – ცნებები: არქეოლოგია, ეპიგრაფიკა, საისტორიო თხზულებები, ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ისტორიული დოკუმენტები, სამართლის ძეგლები, საეკლესიო ტიბიკონები, კინო, ფოტო, ფონური, ვიდეო, აუდიო მასალები – ეს ყველაფერი ისტორიის შესწავლისთვის გამოიყენება და საისტორიო წყაროებს წარმოადგენს.

სასწავლო პროცესში დედუქციური და ინდუქციური მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, ეფექტურია ე.წ. „ცნებების რუკის“ გამოყენება. იგი ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციისა და ცნებების ორგანიზებაში. ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეს მოუწევს კლასებსა და კატეგორიებზე, ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებზე, ნიმუშებსა და მაგალითებზე ფიქრი. მეთოდის გამოყენება ეფექტურია ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და მნიშვნელოვანი ცნებების ათვისებისათვის.

„ცნების რუკაზე“ მუშაობა გულისხმობს ტექსტის გაცნობას და ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, როგორებიცაა:

- რა არის .....? რას ჰგავს იგი? რა მაგალითებს მოყვანა შეიძლება მასთან დაკავშირებით?

- რა არის .....-ის მიზეზი? რა არის .....-ის შედეგი?

ცნების რუკის ნიმუში



მოსწავლემ წინასწარ უნდა წაიკითხოს ტექსტი, რათა მონიშნოს საკვანძო სიტყვები და წინადადებები.

არსებობს „ცნების რუკის“ რამდენიმე ვარიანტი. ქვემოთ მოცემულია ცნების რუკის გამოყენების მაგალითი თემაზე: „ომი“.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. წარუდგინეთ კლასს წასაკითხი ტექსტი;
2. კითხვის დაწყებამდე ჰკითხეთ მოსწავლეებს, სმენიათ თუ არა რაიმე ომის შესახებ;
3. ტექსტის პირველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ დახაზეთ დაფაზე ოვალი და ჩაწერეთ „ომი“. სწორედ ამ ცნების გარშემო ააგებენ მოსწავლეები ცნების რუკას;
4. დახაზეთ მეორე ოვალი და ჩაწერეთ „მიზეზები“. დააკავშირეთ ორი ოვალი (მაგალითად, ცენტრალური ოვალიდან მიმართული ისრით). შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ტექსტის პირველი მონაკვეთი აღწერს ომის გამომწვევ მიზეზებს;
5. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავადაც დახაზონ ასეთივე რუკა რვეულებში/ფურცლებზე და წყვილებში იმსჯელონ ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ, შემდეგ კი ჩამოწერონ ეს მიზეზები მეორე ოვალში (ან გვერდით მიაწერონ მეორე ოვალს);
6. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს, საუბრის პროცესში ჩამოწერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მეორე ოვალთან;

7. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მომდევნო მონაკვეთი;
8. დახაზეთ მესამე ოვალი და ჩაწერეთ „სიმპტომები“. დაკავშირეთ ცენტრალური ოვალი მესამე ოვალთან. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მეორე მონაკვეთში უკვე „მსოფლიო ომის“ სიმპტომებია აღწერილი;
9. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში გაიხსენონ ინფორმაცია ტექსტიდან და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მესამე ოვალი („სიმპტომები“);
10. კვლავ შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. ჩამოწერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მესამე ოვალში (ან მის გვერდით);
11. დახაზეთ მეოთხე, შედარებით მცირე ზომის ოვალი და გახაზეთ ისარი ცენტრალური ოვალიდან ამ მეოთხე ოვალამდე. სთხოვეთ მოსწავლეებს, ივარაუდონ, რის შესახებ იქნება მესამე მონაკვეთი. მსჯელობის დასრულების შემდეგ ჩაწერეთ ოვალში „პრევენცია“. სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ ომის თავიდან აცილების და პრევენციის შესაძლო გზებზე;
12. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტის ბოლო მონაკვეთი და ყურადღება გაამახვილონ მსჯელობის დროს გამოთქმულ იდეებზე;
13. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში შეადარონ საკუთარი ნამუშევრები და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მეოთხე ოვალი;
14. სთხოვეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული აზრები მთელ კლასს;
15. ჩამოწერეთ გამოთქმული აზრები დაფაზე, მეოთხე ოვალთან.

სასწავლო პროცედურებში ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენება, ცნებების უკეთ წვდომის გარდა, ხელს უწყობს კონცეპტუალური ცოდნის შეძენას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ანალიზსა და სინთეზზე ორიენტირებულ აზროვნებას, სოციალური უნარების განვითარებას, საკომუნიკაციო უნარების განვითარებას და, საბოლოო ჯამში, სასწავლო მიზნების მიღწევას.

სასწავლო პროცესი და ინტუიციური და დისკურსიული აზროვნება

ცნობილია, რომ **კოგნიტური პროცესებიდან** ყველაზე მნიშვნელოვანი **აზროვნებაა**. ადამიანის ბიოლოგიური სახეობისთვის ის ნამდვილად სასწაულებრივი ნიჭია — იგი **წარმოადგენს ორიენტირების, პრობლემის მოგვარების, ამოცანის გადაჭრის უნარს, რომელიც მყისვე ირთვება, როცა ინფორმაცია გაუგებარი, ხარვეზიანი და არასრულია. ამოცანის გადაჭრით პიროვნების პრობლემაც გვარდება**. ამრიგად, აზროვნება განაპირობებს საქმიანობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის.

ვინაიდან სწავლა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთ ურთულეს საქმიანობად ითვლება, აზროვნება და, საზოგადოდ, აზროვნების ფორმები წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ასეთ საპასუხისმგებლო საქმეში: კოგნიტური პროცესების დაუფლებითა და გავარჯიშებული გონებით სწავლა/სწავლების პროცესი — უფრო ეფექტური, ადამიანის საქმიანობა — გაცილებით შედეგიანი, მისი ცხოვრება კი უფრო საინტერესო გახდება.

რაკი სააზროვნო ფორმების განვითარება მეტწილად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასკოლო ასაკში ხდება, ამ პროცესის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მასწავლებელზე — მისი ხელშეწყობით ჩანერგილმა სააზროვნო უნარებმა და ჩვევებმა მოსწავლის მთელი შემდეგი ცხოვრება უნდა განსაზღვროს, საფუძვლად დაედოს მის სამომავლო საქმიანობას.

რა სახისაა ის სააზროვნო ფორმები და სახეები, რომელთა განვითარება/გააქტიურებაზეც ასეა დამოკიდებული ადამიანის მთელი მოღვაწეობა? როგორ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა მათი ეფექტურობა, მოსწავლეთა მიერ მათი წარმატებით ათვისება?

აზროვნებას ფსიქოლოგები მრავალი პრინციპის მიხედვით შეისწავლიან. ამის კვალობაზე, აზროვნების ფორმების კლასიფიკაციაც სხვადასხვაგვარია. თანამედროვე ფსიქოლოგიაში, ანგარიშგასაწევი ფსიქოლოგებისა და მრავალრიცხოვანი ფსიქოლოგიური სკოლის [აზროვნების ასოციაციური თეორია, ბიჰევიორიზმი, ინტუიტივიზმის ფილოსოფია, აზროვნების ფსიქოლოგიის ვიურცბურგის სკოლა, მატერიალისტური ფსიქოლოგია და სხვ. (დ. ჰარტლი, ჯ. პრისტლი,

ი. ტენი, ბ. ვუნდტი, ე. თორნდაიკი, ჯ. უოტსონი, ვ. კიოლერი, კ. კოფკა, კ. ლევინი, ა. ბინე, ო. კიულპე, ლ. ვიგოტსკი, ი. ალექსანდროვა და სხვ.)] მემკვიდრეობის შეჯერებით აზროვნების კლასიფიკაცია შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ:

აზროვნება	
კლასიფიცირება ხდება:	**აზროვნების სახეები/ფორმები:**
გენეზისის მიხედვით	ვიზუალურ- მოქმედებითი
	ვიზუალურ-ხატოვანი
	ვერბალურ(სიტყვიერ)-ლოგიკური
	აბსტრაქტულ-ლოგიკური
პრობლემის ხასიათის მიხედვით	თეორიული
	პრაქტიკული
დეტალური მახასიათებლების ხარისხით	დისკურსიული
	ინტუიციური
სიახლის, ორიგინალურობის ხარისხით	რეპროდუქტიული (რომლის საფუძველიც გარკვეულ წყაროებშია ძევს)
	პროდუქტიული (შემოქმედებითი)
შემეცნების ტიპით	თეორიული
	ემპირიული
აზროვნების საშუალებებით	ვერბალური
	ვიზუალური
ფუნქციური დატვირთვით	შემოქმედებითი
	კრიტიკული
რეფლექსიის ანუ საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზის, ჩანაფიქრის მიხედვით	ინტუიციური
	რაციონალური

მაგრამ მოქმედების საწყის ეტაპზე როგორ ავუხსნათ მოსწავლეს, რა არის, საზოგადოდ, აზროვნების პროცესი, როგორ წარმოვუდგინოთ იგი მას? ის ხომ უშუალო აღქმის გარეშე მიმდინარეობს. როგორ დავანახვოთ მისი აქტივიზაციის აუცილებლობა, როგორ დავეხმაროთ სწორი სააზროვნო ფორმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, გავარჯიშებაში, რათა ადვილად მოახერხოს პრობლემის გადაჭრა, სწორად ორიენტირება, მისთვის გაუგებარ ინფორმაციაში ხარვეზების აღმოფხვრა?

აზროვნების მიმდინარეობა მოსწავლეს ზოგადად ასეთი მაგალითით შეიძლება წარმოვუსახოთ: სწავლა და წიგნის კითხვა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია; კითხვისას ინფორმაცია სენსორული მეხსიერებიდან თანდათან გადადის მახსოვრობაში, შემდეგ ეს ახალი ინფორმაცია გარდაიქმნება და შედეგად, აზროვნების მეშვეობით, ვიღებთ ორიგინალურ პროდუქტს — იმ აზრებსა და მოქმედების იმ საჭირო უნარებს, გზებსა და პასუხებს, რომლებიც ახალი ინფორმაციის გადამუშავებით შემოგვთავაზა ჩვენმა გონებამ, აზროვნებამ.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეს განუმარტოს, რამ განაპირობა ეს ტრანსფორმაცია: რომ იგი გამოიწვია აზროვნებისთვის დამახასიათებელი თვისების — **გაგების მოთხოვნილების** — არსებობამ: ინფორმაცია „გასაგები“ რომ გახდეს, აქტიურდება სხვადასხვა სააზროვნო ფორმა, რის შედეგადაც აზროვნებისას მიღებული ინფორმაცია გარდაიქმნება იმ საჭირო ცოდნად, რაც აინტერესებდა მოსწავლეს, ანუ იმ და იმგვარ მასალად, რომელიც გაიაზრა და აითვისა მისმა გონებამ. ხოლო **„გაგების“**, ანუ ინფორმაციის ათვისების, გააზრების, პრობლემის გადაჭრის შემდეგ აზროვნების პროცესიც მთავრდება.

ამ საქმიანობაში მასწავლებლის მიზანია, ეს „დასასრული“ წარმატებული იყოს — მოსწავლემ მიღებული ინფორმაცია გაიგოს და აითვისოს შესაფერისი უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით.

მაგრამ რა ხერხებითა და საშუალებებით მოახერხოს ეს მასწავლებელმა? როგორ გამოარჩიოს სააზროვნო პროცესებიდან ყველაზე მოქნილი, საინტერესო და ეფექტური, ისეთი, რომელიც კი არ დაძაბავს, არამედ, პირიქით, წაახალისებს კიდეც სასწავლო პროცესს? რა სტრატეგიები გამოიყენოს, რომ მოსწავლის აზროვნების პროცესი წარმატებით — მიცემული ინფორმაციის გაგება/გააზრებით — დასრულდეს? როგორ მიახვედროს იგი, რომ მასალა, რომელიც მას მიაწოდეს და რომელსაც გაეცნო, ნაკლულია, ხარვეზიანი, დასამთავრებელი, რომ მისი მეშვეობით ის ვერ გადაჭრის პრობლემას, ვერ გაიგებს სრულად, ვერ აითვისებს ჯეროვნად? რა მაგალითებით მიახვედროს, რომ ძიება პასუხისა ჯერ არ დამთავრებულა და კვლევა გასაგრძელებელია?

პრობლემის ნათლად წარმოსაჩენად განვიხილოთ ასეთი მაგალითი: მოსწავლეს მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ ნიკოლოზ II-მ გერმანიასთან ომის დროს უგულებელყო რუსეთის მოქალაქეთა ინტერესები. ამის შესახებ აზროვნებისას მოსწავლის გონებას შეუძლია, ხანგრძლივი მეხსიერებიდან გამოიხმოს ცოდნა იმისა, რომ ალექსანდრა, ნიკოლოზ II-ის მეუღლე, წარმოშობით გერმანელი იყო, ეს კი, თავის მხრივ, აიძულებს

იფიქროს, რომ ამ ვითარებას შესაძლოა გავლენა მოეხდინა რუსეთის ისტორიის მსვლელობაზე. ამით მოსწავლემ საკითხი დამთავრებულად, ამოწურულად ჩათვალა და მუშაობა დაამთავრა.

მაგრამ მასწავლებელმა იცის, რომ ეს მაგალითი ბოლომდე ვერ ხსნის იმდროინდელ ვითარებას – რა მოხდა სინამდვილეში. ამის კვალობაზე, მასწავლებელმა სათანადო შეკითხვებით უნდა გააქტიუროს მოსწავლის გონება, რათა მან გამოიყენოს ყველა დასაშვები შესაძლებლობა, განიხილოს, შეამოწმოს ისინი და შემოქმედებითად გადაწყვიტოს, რა როლი შეასრულა ნიკოლოზ II-მ რუსეთის ისტორიაში პირველი მსოფლიო ომის დროს.

ამ გზით მიღებული პასუხი მასწავლებლისთვის უკვე დამაკმაყოფილებელია.

მართალია, ამით მასწავლებელმა მიაღწია სწავლის პროცესის ერთ-ერთ მთავარ მიზანს – მოსწავლემ აზროვნების გააქტიურების გზით შეძლო მიღებული ინფორმაციის გაგება და, შემდეგ, გაგების საფუძველზე, მის შესატყვისად მოქმედება, საჭირო გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ აზროვნების რომელმა ფორმებმა წამოიწია ამ დროს წინ? რომელი აღმოჩნდა პრობლემის გადასაჭრელად ყველაზე ეფექტური? რომელს მიმართა მასწავლებელმა?

I ეტაპზე მოსწავლემ მეხსიერებაში აღადგინა ნაცნობი მასალა და მის საფუძველზე ინტუიციურად გასცა პასუხი კითხვას. II ეტაპზე მასწავლებელმა მოსწავლის გონებას ანალიზისა და ანალიტიკური დასკვნებისკენ უბიძგა და აზროვნების პროცესიც წარმატებით დასრულდა.

თანამედროვე ფსიქოლოგები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ აზროვნების ფორმებს შორის განსაკუთრებული თვისებების გამო გამოიკვეთება სწორედ ეს ორი – **ინტუიციური აზროვნება (ინსტინქტები)** და **დისკურსიული (ანალიტიკური, ლოგიკური) აზროვნება**, რომ მხოლოდ აზროვნების ამ ფორმების გამოყენებისას შეიძლება სწორი შედეგის მიღება ნებისმიერ საქმიანობაში, განსაკუთრებით – სწავლასა და სწავლებაში. ამის შესაბამისად, სასურველია, მასწავლებელმა ისე წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეთა მიერ ამ ორი ფორმის გავარჯიშება-ათვისებას მაიღწიოს.

რას წარმოადგენს თავად ეს ფორმები?

ინტუიცია – ეს არის შემეცნების ხედვა, ჭვრეტა, ხილვა, განსაკუთრებული უნარი, რომელიც ცდისა და ლოგიკური აზროვნებისგან დამოუკი-

დებლად, უშუალოდ სწვდება ჭეშმარიტებას. იგი შეიძლება წარმოიშვას სპონტანურად, უეცრად და ძირითადად ეყრდნობა მანამდე შეძენილ ცოდნას, სტრუქტურას, მონაცემებს, რომლებიც მას სწრაფი ნახტომების, წარმოდგენების საშუალებას აძლევს. ინტუიციას არ აქვს ლოგიკური ახსნა და არ გააჩნია მტკიცებულება. ადამიანი უბრალოდ გრძნობს, რომ არსებულ ვითარებაში ინტუიციურად მიღებული პასუხი სწორი იქნება. ამრიგად, ინტუიცია თავის თავში მოიცავს წინათგრძნობასაც, რადგან მასში იგულისხმება მომავალის მყისიერი **აღქმაც**.

ინტუიციურ აზროვნებას ახასიათებს:

- მონაცემების ფართო სპექტრისა და პარალელების გამოყენების შესაძლებლობა;
- ავტომატური, უნებლიე სააზროვნო პროცესი;
- სიტუაციის შესაბამისად მოქმედება;
- აზრების ნაკლები კონტროლი და გრძნობების, ემოციების გავლენა.

ინტუიციური აზროვნება (ინსტინქტები) უძველესი სააზროვნო ფორმაა, ხოლო **ანალიტიკური (ლოგიკური) ანუ დისკურსიული აზროვნება** შედარებით გვიან გაჩნდა ადამიანის ცხოვრებაში, მას შემდეგ, რაც მან გარკვეული გამოცდილება დააგროვა. თანდათან ინტუიციამ უკანა პლანზე გადაინაცვლა, წინ კი წამოიწია ანალიტიკურმა აზროვნებამ. ასეა დღესაც. თუმცა ინტუიციურ აზროვნებას დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მას თითქმის ყოველდღე ვიყენებთ ნებისმიერ საქმიანობაში.

რას წარმოადგენს აზროვნების მეორე, დისკურსიული ანალიზის, ფორმა? რატომ მიაჩნიათ ფსიქოლოგებს, რომ სასწავლო პროცესში მისი ჩართვა აუცილებელია? რით არის ეს განპირობებული? რა ნიშნები ახასიათებს დისკურსიულ აზროვნებას და, საზოგადოდ, როგორ შეგვიძლია მისი წარმატებით გამოყენება?

დისკურსი — ეს არის რთული კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც მოიცავს ტექსტსა და ცოდნას (კომუნიკაციის მონაწილეთა მხრიდან) და მათზე დამყარებულ შემეცნებას. დისკურსიული (ანალიტიკური) აზროვნებისთვის დამახასიათებელია:

- მონაცემების ნაკლებობა;
- აზროვნების პროცესის კონტროლირება;
- ეტაპობრივი მოქმედება;
- გასაგებად საუბარი;
- ხანგრძლივი მიმდინარეობა (დროში გაშლა).

სასწავლო პროცესში დისკურსის აქტიური გამოყენება საშუალებას გვაძლევს, არა მარტო გავაფართოოთ ტექსტთან მუშაობის დიაპაზონი — როგორც ცალკეული ცნებების უკეთ გააზრების, ასევე კოგნიტური სურათების წარმოდგენის თვალსაზრისითაც. ამის შესაბამისად, დისკურსიული აზროვნება შემდეგი სქემითაც შეიძლება გამოისახოს:



დისკურსის ანუ დისკურსიული აზროვნების დროს ხდება ინტერპრეტაცია იმისა, რასაც ძირითადად მივიჩნევთ ტექსტში (ანუ ძირითადი აზრის ინტერპრეტაცია) და არა ინტერპრეტირება იმ ცოდნისა, რასაც ეფუძნება თავად ტექსტი; დისკურსი ტექსტის ახლებურ გააზრებას, ახლებურ კვლევას, შინაარსობრივად გამდიდრებულ მხარეს, ტექსტის ახლებურ წაკითხვას გულისხმობს; ტექსტი აქ, ასე ვთქვათ, ერთგვარი მედიატორია, შუამავალი, შუაკაცი ჩვენსა და მომხდარ ფაქტს შორის, ხოლო დისკურსი — ეს არის ტექსტს პლუს კონტექსტი, რომლის დროსაც ფოკუსირება ანალიტიკურ აზროვნებაზე ხდება.

როდის უნდა მიმართოს მასწავლებელმა დისკურსიულ ანალიზს? როგორია დისკურსი-პრობლემის ურთიერთმიმართება?

რამდენადაც **აზროვნება პრობლემაზეა ორიენტირებული**, სწავლისას მნიშვნელოვანია იმ **სააზროვნო პროცესებისა და მათი სტრუქტურის გათვალისწინება**, რომლებიც პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმართული, ამიტომ აზროვნების ამ ფორმასაც პრობლემის არსებობის დროს მიმართავენ. თავის მხრივ, პრობლემაზე ორიენტირებულ აზროვნებას თავისი სტრუქტურა, დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ესენია:

- მოტივაცია;
- პრობლემის ანალიზი (რაც გულისხმობს ისეთი ტიპის საკითხებს, როგორებიცაა: „რა მოცემულობები გვაქვს?“ „რა არის საჭირო პასუხის მისაღებად?“ „რისი მოძიებაა საჭირო?“ — და ა.შ.);
- გადაწყვეტილების ძიება;
- გადაჭრის გზების მოძიება უკვე ნაცნობი ალგორითმის საფუძველზე (რეპროდუქტიული აზროვნება);

- მრავალრიცხოვანი ალგორითმიდან ოპტიმალურის მოძიება;
- სხვადასხვა კომბინაციიდან სწორი ვერსიის გამოყოფა;
- პრინციპულად ახალი გადაწყვეტილების მიღება (შემოქმედებითი აზროვნება);
- გადაწყვეტილების მიღება ლოგიკური განსჯის (ანალიზის, სინთეზის, შედარების, კლასიფიკაციის) საფუძველზე;
- ანალოგიების მაგალითის შესაბამისად;
- ემპირიული მეთოდების (შეცდომისა და ცდების) საფუძველზე;
- ევრისტიკული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

სააზროვნო პროცესების სტრუქტურის შესაბამისად გამოყოფენ **პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა სტადიას**, რომელთა გათვალისწინებაც ხელს უწყობს შემეცნების პროცესის წარმატებით წარმართვას და მასწავლებელს მუშაობას უადვილებს. ეს სტადიებია:

- მომზადება (მოქმედებისთვის);
- მომწიფება (ქმედებისთვის);
- მზაობა (პრობლემის გადაწყვეტისთვის);
- მიღებული გადაწყვეტილების შემოწმება.

დისკურსი მოითხოვს სერიოზულ ურთიერთობებს და სერიოზულ გონებრივ მუშაობასაც: ლექციას, საუბარს, დისკუსიას, არგუმენტაციას, გამოკვლევას და მტკიცებულებას. ამის კვალობაზე, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ტექსტის ანალიზსა და დისკურსანალიზს შორის მკვეთრი განსხვავებაა: როცა ვაანალიზებთ ტექსტს, ჩვენ ვაანალიზებთ მის ფორმალურ მხარეს, ხოლო როცა ვაანალიზებთ დისკურსს, ჩვენ ვაანალიზებთ იმ „შემეცნებას“, „ცოდნას“, რომელიც დგას ტექსტის უკან. ეს ყველაფერი იწვევს საკითხის ღრმად, ამომწურავად შესწავლას. ამიტომ არის აუცილებელი, რომ სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება დაეთმოს აღნიშნულ საკითხებს — ტექსტის ანალიზსაც და დისკურსიულ ანალიზსაც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ **დისკურსის** დროს ტექსტის რეალური შინაარსის დასადგენად მარტო ფაქტს კი არ აღვადგენთ, არამედ ღრმა ლინგვისტური ანალიზის, სიტყვათა, ცნებათა კონტექსტების გაგებაც ხდება.

ეს პროცესი თვალსაჩინოებისთვის სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

„არქეტიპი“ (არსებული ნარატივი, ტექსტი) > დისკურსი > მეტანარატივი (ფართო დისკურსი) > ახალი ტექსტი.

რაც შეეხება **დისკურსის კონტექსტს**, კომუნიკაციური სიტუაციის შესაბამისად, იგი შემდეგნაირია:

I – ფართო (კულტურულ-ისტორიული კონტექსტი);

II – ვიწრო (რიტორიკული ფორმისა), რომელიც ხელს უწყობს იდეების გენერაციას, ინტერაქციას, შემეცნების განვითარებას და გარკვეულწილად გულისხმობს შეფასებასაც.

მაგალითად, როდესაც მოსწავლეებთან განვიხილავთ **დისკურსს ომის შესახებ**, ვითვალისწინებთ არა მარტო იმას, რასაც ამბობენ "ომზე", არამედ იმასაც, აბსტრაქტული სოციალური აგენტი "ომი" როგორ გამოავლენს თავის თავს კომუნიკაციისას, რომელიც მთლიანად შეესატყვისება სიტყვა "ომს" (ტრადიციული გაგებით).

ასევე, მაგალითად, ვინაიდან პედაგოგიური პროცესი წარმოშობს ერთობლივ ჩართულობას სასწავლო პროცესში, **პედაგოგიური დისკურსიც**, როგორც ასეთი, თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა სტრატეგიას: განმარტებითს, შეფასებითს, მაკონტროლებელს, მაორგანიზებელ სტრატეგიას, თანადგომას და ა.შ.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ დისკურსი მოითხოვს გარკვეული **სტრუქტურის დაცვას**, ანუ **სტრუქტურირებას**. ამ დროს ისე უნდა მოხდეს, რომ სრულფასოვანი მსჯელობა – ტექსტი აიგოს. ამისთვის საჭიროა გარკვეული წესების გამოყენებაც:

- **შემოკლება** (ვრცელი ტექსტიდან ამოვიღოთ არაარსებითი ინფორმაცია);
- **განზოგადება** (ორი ან მეტი ერთნაირი მასალის შეპირისპირება);
- **აგება** (ანუ რამდენიმე წინადადებიდან კომბინირების გზით ერთი აზრის ჩამოყალიბება).

მაგალითად, როცა მოსწავლეებს დისკურსიული ანალიზისთვის შევთავაზებთ თემას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო" – დისკურსის სტრუქტურის I წესის მიხედვით (შემოკლების წესი) მოსწავლეებს ტექსტიდან ამოვაღებინებთ მხოლოდ ისტორიული შინაარსის მასალას, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ ეპიზოდებს, შესაფერის აბზაცებს, რეპლიკებს და ა.შ.; შემდეგ, II წესის მიხედვით, ტექსტში მოვაძიებინებთ იმ ადგილებს, რომლებიც ეხება, მაგალითად, ეკლესიების მშენებლობაში სამეფო ხელისუფლების როლს და დისკურსის სტრუქტურის III წესის გათვალისწინებით შევადგენინებთ ახალ ტექსტს – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" როგორც საისტორიო წყარო".

წერილობითი დისკურსის დროს **მასწავლებელს** შეუძლია გამოიყენოს გრაფიკული გამოსახულებებიც. შეიძლება გამოსადეგი იყოს ასეთი სიტყვებიც: „როგორც“, „ბოლოს და ბოლოს“, „რაც შეეხება“ და ა.შ.;

აღსანიშნავია, რომ **დისკურსის სტრუქტურირებისას მიღებულ მასალას რეფერატს ანდა რეზიუმესაც უწოდებენ**, ამიტომ დისკურსი, ზოგადად, წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ მათ შესაქმნელადაც.

> მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს, რომ ამოსავალი ტექსტი — პირობითად, ჟამთააღმწერლის მონათხრობი საქართველოში მონღოლთა ბატონობის შესახებ — გადააქციოს რეფერატად, რომელიც სულ რამდენიმე წინადადებისგან შეიძლება შედგებოდეს.

> თავის მხრივ, რეფერატის/რეზიუმეს შექმნა და, საერთოდ, მასალის ასეთი სტრუქტურირება **მოსწავლის ცოდნას სწორ ორგანიზებას აძლევს**. იგი გათვლილია ხანგრძლივ მეხსიერებაზე და დიდხანს ინახება გონებაში, შემდეგისთვის კი ადვილად გასახსენებელი და გამოსაყენებელია, ამიტომ ამ გზით მიღებული ცოდნა ძალიან ეფექტურია.

ეს ხერხები ეხმარება მოსწავლეს დასწავლის პროცესშიც და სწავლის დამთავრების შემდეგაც. შესაბამისად, მასწავლებლის როლი ასეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაშიც უმნიშვნელოვანესია.

საზოგადოდ, დისკურსიული ანალიზი ფართოდ გამოიყენება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ისტორიკოსები მას იყენებენ საარქივო მასალების გამოკვლევის დროს, სოციოლოგები — სხვადასხვა სახის ანკეტების, ინტერვიუების, საუბრების შესწავლის დროს და ა.შ. დისკურსის ჟანრებია ახალი ამბების დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, სამეცნიერო დისკურსი, პედაგოგიური დისკურსი და სხვა. რა არის ამ ჟანრების დანიშნულება?

მაგალითად განვიხილოთ ისტორიული დისკურსი — მისი დანიშნულებაა **ისტორიული ნაწარმოების დედააზრის გაგება**, იმ ეპოქაში გადასახლება, სამყაროს ნაწარმოების თვალით დანახვა, იმავე ენაზე საუბარი, ეპოქის სულის გაზიარება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ტექსტის შინაარსი შეიძლება ერთგვარად დაშიფრული სახით იყოს წარმოდგენილი, რითაც ისტორიული ტექსტები სხვა საგნობრივი დისციპლინებისგან განსხვავდება — აქ შეიძლება, ყოველმა ნარატივმა ისტორიული სიტუაცია, კონტექსტი წარმოგვიდგინოს იმგვარად, როგორიც იყო ის იმ დროს, რაც წარმოშობს ისტორიული დისკურსის აუცილებლობას „ძირითადი ტექსტის“ აღსადგენად, იმ ტექსტისა, რომელიც „არის

კიდეც სინამდვილეში ისტორიის სუბიექტი“. მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, ტექსტის აზრობრივი პროცენტი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ის, რაც მის შემოქმედს ჰქონდა ჩაფიქრებული.

დისკურსის მაგალითებია: მეფის სიტყვა კურთხევის დროს, მნიშვნელოვანი და საზეიმო გამოსვლის ტექსტი, შესავალი ან დასკვნითი სიტყვა სამეცნიერო თუ სხვა სახის კონგრესის გახსნა-დახურვის დროს, დაჯილდოების ან პრემიის მინიჭების დროს და სხვ.

როგორც ვხედავთ, ინტუიციური და დისკურსიული აზროვნება წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ მიზნის რეალიზებისთვის. ამის კვალობაზე, მათ აქტიურად იყენებენ თითქმის ყველა საგნის შესწავლისას (ფილოლოგია, ისტორიოგრაფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, სემიოტიკა, პედაგოგიკა, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნური ინტელექტი, ლიტერატურათმცოდნეობა და ა.შ.). მათი გამოყენება ხელს უწყობს დისციპლინათაშორისი კავშირების განმტკიცებას და მათი რეალიზების პოტენციალსაც შეიცავს.

მაგალითად, განვიხილოთ ასეთი ინფორმაცია:

„ფრენაზე ადამიანი უძველესი დროიდან ფიქრობდა, თუმცა 1870 წელს მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თვითმფრინავი. 1903 წელს წარმატებით განხორციელდა ძმები რაიტების პირველი გაფრენა თვითმფრინავით; 1961 წელს ადამიანი უკვე მთვარეზეც გაფრინდა; დღეს კოსმოსური ხომალდების საშუალებით უკვე აქტიურად მიმდინარეობს სამყაროს შესწავლა, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა გარე სამყაროში მას შემდეგ, რაც ადამიანმა ფრენა ისწავლა?“

პრობლემის გადაჭრა ბუნებრივად გულისხმობს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას:

- რა დროიდან აქვს ადამიანს ფრენის იდეა?
- რატომ გაუჩნდა მას ამის მოთხოვნილება?
- რა უნდა ეღონა ადამიანს მიზნის მისაღწევად?
- რის გაკეთება გადაწყვიტა მან პრობლემის მოსაგვარებლად?
- მეცნიერების რომელი დარგების განვითარებას შეუწყო ხელი ფრენის იდეამ?
- რა საზოგადოებრივ პირობებს უნდა შეეწყო ხელი ადამიანისთვის მიზნის მიღწევაში?
- როგორია ამ საქმის სადღეისო შედეგი?
- როგორ წარმოგვიდგენია სამომავლო შედეგი?

- რა გზით მიიღეთ პასუხები აღნიშნულ კითხვებზე?
- აზროვნების რომელი ფორმები გამოიყენეთ?
- მიიღეთ თუ არა პასუხი კითხვაზე, გადაჭერით თუ არა პრობლემა?
- გაიგეთ თუ არა, რა შეიცვალა გარე სამყაროში მას შემდეგ, რაც ადამიანმა ფრენა ისწავლა?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და ამოცანის გადასაწყვეტად მოსწავლე ინტუიციური აზროვნების გააქტიურებით ჯერ წარმოიდგენს სავარაუდო პასუხებს (მაგ., რომ ფრენის იდეა უძველესი დროიდან ჰქონდა ადამიანს, რომ იგი ბაძავდა სხვა ცოცხალ არსებებს, რომელთაც ფრენა შეეძლოთ და ეს მოხერხებულად მიაჩნდა, თუნდაც გადაადგილების გასაადვილებლად და ა.შ.), შემდეგ, ვინაიდან ინტუიციურად მიღებული დასკვნები მოითხოვს ანალიტიკურ განსჯას, მოსწავლე შეამოწმებს მიღებულ პასუხებს, დაადგენს მათ საანდოობას სხვა დისციპლინების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მექანიკის, ფსიქოლოგიის, სემიოტიკის, ლოგიკის, ანთროპოლოგიის, ხელოვნური ინტელექტის და ა.შ.) მოშველიებით და შესაფერის ლოგიკურ დასკვნებს გამოიტანს, რის შედეგადაც წარმატებით გადაწყვეტს ამოცანას.

როგორც ვხედავთ, **ინტუიციურმა და დისკურსიულმა აზროვნებამ** შეავსო ერთმანეთი — ინტუიციური აზროვნება დაეხმარა მოსწავლეს ისეთი პრობლემის გადაჭრაში, რომლისაც, შესაძლოა, საერთოდ ვერ მოეხერხებინა, ანდა საკმაოდ ნელა გადაეჭრა ანალიტიკური აზროვნების გზით, ლოგიკურმა, დისკურსიულმა აზროვნებამ კი შეძლო ინტუიციური აზრის, გრძნობის, ვიზუალური წარმოდგენების საჭირო სიტყვად და მოქმედებად გადაქცევა. საბოლოო ჯამში, ორივე მათგანის წარმატებით გამოყენების შედეგად პრობლემა ადვილად დაიძლია.

მას შემდეგ, რაც სწორად დაგეგმავს სასწავლო პროცესს და ხელს შეუწყობს მოსწავლეს **ინტუიციური და დისკურსიული აზროვნების** წარმატებით ათვისებაში, მასწავლებელს საგრძნობლად გაუადვილდება არა მარტო მასალის გადაცემა, არამედ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებაც და მოსწავლეებისგანაც რეალურ თვითშეფასებას მიაღწევს. საბოლოო ჯამში, სწავლა/სწავლების რთული პროცესი ხალისიანად, საინტერესოდ და შედეგიანად ჩაივლის.

ქსელური ჩანაწერების გაკეთების ტექნოლოგიები

თანამედროვე სასწავლო სისტემას თან ბევრი სიახლე ახლავს, რომელიც სწავლისა და სწავლების პრობლემების დაძლევაში გვეხმარებიან. ეს მექანიზმები სასწავლო პრაქტიკისათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან მათი გამოყენება არა მარტო დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ სასწავლო პროცესის გაცილებით სახალისოდ და საინტერესოდ წარმართვაში გვეხმარებიან.

სწავლებისა და სწავლის პროცესის ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს **ჩანაწერების გაკეთება**.

ჩანაწერების გაკეთება ხდება:

- დიდი მოცულობის ტექსტის ადვილად გაგებისათვის, გააზრებისათვის, ათვისებისათვის;
- ძირითადი იდეების, ცნებების ადვილად დამახსოვრებისათვის;
- ჩვენთვის საინტერესო საკითხების ჩანიშვნისათვის;
- თემის შეჯამებისათვის, ანალიზისა და სინთეზისათვის;
- არგუმენტირებული მსჯელობისათვის, ანალოგიებისათვის, შედარებისათვის;
- ტერმინოლოგიის ზუსტად ათვისებისათვის;
- სიმბოლური აზროვნების განვითარებისათვის;
- საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებისათვის;
- სხვადასხვა კოგნიტური პროცესების გააქტიურებისათვის და სხვ.

არ არსებობს ჩანაწერების გაკეთების ერთი კონკრეტული ფორმატი. პირიქით, ჩანაწერი მრავალგვარია: **სიტყვასიტყვით ჩანაწერების გაკეთება (რომელიც ნაკლებ ეფექტურ სტრატეგიად ითვლება), ჩანაწერების მუდმივად განახლება და შევსება, ჩანაწერი როგორც გზამკვლევი, ბევრი ჩანაწერი – მეტი წარმატება და სხვ.**

მაგრამ ჩანაწერების გაკეთების ეფექტურობისათვის საჭიროა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ, განსაზღვრონ და შემდეგ მოკლედ ჩამოაყალიბონ ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია მასწავ-

ლებლის მიერ მიცემული ნიმუში, რომელი ჩანაწერებიც ნათელ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს ზოგადად ჩანაწერების, მისი გამოყენების წესსა და მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ მასალის რა ნაწილს მიიჩნევს მასწავლებელი ყველაზე საყურადღებოდ.

გთავაზობთ მასწავლებლის მიერ მომზადებული ჩანაწერების მაგალითს (დიაგრამა 1-ზე). ესაა ჩანაწერების გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი გზა:

დიაგრამა 1.
მასწავლებლის მიერ მომზადებული ჩანაწერები:
ნუმიზმატიკა როგორც საისტორიო წყარო

I. რა არის ნუმიზმატიკა?

ნუმიზმატიკა სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც ძველებურ მონეტებს სწავლობს. ტერმინი წარმოსდგება ბერძნული სახელწოდებისაგან „ნომისმა“. ლათინურად მონეტას “ნუმისმა” ეწოდება, ეს იგივეა, რაც ქართული „საფასე“.

II. ნუმიზმატიკა: ისტორია

ა. პირველი მონეტები ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნაზე გაჩნდნენ ძველი სამყაროს ორ პუნქტში – მცირე აზიის სახელმწიფო ლიდიაში და კ. ეგინაზე (საბერძნეთში).

ბ. კ. ეგინაზე მონეტის მოჭრის თარიღად ასახელებენ VIII ოლიმპიური თამაშების უახლოეს პერიოდს. პირველი ოლიმპიადა შედგა ძვ. წ. 776 წელს, VIII – ძვ. წ. 748 წელს.

გ. „კოლხური თეთრი“, რომელიც უძველესი ქართული მონეტაა, ძვ. VI ს-დან გვხვდება.

III. საწარმოს, სადაც მონეტა იჭრება, ზარაფხანა ეწოდება.

ა. მონეტაზე მოთავსებულ წარწერას ლეგენდა ანდა ზედწერილი ჰქვია.

ბ. მონეტას ორი მხარე აქვს. შუბლზე (ავერსი) თავსდება ისეთი გამოსახულება, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქცია აქვს.

1. მასზე გამოსახულია ღვთაება, მონარქი, იმპერატორი, რესუბლიკის ან ქალაქის სიმბოლო;
2. ლიდიურ მონეტაზე გამოსახული იყო მორბენალი მელიები, რომელიც მათი წმინდა ცხოველი იყო და ა.შ.

რამდენადაც ჩანაწერების ფორმატი მრავალნაირია, შესაბამისად, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ჩანაწერების გაკეთების რამოდენიმე განსხვავებული მეთოდი წარუდგინოს.

ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმატია **არაფორმალური მონახაზი**. არაფორმალურ მონახაზში აბზაცები ძირითადი იდეებისა და მათთან დაკავშირებული დეტალების გამოკვეთის მიზნით გამოიყენება (მაგ.; მოსწავლემ შეიძლება მეორეხარისხოვანი იდეები და დეტალები აბზაცით გამოხატოს).

დიაგრამა 2-ზე მოცემულია **ჩანაწერი თემაზე – სამყაროს მითოსური აღქმა**, სადაც წარმოდგენელია უძველესი ისტორიული წარმოდგენების ძირითადი ასპექტები.

დიაგრამა 2
ჩანაწერი თემაზე – სამყაროს მითოსური აღქმა

მითების თანახმად, ადამიანის სხეული შეიქმნა მიწისაგან, სისხლი-წყლისაგან, ძვლები-ქვებისაგან, სუნთქვა – ქარისაგან, თვალები-მზისაგან.

- **უძველეს ისტორილ წარმოდგენებზე დიდი გავლენა იქონია რელიგიამ.**

მითოლოგიური ხანა ანუ მითოსური დრო, ანუ „საწყისი დრო“, „წინარედრო“, „კვაზიდრო“, როდესაც მხოლოდ ღმერთები მოქმედებენ და მათ მოქმედებაში გაურკვეველია დრო.

- **უძველესი ადამიანების მიერ აღქმულ სამყაროს, გარემომცველ სინამდვილეს სამყაროს „მითოსური ახსნა“ ეწოდება.**

მითი – ღმერთების ასპარეზია.

- **თეოგონია – ესაა მითები ღმერთების წარმოშობის შესახებ.**

ნამდვილი, ჭეშმარიტი მითი ყოველთვის თეოგონიაა.

- მითი – თქმულება, რომელშიც გადმოიცემოდა უძველესი ხანის ადამიანების რწმენა, მათი წარმოდგენები სამყაროს წარმოშობაზე, ბუნების მოვლენებზე, ღმერთებსა და ზღაპრულ გმირებზე.

როდესაც მოსწავლე უკვე ფლობს ჩანაწერის გაკეთების ზოგად ტექნოლოგიებს, მას უკვე შეგვიძლია შევთავაზოთ ჩანაწერების გაკეთების კიდევ უფრო ეფექტური ფორმატი – ჩანაწერებისას ნახაზების, სიმბოლოების გამოყენება; მოსწავლეებმა უნდა შეძლონ გამოიყენონ ხაზების ენა, რათა არა მარტო შეძლონ **საკითხების სქემატიზება ანუ ჩანაწერებისას მათი გამოყენება**, არამედ ამ ჩანაწერების (ამ დროს გამოყენებული ხაზების) საშუალებით საკითხების გადაჭრაც.

ამ მიზნით სწავლებისას აქტიურად გამოიყენება **ქსელური ჩანაწერების მეთოდი**. იგი იდეების ფარდობითი მნიშვნელოვნების გამოსახატავად გულისხმობს სხვადასხვა ზომის წრეების, ხოლო იდეებს შორის ურთიერთკავშირის წარმო-

საჩენად — ხაზების გამოყენებას. ამ დროს შედარებით მნიშვნელოვანი იდეები უფრო დიდი, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი იდეები — უფრო პატარა წრეებითაა წარმოდგენილი. წრეების მაკავშირებელი ხაზები იმაზე მიანიშნებენ, რომ წრეებით გამოხატული იდეები ერთმანეთს რაღაცით უკავშირდება.

ქსელური ჩანაწერების უპირატესობა ისაა, რომ ასეთი ჩანაწერები ინფორმაციის სათანადო ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევიან (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 — მოცემულია ქსელური ჩანაწერი რომის არმიის შესახებ



მიუხედავად ქსელური ჩანაწერები ეფექტურობისა, მათ **გარკვეული ნაკლოვანებაც** გააჩნიათ, რაც შემდეგში მდგომარეობს: ასეთი ჩანაწერები მეტ-ნაკლებად ზღუდავენ მოსწავლეს, რადგან მას შედარებით მცირე მოცულობის ინფორმაციის ჩანიშვნა უწევს; დიდი მოცულობის ინფორმაცია, უბრალოდ, წრეებში ვერ ჩაეტევა.

საგაკვეთილო პროცესში შესაძლებელია **კომბინირებული ტექნიკის — არაფორმალური მონახაზისა და ქსელური ჩანაწერების ერთობლივი გამოყენებაც**.

კომბინირებული ტექნიკის გამოყენებისას, ჩანაწერების თითოეული გვერდი ორი ხაზის გავლებით სამ ნაწილად იყოფა.

კომბინირებული ტექნიკის ჩანაწერი ასე გამოიყურება — ფურცელი დაყოფილია მარცხენა, მარჯვენა და ქვედა ნაწილებად:

- ერთი ხაზი ვერტიკალურადაა დაშვებული ზემოდან და შუაზე ჰყოფს გვერდს;
- მეორე ხაზი ჰორიზონტალურად არის გავლებული და გვერდის ბოლო ნაწილს გამოყოფს;
- მარცხენა ნაწილი გამოიყენება ინფორმაციის მონახაზის წარმოსადგენად;
- მარჯვენა ნაწილი განკუთვნილია ქსელური მეთოდით ინფორმაციის ჩანიშვნისათვის;
- ხოლო ფურცლის ქვედა ნაწილი შემაჯამებელი ინფორმაციისთვისაა შემონახული.

ჩანაწერების გაკეთების კომბინირებული ტექნიკის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ინფორმაციის გარკვეული ვიზუალური ფორმით ფურცლის მარჯვენა მხარეს წარმოდგენა შეძლონ. ამისათვის აუცილებელია, მოსწავლეები ფურცლის მარცხენა უჯრედში ჩანაწერების გაკეთებისას, დროდადრო შეჩერდნენ და სიტყვიერად დაფიქსირებული ჩანაწერები ვიზუალურად გამოსახონ.

დიაგრამა 4
ჩანაწერების გაკეთების კომბინირებულ ტექნიკა
ეკონომიკური კრიზისები

ეკონომიკური კრიზისები
ეკონომიკურ კრიზისებს ძირითადად იწვევენ ფულად-სასაქონლო ურთიერთობები, როდესაც პროდუქციის მიწოდებასა და მოხმარებაზე ბალანსი დარღვეულია და ფასები უფრო მაღალია, ვიდრე მისი თვითღირებულება.



ეკონომიკური კრიზისების დროს ფასები არ შეესაბამება პროდუქციის თვითღირებულებას

ჩანაწერების გაკეთების კომბინირებული ტექნიკა მოსწავლისაგან დამატებითი დროის ხარჯვას მოითხოვს, მაგრამ სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ **მოსწავლეს ინფორმაციის გააზრება ორჯერ უხდება.**

რაც შეეხება ფურცლის ქვედა უჯრედს, მოსწავლე მას დროდადრო ავსებს, ფურცლის მარჯვენა და მარცხენა უჯრედებში ჩანიშნული ინფორმაციიდან გამოტანილი დასკვნების საფუძველზე. ეს კი **მას ინფორმაციის მესამედ გააზრების საშუალებას აძლევს**. ამით ხდება ერთგვარი შეჯამება, რომლის დროსაც მოსწავლეს უყალიბდება კონკრეტულ საკითხზე მკაფიო და ნათელი წარმოდგენა, ხდება მისი ცოდნის გამოკვეთა, მისი უნარების სინთეზი.

როგორც ვხედავთ სქელური ჩანაწერების გაკეთება უმნიშვნელოვანესი უნარჩვევებია, რომლებიც შეიძლება მოსწავლეს განუვითაროთ, რადგან ისინი მოსწავლეებს შესასწავლი მასალის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების განსაზღვრასა და გააზრებაში ეხმარებიან.

საშინაო დავალება და პრაქტიკა – სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდი

სწავლა-სწავლების უმთავრესი მიზანი, ახალი უნარისა და ცოდნის ათვისება, რამდენიმე ეტაპად იყოფა:

- ძირითადი კონცეპტების შესწავლა;
- საჭირო უნარ-ჩვევების მოდელირება;
- პრაქტიკა მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით;
- პროექტზე/სავარჯიშოზე დამოუკიდებლად მუშაობა.

კონკრეტული უნარის ათვისების პროცესი ყოველთვის გულისხმობს გააზრებას (ანუ ათვისებული მასალისთვის გარკვეული ფორმის მიცემას), რადგან ამ დროს მოსწავლე **კონცეპტუალურად გაიაზრებს** ახალ უნარს. უამისოდ იგი სწორად და ეფექტურად ვერ გამოიყენებს ნასწავლს. მოსწავლეს უნდა ესმოდეს იმ უნარ-ჩვევის არსი, რომელსაც ეუფლება. ამისთვის მას კონკრეტული სავარჯიშოების შესრულებაც დასჭირდება. ამავე დროს, ახალი უნარის უკეთ გასააზრებლად საჭიროა, სწორად დაიგეგმოს მოსწავლეთა დროც (ახალი უნარის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას გარკვეული ხანი სჭირდება). ამიტომ არის, რომ უნარ-ჩვევის განვითარება, როგორც წესი, გარკვეული ხნის განმავლობაში მიმდინარე მიზანმიმართულ პრაქტიკასაც უკავშირდება. ამ დროს სავარჯიშოების/დავალებების მეშვეობით პრაქტიკულად ხდება იმ უნარების განმტკიცება, რომელთა საჭიროებაც გამოიკვეთა გაკვეთილზე. პრაქტიკის დროს მოსწავლეები ათვისებულ მასალას უკეთ გაიაზრებენ და თავიანთი სწავლის საჭიროებებსაც მოარგებენ.

მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა უპირველესად საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. იგი აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს და აიძულებს მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე, რაც უნდა კარგად ჩატარდეს იგი, ხდება მასალის ხანმოკლე დამახსოვრება. ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის გადატანას განმეორება ანუ გარკვეული სახის სამუშაო სჭირდება, ამ როლს კი მეტწილად საშინაო დავალება ასრულებს. ვინაიდან გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 10-12 საათის განმავლობაში ინტენსიურად „გვავიწყდება“, სასურველია, საშინაო დავალება იმ დღესვე შესრულდეს – მასალის გაგებიდან

პირველი საათის განმავლობაში გვახსოვს მხოლოდ 40%, 2-2,5 საათის შემდეგ – 28%. ასე რომ, საშინაო დავალება საშუალებას გვაძლევს, ცოდნა ოპერატიული მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადავიტანოთ. ამ დროს მოსწავლის ცოდნა და უნარი თანაბრდება (ეს განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა მასალის ათვისებაში დიდი ჩავარდნაა, მაგალითად, გაცდენის გამო).

საშინაო დავალების სწორი ორგანიზებისთვის საჭიროა, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული დავალების მიზანი (დავალების მიზნის განსაზღვრა, შინაარსის შერჩევა მიზნის შესაბამისად ანუ ორგანიზების ფორმის შერჩევა), ფუნქციები, შინაარსი, დავალების კონტროლის მექანიზმი (გააერთიანონ ყველა რესურსი მოცემული დავალების შესასრულებლად, განახორციელონ კონტროლი – გარკვეული საკორექციო სამუშაო მიზნის მისაღწევად და თვითკონტროლიც – კორექციისთვის), **საშინაო დავალების ორგანიზაციის საშუალებები, პირობები და მოტივაცია (დავალების შესრულების აუცილებლობის გაგება)**.

სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ საშინაო დავალების შემდეგ სახეებს: ინდივიდუალურს, ჯგუფურს, შემოქმედებითს, დიფერენცირებულს, საერთოს მთელი კლასისთვის, დავალებას წყვილისთვის.

- ინდივიდუალურ დავალებას ყველაზე ხშირად ცალკეულ მოსწავლეებს აძლევენ. ასეთი დავალება ხშირად საგანგებოდაა მომზადებული.
- ჯგუფური მუშაობა სრულდება კონკრეტული დავალების შემთხვევაში, რომელიც საერთო საკლასო დავალების შემადგენელი ნაწილია. ასეთი დავალებები უმჯობესია წინასწარ მივცეთ.
- დიფერენცირებული საშინაო დავალება შეიძლება გაითვალოს როგორც „ძლიერ“, ისე „სუსტ“ მოსწავლეზეც.
- „საერთო დავალება მთელი კლასისთვის“ ნაკლებად შემოქმედებითი ხასიათისაა, თუმცა მისი შესრულების დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ სხვადასხვა უნარი და ხდება ცოდნის ფორმირება.
- დავალება წყვილისთვის – სახალისო და ნოვატორული მიდგომაა, ეფექტურია მისი შესრულება მერხის მეზობელთან ერთად. ამ დროს დაახლოებით მეორდება გაკვეთილზე არსებული სიტუაცია.
- შემოქმედებითი საშინაო დავალება – უმჯობესია მივცეთ არა წინა დღეს, არამედ რამდენიმე დღით ადრე.
- ყოველდღიური – გაკვეთილზე შეძენილი უნარების ავტომატიზაციისთვისაა.
- პერსპექტიული – გათვლილია მომავალი თემებისთვის.

საშინაო დავალების დადებითი შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი უფრო მეტი ინტერესითა და ყურადღებით იქ-

ნება განწყობილი. ამისთვის რამსდენიმე მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- გაკვეთილისა და საშინაო დავალების პროცესის სწორად აგება;
- საშინაო დავალების მიღწევადობა და დოზირება;
- საშინაო დავალების დიფერენციაცია;
- საშინაო დავალების შინაარსში ევრისტიკის ჩართვა;
- დავალების მიცემის დრო (იგი ისე უნდა შეირჩეს: გაკვეთილის დასაწყისში, ბოლოს ან შუაში, – რომ ამან მოსწავლე მოამზადოს, განაწყოს ახალი მასალის მისაღებად, რის შედეგადაც დავალების შესასრულებლად გაწეული მოსაწყენი და მძიმე შრომა შეიძლება სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობად იქცეს);
- დავალებამ საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეს, რამდენიმე გაკვეთილი ერთ სისტემაში მოაქციოს, ერთმანეთთან ჰარმონიულად დააკავშიროს;
- დავალების შესრულება ანუ ცოდნის შეძენა პიროვნული ხასიათის პროცესად უნდა იქცეს. ამით მოსწავლეს შეეძლება, ცოდნა გადააქციოს შემეცნების ინსტრუმენტად, რაც უაღრესად დადებით გავლენას მოახდენს.
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოზარდის უნარები და ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიც;
- შესრულებული სამუშაო მითითებულ დროში და სათანადოდ უნდა შეფასდეს (დაუშვებელია მიცემული დავალების ეპიზოდურად, დროის დაუცველად გასწორება. ეს ისეთივე დეზორგანიზებულს ხდის სასწავლო პროცესს, როგორსაც საშინაო დავალების მიუცემლობა);
- უნდა ვეცადოთ, საშინაო დავალებები იყოს მრავალფეროვანი, რითაც ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში სხვადასხვა პიროვნული თვისების ჩამოყალიბებას;
- სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ გაკვეთილზე შევძლებთ მის შემოწმებასა და შეფასებას, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას არ უნდა დავივიწყოთ საშინაო დავალების დაგეგმვა და ამისთვის დროის გამოყოფა;
- არ არის აუცილებელი, საშინაო დავალება ყველა მოსწავლისთვის ცალცალკე შევადგინოთ;
- გაკვეთილზე აუცილებლად უნდა მოვახერხოთ მოსწავლეთა უნარების შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი სახლში შეძლებს მიცემული დავალების შესრულებას;
- დავალებად მივცეთ მხოლოდ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულების მეთოდებსაც უკვე ფლობენ და „გამომგონებლობა“ არ დასჭირდებათ;
- დიფერენცირებული დავალება მივცეთ მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობის უნარების განსამტკიცებლად;
- მოსწავლეებს არ უნდა გაუჩნდეთ ეჭვი იმის თაობაზე, რომ დავალების შესრულება საჭიროა, შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი აუცილებლად მიეცეთ ვადა, რომლის შემდეგაც მას ხელახლა მოვთხოვთ ამ დავალებას;

- თუ მიცემული დავალება მხოლოდ იმას შეიცავს, რაც უკვე ითქვა კლასში, თუ მხოლოდ იმის განმეორება უნდა იყოს, რაც კარგად იცის, მხოლოდ იმ უნარებს განამტკიცებს, რომლებიც კარგად აქვს ათვისებული, მაშინ მისი შესრულება დროის ამაო ხარჯვაა მოსწავლისთვის, ზედმეტი სტრესია. ასეთი დავალების ადგილი თანამედროვე სასწავლო სისტემაში არ არის და უმჯობესია, საერთოდ არ მივცეთ. ყოველ ახალ დავალებას ახალ ნიშნულზე უნდა აჰყავდეს მოსწავლე, მისი ცნობისმოყვარეობის სტიმულს უნდა ზრდიდეს.

საშინაო დავალების ინოვაციური სახეობებია დიაგნოსტიკური საშინაო დავალება, საშინაო საკონტროლო დავალება, საშინაო პროექტი-დავალება, საშინაო ლაბორატორიული დავალება და საშინაო ექსპერიმენტი.

საშინაო დავალებებს სხვადასხვა ხასიათი აქვს: საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, განმავითარებელი, ევრისტიკული, მაპროგნოზირებელი, ესთეტიკური, დიაგნოსტიკური, ინტეგრირებული, რეფლექსიური, მქადაგებლური, კვლევითი და ინფორმაციული (მაგალითად, **დიდაქტიკურია** ისეთი დავალებები, რომელთა მეშვეობით ხდება ახალი მასალის დასწავლა, ახალი ცოდნის შეძენა, ახალი უნარების ათვისება, ცოდნის, უნარების, შესაძლებლობების გამოყენება, ცოდნის განზოგადება და სისტემატიზება, ცოდნის შემოწმება, უნარების, შესაძლებლობების შემოწმება, კომბინირებული სამუშაო, რომელსაც რამდენიმე დიდაქტიკური მიზანი აქვს და სხვ., **შემოქმედებითი ხასიათისაა** ისეთი დავალებები, რომლებიც გულისხმობს რეკონსტრუირებას და ნაწილობრივ — ძიებას, კვლევას).

როგორც აღვნიშნეთ, დავალების შესრულებისას უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კონტროლი და თვითკონტროლი.

მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების თვითშეფასების პირობები:

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს თავის მიერ შესრულებული დავალების სათანადოდ შეფასება, საჭიროა:

1. გამოყოს ის დავალებები:

ა) რომლებსაც ვერ ასრულებს (და უპასუხოს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რატომ?);

ბ) გამოყოს დავალებები, რომლებსაც ასრულებს დამატებითი ინფორმაციის წყაროების გამოყენების გზით (რომელ ეტაპზე გახდა საჭირო დახმარება? შეძლებს თუ არა მეორედ ამავე ტიპის დავალების დამოუკიდებლად შესრულებას?);

გ) რომელი დავალებები არ არის რთული?

2. „დაუმთავრებელი თეზისი“ – შესთავაზეთ მოსწავლეს, დაასრულოს (ზეპირად ან წერილობით) წინადადება: „ჩემთვის ყველაზე რთული იყო...“
3. შესთავაზეთ დავალება ამავე თემაზე;
4. „საშინაო დავალების ანალიზი“ – აღწეროს შესრულებული დავალების არსი, სტრუქტურა.

საშინაო დავალების შესასრულებლად მნიშვნელოვანია **დაწვრილებითი ინსტრუქცია**. ინსტრუქციაში აუცილებლად უნდა მივუთითოთ სამუშაოს თანამიმდევრობა (რით დაიწყოს, რაზე გადავიდეს, რით დაამთავროს), როგორ იმუშაოს (მარტომ თუ ამხანაგთან ერთად, მხოლოდ წაიკითხოს და მოჰყვეს, წაიკითხოს ნაწილებად და შემდეგ მოჰყვეს თუ წაიკითხოს და გზადაგზა გადახედოს რუკას, სქემას, ნახატს და ა.შ.). ამავე დროს უნდა შევამოწმოთ, როგორ გაიგო სამუშაოს შინაარსი და მისი შესრულების პირობები.

საშინაო დავალების აგება უნდა მოხდეს თანდათანობითი გართულების წესით. მაგალითად, როგორც კი მოსწავლეები დაეუფლებიან ქრონოლოგიური ტაბულების აგების უნარებს (თარიღი – მოვლენა, თარიღი – მოვლენა – შედეგი, მნიშვნელობა; თარიღი – მოვლენა – შინაარსი – მნიშვნელობა), შეიძლება გადასვლა უფრო რთულ ტაბულებზეც (მაგ., „ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია“, „ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობა“ და ა.შ. ასევე მოხდება ორგანიზება სწავლების სხვა საშულებებისა – რუკებისა, სქემებისა, სხვა ვიზუალური მასალისა.

დავალებებს შორის გვხვდება ისეთი პრაქტიკული სამუშაოები, რომლებიც კვლევითი ხასიათისაა და გარკვეულ ლაბორატორიულ სამუშაოსაც მოიცავს. **საშინაო ლაბორატორიული დავალების მთავარი მიზანია**, მოსწავლემ შეიძინოს პირადი გამოცდილება. ლაბორატორიული დავალების განსაკუთრებული ხასიათი ვლინდება იმით, რომ მასში ზედმიწევნითაა აღწერილი ის პროცედურები, რომლებიც უნდა ჩაატაროს მოსწავლემ. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს მიღებული შედეგების დამოუკიდებლად ფორმულირება.

თუმცა **საშინაო დავალების შესრულების დროს ხანდახან საჭიროა ადრე ნასწავლი მასალის გამეორებაც**, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მიმდინარე გაკვეთილთან. მაგალითად, მოსწავლეები უკეთ გაიგებენ ჰუმანიზმის ეპოქის იდეებს, თუ მათ გავამეორებინებთ წინა პერიოდის მასალას, მაგალითად, ანტიკური პერიოდის ისტორიოგრაფიას.

განვიხილოთ საშინაო დავალების ორგანიზების რამდენიმე ნიმუში ისტორიის სწავლების მაგალითზე (აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, მოსწავლეთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა საშინაო დავალების სწორი ორგანიზება).

1. **ნიმუში – „საშინაო დავალების სამი დონე“**. ამ დროს მასწავლებელი მოსწავლეებს ერთდროულად აძლევს ორი ან სამი დონის საშინაო დავალებას.

I – **აუცილებელი მინიმუმი**. მისი მთავარი მახასიათებლები: სავსებით გასაგები და შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი მოსწავლისთვის (ასეთი დავალებები უმეტესად კარგად წარმოაჩენს მოსწავლის წარმოდგენას ზოგადისტორიულ – საკუთარი ქვეყნისა თუ მსოფლიოს ისტორიის – პროცესებზე, შეუძლია ისტორიული ცოდნის გამომჟღავნება თავისი ქვეყნის თუ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ზოგადი საუბარი ისტორიულ პირებზე, საზოგადოებრივ ფენებზე, სოციალურ კუთვნილებაზე, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა მხარეზე და სხვ.);

II – **ესაა ერთგვარი ვარჯიში, ტრეინინგი**. მას ასრულებენ ის მოსწავლეები, რომლებმაც იციან საგანი და განსაკუთრებული სირთულის გარეშე ითვისებენ პროგრამას. მასწავლებლის გადაწყვეტილებით, ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ პირველი დონის დავალებისგან.

ამ ტიპის დავალებებია: ა) განსაზღვრეთ ქრონოლოგიური ჩარჩოები (მაგალითად, ისტორიული ეპოქებისა); ბ) გამოყავით ისტორიული პროცესების ძირეული მახასიათებლები (მაგ., მსოფლიო ომებისა); გ) დაალაგეთ მოვლენები მიზეზშედეგობრივი პრინციპის მიხედვით (მაგ., პუნიკური ომები); დ) წაიკითხეთ ისტორიული რუკები (მაგ., „საქართველო IX-XI სს-ში“); ე) დააზუსტეთ ინფორმაცია რამდენიმე წყაროს (მატერიალური, ნარატიული და ა.შ.) გამოყენებით; ვ) დაახასიათეთ სხვადასხვა ეპოქის ადამიანთა საქმიანობა ცხოვრების წესის მიხედვით და ჩამოაყალიბეთ ინფორმაცია წერილობით და ზეპირად; ზ) შეაფასეთ ისტორიული მოვლენები და პირები, მოიყვანეთ შესაფერისი არგუმენტები; თ) ისაუბრეთ კულტურათა დიალოგზე და სხვ.

III – **გამოიყენება თემისგან დამოუკიდებლად, კლასის მოსამზადებლად**. ესაა შემოქმედებითი საქმიანობა, ჩვეულებრივ, სრულდება სურვილისამებრ და მასწავლებლისგან სტიმულირდება მაღალი შეფასებით და დიდი მოწონებით.

ასეთი დავალებების დიაპაზონი ფართოა. მაგალითად, მოსწავლეებს სთავაზობენ მოხსენების, ესეს, თხზულების, რეფერატის დაწერას, ნახატის, კროსვორდის შექმნას და სხვ. ასეთი დავალება ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურის ჩამოყალიბებასაც;

მასწავლებელს სამივე დონეზე შეუძლია, მასიურად დასვას კითხვები, ანუ მოსწავლეებს შესთავაზოს დიდი რაოდენობის კითხვა, დავალება, ამოცანა, საიდანაც მოსწავლე თავად ამოარჩევს იმდენს, რამდენსაც მიიჩნევს საჭიროდ (ამ შემთხვევაში მთავარია ფსიქოლოგიური ეფექტი — დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაო მოსწავლეს ათვითრეალიზაციის დამატებით საშუალებას აძლევს; მოსწავლე თვითონ ირჩევს იმ დონის დავალებებს, რომელთა შესრულებაც ხელეწიფება. ამით იგი თავად განსაზღვრავს თავისი კომპეტენტურობის ზღვარს.

ამ ტიპის დავალების შესრულების დროს მიიღწევა თანხმობა მოსწავლესა და დავალების დონეს შორის (ის სწავლობს დავალების სირთულის პირველივე შეხედვით შეფასებას); სხვადასხვა დავალების შესრულებისას მოსწავლეებს ეძლევათ დამატებითი საშუალება, გაუზიარონ ერთმანეთს გადაწყვეტილებები; კითხვების, დავალებების არჩევისას მოსწავლეები ეცნობიან დანარჩენებსაც, რაც აფართოებს მათ აზროვნებას, თვალსაწიერს.

განვიხილოთ სხვა ნიმუშებიც:

2. ნიმუში — „განსაკუთრებული დავალება“

კლასში ყოველთვისაა მოსწავლე, ერთგვარი „ოლიმპიური რეზერვი“, რომელსაც მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. თუ ყურადღება განსაკუთრებულია, ე.ი. დავალებაც შესაფერისია — ასეთი მოსწავლეები განსაკუთრებით რთულ დავალებებს ასრულებენ. დავალებები სრულდება სპეციალურ ფურცელზე და გულისხმობს განსაკუთრებული სირთულის სავარჯიშოებსა და შემოქმედებით სამუშაოს.

3. ნიმუში — „არაჩვეულებრივი ჩვეულებრიობა“

საშინაო დავალების ფორმულირება და არჩევანი, სავსებით შესაძლებელია, იყოს არაჩვეულებრივი. მაგალითად, მოსწავლეებს დავალების ნომრის, შეკითხვის გასაგებად გავათამაშებინოთ ლატარია ან რამე სხვა სახალისო ხერხი მოვიგონოთ.

4. „წინასწარი დავალება“

ისტორიის სწავლებისას ფართოდ გამოიყენება **დავალების წინასწარ მიცემის მეთოდიც**, მაგ., განსაზღვრული მასალის წინასწარ წაკითხვა „აქტიური კითხვის“ მეთოდით, რომლის დროსაც მოსწავლეები ჩაინიშნავენ საჭირო საკითხებს, გააკეთებენ ჩანაწერებს და ა.შ. საზოგადოდ, აუცილებელია, **ისტორიის სწავლებისას** დავალებები მხოლოდ პროგრა-

მულ ან დამატებით მასალაზე კი არ იყოს აგებული, არამედ **განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ისტორიულ წყაროებზე მუშაობასაც**.

5. „დიფერენცირებული დავალება“

მოსწავლის შემეცნებითი ინტერესის სტიმულირებაში, ამა თუ იმ საგნის შესახებ რაც შეიძლება მეტის გაგების სურვილის გაღვივებაში დადებით როლს ასრულებს **დიფერენცირებული საშინაო დავალება**. იგი **დამოკიდებლობას უვითარებს მოსწავლის, ზრდის მის პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის მიმართ**.

ისტორიაში საშინაო დავალება სრულდება როგორც ზეპირად, ისე წერილობით. წარმატებებიც და შენიშვნებიც სხვადასხვა ფერის კალამით შეიძლება გამოიხატოს. მაგ., შენიშვნა — წითლით, წარმატება — მწვანით (რომელიც, საზოგადოდ, კარგ მასტიმულირებელ ფერად მიიჩნევა და ამ მხრივაც დადებითი ეფექტი აქვს მოსწავლისთვის).

უნარის სათანადოდ განსავითარებლად აუცილებელია, მოსწავლეები სწავლის/დავალების შესრულების ტემპისა და ათვისებული მასალის/შესრულებული დავალების სისწორის კონტროლსაც მივაჩვიოთ.

შესრულებული დავალების ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება, თუ მოსწავლეებს აქტიურად ჩავრთავთ დავალების შერჩევის, ორგანიზებისა და შეფასების პროცესში.

საშინაო დავალების შესრულებითა და პრაქტიკული მუშაობით მოსწავლეები კარგად აითვისებენ და განიმტკიცებენ გაკვეთილზე გამოკვეთილ უნარ-ჩვევებს, გაიუმჯობესებენ კომუნიკაციურ კულტურას, უკეთესად ჩასწვდებიან შესასწავლ მასალას, მეტად მოტივირებულები იქნებიან გაკვეთილზე, მასწავლებელს კი სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა გაუადვილდება.

ინტერვიუს ტექნოლოგია და ცოდნის აგების პროცედურები

როგორც ვიცით, სწავლა მიზანმიმართული პედაგოგიური პროცესია, რომელიც დაფუძნებულია ცოდნის ორგანიზებასა და სტიმულზე, შემოქმედებით უნარებზე, მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ-ესთეტიკურ შეხედულებებზე. ამის მისაღწევად კი მასწავლებელმა უნდა შეძლოს:

I – მიაღწიოს საგანმანათლებლო მიზანს (ცოდნის, უნარების დაუფლებას);
II – მიაღწიოს განმავითარებელ შედეგს (აზროვნების, მახსოვრობის, შემოქმედებითი უნარების განვითარებას);
III – მიაღწიოს აღმზრდელობით მიზანს (მსოფლმხედველობის, ზნეობის, ესთეტიკურ-კულტურული უნარების ჩამოყალიბებას).

მაგრამ სასურველი შედეგის მისაღებად რა გულდასმითაც არ უნდა დაგეგმოს მასწავლებელმა მეცადინეობა, გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება და სულიერი სიმაღლე არ მიიღწევა ძალდატანებით. სრულფასოვანი სულიერი სიმდიდრე გულისხმობს ადამიანის მისწრაფებას ცოდნის სრულყოფისკენ, მეცნიერების, ხელოვნების დაუფლებისკენ, ამიტომ მიზანი მაშინ იქნება მიღწეული, თუ მასწავლებელი შეძლებს მოსწავლეთა მხრიდან ადეკვატური რეაქციის მიღებას. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოხდება არა მარტო მაშინ, როცა სასწავლო პროცესი ხელს შეუწყობს ჯანსაღი მოტივებისა და ინტერესების წინ წამოწევას, არამედ მაშინ, როცა გადაწყდება საკითხი, რა გზით გაზომოს მასწავლებელმა მოსწავლის „მისწრაფებათა ხარისხი“, როგორ მიხვდეს, რომ სასწავლო პროცესი სწორი გზით მიდის.

სწავლის პროცესში მოსწავლეთა ცოდნა განისაზღვრება შეფასების სისტემით, რომელიც ძირითადად განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზეა დამყარებული და მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას ეფუძნება. მაგრამ სწავლის ძირითადი მიზანი ხომ შეფასება არ არის, ჩვენ ხომ მხოლოდ იმისთვის არ ვასწავლით მოსწავლეს საგანს, რომ პატარა ცოცხალმა ბიბლიოთეკებმა იარონ ქვეყნად, არამედ იმისთვის, რომ, მაგალითად, შეეძლოთ მათემატიკურად აზროვნება, ან თავად განიხილონ პრობლემა ისე, როგორც ამას გააკეთებდა ისტორიკოსი და სხვ., ვასწავლით იმისთვის, რომ, საერთოდ, თავად მიიღონ მონაწილეობა ცოდნის მოპოვებაში. ეს ჩვევები მნიშვნელოვანია არამარტო

მოსწავლისთვის — ისინი ეხმარებიან მასწავლებელსაც მოსწავლეთა კოგნიტური ზრდის დანახვაში.

რომელია შეფასების ის უნივერსალური სისტემა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს კოგნისტური ზრდის ზედა საფეხურების წვდომას? ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია, რადგან ამ საფეხურის წვდომა ნიშნავს იმას, რომ სასწავლო პროცესის სამივე კომპონენტი (საგანმანათლებლო მიზანი, განმავითარებელი შედეგი და აღმზრდელობითი მიზანი) წარმატებით განხორციელდა და მასწავლებელმა შედეგი მიიღო. შეფასების ასეთ სისტემას თვითშეფასება ეწოდება. მოსწავლის თვითშეფასება ცოდნის შეძენისა და შემეცნებისკენ მისწრაფების ანუ პრაქტიკული მოღვაწეობის გზით მიიღება და იგი, როგორც პიროვნების თვითშემეცნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, აუცილებელ მომენტს წარმოადგენს იმ ჰარმონიული ურთიერთობისთვის, რომელსაც ამყარებს ადამიანი როგორც თავის თავთან, ისე სხვა ადამიანებთან. შესაბამისად, თვითშეფასება აადვილებს, უფრო წარმატებულს ხდის იმ ურთულეს პროცესს, რომელსაც „მოსწავლე — სკოლა — მასწავლებელი — სასწავლო პროცესი“ ჰქვია.

რა სავარჯიშოებითა და ხერხებით შეიძლება მიაღწიოს მასწავლებელმა მოსწავლეთა მხრიდან თვითშეფასების ჯერ სტიმულაციას და მერე — შედეგს?

სწავლა/სწავლების ეფექტიანობისთვის დღეს მრავალ საშუალებასა და ტექნოლოგიას იყენებენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დაფუძნებული ამ კუთხით **ინტერვიუს მიზანმიმართულ გამოყენებაზე. ინტერვიუ კი, ცნების შინაარსიდან გამომდინარე, კომუნიკაციური მეთოდის ერთ-ერთი საშუალებაა და გულისხმობს მოსაუბრეთა მჭიდრო ურთიერთობას, განურჩევლად მიზნისა. აქედან გამომდინარეობს, რომ იგი წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლა/სწავლების დროს როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგია, როგორც ცოდნის მიღების, შემეცნების ძირითადი ფორმა**.



მართალია, ინტერვიუ როგორც სიტუაცია წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ კვლევითი ხასიათის მდგომარეობას, მაგრამ მისი ჩატარებისა და წარმოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვითარებას, ადგილს, დროსა და მიზანს.

ინტერვიუ უნდა იყოს:

- კონკრეტული;
- მარტივი, მოკლე ფორმატის;
- არ უნდა შეიცავდეს ქვეტექსტებს.

ინტერვიუს მთავარი მოქმედი პირები არიან რესპონდენტი (ვისაც ესაუბრებიან ანუ ადამიანი, რომელიც მონაწილეობს დიალოგში როგორც ინფორმაციის წყარო) და **ინტერვიუერი** (პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს კვლევით საუბარს, დიალოგს).

მიზნიდან გამომდინარე, ინტერვიუ შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის: თავისუფალი, არასტანდარტული, ღრმა შინაარსის, ჯგუფური, მასობრივი, ინდივიდუალური, ნარატიული ხასიათის, ექსპერიმენტულ-კვლევითი, აუდიო, ვიდეო და სხვ.

რესპონდენტისგან ინტერვიუს დროს მოსალოდნელია სუბიექტური ინფორმაციის გაცემა, ფაქტების შეგნებული მიჩქმალვა, მისთვის მისაღები აზრი წინ წამოწევა და ა.შ., მაგრამ ინტერვიუერმა უნდა შეძლოს ობიექტური პოზიციის დაცვა/გამოხატვა, უნდა გამოავლინოს მოსმენისა და აზროვნების უნარი.

მაშასადამე, **თუ მოსწავლეს ჩავრთავთ ინტერვიუს პროცესში, იგი ძალაუნებურად გამოავლენს არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას გარკვეული საკითხის/საგნის/დისციპლინის მიმართ, არამედ აღნიშნული თემის, საგნის, დისციპლინისადმი განსაზღვრული დამოკიდებულებაც ჩამოუყალიბდება**.

როგორ მოვახერხოთ ეს ყოველივე ძალდაუტანებლად? როგორ ჩავრთოთ მოსწავლე დიალოგში? როგორ მოვახერხოთ, რომ ინტერვიუ მის ხელში იქცეს კვლევის, გამოძიების, მოვლენის შესწავლის საშუალებად? როგორ ვაქციოთ იგი პროცესის მონაწილე-ინტერვიუერად ისე, რომ შეძლოს არა მარტო ცოდნის კონსტრუირება, არამედ კონსტატაციაც?

ინტერვიუს ფორმებიდან მკვეთრად გამოირჩევა ნარატიული ინტერვიუ, რომელიც თავის თავში მოიცავს ექსპერიმენტულ-კვლევითი ხასიათის ანუ პირველადი ინფორმაციის შეგროვების ინტერვიუსაც და მის განზოგადებულ ვარიანტსაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კვლევითი ხასიათის ინტერვიუ ცოდნის კონსტრუირების კარგი საშუალებაა და მომდევნო ეტაპის დაგეგმვაში ეხმარება ინტერვიუერს.

ნარატიული ხასიათის ინტერვიუს საუკეთესო მაგალითია **ისტორიული ხასიათის ნაშრომები**, რადგან თავად სიტყვა „ისტორიაც“ — ანუ „თხრობა-მოყოლა“ — ისტორიოგრაფიაში გამოიყენება როგორც მეთოდი, რაიმე მოვლენის შესწავლის საშუალება. „ისტორია“ უკვე გულისხმობს განსაზღვრული ხასიათის დიალოგს ავტორს, მსმენელსა და მკითხველს შორის. ამიტომ ისტორიის სწავლების მაგალითზე მასწავლებელს ადვილად შეუძლია, მოსწავლეებს საჭირო ხერხების დაუფლებაში დაეხმაროს.

განვიხილოთ მაგალითი, როგორ შეიძლება **ისტორიის სწავლებისას მოსწავლე** ძალდაუტანებლად **ვაქციოთ ინტერვიუერად**, დიალოგის მონაწილედ ისე, რომ გამოამჟღავნოს ცოდნაც კონკრეტული თემის, საკითხის, მოვლენის, დისციპლინის შესახებ და თვითშეფასებაც მოახდინოს.

ПРАКТИКУЛИ:

რამდენადაც ისტორიოგრაფია, როგორც ასეთი, ანტიკური ისტორიკოსებისგან იღებს სათავეს, მოსწავლეც მის შესწავლას ანტიკური პერიოდის ისტორიკოსების გაცნობით იწყებს. თავდაპირველად მოსწავლეს ვთავაზობთ ნაწყვეტს ჰეროდოტეს „ისტორიიდან“, სადაც ვკითხულობთ:

„ჰეროდოტე ჰალიკარნასელის ქვემოთ მოყვანილი ძიებანი აქ მოთხრობილია იმ მიზნით, რათა დროთა განმავლობაში არ აღმოიფხვრას ჩვენი მეხსიერებიდან ადამიანთა მოღვაწეობა-საქმიანობა, აგრეთვე ქებაშეუსხმელად არ მიეცეს დავიწყებას უდიდესი და განცვიფრების ღირსი გმირობანი... უმთავრესად კი იმიტომ, რომ არ იქნეს დავიწყებული ის მიზეზები, რომელთა გამოც ატყდა ომი (ბერძენ-სპარსელთა შორის)...“

„ეს მოხდა ღმერთების ნება-სურვილით იმისათვის, რომ ტროელების მთლიანად ამოწყვეტას ნათელი გაეხადა ხალხისათვის ჭეშმარიტება, რომ მძიმე დანაშაულს თან სდევს სასჯელი ღმერთებისაგან და თუ დამნაშავე თავად არ დაისაჯა, მისი შთამომავლები მოიხდიან სასჯელს...“

„...სინამდვილეა ეს თუ არა, მე არ ვიცი, მე ვწერ იმას, რასაც მოგვითხრობენ...“

ამის შემდეგ მოსწავლეს ვთხოვთ, ტექსტზე დაყრდნობით უპასუხოს კითხვებს:

- გაიხსენეთ, როდის მოხდა ბერძენ-სპარსელთა ომი.
- რა კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა ჰეროდოტეს? მისაღებია თუ არა ეს მიზანი თქვენთვის?
- რატომ გახდა ეს საკითხი მნიშვნელოვანი ჰეროდოტესთვის?
- როგორია ჰეროდოტეს წერის მეთოდები?
- თქვენი აზრით, ჰგავს თუ არა ეს მეთოდი, მაგალითად, ინტერვიუს?
- პასუხს ხომ ვერ დაასაბუთებდით?

მოსწავლის მიერ კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემით გამოიკვეთება რამდენიმე საინტერესო მომენტი:

- რა დონეზე იცის მოსწავლემ ფაქტობრივი მასალა;
- გავარკვევთ, რა დასკვნა გამოიტანა მოსწავლემ ისტორიული პროცესის მიმართ ჰეროდოტესა და მისი ეპოქის დამოკიდებულების შესახებ;
- გამოვავლენთ, რა დასკვნა გამოიტანა მოსწავლემ იმდროინდელი საზოგადოების ღირებულებათა შესახებ;
- ასევე, გამოიკვეთება, დაინახა თუ არა მოსწავლემ ჰეროდოტეს როგორც ისტორიკოსის წერის მეთოდების თავისებურებები და შეადარა აღნიშნული მეთოდები თანამედროვეობიდან მისთვის ნაცნობ სტილს.

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეს ვთავაზობთ ნაწყვეტს თუკიდიდეს „პელოპონესის ომიდან“:

„მე განვიცადე მთელი ომი... ხნოვანების წყალობით ვერკვეოდი მასში და ყურადღებით თვალს ვადევნებდი.... დაე, იცოდნენ, რომ შემთხვევები ჩემ მიერ აღდგენილია უმეტესად უტყუარ ჩვენებათა მოხმობით, იმდენად სრულად, რამდენადაც ამის ნებას მათი სიძველე გვაძლევდა... ჩემს მოთხრობას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის, ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა იქონიოს წარსულზე... აი, როგორი იყო ძველი დრო ჩემი გამოკვლევებით, თუმცა ძნელია დაყრდნობა მის შესახებ ჩვენებებზე განურჩევლად, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი. საქმე ისაა, რომ ადამიანები ერთმანეთისგან გადმოიღებენ ხოლმე თქმულებებს წარსულზე, თუნდაც ეს მათ სამშობლოს ეხებოდეს, ერთნაირად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე...“

ტექსტის გაცნობის შემდეგ მოსწავლე უპასუხებს კითხვებს:

- როდის მოხდა პელოპონესის ომი?
- რა იყო თუკიდიდეს ნაშრომის მიზანი?
- როგორ უნდა დაიწეროს ისტორია თუკიდიდეს მიხედვით, როგორია მისი წერის მეთოდი?
- შეიძლება თუ არა, თუკიდიდე ჩაითვალოს ისტორიული კრიტიკის ფუძემდებლად? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- არ გინდათ, წაიკითხოთ თუკიდიდეს „პელოპონესის ომი“?

მესამე ეტაპზე ანტიკური პერიოდის სხვა ისტორიკოსების გვერდით მოსწავლეს ვაცნობთ პლუტარქეს:

„მე ბიოგრაფიებს ვწერ და არა ისტორიას, დიად ამბებში ყოველთვის ცხადად როდი ჩანს სიკეთე თუ მანკიერება; ერთი პატარა საქმე, ერთი სიტყვა ან რაიმე მოსწრებული თქმა ხშირად უფრო ნათლად გვიმჟღავნებს ადამიანის ხასიათს, ვიდრე სისხლისმღვრელი ბრძოლანი, დიდი სამხედრო მოქმედებანი და ქალაქთა გარემოცვანი... ნება მომეცით, ჩემ მიერ აღსაწერ პიროვნებათა სულიერ სამყაროს ღრმად ჩავწვდე და თითოეული მათგანის ცხოვრება ამის მიხედვით ავსახო. დაე, სხვებმა აღწერონ მათი დიადი საქმენი და ომები... ისტორიაში როგორც სარკეში ჩახედვისას მე ვცდილობ უკეთესობისკენ წარვმართო საკუთარი სიცოცხლე და მოვასწრო ის იმათი მაგალითით, ვის სათნოებაზეც მოვუთხრობ... ისტორიის მეოხებით ჩვენ ზუსტად ვიღებთ თითოეულ დიდ ადამიანს ჩვენს სახლში, ვიგებთ, „ვინ ვინ არის “ და ამოვარჩევთ მის გმირობათაგან უმნიშვნელოვანესსა და უმშვენიერესს...“

ამის შემდეგ მოსწავლე უპასუხებს კითხვებს:

- ანტიკური პერიოდის ისტორიკოსების მიხედვით, რა არის ისტორიის დანიშნულება და მიზანი?

- რა გამოცდილება უნდა შეგვძინოს ისტორიამ, რისთვის გვჭირდება იგი?
- რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ისტორიკოსს, როგორი უნდა იყოს მისი მეთოდები?
- ვისი ბიოგრაფიის ავტორია პლუტარქე?
- რატომაა მნიშვნელოვანი ბიოგრაფიების წერა? როგორია მათი წვლილი ისტორიის შესწავლაში?

რა დასკვნა გამოიტანა მასწავლებელმა მოსწავლის მიერ დავალების შესრულების საფუძველზე:

- მუშაობისას მოსწავლემ არა მარტო საგნის (დისციპლინის) ცოდნა გამოამჟღავნა, არამედ გამოხატა კიდეც ურთიერთობა აღნიშნულ საგანთან, მოვლენასთან (დისციპლინასთან);
- ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, გაზარდა მისი შემეცნებითი ინტერესი.

მომდევნო, **მეოთხე ეტაპზე**, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა გაარკვიეს ანტიკური პერიოდის ისტორიების წერის სტილი, ანტიკური და, საზოგადოდ, ისტორიის დანიშნულება და მიზანი, იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი, მათ ვთავაზობთ ისეთი ტიპის **შემაჯამებელ დავალებას**, რომელიც აიძულებს მათ „იაზროვნონ ისტორიკოსივით“, ძალაუნებურად მოირგონ ისტორიკოსის/ინტერვიუერის როლი და წარმოჩნდნენ ჩვენ წინაშე **როგორც ინტერვიუერები**.

შემაჯამებელი დავალება

1. **მისწერე წერილი ჰეროდოტეს (ან შენ თვითონ აირჩიე ადრესატი)**
   (ინსტრუქცია: წერილი უნდა შეეხებოდეს შენთვის საინტერესო ისტორიულ საკითხებს და მის მიხედვით უნდა დაწერო რომელიმე მოვლენის ისტორია; გაითვალისწინე, რომ ნაშრომში უნდა ჩანდეს ჰეროდოტესთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება)



2. ინტერვიუ თუკიდიდესთან – როგორ დაწერდა თუკიდიდე თანამედროვე ისტორიას?



3. პლუტარქე როგორც ჩემი ბიოგრაფი
(ინსტრუქცია: გაითვალისწინე, რომ ნაშრომში უნდა ჩანდეს პლუტარქესთვის დამახასიათებელი ყველა მეთოდი)

როგორც ვხედავთ, შემაჯამებელი დავალების – ინტერვიუს – მოსამზადებელ ეტაპზე მოსწავლემ ტექსტის, ნარატივის შესწავლის საფუძველზე დააგროვა ფაქტობრივი ცოდნა, გაარკვია ანტიკური პერიოდის ისტორიკოსების წერის მეთოდები, შეიძინა იმ პერიოდის ისტორიული ნაშრომების სრულფასოვანი ანალიზისა და დასკვნებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დაადგინა ცალკეული პერიოდის ისტორიკოსების დამოკიდებულება ისტორიული მოვლენებისადმი და საკუთარი პოზიციაც გამოხატა; ამავე დროს, ინფორმაციის გადამუშავებისას მოსწავლეს ახალი მიდგომების ჩამოყალიბება მოუხდა, რამაც საშუალება მისცა, გამოევლინა თავისი შემოქმედებითი თვისებები.

სახელდობრ, რა დასკვნების გამოტანა შეუძლია მასწავლებელს დავალება/ინტერვიუს შემდეგ?

- ინტერვიუ/საუბრისას წინ წამოიწევს ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ინტერვიუერისთვის და, შესაბამისად, საშუალებას აძლევს მას, გაზომოს, შეაფასოს, გარედან შეხედოს თავის ცოდნას, გაარკვიოს აზროვნების მიმდინარეობის ხასიათი, მახსოვრობა, ცოდნის დონე, სუსტი ადგილები, პრობლემა და, საბოლოო ჯამში, მოახდინოს თვითშეფასება.

- თვითშეფასების მომენტში მოზარდი განიცდის კოგნიტური და ემოციური კომპონენტების ცვლილებას. კოგნიტური პროცესები აქ ასახავს ადამიანის ცოდნას საკუთარი თავის შესახებ, ემოციური კი — მის ურთიერთობას თავის თავთან როგორც საშუალებას საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს ორი კომპონენტი ერთმანეთისგან განუყოფელია, რადგან ცოდნა თავის თავზე აუცილებლად გულისხმობს იმ ემოციებსა და ძალას, რომლებიც თან ახლავს შესაცნობი ობიექტის შინაარსის შეფასებას, რადგანაც თვითშეფასების საფუძველს ადამიანის პირადი აზრები და შეხედულებები წარმოადგენს, ინტერვიუს ტიპის დავალებების შესრულებისას კი ეს მომენტები მკაფიოდ გამოიხატებიან.
- თუ ინტერვიუს წარმართვის ტექნიკა სათანადოდ იქნება დაცული, აუცილებლად გამომჟღავნდება მოსწავლის მისწრაფებები, შემეცნების დონე და თვითშეფასების უნარიც.
- ინტერვიუ როგორც საუბრის ტექნიკა, არის არა მარტო კვლევითი, არამედ პედაგოგიური ინსტრუმენტიც. იგი წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლების პროცესში, განვიხილოთ როგორც ცოდნის შეძენის, ცოდნის გადაცემის სტადია და თვითშეფასების საშუალება;
- ინტერვიუ/საუბარი შეგვიძლია განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც კონკრეტული ემპირიული მეთოდი, არამედ როგორც ცოდნის კონსტანტაციის საშუალებაც.
- ამავე დროს, საუბრის წარმოებისას ობიექტური რეალობის დანახვაც შეგვიძლია, რადგან თავად დიალოგი უწყობს ხელს ობიექტურობის აღქმას.

ინტერვიუ, ეფუძნება რა დიალოგს, სწავლა/სწავლების პროცესის ჰუმანიზაციასაც ემსახურება და, საბოლოო ჯამში, ამ კუთხითაც წარმატებით ეხმიანება სასწავლო პროცესის სამივე ნაწილს. უმნიშვნელოვანესია, რომ ინტერვიუს ტექნოლოგიის გამოყენებისას სასწავლო პროცესში მოსწავლის ცოდნა ისე იგება, რომ თითქოს „ცოცხლდება“, იზრდება ინტერესი, სტიმული/რეაქცია უფრო აქტიური ხდება. ამდენად, ინტერვიუ/საუბარი, როგორც ცოდნის დაბადების საშუალება, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შემეცნების ძირითადი ფორმა და წარმატებით გამოვიყენოთ სასწავლო პრაქტიკაში.

კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და „მსოფლიო კაფე“

კოლაბორაცია – ეს არის ორი ან მეტი ადამიანის ანდა ორგანიზაციის ერთობლივი მოღვაწეობა საერთო მიზნის მისაღწევად (მაგალითად, ინტელექტუალურ სფეროში), რომლის დროსაც ხდება ცოდნის გაცვლა, სწავლა და თანამშრომლობა. მაშინაც კი, როდესაც რესურსები შეზღუდულია, კოლაბორაციული სწავლების მონაწილენი განსაკუთრებული მიზანსწრაფვითა და კონკურენტუნარიანობით გამოირჩევიან. ეს პროცესი გულისხმობს მართვაში თანასწორობას და ამ დროს შედეგები გაცილებით თვალსაჩინოა, რადგან ყოველ მონაწილეს თავისი წვლილი შეაქვს წარმატებაში და სხვა მონაწილის მაგალითზე სწავლობს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კოლაბორაცია აქცენტირებულია არა შეჯიბრებითობაზე, არამედ ერთობლივ მუშაობაზე, ანალიზზე, შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და კონსენსუსზე.

კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) სწავლებისას იყენებენ ჯგუფური მეცადინეობის მრავალ წესს, ამუშავებენ ერთობლივ პროექტებს და ა.შ. კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) სწავლების ტექნიკა სტუდენტებს შესასწავლი მასალის კონსტრუირებისა და საკითხის გადაწყვეტის საკუთარი გზების მოძიებისკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, ამარტივებს მასწავლებლის როლს, თუმცა იმავდროულად საშუალებას აძლევს მას, გაარკვიოს მოსწავლეთა/სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობები, საკითხის წვდომის დონე და ხარისხი.

კოლაბორაცია უმთავრესად ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლისას გამოიყენება. მართალია, ამ დროს მოსწავლეები/სტუდენტები გაცილებით მეტ ინფორმაციას ითვისებენ, ვიდრე ჩვეულებრივი სწავლებისას, რომელიც მთლიანად მასწავლებელზეა დამოკიდებული, მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა პრობლემა – მოსწავლეებს/სტუდენტებს გაცილებით მეტი დამატებითი მასალის გაცნობა უწევთ, რასაც ბევრი დრო მიაქვს, საჭირო ხდება შეფასების ალტერნატიული სისტემის (ჯგუფური მუშაობისთვის) შექმნა, წესრიგისადმი მეტი ყურადღება, რათა ჯგუფური მუშაობა არაორგანიზებულ საქმიანობაში არ გადაიზარდოს. საერთო ჯამში კი, ცხადია, ამგვარი მუშაობა ამაღლებს მოსწავლე/სტუდენტის პასუხისმგებლობის დონეს, მოითხოვს მისგან მეტ დამოუკიდებლობას, ძიებას სწავლისა და საკითხის გადაწყვეტისას.

ამიტომ არის, რომ კოლაბორაციული სწავლებისას აქტიურად იყენებენ ფასილიტაციის საკითხებს და ფასილიტატორის ინსტიტუტს, ვინაიდან მიიჩნე-

ვა, რომ ფასილიტატორების გამოყენება წარმატებით შეიძლება განათლების სისტემაშიც. ფასილიტატორი აქ ნიშნავს სპეციფიკური გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელიც სხვებს სასწავლო მიზნების მიღწევაში ეხმარება. კერძოდ, ფასილიტატორი შეიძლება ეწოდოს იმ მასწავლებელს ან რეპეტიტორს, რომელიც დავალებების შესრულებაში ეხმარება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეს. პილოტირების პროცესში ფასილიტატორი არის საპილოტე სკოლის მასწავლებელი, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და ცდილობს, გადასცეს თავისი გამოცდილება სხვა მასწავლებელს, რომელსაც მსგავსი გამოცდილება არ მიუღია.

იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ კოლაბორაციული სწავლების ეფექტურობა რთული, პრობლემური საკითხების გააზრებისა და წვდომისათვის, განვიხილოთ მეთოდი „მსოფლიო კაფე“.

„მსოფლიო კაფეზე“ გამოაქვთ საკითხები, რომლებიც მოითხოვს ღიაობას, კოლექტიურ ცოდნას, იდეებისა და შეხედულებების გაცვლა-გამოცვლას. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ უფრო ღრმა ცოდნა, რაც ახალი გადაწყვეტილებების მიღებასა და ინოვაციების შემუშავებას გაგვიადვილებს. ის სასაუბრო პროცესია, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული ცოდნის განზოგადებას, ღრმად გააზრებას, განაწყობს ადამიანთა დიდ ჯგუფს შემოქმედებითი საქმიანობისთვის, წარმოაჩენს კოლექტიური ცოდნის მნიშვნელობას, წინ წამოსწევს კოლექტიურ ინტელექტს.

„კაფე“ ამდიდრებს გამოცდილებას, ცოდნის გაცვლა-გამოცვლის კულტურას, აადვილებს ხარისხის გააზრებას, საკითხებში ჩაღრმავებას, ხელს უწყობს ქცევის კორექტირებას, კონტექსტის ფართოდ გააზრებას, უკუკავშირს და გამოსადეგია ორგანიზაციებისთვის ნებისმიერ საქმიანობაში. ეს არის მენეჯმენტის განსხვავებული კურსი, სადაც ყველა „ერთად სწავლობს“. ამ დროს თვალსაჩინო ხდება ორგანიზაციასა თუ საზოგადოებაში არსებული პრობლემები, რომლებიც მოუგვარებელი რჩებოდა კავშირების არარსებობის გამო. „მსოფლიო კაფე“ საშუალებას გვაძლევს, მოსაწყენი ლექცია გადავაქციოთ „საინტერესო დღედ“.

განვიხილოთ ეს მეთოდი უფრო დაწვრილებით.

სქემა: ფასილიტაციის მოდელი „მსოფლიო კაფე“ (The World Cafe) (იხ. Brown J., Isaacs D. The World Cafe. San Francisco: Berrett-Koehler Publishers Inc., 2005)

კრიტერიუმები	**მოდელის აღწერა**
პროცესის განსაკუთრებული ელემენტები	**ფასილიტაციის სტრუქტურირება,** 3 ძირითადი სტადია: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული. ხანგრძლივობა: მომზადება (1 დღე – რამდენიმე თვე), ღონისძიება (1.5 სთ – რამდენიმე დღე), შესავალი (განისაზღვრება მონაწილეთა მიერ); წინასწარი გეგმის არარსებობა. შესაძლებელია „მსოფლიო კაფეს“ კომბინირება ფასილიტაციის სხვა მეთოდებსა და ტექნიკასთან. **როლების სპონტანური გადანაწილება.** განხილვის პროცესში ყოველი მაგიდა ირჩევს „უფროსს“, რომელიც თავის მაგიდასთან რჩება მთელი პროცესის განმავლობაში, მაშინ როცა სხვა მონაწილეები მაგიდებს იცვლიან.
პრობლემების დაფა	„კაფე“ შეიძლება გაიმართოს როგორც **ერთჯერად** ღონისძიებად, ისე განხილვათა მთელ **სერიად;**მიეძღვნას როგორც **ვიწრო,** კონკრეტულ საკითხებს, ისე საკითხების **ფართო** სპექტრს, მაგალითად, სტრატეგიულ განვითარებას და სხვ.
ინტერვენციის ტიპი	ღონისძიებაში ფასილიტატორის ინტერვენცია (ჩარევა) დაკავშირებულია ჯგუფის მუშაობისპროცესთან. მისი ძირითადი მოვალეობაა, შექმნას სტუმართმოყვარე, მეგობრული გარემო მონაწილეთა დიალოგისთვის, გააცნოს საზოგადოებას „კაფეს“ მუშაობის მიზანი და წესები, დასასრულს დაეხმაროს მას მიღებული იდეების გააზრებაში, განზოგადებაში და, თუ საჭირო აღმოჩნდა, მათ კონსოლიდირებასა და კლასტერიზაციაში (დამახსოვრებაში).
პროდუქტის ტიპი	**ინსტრუმენტული:** ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებები, განვითარების იდეები, წინადადებები მნიშვნელოვანი საკითხების ინოვაციური გადაჭრის თაობაზე
აუდიტორიის ტიპი	პატარა და დიდი ჯგუფები: 12-დან 1200 მონაწილემდე. ჯგუფი შეიძლება იყოს ერთგვაროვანიც და არაერთგვაროვანიც. მრავალფეროვნებისთვის შეიძლება მონაწილეთა შერევაც (ინტერესების, ასაკის, სქესის, იერარქიულ სტრუქტურაში არსებული ადგილისა და სხვ. გათვალისწინებით) [Schieffer et al., 2004]
სამომავლო ქმედება (ფოკუსირება შესაძლო გავლენაზე)	მეთოდი არ გულისხმობს დამკვეთის (ორგანიზაციის, კოლექტივის) მხრივ სავალდებულო სტრუქტურულ და პროცესუალურ ცვლილებებს, ამიტომ იგი განიხილება როგორც **ცვლილებებათა მართვის მეთოდი.**

„მსოფლიო კაფეს“ მიზანი: მეთოდი იდეალურია, როდესაც საჭიროა აზრთა ურთიერთგაცვლის, ინფორმაციის დაგროვების ორგანიზება დიდ ჯგუფებში, ორგანიზაციისთვის (კოლექტივისთვის) მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე. სამომავლო გადაწყვეტილების მიღებამდე შესწავლილ უნდა იქნეს ყველა შესაძლებლობა. შეიძლება, „კაფეს“ მიზნის მიხედვით დავარქვათ სახელიც: „ცოდნის კაფე“, „ლიდერობის კაფე“, „კაფე – სტრატეგია“ და სხვ.

პროცესის მონაწილეები: სპონსორი (ადამიანი ან ჯგუფი, დაინტერესებული მისი ჩატარებით), „კაფეს“ უფროსი (ფასილიტატორი ანდა ჯგუფი, რომელსაც ევალება პროცესის მართვაში დახმარება), დიზაინის ჯგუფი (ევალება დახმარება ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაში) და მონაწილეები.

პროცესის მიმოხილვა: მეთოდი მოითხოვს მინიმალურ მომზადებას – თემისა და განსახილველი საკითხების განსაზღვრას, მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომელზეც მთელი ღონისძიების წარმატებაა დამოკიდებული. მონაწილეებს იწვევს და სივრცის ორგანიზებას ახდენს დიზაინის ჯგუფი.

ღონისძიება:

დასაწყისი – ღონისძიება ტარდება რეალურ კაფეში ან ოთახში, რომელიც ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მაქსიმალურად ჰგავდეს კაფეს (მაგიდები, ჩაი, ყავა და სხვა სასმელები. დასაწყისში წარმოითქმის მისასალმებელი სიტყვა (ორგანიზატორი მიიწვევს მონაწილებს, ასე ვთქვათ, „კაფეს“ ეტიკეტის შესასრულებლად), რასაც მოჰყვება მონაწილეთა ჯგუფებად დაყოფა, სავარაუდო საკითხების ფორმულირება, „კაფეს“ მუშაობის წესების გაცნობა, მაგიდის უფროსის დანიშვნა.

ძირითადი ნაწილი – ღონისძიება შედგება რამდენიმე (მინიმუმ 3-4) რაუნდისგან, ანუ საუბრები მაგიდებთან წარმოებს რამდენიმე რაუნდად (20-45 წუთს განმავლობაში). საუბრის მონაწილეები გადადიან ერთი მაგიდიდან მეორესთან.



მონაწილეთა განლაგება კაფეში: I რიგი – პირველი რაუნდი; II რიგი – მეორე და მომდევნო რაუნდები; III რიგი – ბოლო რაუნდი.

თითოეული რაუნდი იწყება კითხვით, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული კონტექსტისთვის და გამომდინარეობს სესიის მიზნიდან. იგივე კითხვა შეიძლება განმეორდეს სხვა რაუნდშიც, ანდა გამომდინარეობდეს ამ კითხვიდან, რაც მთელი ღონისძიების მიზანმიმართულობას განაპირობებს. რაუნდებს შორის შესვენებისას აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხდება.

ღონისძიების მსვლელობისას მაგიდის უფროსი თავის მაგიდასთან რჩება, დანარჩენი მონაწილეები კი მაგიდებს იცვლიან. მაგიდის უფროსი მოვალეა, გააცნოს მაგიდასთან მისულ ახალ მოსაუბრეს წინა ჯგუფის მიერ ჩატარებული განხილვის შედეგები და დააფიქსიროს ახალი იდეები (მცირე ჯგუფებში განხილვის შემდეგ ძირითადი აზრი ფიქსირდება დიდ ჯგუფშიც. მონაწილეები იცვლიან ჯგუფებს და 20-45 წუთის შემდეგ თავიანთ ჯგუფებში განიხილავენ იმ იდეებსა და მოსაზრებებს, რომლებიც ინფორმაციის გაცვლისას გაუჩნდათ). მონაწილეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ კალმები, რათა გამოსახონ თავიანთი საუბარი ქაღალდის გრაგნილზე („კაფე“ უმთავრესად ვგულისხმობს გრაფიკულ ფორმებს). იდეა დაბადებისთანავე უნდა აისახოს.

დასასრული – რამდენიმე რაუნდის შემდეგ დგება შეხვედრის შეჯამების დრო: მონაწილეები უბრუნდებიან თავიანთ მაგიდებს, უზიარებენ იდეებს მაგიდის უფროსს, შედეგად იქმნება იდეათა ერთგვარი გალერეა, ხდება ძირითადი იდეების კონსოლიდირება და კლასტერიზაცია (დამახსოვრება). ღონისძიება 2-3 საათს გრძელდება.

შეიძლება ითქვას, რომ „მსოფლიო კაფე“ ერთადერთი მეთოდია, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უკავშირებს ერთმანეთს ინტელექტსა და ემოციას (ნებისმიერი საკითხის კონტექსტის გათვალისწინებით), იწვევს იდეების მძაფრ გენერაციას და იძლევა შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალებას სხვადასხვა სფეროში: კულტურაში, ბიზნესში, სოციალურ მეცნიერებებში და სხვ., სწორედ ეს არის ამ მეთოდის ძირითადი სტრატეგიული გასაღებიც, მისი ძირითადი წარმატება [Brown, Isaacs, 2005, p. 32].

„მსოფლიო კაფეზე“ შეიძლება გავიტანოთ სასკოლო ცხოვრების ისეთი საკითხიც, როგორიცაა, მაგალითად, „სკოლა და პრობლემა: ვასწავლოთ თუ გავათავისუფლოთ?“ – ხოლო მაგიდებთან განსახილველი თემები ამგვარად ჩამოვაყალიბოთ:

1. „თანამშრომლების სწავლა და განვითარება: რატომ არის ეს აუცილებელი მაინცდამაინც ახლა?“

2. „თანამშრომლების სწავლა და განვითარება: რატომ არის ეს ზედმეტი მაინცდამაინც ახლა?“
3. „რით ვასწავლოთ და ვინ განვავითაროთ, თუ ეს აუცილებელია?“

„მსოფლიო კაფეზე“ შეგვიძლია განვიხილოთ ასეთი თემაც: „ჩემი პირველი პრაქტიკა“, – სავარაუდო საკითხები კი შეიძლება იყოს:

1. „პრაქტიკის გავლისას გამაოცა...“
2. „კლასში დისციპლინის დამყარების ეფექტური საშუალებაა...“
3. „ეს კარგია, რადგან... ეს ცუდია, რადგან...“;
4. „რა ჯობს – შევურიოთ ინფორმატიკა სხვა საგნებს თუ დავტოვოთ იგი ცალკე დისციპლინად? დაასაბუთეთ“;
5. „მე რომ ინფორმატიკის მასწავლებელი ვიყო...“

ასევე შეგვიძლია გავმართოთ დისკუსია თემაზე „სკოლა და მასწავლებელი“. სავარაუდო საკითხებია:

1. „როგორი უნდა იყოს „მასწავლებელი“ ინტერნეტში?“
2. „როგორ უნდა გახდეს მასწავლებელი ქსელში „შენი მასწავლებელი?“
3. „სასკოლო ცხოვრება – ვინ? სად? როდის?“
4. „შენ ხარ სკოლაში?“
5. „მომავალი – როდის და როგორ დადგება იგი სკოლაში?“ – და სხვ.

განათლების ამ და სხვა პრობლემური საკითხების წინ წამოწევა და კოლექტიური ცოდნის გამოყენება ხელს შეუწყობს სისტემის წინსვლას და აამაღლებს ეფექტური მუშაობის ხარისხს.

„კაფე“ შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლის ხარისხის ასამაღლებლადაც სხვადასხვა საგნის სწავლებისას, რადგან აქ წინ წამოიწევს პრობლემური საკითხები, ხოლო ცოდნა წარმოიშობა ჯგუფისთვის რთულ, გაუგებარ კითხვებზე კოლექტიური პასუხის მიღების გზით. ეს ის საკითხებია, რომელთა დაძლევა ჯგუფებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ საგნის შესწავლისას, ამიტომ შეკითხვები „ძლიერი“ უნდა იყოს და შეასრულოს ერთგვარი გზამკვლევის როლი, რომელიც დაეხმარება ჯგუფს თავისი ენერგიის ამოქმედებაში, ლოგიკურად აზროვნებაში, სწორი გეზით სვლაში.

„ძლიერია“ (კოგნიტურია) კითხვები, რომლებიც:

- მარტივია და გამჭირვალე;
- პასუხისთვის მოითხოვს დიდ ძალისხმევას;
- გულისხმობს საკითხზე ფოკუსირებას, კვლევასა და დაზუსტებას, აქცენტირებულია ცოდნაზე;
- გამორიცხავს ზედაპირულობას;
- გამოავლენს ახალ შესაძლებლობებს;
- ითხოვს უკუკავშირს, სხვადასხვა სააზროვნო დონეს;
- გვეხმარება საჭირო პასუხის პოვნაში.

ამ დროს მოსწავლეები იზრდებიან იმ კითხვების ფონზე, რომლებიც მათ წამოსწიეს წინ, მიდიან იმ მიმართულებით, რომელიც მათთვის მანამდე ბუნდოვანი იყო. როდესაც „კაფეზე“ განსახილველად გამოდის საკითხები, რომლებიც თანხვდება საზოგადოების (მოსწავლეების) სურვილს, ღონისძიება ძალიან ეფექტურია, რადგან მონაწილეებს იმთავითვე ეუფლებათ დაკმაყოფილების მოთხოვნილება, რაც წარმოშობს ურთიერთგაგებას, ერთმანეთის დახმარების სურვილს.

ოღონდ შეკითხვის — „კაფეს“ კონტექსტის — მომზადებისას არსებობს საფრთხე, რაც უკავშირდება თავად განსახილველი საკითხის ჭეშმარიტ აზრს. ფილოსოფოსები ათასობით წელია დავობენ იმის თაობაზე, რა არის ჭეშმარიტება. მაგრამ „კაფეს“ მთავარი მიზანია, „დაეხმაროს, გაიგოს, აღმოაჩინოს და საზოგადოებას გააგებინოს ის, რაც უმნიშვნელოვანესია თითოეული მონაწილისთვის“ (ამ შემთხვევაში — მოსწავლისთვის). „კაფეს“ შეუძლია წარმოაჩინოს მხოლოდ პერსპექტივა, ხოლო რა არის ჭეშმარიტი, უტყუარი და სასარგებლო — ამაზე თითოეულმა მონაწილემ თავად უნდა იმსჯელოს. მთავარია, ყოველმა რაუნდმა ჯგუფისა და მისი თითოეული წევრის ინდივიდუალური აზროვნება და გაგება აიყვანოს უფრო მაღალ საფეხურზე, ახალ სიმაღლეზე. მთავარია, გადაწყდეს: „რა არის სასარგებლო დღესვე და სასარგებლო ამ კუთხით?“ — ამის მიღწევა კი „კაფეზე“ წარმატებით შეიძლება, რადგან „ცოდნა, ინტელექტი აქ წარმოჩნდება როგორც ახალ კავშირურთიერთობათა შედეგი“, რომელიც ზოგადად ძალიან ეფექტური და პროდუქტიულია. შესაძლოა, ყველა მოსწავლე თანაბრად არ ჩაერთოს კაფეს მუშაობაში, — ზოგი აქტიური მსმენელი იყოს, ზოგიც — აქტიური მონაწილე, — მაგრამ მთავარია, „მოსავლის აღებისას“, ანუ იდეების ჩამოყრისა და კომბინირებისას თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. ამით ის მაინც მიაღწევს სასურველ შედეგს — შეძლებისდაგვარად რეალიზდება. როგორც ამბობენ „სწავლებისას ყველაზე ეფექტურია, მიუთითო მონაწილეს, რა არ იცის მან“, ამიტომ ყველზე პასიური მოსწავლისთვისაც კი თავისი თავის უკეთ დანახვა და შეფასება უკვე „გაკეთებული საქმეა“.

განვიხილოთ „მსოფლიო კაფეს“ მაგალითი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების თვალსაზრისით:

I. მოსაწვევი — სკოლის (ესა და ეს) საზოგადოებრივი კათედრა იწვევს „მსოფლიო კაფეზე“ მონაწილეებს (კლასები ესა და ეს). კაფეს თემაა „მომავლის საზოგადოება“.
   რიცხვი (ესა და ეს), დრო (ესა და ეს)
   მისამართი (ესა და ეს)
II. ღონისძიების ძირითადი კონტექსტია „თავისუფლება — გზა საზოგადოების განვითარებისკენ“.
III. სასიამოვნო გარემო წინასწარ ქმნის თავისუფალი აზრის, თავისუფლების დემონსტრირების სურვილს, განაწყობს მოსწავლეებს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისთვის.

IV. მონაწილეები იყოფიან ჯგუფებად. სავარაუდო საკითხებია:
- „ძალადობა და „მე“;
- რატომ ვარ ძალადობის წინააღმდეგი;
- ჩვენ – ტერორისტები;
- რატომ ტერორი?
- სახელმწიფო და ტერორი;
- ღირებულებები როგორც ანტიტერორისტები.

V. მიმდინარეობა

კითხვები კონკრეტული კონტექსტისთვის:

1. ა) ვინ ვარ მე და რატომ ვარ ანტიტერორისტი?
   ბ) ვინ ვარ მე და რატომ ვარ მოძალადე?
2. ა) ტერორი და ძალადობა ადამიანის თავისუფლებას ახშობს?
   ბ) ძალადობა რომ არა, საზოგადოებას უწესრიგობა წალეკავდა?
3. ა) ვართ ჩვენ წესრიგის მომხრენი?
   ბ) რაც საფრთხეს უქადის სახელმწიფოს, საფრთხეს გვიქადის ჩვენც?
4. ა) ძალდატანება და ტერორი რომ არა, გვექნებოდა ის, რაც გვაქვს?
   ბ) არჩევანი: მე? შენ? ის? ჩვენ?
5. ა) „გზა რომელია? რომელიც ტაძრამდე მიდის?“
   ბ) თუ არა ძალა, მაშ, რა?
6. ა) კაცობრიობის ძირითადი ღირებულებები ანტიძალადობრივი აქტებია?
   ბ) თავისუფლება ანტიძალადობრივია?

VI. დასკვნის მოსამზადებლად შეგვიძლია მოსწავლეთა ჯგუფებს შევთავაზოთ ხელმძღვანელობა ასეთი კითხვებით:
- რა გახდა ყველაზე თვალსაჩინო შეხვედრის შემდეგ?
- მხოლოდ ერთი აზრის გამოთქმის საშუალება რომ ყოფილიყო, რომელი იქნებოდა ის?
- რომელი კითხვა შეგვიძლია მივიჩნიოთ ყველაზე მრავლისმთქმელად, რომელი გამოხატავს ყველაზე უკეთ საკითხის არსს?
- რომელმა კითხვებმა „გამოაფხიზლა“ ყველაზე მეტად?
- ყველაზე მეტად რა გაიგეს ამ შეხვედრის წყალობით?

„კაფეზე“ მიღებული გამოცდილებისა და გამოტანილი დასკვნების წყალობით მონაწილეები, მოსწავლეები, ახერხებენ გაცილებით ღია ურთიერთობების დამყარებას, უკეთ ერკვევიან საზოგადოების განვითარების კანონებში, უკეთ აჯამებენ ფაქტებსა და მოვლენებს, შედეგად მეტი ინტერესით ეუფლებიან ცალკეული საგნების მეცნიერულ საფუძვლებს და საზოგადოებრივადაც იზრდებიან.

მაშასადამე, კოლაბორციული სწავლებისას, მეთოდების სწორი და მიზანმიმართული გამოყენების შემთხვევაში, შეგვიძლია სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და სასიამოვნო „რუტინად“ გადავაქციოთ და იმ მნიშვნელოვანი საქმის აქტიურ მონაწილედაც გავხადოთ, რასაც მოსწავლეთა სოციალიზაცია ეწოდება.

ფასილიტაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

დღეისათვის მსოფლიოს ინტელექტუალურ საზოგადოებაში ფართოდ ხდება აქცენტირება იმ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდებიან ჯგუფური (ორგანიცაზიული, კოლაბორაციული) ცოდნის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების პროცესში და ამ ცოდნის წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა სფეროში. თავად ჯგუფური (ორგანიზაციული, კოლაბორაციული) ცოდნის მნიშვნელობა კი ზოგადად ჯგუფის (ორგანიზაციის) ორგანიზებაზე, მის ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

როგორც **ცნობილია, ჯგუფი (ორგანიზაცია, კოლქეტივი) ეფექტური ხდება მაშინ, როცა:**

- მთლინად ორგანიზაცია და მისი ცალკეული წევრები მოქმედებენ კონკრეტული გეგმის შესაბამისად, შეიმუშავებენ რა მიზნის მიღწევის გეგმებს;
- პრობლემა, ამოცანა და მოსალოდნელი პროდუქტი განსაზღვრავენ ადამიანური რესურსების სწორად გამოყენებას;
- გადაწყვეტილებებს იღებენ ადამიანები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ორგანიზაციული იერარქიის საფეხურის მიუხედავად;
- ორგანიზაცია საკმარისი სტიმულებით უზრუნველყოფს საზოგადოებას (კოლექტივს) თვითგანვითარებისკენ, კრეატიულობისკენ;
- ეფექტურად მუშაობს ორგანიზაციის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კომუნიკაცია; თანამშრომლები გამოირჩევიან ურთიერთობების ღიაობით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მზაობით;
- მინიმალურია ურთიერთზემოქმედება ცალკეულ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, მიმართული რაიმე სახის მოგება/წაგებაზე;
- სწრაფია რეაგირება და გადაწყვეტილების შესრულება კონფლიქტის შემთხვევაში;
- ორგანიზაციაში არ არსებობს ურთიერთდაპირისპირება, ენერგია მხოლოდ მიზნის მიღწევაზე იხარჯება;
- ორგანიზაცია წარმოადგენს ღია სისტემას, რომლის ყველა წევრი აქტიურ კავშირში არიან ერთმანეთთანაც და გარე სამყაროსთანაც;

- ორგანიზაციის შემოსავალი ნაწილდება მის ყველა წევრზე და ხელს უწყობს მართვის სტრატეგიის წარმატებით განხორციელებას;
- კომპანია მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, ორიენტირებულია სიახლეების ათვისებაზე, არსებობს უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მის ყოველ თანამშრომელს და ჯგუფებს ისწავლონ საკუთარი გამოცდილებით;
- კოლექტიური განვითარება მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი კოლექტივის, ორგანიზაციის ერთი რომელიმე მხარის გაუმჯობესებაზე კი არ ფიქრობს, არამედ ორგანიზაციის მთლიანი სისტემის, მისი სტრატეგიის, სტრუქტურისა და პროცესების სრულყოფაზე.

ორგანიზაციის (ჯგუფის) ეფექტური განვითარების შედეგად კი ორგანიზაცია (ჯგუფი, საზოგადოება) წინ მიდის სამი მიმართულებით:

1. ჯგუფი, ორგანიზაცია, საზოგადოება – ხდება ადაპტირებული, საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პრობლემები, ფოკუსირებულია რესურსებზე და მიზნის მიღწევაზე; იგი ამავე დროს საშუალებას იძლევა, მივიღოთ აუცილებელი ცოდნა და გამოვიყენოთ იგი პროცესის ცვლილებებისთვის;
2. მიღებული ცოდნა ზრდის ორგანიზაციის, ჯგუფის, საზოგადოების პროდუქტიულობას ყველა მიმართულებით;
3. გამოიკვეთებიან პარტნიორები, განათლებული თანამშრომლები, საქმიანობისას გამოიკვეთება ლოგიკური კავშირების საშუალებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რაოდენი მნიშვნელობა აქვს ჯგუფური, (ორგანიზაციული, კოლაბორაციული) ქმედების ეფექტურობის ამაღლებას. ამავე დროს ერთობლივი, ჯგუფური მუშაობისას გასათვალისწინებელია ამ პროცესის სხვადასხვა მხარეები (მაგ., შინაარსი – რა საკითხებზე მუშაობენ, ურთიერთდამოკიდებულებები – როგორ წარიმართება მათ შორის ურთიერთმოქმედება). გადაწყვეტილების მიღების პროცესი რომ იოლი და ეფექტური იყოს, სწორედ ამისთვის მიმართავენ **ფასილიტაციას**.

„ფასილიტაცია“ (ინგლ. „facilitate“) **პროცესის გაიოლებას, დახმარებას ნიშნავს**. იგი გულისხმობს პროცესის წარმართვას მესამე ნეიტრალური მხარის (პროფესიონალის) მონაწილეობით. პროცესზე პასუხისმგებელ პირს კი ეწოდება ფასილიტატორი, ფასილიტაციის პროცესის წამმართველი ანუ ფოკუსს-ჯგუფის წამყვანი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც თავად მკვლევარი, ასევე მოწვეული პირიც და შეიძლება იყოს ჯგუფის ნებისმიერი წევრიც. იგი აწესრიგებს ურთიერთდამოკიდებულებებს დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რითაც ხელს უწყობს მათ მუშაობას პრობლემის შინაარსზე. ეს ერთობ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია: როგორც ცნობილია, პრობლემურ საკითხზე მუშა-

ობისას ადამიანებს შორის ურთიერთობა სხვადასხვა დონეზე წარიმართება, პირველ რიგში კი შინაარსისა და ურთიერთობების დონეზე (შინაარსის დონეზე ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ საქმის არსს, არსებულ ინფორმაციასა და ფაქტებს, ურთიერთობის დონეზე კი ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ესმით მათ ერთმანეთის, ზრუნავენ თუ არა ერთმანეთის პრობლემებზე და ურთიერთობის შენარჩუნებაზე). ფასილიტატორი აფიქსირებს პროცესს, უსმენს მონაწილეთა მიერ გამოთქმულ ფაქტებს და უყურადღებოდ არ ტოვებს მათ მიერ გამოხატულ გრძნობებს; იგი ამახვილებს ყურადღებას ისეთ მომენტებზე, როგორიცაა საუბრის დაწყება, რეგლამენტი, პარტნიორების მიერ ერთმანეთის მოსმენა/არმოსმენა და ა.შ;

ფასილიტატორი ხელს უწყობს თანამშრობლობითი ატმოსფეროს შექნას. იგი უნდა იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური, ნეიტრალური; მას არა აქვს უფლება, ჩაერთოს კამათში და გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. იგი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას - მას მხოლოდ შეხვედრის, საუბრის მსვლელობის წარმართვა შეუძლია. ფასილიტატორი ეხმარება მხარეებს პრობლემის ჩამოყალიბებაში და აფიქსირებს პრობლემის გადაწყვეტის პროცესში მიღწეულ ეტაპებს.

მაშასადამე, ფასილიტატორი უნდა მოერიდოს:

- მონაწილეთა მიერ გამოთქმული იდეების გაკრიტიკებას და საკუთარი აზრის გამოთქმას;
- საკუთარი აზრის ჯგუფისთვის თავზე მოხვევას;
- მონაწილეებთან შეთანხმების გარეშე სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებითაც კი;
- ხანგრძლივი კომენტარის გაკეთებას და ამით მონაწილეთა დროის შეზღუდვას.

ფასილიტატორის მონაწილეობა სასურველია, მაგალითად, ღია სემინარებისა და შეხვედრებისას, კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლისას; ისეთი შეხვედრების ჩატარებისას, რომლებიც გამიზნულია კონფლიქტებთან ან სადავო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სამუშაოდ, პარტნიორული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის გამართულ მიღებებზე. ფასილიტატორის დახმარებით მნიშვნელოვნად იზრდება ჯგუფში პრობლემების მოგვარების, პოტენციური კონფლიქტების თავიდან აცილებისა და პარტნიორული დამოკიდებულებების ჩამოყალიბების შანსი.

ფასილიტაცია ამავდროულად **კომუნიკაციის პროცესიცაა**, რადგან იგი პროცედურას სწორედ კომუნიკაციის დახმარებით მართავს. უბრალოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ფასილიტატორმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი დამოკიდებულება. იგი ეხმარება ადამიანებს და პასუხისმგებელია პროცესის მიმდინარეობაზე, ამასთანავე, ის არ ერევა შინაარსში. გამომდინა-

რე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფასილიტატორი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, ავლენდეს ფასილიტატორისათვის დამახასიათებელ ხედვებს ადამიანური ურთიერთობების საკითხებში.

მაშასადამე, **ფასილიტატორები და ზოგადად, ფასილიტაციის პროცესი, წარმოადგენენ „მესამე მხარეს", რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებებს, ამიტომ ფასილიტაციის მეთოდები წარმატებით გამოიყენება მსოფლიოში საზოგადოების უკეთ ორგანიზებისა და სოციალური ცვლილებების ხელისშეწყობისთვის.**

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, **ფასილიტაციის ტექნოლოგია ანუ** თავად ფასილიტაცია რეზულტატისა და პროცესის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ შემდეგნაირად — **ფასილიტაცია ესაა**:

- პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანებს უადვილდებათ კონფლიქტური მდგომარეობის მშვიდობიანი გზით მოგვარება (ინდივიდუალური ან ჯგუფური პრობლემების გადაწყვეტა; კონფლიქტური სიტუაციების მართვა და რეგულაცია; პიროვნებათაშორისი და ჯგუფთაშორისი ურიერთობების მოგვარება; დიალოგის წარმართვა);
- ნებისმიერი პროცესის არადირექტიულად, სამართლიანად, ჰუმანისტურ ფასეულობებზე დაფუძნებულად წარმართვის უზრუნველყოფა;
- ნებისმიერი აქტივობა, რომელიც გულისხმობს რაიმე პროცესების ხელშეწყობას, ან სხვისი დავალებების გაადვილებას;
- ჯგუფური სტრუქტურების და პროცესების მართვა, რომელიც ეხმარება ჯგუფს სამუშაოს ეფექტურად შესრულებაში, მინიმუმამდე დაჰყავს კოლექტივის პრობლემები;
- ესაა პროცესი, რომელიც ფოკუსირებას ახდენს შემდეგ კითხვებზე: რისი მიღწევაა აუცილებელი? ვინ უნდა დაწინაურდეს?
- პროცესი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობს მთელი ჯგუფი;
- დაცულია შესასრულებელი დავალების თანმიმდევრობა;
- შესაბამისი დონე მიიღწევა ყველა რესურსის გამოყენებით;
- ჯგუფური ენერგიის, მამოძრავებელი ძალის და მონაწილეთა შესაძლებლობების წინ წამოწევა.

ფასილიტაციის ძირითად მიზნად კი გამოიკვეთება:

- აამაღლოს ჯგუფური ეფექტურობა;
- დაეხმაროს ჯგუფს, რათა გახდეს უკეთესი;
- აამაღლოს გადაწყვეტილების ხარისხი;
- დროის მნიშვნელოვნად შემცირება გადაწყვეტილების რეალიზაციისას;
- გააუმჯობესოს ურთიერთობები ჯგუფში;
- უზრუნველყოს ორგანიზაციული განათლება;
- გაზარდოს ჯგუფის (კოლექტივის) თითოეული წევრის თვითკმაყოფილება;

- დაეხმაროს ჯგუფს მიზნებისა და სპეციფიური დავალებების განსაზღვრაში;
- დაეხმაროს ჯგუფის წევრებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გეგმის შემუშავებაში;
- აწარმოოს ისეთი პროცესი, რომელიც დაეხმარება ჯგუფს ეფექტურად გამოიყენოს დრო მაღალხარისხოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში;
- მართოს პროცესი და წაიყვანოს ჯგუფი საჭირო გადაწყვეტილებებისკენ;
- აწარმოოს ჩანაწერები, რომელიც ასახავს ჯგუფის წევრთა იდეებს;
- წინასწარ გათვალოს ყველა შესაძლებლობები;
- დაეხმაროს მონაწილეებს არსებულის შეფასებაში და ახლის შემუშავებაში;
- გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენოს კონსენსუსი (ჯგუფის თითოეული წევრის აზრის გათვალისწინებით);
- დაეხმაროს მონაწილეებს პიროვნებათაშორისი დინამიკის მართვაში.

როგორც დავინახეთ, **ფასილიტაცია**, როგორც ასეთი, **მიმართულია მთელი შინაგანი სისტემის ორგანიზებაზე** (სტრატეგიის, სტრუქტურის და პროცესების ჩათვლით), ამიტომაა რომ ფასილიტაციას აქტიურად იყენებენ ჯგუფური, ორგანიზაციული განვითარების ორი ძირითადი მიმართულებისთვის – დიაგნოსტიკური და ფორმა „დიალოგის“ ორგანიზაციული განვითარებისათვის.

სექმა 1: ორგანიზაციული განვითარების დიაგნოსტიკური და დიალოგის ფორმის მიმართულებები:

კრიტერიუმები	**დიაგნოსტიკური მიმართულება და ორგანიზაციული განვითარება**	**ფორმა „დიალოგი“ და ორგანიზაციული განვითარება**
ორგანიზაციში არსებული რეალობის აღქმა	რეალობა – როგორც ობიექტური ფაქტი, გამოკვლეული რაციონალური და ანალიტიკური გზებით	რეალობა სოციალური გზით (მოლაპარაკებებით) კონსტრუირდება
ცვლილებებისადმი მიდგომა	პრობლემაზე ცენტრირებული მიდგომა ცვლილებები როგორც დაგეგმილი პროცესი ცვლილებები ეპიზოდური ხასიათისაა, სწორხაზოვანია და ორიენტირებულია მიზანზე	მიდგომები, ორიენტირებული შესაძლებლობებზე ცვლილებები თვითორგანიზებადი ხასიათისაა ცვლილებები შეიძლება იყოს შეუქცევადი ანდა ციკლური ხასიათის;

ცვლილებების ეტაპები	ცვლლებების ძირითადი საფუძველია დიაგნოსტიკა, რომელიც გადამწყვეტი ნაბიჯებისაკენ გვიბიძგებს ცვლილებები მიიღწევა პრობლემების გადაწყვეტის მეთოდების გზით	ფაქტების მოძიება და გააზრება ცვლილებებს იწვევს ახალი იდეები, მოდულები, თეორიები, რომელებიც წინ წამოწევენ ფინდამენტურ საკითხებს და სისტემის ყოველ მონაწილეს განაწყობენ ალტერნატიული შესაბამისი მოქმედებისკენ
კონსულტანტის როლი	პროექტის მონაწილე ჯგუფების დახმარება მონაცემების შეკრებასა და დიაგნოსტირებაში, რათა შემდეგ ცვლილებები, რომლებიც ამაღლებენ ორგანიზაციის ეფექტურობას.	სპეცილური პირობების, სივრცის შექმნა, რომელიც დაეხმარება მონაწილეებს ერთიანობაში შეხედონ რეალობას; აუცილებელი ცვლილებების და მისაღწევი საშუალებების გადამოწმება; საერო შეთანხმებამდე მისვლა.

შესრულებული სამუშაობის კვალობაზე, ჯგუფში მუშაობისას ფასილიტატორისთვის გამოიკვეთა 3 კონკრეტული დონე:

I დონე – მაკროპროცესი, რომელიც ასახავს საერთო მიზანს (ან რამდენიმეს ერთად), რომელსაც უნდა მიაღწიოს ჯგუფმა ფასილიტაციის პროცესში (შეიძლება ღონისძიების ცალკეულ ნაწილშიც). ასეთი მიზნები საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ მისია, ხედვა, სტრატეგიული გეგმა, კონფლიქტის/პრობლემის მოგვარების გზა და ა.შ;

II დონე – ესაა მეთოდების დონე (მეთოდები – ესაა სპეციფიური პროცესები, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რათა ჩატარდეს ჯგუფში სპეციალური სამუშაო);

III დონე – წარმოადგენს მიკროპროცესებს ანდა ცალკეულ „ტექნიკებს“ (მაგ., „გონებრივი იერიში“, „აზრების რუკა“ და ა.შ.), რომელიც მნიშვნელოვანია მეთოდიკის დონეზე.

მუშაობს რა ჯგუფებში, ფასილიტატორი პირველ რიგში განსაზღვრავს მიზანს, რომელსაც აუცილებლად უნდა მიაღწიოს. შემდეგში, ითვალისწინებს რა ამ მიზანს და მონაწილეთა რაოდენობას, შეიმუშავებს შესაბამის დიზაინს: მიზნიდან გამომდინარე აირჩევს ამა თუ იმ მეთოდს, რომელიც რამდენიმე ტექნიკის კომბინაციას წარმოადგენს. მაგალითად, ფორმა „დიალოგის" ტექნოლოგიას მიაკუთვნებენ დიდი ჯგუფების ფასილიტაციის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: „პოზიტიური ცვლილებები" (Appreciative Inquiry), „კონფერენცია „ძიება" (Search Conferences), „მომავლის ძიება" (Future Search), „ღია სივრცის ტქნოლოგია" (Open Space Technology), „მონაწილეობის ტექნოლოგია" (მონაწილეთა ტექნოლოგია) (Technology of Participation), „მსოფლიო კაფე" (World Café) და სხვ.

ფასილიტაციის ზოგიერთი წესი სპეციალურადაა შემუშავებული დიდი ჯგუფებისთვის (15 მონაწილიდან ზემოთ), მაგრამ პატარა ჯგუფებში ისინი გამოუსადეგრები შეიძლება იყვნენ და პირიქით. მაგალითად, თუ მიზანია სტრატეგიული გეგმის შემუშავება, მაშინ ფასილიტატორმა უნდა გაითვალისწინოს მონაწილეთა რაოდენობა, იქნება ეს მცირე (15-მდე მონაწილე), თუ დიდი ჯგუფი (15-ზე მეტი).

სქემა 2: როგორ შეიძლება შევარჩიოთ მეთოდი და ტექნიკა ჯგუფური მუშაობის პროცესის და რაოდენობის გათვალისწინებით:

სამუშაოს მიზანი	**მონაწილეთა რეკომედირებული რაოდენობა**	**ფასილიტაციის მეთოდი**	**ფასილიტაციის ტექნიკა**
ჯგუფის (კოლექტივის, საზოგადოების, ორგანიზაციის) განვითარება	პატარა (3-12 მონაწილე) დიდი (დაახლოებით 50 მონაწილე)	„საბაზისო ფასილიტაცია" [Schwarz, 2005a] „სტრატეგიული ცვლილებები რეალურ დროში" [Jacobs, 1997]	- ჯგუფური ეფექტურობის რუკა; - კომუნიკაციის საბაზისო წესები; - მენტალური მოდელები; - წერილები: „რით ვამაყობთ" და „რა არ მოგვწონს"; - პრიორიტეტების გამოყოფა; - ჯგუფური წესები; - ვიზუალიზაციის სავარჯიშოები; - და სხვ.
სტრატეგიული დაგეგმარება	დიდი ჯგუფი (20-35)	„კონფერენცია „ძიება" [Emery, 1996]	- ტენდეციათა ანალიზი; - გონებრივი იერიში; - წარსულის ისტორია; - „ტალღა"; - ტექნიკა „სასურველი მომავალი"; - და სხვ.

	უფრო დიდი (35 მონაწილიდან ზემოთ)	„პოზიტიური ცვლილებების სამიტი“ [Ludema, 2003]	- „პოზიტიური წარმატებების რუკა“; - „სააზროვნო რუკები“;

ფასილიტაციისას ორგანიზაციული პროცესის მართვის რამდენიმე განსაკუთრებული მხარე არსებობს:

I - სტრუქტურირების თვითორგანიზაციის პროცესი, როდესაც ფასილიტატორი წინასწარ გეგმავს ღონისძიებას მონაწილეებთან ერთად, დარწმუნებული რომ ამ გზით მიღწეული შედეგი ყველაზე ეფექტური იქნება;

II – „როლების განაწილება“, როცა წინასწარაა განაწილებული ყველა როლი პროცესში.

თითოეულ მათგანს თავისი მეთოდი შეესაბამება. მეთოდის შერჩევაში მთავარი ისაა, თუ რა მიზნისთვის სჭირდება ორგანიზაციას ეს ღონისძიება; მთელი პროცესის ანუ ღონისძიების მსვლელობის დროს ფასილიტატორი ყურადღებით უნდა იყოს, რომ არ მოახდინოს ორგანიზაციის ადვოკატირება, არ მოექცეს „ექსპერტის როლში“.

მაგრამ მაინც როგორია ის ჯგუფები, რომლებშიც უნდა ჩატარდეს აღნიშნული ღონისძიებები და როგორი მეთოდები მიესადაგება მათ?

სქემა 3: ფასილიტაციის მეთოდები და დიდი და პატარა ჯგუფები:

ფასილიტაციის მეთოდი	ჯგუფის (მონაწილეთა) რაოდენობა
„პოზიტიური ცვლილებების სამიტი“ (Appreciative Inquiry Summit) [Ludema, 2003];	30-3000 (დიდი ჯგუფი)
„მსოფლიო კაფე“ (World Café) [Brown, 2005];	12-1000 (პატარა, დიდი)
„მომავლის ძიება“ (Future Search) [Weisbord, 1992];	40-100 (დიდი)
„დინამიური ფასილიტაცია“ (Dynamic facilitation) [Rough, 2002];	2-40 (დიდი, პატარა)
„განვითარებადი (განვითარებაზე ორიენტირებული) ფასილიტაცია“ (Developmental facilitation) [Schwarz, 2005a];	2-30 (პატარა, დიდი)

ფასილიტაციის მეთოდი	ჯგუფის (მონაწილეთა) რაოდენობა
„კონფერენცია „ძიება“ (Search Conference) [Emery, 1996];	15-50 (დიდი)
„ჩარჩოებიდან – გარეთ“ (Work-Out) [Ulrich et al., 2002];	20-100 (დიდი)
„სტრატეგიული ცვლილებები რეალურ დროში“ (Real Time Strategic Change) [Jacobs, 1997];	10-1000 (პატარა, დიდი)
„მონაწილეობის ტექნოლოგია“ (Technology of Participation) [Spencer, 1989];	5-1000 (პატარა, დიდი)
„ღია სივრცის ტექნოლოგია“ (Open Space Technology) [Оуэн, 2008]	2-2000 (პატარა, დიდი)

იმ ჯგუფში, რომლის წევრებიც „მსგავსნი“ არიან (წარმოადგენენ ერთ ორგანიზაციას), ფასილიტორს (მოდერატორს) არ სჭირდება იმდენი ყურადღება გადაწყვეტილების მიღებისას რამდენადაც ყურადღებით უნდა იყოს იმ ჯგუფებთან, რომელთა წევრებიც „შერეულები“ არიან (წარმოადგენენ სხვადასხვა ჯგუფს). ამ დროს ფასილიტატორი ყურადღებით უნდა იყოს, რომ ჯგუფმა არ მიიღოს „ცუდი გადაწყვეტილება“; ფასილიტაციის ზოგიერთი მეთოდი უფრო გამოსადეგია დიდ ჯგუფებში მუშაობისთვის, რომელიც სხვადასხვაგვარი მონაწილეებისგან შედგება, მაგალითად, ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება „მომავლის ძიება“, „დინამიური ფასილიტაცია“, „მსოფლიო კაფე“; ფასილიტაციის მეთოდებიდან ზოგი ეფექტურია, უბრალოდ, ცვლილებების მისაღწევად, ზოგი – ორგანიზაციული, კოლაბორაციული განვითარებისათვის; არის მეთოდები, რომლებიც ერთდროულად გამოდგება ცვლილებებისთვისაც და ორგანიზაციული განვითარებისათვისაც.

მაგალითად:

ორგანიზაციული განვითრება	ცვლილებების მართვა
1. „განმავითარებელი ფასილიტაცია“ 2. „პოზიტიური ცვლილებების სამიტი“ 3. „ჩარჩოებს მიღმა“ 4. „კონფერენცია „ძიება“ 5. „სტრატეგიული ცვლილებები“	1. „მსოფლიო კაფე“ 2. „ღია სივრცე“ 3. „კონსენსუსი“ 4. „მომვლის ძიება“ 5. „დინამიური ფასილიტაცია“ (რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს ორგანიზაციული განვითრების მეთოდადაც)

ცნობილია, რომ ცოდნის რეალურად გაცვლა კოლაბორაციულ საზოგადოებაში, ორგანიზაციაში არც ისე ადვილია, რადგან არა მარტო ორგანიზაციებს, არამედ ცალკეულ პირებსაც კი უჭირთ პრობლემურ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ რადგან კოლაბორაციული ცოდნის მნიშვნელობა პრობლემების გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომაა რომ ჯგუფის გააქტიურებისთვის მიმართავენ საუბრის ფორმატს, როგორც გამოძიების ფორმატს. ამ მხრივ აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, „მსოფლიო კაფე". იგი ეფექტური საშუალებაა დისკუსიისა და ღია საუბრების დროს; აადვილებს რა ერთმანეთთან დიალოგს, კარგი ფორმაა თავად „დიალოგის" სწავლებისათვის, ხელს უწყობს დიალოგის გზით ახალი ცოდნის დაბადებას და ამ ცოდნის ხელმისაწვდომობას.

ფასილიტაციისას პრიორიტეტულია პროდუქტულობა. ამ მეთოდის დროს კი ჯგუფს სწორედ ამის საშუალება აქვს: მაქსიმალურად შეუძლია გამოიყენოს თავისი პოტენციალი საერთო მიზნების მისაღწევად, შეუძლია ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იდეების გენერირებასა და შეფასებაში, რაც თავის მხრივ არის კიდეც ჯგუფის ყველა წევრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე **ჯგუფური (კოლაბორაციული) განვითარება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დაგეგმილი ცვლილება, მიმართული ორგანიზაციის (საზოგადოების, დაწესებულების) ეფექტურობის სრულყოფაზე, რომელიც თავის მხრივ მიიღწევა ისეთი საკითხებით, როგორიცაა მისია, სტრატეგია, ლიდერობა, კულტურა, სტრუქტურა, წინსვლის გარანტიები, სამუშაო პოლიტიკის და პროცედურების სრულყოფა**. თავად პროცესს კი საფუძვლად უდევს ჰუმანიტარული ღირებულებები, სოციალური მეცნიერებების გამოყენების ცოდნა და სისტემური მიდგომა საკითხისადმი.

პედაგოგიური ექსპერიმენტი და სასწავლო პროცესი

პედაგოგიკის საკითხებზე საუბრისას ხშირად იბადება კითხვები, როგორ მიიღება ესა თუ ის თეორიული დასკვნა, რამდენად სწორად ასახავს ის სინამდვილეს, ვენდოთ თუ არა მას.

იმ გზებსა და საშუალებებს, რითაც ხდება ობიექტური რეალობის შემეცნება, კვლევის მეთოდებს უწოდებენ. მათი საშუალებით ხდება ნებისმიერ საგანზე ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა, გაანალიზება და მონაცმების დამუშავება. კვლევის ტრადიციულ მეთოდებში შედის: გამოცდილების შესწავლა, დაკვირვება, სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზი, მოსწავლეთა შემოქმედების შესწავლა, საუბრები და სხვ.

ნებისმიერი სამეცნიერო-პედაგოგიური კვლევის საფუძველს პედაგოგიური ექსპერიმენტი წარმოადგენს. იგი თანამედროვე პედაგოგიურ კვლევებში ერთობ აქტუალურია.

პედაგოგიური ექსპერიმენტი — ეს პედაგოგიური პროცესის ორგანიზების მეცნიერულად დასაბუთებული და კარგად მოფიქრებული სისტემაა, რომელიც წინასწარ შემუშავებული მეცნიერული შეხდულებებისა და ჰიპოთეზების შემოწმება/დადასტურების საფუძველზე მიმართულია ახალი პედაგოგიური ცოდნის აღმოჩენისკენ.

თავად „ექსპერიმენტი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გამოცდილებას, ცდას, შემოწმებას. პედაგოგიურ ექსპერიმენტს შემოქმედებითი ხასიათი აქვს და მან შეიძლება მოიცვას არა მარტო მოსწავლეთა ცალკეული ჯგუფები, არამედ კლასი, სკოლა და რამდენიმე სკოლაც კი ერთდროულად. შესაძლებელია რეგიონული კვლევების წარმოებაც.

საზოგადოდ, პედაგოგიური ექსპერიმენტი — ესაა:

- პედაგოგიური პროცესის ორგანიზების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რომელიც მიმართულია ახალი პედაგოგიური ცოდნის აღმოჩენისკენ;
- სამეცნიერო ჰიპოთეზების სანდოობის შემოწმება;
- პედაგოგიური სისტემის ცალკეულ ნაწილებს შორის კავშირისა და ურთიერთობის გამოვლენა;

- მკვლევარის აქტიური ჩარევა პედაგოგიურ პროცესში უკვე არსებული პრაქტიკის კანონზომიერებისა და ცვლილებების აღმოჩენის მიზნით;
- შემეცნების მეთოდი, რომელის დახმარებითაც ხდება პედაგოგიური მოვლენების, ფაქტების, გამოცდილების გამოკვლევა;
- მასწავლებელთა და მოსწავლეთა პედაგოგიური მოვაწეობის ორგანიზება წინასწარ შემუშავებული თეორიული შეხედულებების ანდა ჰიპოთეზების შემოწმებისა და შესწავლის მიზნით;
- პედაგოგიური პროცესის გამოცდილების გარდაქმნის (განვითარების) უზრნველყოფა კონკრეტული პირობების შესაბამისად;
- სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვება მიმდინარე პედაგოგიურ პროცესზე მისი სისტემური ცვლილებების მიზნით, რომლისთვისაც, ამავე დროს, საჭიროა ინფორმაციის შეგროვება გარკვეული მონაცემების, კონკრეტული პირობებისა და სასწავლო მასალების შესახებ.

პედაგოგიური ექსპერიმენტის ორი ძირითადი სახეობაა ბუნებრივი და ლაბორატორიული ექსპერიმენტები, რომლებსაც მრავალი ქვესახეობა აქვს.

ბუნებრივი პედაგოგიური ექსპერიმენტი მიმდინარეობს ჩვეულებრივი სასწავლო რეჟიმის პირობებში და ამ დროს ხდება ახალი სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოების შემოწმება.

ლაბორატორიული პედაგოგიური ექსპერიმენტი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის გაცილებით ღრმა ფორმას. ამ დროს პედაგოგიური პროცესის კონტექსტიდან გამოყოფენ განსაზღვრულ მხარეს, ხელოვნურად ქმნიან პრობლემას, ზუსტად აკონტროლებენ მას და მოქმედებენ სიტუაციის შესაბამისად.

პედაგოგიური ექსპერიმენტები სხვადასხვა სახისაა, ხშირია მათი კომპლექსური გამოყენებაც.

მიზნის კვალობაზე, განასხვავებენ:

1. მაკონსტატირებელ (ფაქტის დამადასტურებელ) ექსპერიმენტებს, რომელთა დროსაც ხდება პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის საკითხების რეალურ პედაგოგიურ პროცესში შესწავლა. ეს ექსპერიმენტი ტარდება კვლევის დასაწყისში შესასწავლი პრობლემის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოსავლენად;
2. სანდოობის დამამტკიცებელ, დამაზუსტებელ, შემმოწმებელ ექსპერიმენტს (ამ დროს ხდება პრობლემის გააზრებისას წამოჭრილი ჰიპოთეზის სანდოობის შემოწმება);
3. შემოქმედებით ანუ ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიის მაკონსტრუირებელ ექსპერიმენტს (როცა შემოაქვთ ახალი სასწავლო გეგმები, სწავლა-აღზრდის მეთოდები და სხვ.). ჰიპოთეზის სანდოობის დამტკიცებისას მიღებული მონაცემების საფუძველზე ტარდება სამეცნიერო-თეორიული ანალიზი და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები;

4. საკონტროლო – ეს კონკრეტული პრობლემის დამამთავრებელი ეტაპია. მის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მიღებული შედეგებისა და პედაგოგიური პრაქტიკის მეთოდიკის შემოწმება, მეორე მხრივ, სხვა სასწავლო დაწესებულებების მეთოდებისა და პედაგოგების აპრობაცია. თუ საკონტროლო ექსპერიმენტი ამტკიცებს მიღებულ შედგებს, მკვლევარი ახდენს ამ შედეგების როგორც პედაგოგიკის თეორიული და მეთოდური მიღწევის აპრობაციას (იყენებს პრაქტიკაში).

ყველზე ხშირად ბუნებრივ და ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს იყენებენ. პირველს – ბუნებრივ პირობებში, მიმდინარე გაკვეთილებსა და კლასგარეშე მეცადინეობებზე. მისი არსი ისაა, რომ მკვლევარი, აანალიზებს რა ამა თუ იმ პედაგოგიურ მოვლენას, მიისწრაფის შექმნას იმგვარი პედაგოგიური სიტუაცია, რომ მან არ დაარღვიოს საგაკვეთილო პროცესი და მეცადინეობა ბუნებრივად გაგრძელდეს. ბუნებრივი ექსპერიმენტის საგანს ძირითადად წარმოადგენს გეგმები და პროგრამები, სახელმძღვანელოები და სასწავლო საშუალებები, მეთოდები და სწავლა-აღზრდის ფორმები.

ლაბორატორიული კვლევა პედაგოგიურ პრაქტიკაში არც ისე ხშირად გამოიყენება. იგი გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას არაკონტროლირებადი ფაქტორების, ობიექტური და სუბიექტური პირობების გამოსამჟღავნებლად და მათ მინიმუმამდე დასაყვანად. ლაბორატორიული ექსპერიმენტი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება დიდაქტიკაში, შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პატარა ჯგუფის ექსპერიმენტული სწავლება სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკით, რომლის დროს სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებსა და მოწყობილობებსაც გამოიყენებენ. გასათვალისწინებელია, რომ ექსპერიმენტი ამარტივებს იმ პედაგოგიურ გამოცდილებას, რომელიც თვალსაჩინო იყო „სუფთა“ სახით, ბუნებრივ პირობებში. ეს „ხელოვნურობა“ არის კიდეც ამ ტიპის ლაბორატორიული სამუშაოს ნაკლოვანი მხარე. მთავარია სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციისას: ძირითადი დასკვნები უნდა გაკეთდეს არალაბორატორიულ, ბუნებრივ პირობებში, ანუ იქ, სადაც სინამდვილეში უნდა გავრცელდეს ამ სამუშაოს შედეგები.

ამავე დროს, ექსპერიმენტის დაწყებამდე მკვლევარმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ის საკითხები, რომლებიც არასათანადოდაა გამოკვლეული პედაგოგიკაში.

პედაგოგიური ექსპერიმენტის ეტაპები

პედაგოგიური ექსპერიმენტის ეტაპებია:

- დაგეგმვა;
- ჩატარება;
- შედეგების ინტერპრეტაცია.

დაგეგმვა გულისხმობს ექსპერიმენტის მიზნისა და ამოცანის დასახვას, მოსალოდნელი შედეგების გათვლას, ექსპერიმენტის რაოდენობას და ჩატარების განრიგს, მიღებული შედეგების შემოწმების მეთოდს. ექსპერიმენტის ორგანიზება და ჩატარება უნდა წარიმართოს წინასწარ შემუშავებული გეგმით. ინტერპრეტაციის ეტაპზე ხდება მონაცემების შეკრება და დამუშავება.

ექსპერიმენტი სანდო რომ იყოს, აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

1. ცდებისა და გამოსაცდელი ობიექტების ოპტიმალური რაოდენობა;
2. კვლევის მეთოდიკის საიმედოობა;
3. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოვლენა.

ექსპერიმენტის მსვლელობისას რამდენიმე მეთოდის შერწყმა იძლევა პედაგოგიური კვლევის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების საშუალებას. ამას ხელს უწობს ექსპერიმენტის შედეგების სწორად გამოთვლაც (რისთვისაც აქტიურად იყენებენ მათემატიკურ მეთოდებსაც).

ექსპერიმენტის დაწყებისას მკვლევარი დაწვრილებით გათვლის მიზანსა და ამოცანებს, განსაზღვრავს ობიექტს და კვლევის საგანს, შეადგენს კვლევის პროგრამას, გამოთვლის მოსალოდნელ შედეგებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს თავად ექსპერიმენტის ეტაპობრივ დაგეგმვას. მასში გამოიკვეთება ჩასატარებელი რეფორმების ხასიათი, თითოეულის როლი და ადგილი ექსპერიმენტში, გათვალისწინებეული იქნება პედაგოგიური პროცესისთვის ხელის შემშლელი შესაძლო მიზეზები, მითითებული იქნება ექსპერიმენტის ჩატარების საშულებებიც.

მკვლევარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თვალყური ადევნოს მთელ ექსპერიმენტულ პროცესს როგორც მიმდინარეობის, ისე შედეგების ანალიზის თვალსაზრისით.

პედაგოგიური ექსპერიმენტი შეიძლება ემსახურებოდეს:

- სწავლების კონცეფციის შემუშავებას, განათლებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კანონზომიერების განსაზღვრას;
- პიროვნების ფორმირებისა და განვითარების პირობების გამოვლენას;
- ცოდნის ათვისების ხელშემწყობი ფაქტორების წარმოჩენას, ახალი პედაგოგიური პრობლემების გამოვლენას;
- ჰიპოთეზის დამტკიცებას ან უარყოფას;
- კლასიფიკაციის შემუშავებას (გაკვეთილებისა, სწავლის მეთოდებისა, გაკვეთილის ტიპებისა და სხვ.);
- სწავლების ანალიზის და ა.შ.

პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგებს საერთო სტრუქტურა აქვთ. ისინი ძი-

რითადად სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან შედგება: ობიექ-ტური, გარდაქმნაზე, ცვლილებაზე ორიენტირებული კომპონენტისა და მაკონ-კრეტებელი კომპონენტისგან.

ობიექტური კომპონენტი ხელს უწყობს შედეგების გამოვლენას სხვადასხვა დონეზე. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცოდნის სხვადასხვა ტიპით (ჰიპო-თეზა, კლასიფიკაცია, კონცეფცია, პარადიგმა, მიმართულება, რეკომენდაცია, პირობები და ა.შ.).

გარდაქმნაზე, ცვლილებაზე ორიენტირებული კომპონენტი ხელს უწყობს იმ ცვლილებათა გამოვლენას, რომლებიც ხდება ობიექტურ კომპონენტთან და-კავშირებით (დამატებითი საკითხების საჭიროების კუთხით).

ამ კომპონენტის შედეგების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდე-გი საკითხები:

1. შეიმუშავა თუ არა მკვლევარმა სწავლა/აღზრდის ახალი მეთოდი;
2. განსაზღვრა თუ არა სწავლის პროცესის ეფექტურობის ამაღლების გზები;
3. გამოავლინა თუ არა თეორიული და მეთოდური პრინციპები;
4. შესთავაზა თუ არა მოდელი შემდგომი განვითარებისთვის;
5. შეამოწმა თუ არა კლასის ხელმძღვანელის მოღვაწეობის ეფექტური ფუნქ-ციობის მოდელი.

მაკონკრეტებელი კომპონენტი აზუსტებს პირობებს, ფაქტორებსა და გარე-მოებებს, რომლებშიც მიმდინარეობს ობიექტური და გარდაქმნაზე აქცენტი-რებული კომპონენტები, ანუ იგი:

- აკონკრეტებს ადგილსა და დროს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს კვლევა;
- მიუთითებს სწავლისთვის, მოსწავლეთა აღზრდა-განვითარებისთვის აუცი-ლებელ პირობებს;
- ჩამოთვლის სასწავლო პროცესში გამოყენებულ მეთოდებს, კონტროლის საშუალებებს, პრინციპებს, მიღებულ მონაცემებს;
- აზუსტებს ამა თუ იმ პედაგოგიური ამოცანის გადაწყვეტისთვის საჭირო მიდგომებს.

კომპონენტი ავსებს ერთმანეთს, ამიტომ კვლევა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთი მთლიანი პროცესი. ცხადია, ყველა ელემენტი უნდა აისახოს შედეგებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ექსპერიმენტის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პირობებს მიეკუთვნება:

- მოვლენის წინასწარი დაწვრილებითი თეორიული და მეთოდური ანალი-ზი;

- ჰიპოთეზების დაკონკრეტება, მასში სიახლის გამოვლენა, გამოვლენა არსებულ შეხედულებებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა, რომლებიც მოითხოვს ექსპერიმენტულ დადასტურებას;
- მკაფიო ფორმულირება ექსპერიმენტის მიზნებისა, განსაზღვრა ნიშნებისა, რომლებითაც მოხდება მოვლენების შესწავლა, შეფასების კრიტერიუმებისა;
- კონკრეტული ექსპერიმენტისთვის საჭირო ობიექტების მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

ექსპერიმენტის წარმატებისთვის სწორად უნდა იყოს გათვლილი დროც ანუ ექსპერიმენტის ხანგრძლივობა, რისთვისაც შესაძლებელია წინა კვლევების გამოცდილების გამოყენებაც.

ნიმუში: პედაგოგიური ექსპერიმენტი (საგანი – გეოგრაფია)

ექსპერიმენტისთვის იქმნება ორი ჯგუფი 10-10 მოსწავლით (მაგ., მე-8 კლასის მოსწავლეები), ერთი – საკონტროლო, მეორე კი ექსპერიმენტული ხასიათისა, რომლებიც წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და ზაფხულში (თითო პროგრამა – 2-3 ვიზიტი) ესტუმრებიან საველე სადგურს.

ექსპერიმენტულ ჯგუფში მეტ ყურადღებას უთმობენ იმ მოტივაციური უნარების წინ წამოწევას, რომლებიც აუცილებელია დამოუკიდებელი კვლევისთვის.

მეცადინეობის წინ მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეახსენებენ ბიოსადგურზე სტუმრობის საგანმანათლებლო მიზანს, მიუთითებენ წესრიგზე. ამით მოსწავლეებს უყალიბდებათ სამუშაო განწყობილება და ასევე განსაკუთრებული დამოკიდებულება ბიოსადგურის როგორც სასწავლო და არა როგორც დასასვენებელი ცენტრის მიმართ.

ექსპერიმენტის დროს მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად მუშაობენ საველე პირობებში. ასეთი თანამშრომლობა აჩვენებს მოსწავლებლეებს, რომ კვლევის პრაქტიკული მეთოდები არ არის რთული და რომ ისინი მათთვისაც მისაღწევია. ამით მოსწავლეთა თვალში დაინგრევა სტერეოტიპი, რომ კვლევის ჩატარება მხოლოდ სამეცნიერო ლაბორატორიისა და ინსტიტუტის პირობებშია შესაძლებელი და მათი ინტერესი გაიზრდება.

ექსპერიმენტის განმავლობაში გეოგრაფიისადმი ინტერესის გაღვივება ხდება სხვადასხვა ფორმით: ფაქტობრივი მასალის გამოყენებით, პრობლემური კითხვების წინ წამოწევით, ლაბორატორიული სამუშაოთი, სასწავლო ექსკურსიით, დემონსტრაციით, ადგილზე პრაქტიკული სამუშაოებით, თამაშის წესებით და ა.შ. მოტივაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლის

კვლევის შედეგების გამოყენება გეოგრაფიის გაკვეთილზე, კონკურსში მონაწილეობით, სასკოლო გაზეთში პუბლიკაციით და ა.შ.

ამ დროს დავალებები შესაძლოა ასეთი იყოს:

- როგორ უნდა გამოითვალოს ძველი ნამარხი ბიომასალის ასაკი?
- ხეობის ძირში იპოვეთ რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა მინერალი;
- ახსენით, როგორ შეიძლებოდა მათი ერთად მოხვედრა;
- დახატეთ და შეადარეთ ერთმანეთს რელიეფის ფორმები;
- ითამაშეთ: „ვინ დაასახელებს ყველაზე მეტ რელიეფის ფორმას?“
- გამართეთ კონფერენცია თემაზე: „რით დამთავრდა სასწავლო კვლევა და როგორ უნდა წარვუდგინოთ იგი საზოგადოებას“ (კვლევისა და მისი შედეგების შესახებ საუბრისას საგანგებოდ გამოყავით პრიორიტეტები)
  და ა.შ.

კვლევის წინასწარი დემონსტრაციისას მოსწავლეთა დაინტერესებისთვის წინ წამოიწევა შემდეგი საკითხები:

- ბუნების რომელი კომპონენტები შეიძლება შევისწავლოთ და რა საშუალებებით?
- რომელი ინსტრუმენტებით შეიძლება შევისწავლოთ დედამიწის ზედაპირი, მისი შემადგენლობა, ფორმები, აგებულება?
- თქვენი აზრით, რა თემებზე შეიძლება ბუნების გამოკვლევის წარმოება?

თუ ექსპერიმენტი საველეა, უმჯობესია მოსწავლეების დაყოფა ჯგუფებად და წყვილებად. ექსპერიმენტისას (საველე მუშაობისას) იმ უნარების ფორმირებისთვის, რომლებიც სჭირდება მომავალ მკვლევარს (ანალიზი და სინთეზი, შედარება, აბსტრაჰირება, დაკონკრეტება, განზოგადება, კლასიფიკაცია, წინააღმდეგობების დანახვა, შედეგების ფორმირება) შეიძლება ასეთი დავალებების შეთავაზება:

- გამოიყენეთ მინერალებისა და ქანების შესახებ თქვენი ცოდნა და მოპოვებული მასალები დაყავით ჯგუფებად: მინერალები და მთის ქანები;
- მოიგონეთ რაც შეიძლება მეტი კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც რელიეფის არსებული ფორმები შეიძლება დაიყოს ჯგუფებად და ჩამოთვალეთ ეს ჯგუფები;
- გამოიყენეთ გეომეტრიის ცოდნა გრაფიკის აგების შესახებ, სასკოლო ნიველირი, საზომი ხელსაწყო და მოფიქრეთ, როგორ გაზომავთ ფერდობის დაქანებას.
- შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რელიეფის რა ფორმებია თქვენს წინ, როგორ წარმოიშვა, რა ასაკისაა;
- იპოვეთ რაც შეიძლება მეტი სხვაობა/მსგავსება ხეობასა და მაღლობს შორის;
- რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და მისი სამეურნეო საქმიანობისთვის რელიეფის ფორმებს?

მსგავსი ექსპერიმენტის დროს შესრულებულ დავალებას შესაძლოა ასეთი სახე ჰქონდეს:

მოსწავლეთა მიერ რელიეფის ფორმის განსახილველი ალგორითმი



როცა ექსპერიმენტი დროშია შეზღუდული, მოსწავლეებისთვის უმჯობესია ვიწრო, პატარა თემების შერჩევა. შეიძლება, თემები თავადაც მოიფიქრონ. ცხადია, მასწავლებელმა თავისი ვარიანტიც უნდა შესთავაზოს – ეს მათ მუშაობას სერიოზულობას შემატებს.

სამუშაოს მაგალითები:

- მცენარეული საფარის ცვლილების შესწავლა (რელიეფისგან დამოუკიდებლად);
- მდინარე მტკვრის ხეობის შესწავლა და სხვ.

კვლევის პროცესში მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს საჭირო ინსტრუქცია, სქემები, ბარათები ჩანაწერებისათვის, თეორიული მასალა, რომელსაც პრაქტიკულად გამოიყენებენ მოსწავლეები.

მაგალითად, ინსტრუქციის ბარათებს თემაზე „რელიეფის ფორმები“ შესაძლოა ასეთი ფორმა ჰქონდეთ:

- დასახელება (ლაკონური მითითება, იგი გაკეთდება ბარათის შუაგულში მხვილი შრიფტით);
- პირობითი ნიშნების აღწერა (თუ გვხვდებიან ისინი);
- მასშტაბი (თუ საჭიროა ვერტიკალური და ჰორიზონტალური გათვლებისათვის);
- სამუშაოს ავტორი (მოკლედ).

ექსპერიმენტის დასასრულ, დასკვნითი კონფერენციის გასამართავად აუცილებელია შედეგების გამოთვლა და კიდევ ერთხელ თვალის გადავლება შესრულებული სამუშაოსათვის. კონფერენციაზე დაწვრილებით შეჯამდება შედეგები. პრეზენტაციები შესაძლოა გაიმართოს ჯგუფურადაც.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებლემა და მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ თითოეული წევრის მუშაობა, გამოყონ ძლიერი და სუსტი მხარეები.

რაც შეეხება საკონტროლო ექსპერიმენტს, აღსანიშნავია, რომ საკონტროლო ჯგუფს არ ევალება ყურადღების გამახვილება მოტივაციასა და უნარების ფორმირებაზე. აქ მთავარი აქცენტი კეთდება ჩვეულებრივ, კონკრეტულ, სქემატიზებულ ფორმატზე; მთავარია მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის გაღვივება და არაა სავალდებულო მეთოდების შერჩევა მათი შემდგომი გააქტიურებისათვის; ასეთ დროს კვლევა არ იგეგმება სპეციალურ დაწესებულებებში, იგი არც ინსტრუქციის ბარათებს მოითხოვს და ძირითადად მოკლე კითხვარით შემოიფარგლება; არც კონფერენციაზეა მასწავლებელი აქტიური და შეფასებაც კი ლაკონურია და სქემატური.

პედაგოგიური ექსპერიმენტი მეცნიერული კვლევის კომპლექსური მეთოდია, რომელიც გვთავაზობს მთელი რიგი სხვა, კერძო მეთოდების ერთდროულ გამოყენებას, ისეთებისას, როგორიცაა დაკვირვება, საუბარი, ინტერვიუ, ანკეტური გამოკითხვა, დაიგნოსტიკური საკონტროლო სამუშაოები, სპეციალური სიტუაციების შექმნა.

პედაგოგიური ექსპერიმენტი გვიჩვენებს მოსწავლეთა ინტერესს საგნისა და, საზოგადოდ, ექსპერიმენტული მეთოდებით სწავლების მიმართ, წარმოაჩენს მთელი რიგი მეთოდური რეკომენდაციების აუცილებლობას მასწალებლებისთვის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით, ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას აქტიური კომუნიკაციისათვის და წარმატებით შეიძლება მისი გამოყენება სასწავლო პროცესში.

მანანა ბოჭორიშვილი 137

გაკვეთილის სათაური 139

დასწავლის კანონები და ედვარდ ლი
თორნდაიკის თეორია 143

კრეატიულობის ინვესტიციის თეორია:
იყიდე იაფად, გაყიდე ძვირად 146

გაკვეთილის პროცესის წარმართვაში
მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და
პრაქტიკული ასპექტები 153

ეფექტური კომუნიკაცია საკლასო
ოთახში, ანუ გზავნილების პედაგოგიკა 160

როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი
— გზამკვლევი მასწავლებლებს 167

ქეისებით სწავლება 175

კითხვების დასმა და პასუხზე ეფექტური
რეაგირება დისკუსიისას 181

ტესტური დავალების ტიპები და პედაგოგიური
ტესტის შექმნის მნიშვნელოვანი პროცედურები 185

მასწავლებელი — სასწავლო მასალის,
რესურსისა და აქტივობის ავტორი 194

ტექსტის გააზრების არალინგვისტური
ხერხები და წიგნიერება 202

გაკვეთილის სათაური

სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები აღნიშნავენ, რომ პარაგრაფის სათაურისმოფიქრება მნიშვნელოვანი რამაა, რადგანამით უნდა განისაზღვროს პარაგრაფის დედააზრი. პარაგრაფის სათაური ერთგვარი ხიდია პროგრამის მოთხოვნებსა და მოსწავლის ცნობისმოყვარეობას შორის.

გაკვეთილის პარაგრაფისთვის სახელის დარქმევა შემოქმედებითი პროცესია — ავტორმაკარგადიცის, რისთვის, რატომ, რა მოტივით შეიქმნა გაკვეთილის ტექსტი, ილუსტრაცია, სავარჯიშოები, გაცნობიერებული აქვს მისი არსი, ფუნქცია, დანიშნულება, აზრი.

სათაურის ერთ-ერთი ფუნქციაა, შეუქმნას მოსწავლეს განწყობა, რომელიც მას საკითხის გააზრებაში დაეხმარება. ამისთვის სახელმძღვანელოს ავტორები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ.

როგორი შეიძლება იყოს გაკვეთილის სათაური?

ის უნდა იყოს ორიგინალური, სხარტი, კრეატიული, მიანიშებდეს გაკვეთილის გასააზრებელ ტექსტზე და, ამავე დროს, არ თქვას ყველაფერი.

განათლების ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს **საერთო კრიტერიუმები**, რომლებსაც გაკვეთილის სათაური უნდა აკმაყოფილებდეს:

- სათაური გაკვეთილის ორგანული და **განუყოფელი ნაწილი** უნდა იყოს.
- სათაური იმთავითვე **უნდა წარმოაჩენდეს გაკვეთილის არსს**, ხოლო მისი კავშირი ტექსტის არსთან კითხვის პროცესში სულ უფრო საცნაური უნდა ხდებოდეს მოსწავლისთვის.
- სათაური უნდა სთავაზობდეს მკითხველს ტექსტის აღქმის კუთხეს და პირველ ხანებში მაინც **წარმართავდეს კითხვის პროცესს**. იგი უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც სასურველი მიმართულებითა ამოქმედებს მოსწავლის წარმოსახვას.
- ამავე დროს, **სათაური არ უნდა იქცეს ამოცანის ამოხსნად**, არ უნდა სთავაზობდეს მკითხველს საკითხის გადაწყვეტას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას არ უნდა გადმოჰქონდეს ტექსტის დასაწყისში ის, რაც ლოგიკურად თხრობის დასასრულისთვისაა განკუთვნილი.

- სათაური უნდა იყოს შთამბეჭდავი. ადვილად დასამახსოვრებელი, იგი უნდა **იწვევდეს მოსწავლის ინტერესს** და გარკვეულ საზრდოს უნდა სთავაზობდეს მის ფანტაზიას.

გაკვეთილის სათაურის უნივერსალური დანიშნულებაა, **მოსწავლეთა რაც შეიძლება დიდ ნაწილზე მოახდინოს ზეგავლენა**. თუ ავტორმა ეფექტურად შეარჩია სათაური, მაგრამ მას არ აღმოაჩნდა კავშირი ტექსტთან, მოსწავლე მოტყუვდება და დაკარგავს „ნდობას“ სათაურის „გამოწვევისადმი“.

ვიგოტსკის აზრით, ნებისმიერი ტექსტი, მოთხრობა, სურათი, ლექსი რთული მთლიანობაა, რომელიც სხვადასხვა ელემენტისგან შედგება. ეს ელემენტები ორგანიზებულნი არიან სხვადასხვა დონეზე, დაქვემდებარებისა და ურთიერთკავშირის განსხვავებულ იერარქიაში, და ამ რთულ მთლიანობაშიც ყოველთვის ჩნდება რომელიღაც დომინირებადი მომენტი, რომელიც განსაზღვრავს მთელი მასალის აგებულებას, მისი თითოეული ნაწილის არსსა და დანიშნულებას (Выготский Л.С. Психология искусства. М., 1997, გვ. 193).

თუ დავაკვირდებით სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული გაკვეთილის პარაგრაფებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ სათაურს, არსებითად, ორი დატვირთვა აქვს:

პირველი	**მეორე**
სათაურის ამოცანაა, პარაგრაფის პარაგრაფისგან, ნაწარმოების ნაწარმოებისგან **გამორჩევა-განსხვავება**, საკითხის როგორც დამოუკიდებელი ერთეულის აქცენტირება, იდენტიფიკაციის დაძლევა. ამ დროს ნომინაცია უფრო მეტად გარეგნულ მხარეს ეხება. იგი მიზნად არ ისახავს — ან ნაკლებად ისახავს — სახელდებულის არსზე, თავისთავადობაზე, შინაგან სიღრმეებზე მინიშნებას.	სათაური კომპოზიციური ელემენტია, **თავისებური გასაღები, რომელმაც უნდა გაგვიადვილოს შემოქმედების ლაბირინთში შესვლა**. მას ევალება: • პარაგრაფის თემაზე, საკითხის არსზე მინიშნება; • ნაწარმოების არა მხოლოდ თემაზე, არამედ დამოკიდებულებაზე, ღირებულებაზე მინიშნებაც; • მოსწავლეების დაინტერესებამიზიდვა.
მაგალითად: სახელმძღვანელოში ერთი თავი ეთმობა თემას „ჰიდრორესურსები“. ამ თავში შემავალი პარაგრაფის სათაურები შეიძლება იყოს: 1. მდინარე 2. ზღვა 3. ტბა 4. ოკეანე	**მაგალითად:** სახელმძღვანელოში ერთი თავი ეთმობა თემას „ჰიდრორესურსები“. ამ თავში შემავალი პარაგრაფის სათაურები შეიძლება იყოს: 1. როგორ ჩნდება მდინარეები 2. რა ფერია ფერადი ზღვები 3. რა არის ტბა და როგორ წარმოიქმნება ის 4. მსოფლიო ოკეანე — საოცრებათა სამყარო

ჩატარებული კვლევის თანახმად, შეიძლება უფრო კონკრეტულად საუბარიც სათაურის ტექსტისადმი დამოკიდებულებასა და მის ფუნქციებზე.

არსებობს სათაურისა და ტექსტის ურთიერთკავშირის ორი ფორმა:

1. **ექსპლიციტური** ურთიერთკავშირი აშკარად, განსაზღვრულად, არაორაზროვნად არის გამოხატული. იგი გულისხმობს დისტანტურ გამეორებას, რომელსაც აყალიბებს ნაწარმოების არა მხოლოდ საკუთრივ ტექსტი, არამედქვეტექსტიც. ასეთი კავშირი ერთჯერადიცაა და მრავალჯერადიც. ექსპლიციტური ურთიერთკავშირი ყველაზე მეტად მაშინ მიიღწევა, როცა სათაურის გამეორებადი ელემენტები მსჭვალავს მთელ ტექსტს და თავსდება ნაწარმოების დასაწყისში ან ბოლოში, ანუ მის „ძლიერ პოზიციებზე“.
2. **იმპლიციტური** ურთიერთკავშირი გულისხმობს სათაურის გამაშუალებელ მდგომარეობას ტექსტთან, როცა სათაურის შინაარსი დაშიფრულია მეტა ენის მეშვეობით, ხოლო ტექსტი წარმოდგება მეტაფორიზებული სათაურის განხორციელებად. იმპლიციტური კავშირი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სათაური და ტექსტი, პარაგრაფში შემავალი თვალსაჩინოება (ნახატი, სურათი, ნახაზი, სქემა) წარმოქმნიან ახალ, ერთიან შეტყობინებას.

სათაურს თავისი ფუნქციები აქვს:

- **რეპრეზენტატიული**, რომელიც მიემართება და უსვამს მას განსაზღვრულ კითხვას, რომელზეც პასუხი მოსწავლემ გაკვეთილის წაკითხვის შემდეგ უნდა მიიღოს;
- **შემაერთებელი**, რომელიც გულისხმობს ვითარებას, როცა სათაური გარკვეულწილად აკავშირებს მკითხველს გაკვეთილთან, ერთ პარაგრაფს მეორესთან, ასევე – პარაგრაფის ყველა ელემენტს;
- **ნომინატიური**, საერთო ყველა გაკვეთილისთვის, როცა სათაურის დანიშნულება პარაგრაფის იდენტიფიკაციაა;
- **იზოლაციისა და დასრულებულობისა**, როცა სათაური პარაგრაფს სხვა პარაგრაფებისგან გამოყოფს და ნაწარმოებს დამოუკიდებლობას ანიჭებს;
- **ტექსტწარმომქმნელი**, რომელიც მკითხველის აღქმის ორგანიზების გარეგნული ფუნქციის შინაგანი ეკვივალენტია;
- **ინფორმაციული ფუნქცია**, როცა სათაური მკითხველს შინაარსზე აწვდის ინფორმაციას;
- **სარეკლამო**, რომლისთვისაც იყენებენ სხვადასხვა საშუალებას: ფრთიან გამოთქმებს, აფორიზმებს, სატირულ ხერეხებს და სხვ. სარეკლამო ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პუბლიცისტურ ტექსტში;
- **ესთეტიკური**, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკითხველზე ემოციური ზემოქმედება.

იმის მიხედვით, რომელი ფუნქცია დომინირებს, გამოყოფენ სათაურთა ორ ტიპს:

1. **გარე მიმართულების სათაურს**, რომელიც მკითხველისკენაა მიმართული და მის ემოციებზე ზემოქმედებს;

2. **შიდა მიმართულებისას**, რომელიც მიემართება ტექსტს და ცხოველმყოფელობას ანიჭებს ენის პარადიგმულ საშუალებებს, მონაწილეობს ტექსტის სემანტიკურ და კომპოზიციურ ორგანიზებაში.

გაკვეთილის სათაურის გავლენა მოსწავლის განწყობაზე, ძალიან მნიშვნელოვანია. სათაური მასწავლებლისთვისაც ერთგვარი გამოწვევაა. მასწავლებელი სათაურის ტიპის, ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით არჩევს სწავლების მეთოდიკას, რომლის მეშვეობითაც ხდება სათაურის ინტერპრეტაცია და ეს იძლევა ავტორის ჩანაფიქრისა და მიზანდასახულობის წარმოჩენის საშუალებას. კითხვისას სათაური აღიქმება როგორც ნაწარმოების თემა. ტექსტის სიღრმისეული გააზრების შემდეგ ის ივსება კონცეპტუალური მნიშვნელობით, რომელიც აზრის ინტერპრეტაციას ასახავს. სავსებით ბუნებრივია, რომ კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლე უბრუნდება სათაურს. ამ დროს ხდება სათაურსა და ტექსტს შორის შინაგანი ურთიერთმიმართების გამყარება. შესაძლოა, ეს ურთიერთმიმართება იყოს ასოციაციური და ამ დროს ახალი მნიშვნელობით დაიტვირთოს.

დასწავლის კანონები და ედვარდ ლი თორნდაიკის თეორია

ედვარდ ლი თორნდაიკი *1899 წელს გახდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგიურ კოლეჯის ფსიქოლოგიის ლექტორი. 1912 წელს ის აირჩიეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოცოაციის პრეზიდენტად. თორნდაიკის მიერ კოლუმბიის უნივერსიტეტში გატარებული 50 წელი ძალიან ნაყოფიერი იყო. მისი ბიბლიოგრაფია ითვლის 507 დასახელებას და ამასთან, მრავალი ამ წიგნებიდან საკმაოდ სქელტანიანია.*

მისი შრომები საფუძველად დაედო სწავლების თეორიას ამერიკულ ფსიქოლოგიაში, ხოლო აქცენტი ქცევაზე, რომელიც გამოხატულია მის ყველა კვლევაში, აღმოჩნდა უმთავრესი ბიჰევიორიზმის განვითარებაში. უოტსონი წერდა, რომ თორნდაიკის კვლევები გახდა ბიჰევიორიზმის ქვაკუთხედი. თორნდაიკმა შექმნა და გამოიყენა ექპერიმენტული მიდგომა, რომელიც კონექციონიზმის სახელითაა ცნობილი მან მიმოიხილა დასწავლის ფორმები და დასწავლის კანონები.

თორნდაიკმა შექმნა ექპერიმენტული მიდგომა, რომელსაც დაარქვა **კონექციონიზმი**. ის წერდა, რომ თუ მას დასჭირდებოდა ადამიანის ცნობიერების გაანალიზება, ის მოძებნიდა კავშირს „A – სიტუაციას, სიტუაციის ელემენტებსა და სიტუაციის შემადგენლებსა და B – რეაქციებს, რეაგირებისათვის მზაობას, სტიმულებს, შეფერხებას, რეაქციის მიმართულებას შორის.

ამ ყველაფრის გათვალისწინების შემთხვევაში, საუბარია იმაზეთუ

- რას ფიქრობს ადამიანი?
- რას აკეთებს ადამიანი?
- რა გააღიზიანებს ადამიანს?
- რა გაახარებს მას ნებისმიერ წარმოდგენილ სიტუაციაში?

თორნდაიკიაღნიშნავს რადგან დასწავლა – ესაა კავშირი, გონება – ესაა ადამიანის კავშირების სისტემა“ (Thorndike. 1931. P. 122).

ასოციაციის ან იდეებს შორის კავშირის მაგივრად, თორნდაიკმა შემოიღო სიტუაციასა და რეაქციას შორის კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ მან თავის ფსი-

ქოლოგიურ თეორიაში ჩართო უფრო ობიექტური საფუძველი, ის მაინც აგრძელებდა ფსიქიკური ანუ სუბიექტური პროცესების განხილვას.

დასწავლის რა ფორმას მიმოიხილავს ედვარდ თორნდაიკი?

ესაა დასწავლის ფორმა: **„დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით“**. მოცემული სტილის დასწავლა შემდეგნაირად მიმდინარეობს: ახალ და უცხო სიტუაციაში ადამიანი სხვადასხვა ქცევას მიმართავს მანამ, სანამ მისი ქცევა სასურველ შედეგს არ მოიტანს. ამის შემდეგ ხდება წარმატებული ქცევის გამეორება, რასაც დასწავლა განაპირობებს.

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ მოსწავლეს ახლად დაწყებული აქვს მუშაობა კომპიუტერთან. ის ბეჭდავს დოკუმენტს, მაგრამ ზუსტად არ ახსოვს, თუ როგორ უნდა განახორციელოს ტექსტის ცენტრირების ოპერაცია. ის მიმართავს სხვადასხვა ქცევას (აჭერს სხვადასხვა ღილაკს) მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევს. ამის შემდეგ, როდესაც ის მიუჯდება კომპიუტერს სამუშაოდ, უფრო იოლად განახორციელებს სასურველ ქცევას.

თორნდაიკმა შექმნა დასწავლის კანონები:

1. ეფექტისკანონი
2. მზაობისკანონი
3. მრავალირეაქციისკანონი
4. დომინანტური ელემენტების კანონი
5. განწყობისანუდამოკიდებულებისკანონი
6. ანალოგიურირეაქციისკანონი

ეფექტის კანონი გვიხსნის რომ ყოველთვის მოხდება იმ ქცევის გამეორება, დასწავლა, რომელსაც თან ახლავს „კმაყოფილების განცდა“ და პირიქით, არ მოხდება იმ ქცევის გამეორება, რომელსაც თან არ ახლავს „კმაყოფილების განცდა“.

მზაობის კანონი: ნებისმიერი ქმედების დასწავლა არ დასწავლა მზაობაზეა დამოკიდებული. მზაობაში იგულისხმება ადამიანის განვითარების დონე და მოტივაცია.

მაგალითად, სტუდენტი კომპიუტერის გამოყენებით დავალების შესრულების დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, თუ მან უკვე გარკვეულ დონეზე იცის კომპიუტერთან მუშაობა.

მრავალი რეაქციის კანონი: როდესაც ადამიანი გადააწყდება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არა აქვს მზა ქცევა, ის მიმართავს მრავალ-განსხვავებულ ქცევას მანამ, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო რეზულტატი არ მოჰყვება.

განწყობის ანუ დამოკიდებულების კანონის თანახმად ჩვენ მივმართავთ გარკვეულ ქცევას ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინებით. მოცემული კანონი აღიარებს კულტურის და გამოცდილების ზეგავლენას. ჩვენი დამოკიდებულებები კულტურის ზეგავლენას განიცდის.

მაგალითად, ზოგიერთი კულტურისათვის აგრესიული ქცევა უფრო დამახასიათებელია, ამიტომ მოცემულ კულტურაში მოსალოდნელია ასეთი ქცევის დასწავლა და განმტკიცება.

დომინანტური ელემენტების კანონის თანახმად, პრობლემურ სიტუაციაში ორგანიზმი რეაგირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან (დომინანტურ) ელემენტებზე. მოსწავლე სწორი გადაწყვეტილების ძიებისას პირველ რიგში თვალშისაცემ დეტალებს აფიქსირებს.

ანალოგიური რეაქციის კანონი გულისხმობს, რომ, როცა ჩვენ ვხვდებით ახალ სიტუაციაში, პირველ რიგში მივმართავთ იმ ქცევას, რომელსაც მივმართავდით მსგავს სიტუაციაში. ჩვენ რეაქცია და ქცევა გადაგვაქვს ერთი სიტუაციიდან მეორეში, რაც აუცილებელია ადაპტაციისათვის.

კრეატიულობის ინვესტიციის თეორია: იყიდე იაფად, გაყიდე ძვირად

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ფსიქოლოგებს შორის არ არსებობს ერთსულოვნება კრეატიულობის ცნების განსაზღვრისას,თუმცა არსებობს გარკვეული დებულებები, რომლებიც ყველა მათგანისთვის საერთოა. კრეატიულობა მიიჩნევა შაბლონური აზროვნების საწინააღმდეგო მიმართულებად. ეს არის ინდივიდისა და კულტურისთვის რაიმე ახლის შექმნის უნარი. იგი თავიდან გვაცილებს ბანალურ, მარტივ იდეებს და ხელს უწყობს ორიგინალური გადაწყვეტილებების ძიებასა და დაბადებას.

ამ საკითხის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვისას აღმოაჩენთ, რომ:

- ფსიქოლოგიაში კრეატიულობა ხშირად შემოქმედებითი აზროვნების სინონიმად იხმარება;
- ეს ცნება გულისხმობს აზროვნების პროცესის შედეგად მიღებულ ისეთ პროდუქტს, რომელიც სრულიად ახალია პიროვნების ინდივიდუალური გამოცდილებისთვის ან საზოგადო ცოდნის დონისთვის;
- ტერმინი „კრეატიულობა“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან creation, რაც “რაიმეს შექმნას”ნიშნავს;
- კრეატიულობა გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, შექმნას ახალი, ორიგინალური პროდუქტი თავისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში;
- ეს არის არაშაბლონური აზროვნება, რომლის წყალობითაც პიროვნებას შეუძლია, თითქოსდა ჩვეულებრივსა და გასაგებ მოვლენებში რაღაც უჩვეულო დაინახოს.

საყოველთაოდ აღიარებულია: კრეატიულობა რომ არა, არ იარსებებდა აინშტაინის, გალილეის, მენდელეევის, არქიმედეს და სხვათა გენიალური აღმოჩენები. მათ შეძლეს, არსებულ ცოდნაში ნაკლოვანებები და დისჰარმონია დაენახათ და, აქედან გამომდინარე, დასვეს უმნიშვნელოვანესი კითხვა:

— რატომ?

კრეატიულობა შემდგომ განვითარებას სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას პოვებს. შემოქმედებითი აზროვნების საშუალებით პროცესი ძა-

ლიან საინტერესოდ მიმდინარეობს და სხვადასხვა მკვლევარი(უოლსი, გორდონი, ენგელფეიმერი)მისი ფაზების განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ზოგადად, ამ ავტორებზე დაყრდნობით შეიძლება გამოვ-ყოთ შემოქმედებითი აზროვნების პროცესის შემდეგი ეტაპები:

- **მომზადების ეტაპი** – განსაკუთრებით გონებრივი აქტივობის მდგო-მარეობა, რომელიც ახალი იდეისწარმოშობის წინა პირობას წარ-მოადგენს;
- **მომწიფების ეტაპი** – პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პერიოდი, წარმმართავი იდეის ინკუბაცია;
- **შთაგონების ეტაპი** – ინკუბაციის შედეგად ცნობიერდება აღმოჩენა (ახალი მიმართებების უეცარი წვდომა);
- **იდეის განვითარება** – იდეის საბოლოო ფორმულირება და შემოწმება.

რა განსაზღვრავს ადამიანის კრეატიულობას? რატომ არის,რომ ზოგი მეტად კრეატიულია, ზოგი კი ნაკლებად?ჩვენ ხშირად გვგონია,რომ კრე-ატიული ადამიანები რაღაც იშვიათი და სხვებისთვის მიუწვდომელი შე-საძლებლობებით არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ ასე არ არის. კრეატი-ულია პიროვნება, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს. იდეების სამყარო-ში ასეთი ადამიანები „პროდუქტს იაფად ყიდულობენ და მოგვიანებით ძვირად ყიდიან“.

ქვემოთ ჯერ კრეატიულობის იდეას აღვწერთ, რომელიც ინვესტიციის თეორიის სახითაა ჩამოყალიბებული, მერე კი შემოგთავაზებთ რჩევებს, რომლებიც სწავლების დროს მოსწავლეებისა და საკუთრივ თქვენი კრე-ატიულობის განვითარების ხელშეწყობისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ.

კრეატიულობის ინვესტიციის თეორია – იყიდე იაფად, გაყიდე ძვირად (Sternberg & Lubart, 1995) – ამტკიცებს, რომ კრეატიულად მოაზროვნე ადამიანები კარგ ინვესტორებს ჰგვანან: ისინი პროდუქტს იაფად ყიდუ-ლობენ, მერე კი ძვირად ყიდიან.

პედაგოგიკასთან, სწავლების მეთოდიკასთან მიმართებით კრეატი-ულობაზე საუბრისას საინტერესოა იმ კორელაციის განხილვა, რაც არსებობს მასწავლებლის კრეატიულობასა და სწავლების მეთოდიკას შორის. მაშ,მოდი, განვიხილოთ კრეატიულობის ინვესტიციის თეორია - იყიდე იაფად, გაყიდე ძვირად - ჩვეულებრივ, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.

მახსოვს, 2001 წელი იდგა. საქართველოს სკოლებში სკოლის ბაზაზე პედაგოგების პროფესიული განვითარების სემინარები ტარდებოდა.

სკოლები სკოლის განვითარების პროექტებზე მუშაობდნენ. მთელ რიგ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს განვიხილავდით... ერთ-ერთმა სოფლის მასწავლებელმა (სამწუხაროდ, სახელი და გვარი არ მახსოვს) მოკრძალებით გაგვიზიარა თავისი გამოცდილება. მან აღნიშნა:

„მე დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვარ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვუთმობ ბუნებისმცოდნეობის სწავლებას, მაგრამ ყველას მოგეხსენებათ, რა რთულია ამ საგნის სახელმძღვანელოები — ტექსტები დიდია, ილუსტრაცია — ცოტა, კითხვები — რთული... მოსწავლეები ითრგუნებიან,მე კი ეს ძალიან მადარდებს. ამაზე რამდენიმე წელი ვფიქრობდი. ბოლოს მე თვითონ მოვიფიქრე სავარჯიშოები და გაკვეთილების გახალისება ვცადე. ერთ მაგალითს მოვიყვან:მე-4 კლასის ბუნების წიგნში არის გაკვეთილი„ტყე“. ამ პარაგრაფში განმარტებულია ტყის ცნება, აღწერილია ტყის ტიპები, მისი იარუსები და ცოცხალ ორგანიზმებს შორის არსებული კვებითი კავშირები. ტექსტი დიდია, რთული და ილუსტრაციებით ღარიბი. ერთ საღამოს სახლს ვალაგებდი, ჩემი შვილიშვილის ალბომი მაგიდიდან ავიღე და თაროზე დავდე. უცებ იდეა დამებადა:ავიღე ჩვეულებრივი თაბახის ფურცლები, თითოეულ მათგანზე ჩვეულებრივი ფანქრით დავხატე ნაძვის ან მუხის კონტური, ავიღე ჩემი შვილიშვილების ალბომი„გავაფერადოთ“, რომელშიც ასევე კონტურული ნახატები იყო — ფრინველებისა, ცხოველებისა, ყვავილებისა, ბუჩქებისა — და სკოლაში წავიღე. ხატვის გაკვეთილზე მოსწავლეებს გავაფერადებინე, შრომის გაკვეთილზე გამოვაჭრევინე და მეორე დღისთვის შევინახე.

მეორე დღეს ბუნების გაკვეთილზე ერთმანეთს მივადგი ორი მერხი, ჩემი შვიდივე მოსწავლე ერთად დავსვი და „ტყის გაშენება“ დავავალე. მივეცი წინა დღეს გაფერადებული და გამოჭრილი მასალები, კედლის გაზეთისთვის შეძენილი დიდი ფორმატის ქაღალდი, ფქვილისა და წყლისგან ჩემივე ხელით მომზადებული წებო და მოსწავლეები „ტყის გაშენებას“ შეუდგნენ: ჯერ ხეები „დარგეს“ (დააწებეს), მერე ბუჩქები, ყვავილები და სოკოები მოისაკლისეს და ხელით მიახატეს აქა-იქ. ბოლოს ჯერი ფრინველებსა და ცხოველებზე მიდგა. ხეზე დაასკუპეს კოდალა, შაშვი, ბულბული... ერთ ყველაზე დიდ ხეს მიაწებეს ფუღურო, საიდანაც ციყვი იყურებოდა. არც ჩიტის ბუდე დავიწყებიათ... ძლივს შეურჩიეს ადგილი ირემს, კურდღელი ბუჩქთან დაასკუპეს, მელია კი ხეს ოსტატურად ამოაფარეს... ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ სერიოზული დისკუსია გამართეს: უნდა ყოფილიყო თუ არა„მათ“ ტყეში მგელი. ბოლოს ერთი გოგონას იდეამ გაიმარჯვა და მგელს ტყის განაპირას მხოლოდ თავი შემოაყოფინეს... ცა ცისფრად გააფერადეს, მზე მიახატეს... მაკეტი კედელზე გავაკარით და იმ დამოკიდებულებაზე ვიმსჯელეთ, რაც ამ მაკეტი-

დან ჩანდა. არავის გასჭირვებია იმის გაგება, როგორია ციყვის, კოდალას, მელიას საბინადრო გარემო. ისიც კარგად გაიგეს, რომ პეპელას ყვავილი კვებავს, ფრინველი პეპლებით იკვებება, მელია კი ფრინველებით და ა.შ.

ბოლოს ხმამაღლა წავიკითხეთ ტექსტი და ვიმსჯელეთ, რა მსგავსება და რა განსხვავება იყო წიგნში აღწერილ და ჩვენ მიერ გაკეთებულ ტყის მაკეტებს შორის“.

მონათხრობმა სემინარის ყველა მონაწილე აღგვაფრთოვანა, მაგრამ პედაგოგმა დასძინა, ეს ყველაფერი არ არისო. სიჩუმე ჩამოვარდა. მან განაგრძო: „მალე მთელმა სკოლამ შეიტყო მეოთხეკლასელების თვალსაჩინოების შესახებ და შესვენებებზე მაკეტს ბევრი დამთვალიერებელი გამოუჩნდა... 4-5 გაკვეთილის შემდეგ წიგნში მოდის თავი„ტყის დაცვის წესები“, სადაც ერთაბზაციანი ზოგადი ტექსტის შემდეგ ტყის დაცვის 12 წესია მოცემული. მათი დასწავლა მოსწავლეებს ძალიან უჭირთ... როდესაც ამ გაკვეთილამდე მივედით, დილით მოსწავლეებზე ადრე შევედი საკლასო ოთახში, ტყის მაკეტიდან ფრთხილად ავიღე ერთი ხე თავისი ჩიტებიან-ციყვებიანად, დავდე იატაკზე და ოთახიდან გავედი... ზარი დაირეკა. საკლასო ოთახში შესულს დიდი ჩოჩქოლი დამხვდა — მომახსენეს, ტყე გაგვიფუჭესო. ძალიან წუხდნენ... ვინმესთვის ბრალი რომ არ დაედოთ, ვაღიარე, მე გავაკეთე-მეთქი, მათი ემოციური მუხტი კი დისკუსიაში გადავზარდე — დავსვი კითხვა:

— როგორც თქვენ აღელდით, ასე ხომ არ ღელავს ბუნება, როცა ტყე იჩეხება?

ვიმსჯელეთ, რომელი ცოცხალი ორგანიზმი დააზარალა ხის მოჭრამ და ერთად შევიმუშავეთ ტყის დაცვის წესები. ეს წესები ფორმატზე ფლომასტერით ჩამოვწერე და მაკეტის გვერდით გავაკარი. „მოჭრილი ხე“ თავის ადგილზე დავაბრუნეთ, მერე კი ხმამაღლა წავიკითხეთ ტექსტი და ვიმსჯელეთ, რა მსგავსება და რა განსხვავება იყო წიგნში აღწერილ და ჩვენ მიერ შექმნილ ტყის დაცვის წესებს შორის“.

თვალი მივადევნოთ ამ ნარატივში პედაგოგის აზროვნების პროცესს.

როგორც ვხედავთ, აქ ძალიან საინტერესოა პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პროცესი. მასწავლებელმა, რომელსაც დიდი ხნის (წლების) განმავლობაში აწუხებდა პრობლემა, არაცნობიერად იმუშავა მის გადასაჭრელად, გარკვეული ხნის შემდეგ კი მოულოდნელ ვითარებაში დაებადა აზრი სწავლების იმგვარი მეთოდიკის თაობაზე, რომლის შესახებაც ზემოთ გიამბეთ.

მაინც, რა მოხდა?

დავიწყოთ თავიდან:

1. ყველაფერი პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობით დაიწყო (მომზადების ეტაპი – განსაკუთრებით გონებრივი აქტივობის მდგომარეობა, რომელიც ახალი იდეის წარმოშობის წინა პირობას წარმოადგენს);
2. შემდეგ დაიწყო პრობლემის გარშემო უზარმაზარი ძიებითი მუშაობა; შედეგად პიროვნებაში განწყობის სახითჩამოყალიბდა ისეთი შინაგანი მდგომარეობა, როდესაც ყველა გარეგანი შთაბეჭდილება პრობლემის გადაჭრის გარშემო შემოიკრიბა (მომწიფების ეტაპი – პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პერიოდი, წარმმართავი იდეის ინკუბაცია);
3. შემდეგ პედაგოგმა შეიცვალა ამოცანის ხედვა და პრობლემური სიტუაცია გადაასტრუქტურა, რადგან პრობლემის გადასაწყვეტად მთავარი ფუნქციური ნიშანი იპოვა (შთაგონების ეტაპი – ინკუბაციის შედეგად ცნობიერდება აღმოჩენა – ახალი მიმართებების უეცარი წვდომა);
4. ბოლოს პედაგოგმა იდეა განახორციელა ანუ მოხდა იდეის განვითარება – მისი საბოლოო ფორმულირება, ხორცშესხმა, განხორციელება და შემოწმება.

ახლა კი თვალი მივადევნოთ პროცესს: რამ განაპირობა პედაგოგის კრეატიული მუშაობა?

მთავარი მიზეზი ის არის, რომ პედაგოგმა შეძლო ანალიტიკური, სინთეზური და პრაქტიკული უნარების გამოყენება და წონასწორობის დაცვა. კრეატიული მუშაობა კი ანალიტიკური, სინთეზური და პრაქტიკული უნარების გამოყენებასა და მათ შორის წონასწორობის დაცვით მიიღწევა (შტერნბერგი, 1985; შტერნბერგი და ლუბარტი, 1995; შტერნბერგი და ვილიამსი, 1996).

ვცადოთ, თანამიმდევრულად განვმარტოთ თითოეული მათგანი: სინთეზური, ანალიტიკური და პრაქტიკული აზროვნება.

სინთეზური აზროვნების უნარი ისაა, რასაც ჩვენ,ჩვეულებრივ, კრეატიულობას ვუწოდებთ. ეს ახალი და საინტერესო იდეების წარმოშობის უნარია. ხშირად ადამიანი, რომელსაც კრეატიულს ვუწოდებთ, განსაკუთრებით კარგი სინთეზური აზროვნების უნარის მქონე პიროვნებაა, რომელიც საგნებს შორის ისეთ კავშირებს ამჩნევს,რომლებსაც სხვები სპონტანურად ვერ ხედავენ.

ანალიტიკური აზროვნების უნარს, ჩვეულებრივ, კრიტიკული აზროვნების უნარად მიიჩნევენ. ადამიანი, რომელსაც ეს შეუძლია, იდეებს აანალიზებს და აფასებს. ყველას, თვით ყველაზე კრეატიულ პიროვნებასაც კი, აქვს უკეთესი და უარესი იდეები. კარგად განვითარებული ანალიტიკური აზროვნების გარეშე კრეატიულ ადამიანს ცუდი და კარგი იდეების დამუშავების თანაბარი შანსი ექნებოდა. ის ანალიტიკური აზროვნების უნარს იმისთვის იყენებს, რომ კრეატიული იდეის მნიშვნელობა შეაფასოს.

პრაქტიკული აზროვნების უნარი ადამიანს აძლევს საშუალებას, თეორია — პრაქტიკად, აბსტრაქტული იდეები კი პრაქტიკულ მიღწევებად გარდაქმნას. ინვესტიციის თეორიის მნიშვნელობა ის არის,რომ კარგი იდეები თავიანთთავს ვერ ყიდიან,კრეატიული ადამიანი კი პრაქტიკულ უნარებს იმისთვის იყენებს, რომ სხვები იდეის ღირებულებაში დაარწმუნოს. მაგალითად, ყველა ორგანიზაციას აქვს იდეები იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს ზოგიერთი პროცესის ან პროდუქტის დუბლირება. იმისთვის, რომ ასეთ ორგანიზაციებს ახალი პროცედურა შესთავაზოთ, თქვენ მას იდეა უნდა მიჰყიდოთ და დაარწმუნოთ, რომ ის ძველს სჯობია. პრაქტიკული უნარი პოტენციური აუდიტორიის მქონე იდეების ამოსაცნობადაც გამოიყენება.

მოცემული განმარტებების ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლოა შემდეგი რეალობა მივიღოთ: პიროვნებამ, რომელსაც მხოლოდ სინთეზური აზროვნება შეუძლია, შეიძლება ინოვაციური იდეები გამოიმუშაოს, მაგრამ ისინი ვერ იცნოს, ან ვერ „გაყიდოს“; ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ანალიტიკური უნარები აქვს, შეიძლება სხვისი იდეების ძალიან კარგი კრიტიკოსი იყოს, მაგრამ, სავარაუდოდ, თავად ვერ წარმოშობს კრეატიულ იდეებს; მხოლოდ პრაქტიკული უნარის მქონე ადამიანი, შესაძლოა, არაჩვეულებრივი „გამყიდველი“ იყოს — დიდია ალბათობა, მან ისევე კარგად „გაყიდოს“ მცირე ან ნულოვანი ღირებულების მქონე იდეები ან პროდუქტები, როგორც ნამდვილად კრეატიულები.

აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, მივიღოთ პასუხი კითხვაზე: როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში კრეატიულობის განვითარებას?

მასწავლებელთა უმრავლესობას სურს, თავის მოსწავლეებში კრეატიულობის განვითარებას შეუწყოს ხელი, მაგრამ მათი უმრავლესობა არ არის დარწმუნებული, რომ მათ მიერ არჩეული სტრატეგია სწორია.

„კრეატიულობის ინვესტიციის თეორიის“ ავტორი გვირჩევს: მას შემდეგ, რაც კრეატიულობის განვითარების ზემოთ ჩამოთვლილ ტექნიკებს

რჩევა მასწავლებლის პოზიციის თაობაზე	**რჩევა მასწავლებლის ქმედების თაობაზე**	**რჩევა მასწავლებლის შეფასების თაობაზე**	**რჩევა იმის თაობაზე, რისი დასვებაა აუცილებელი**
შესთავაზეთ მოსწავლეებს მისაბაძი მაგალითი	ეჭვით შეხედეთ ვარაუდებს	ასწავლეთ და შეაფასეთ კრეატიულად	დაუშვით ორაზროვნება
განავითარეთ თქვენი ეფექტურობა	ჩამოაყალიბეთ პრობლემები და ხელახლა განსაზ-ღვრეთ ისინი	დააჯილდოეთ კრეატიული იდეები და პროდუქტები	დაუშვით შეცდომები
გაითვალისწინეთ სხვა შეხედულებებიც	ხელი შეუწყვეთ იდეების წარმოშობას	წაახალისეთ გონივრული რისკი	ხელი შეუწყვეთ თვითმოწესრი-გებას
ხელი შეუწყვეთ კრეატიულ თანამშრომლო-ბას	დააკავშირეთ ერთმანეთთან და უფრო ნაყოფიერი გახადეტ იდეები	გადაავადეთ დაჯილდოება	აღიარეთ ადამიანისა და გარემოს ურთი-ერთკავშირი
გაიზარდეთ კრეატიულად	დაუთმეთ დრო კრეატიულ აზროვნებას	გამოუმუშავეთ მოსწავლეებს პასუხისმგებ-ლობის გრძნობა	დაუშვით აზარტი
კრეატიულობის ქადაგება	დაადგინეთ და გადალახეთ წინააღმდეგობები	აქცენტი სიძლიერეზე გააკეთეთ	დაუშვით სტიმულის გამომწვევი გარემო

დახვეწთ და ყოველდღიური სწავლების ნაწილად აქცევთ, დაიწყეთ მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება. გახდით ცვლილებების ინიცი-ატორი, მოუყევით ამის შესახებ კოლეგებს, მეგობრებს, ადმინისტრატო-რებს, სკოლის დირექტორს და უთხარით, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში კრეატიულობის განვითარება. გამოიყენეთ კრეატიული მოსწავლეების ნამუშევრები (განსაკუთრებით — იმ მოსწავლეებისა, რომლებიც ტრადიციული აკადემიური უნარების ნიჭით არ არიან და-ჯილდოებულნი) და კრეატიული სწავლებით გამოწვეული ცვლილებე-ბის დემონსტრირება მოახდინეთ.

გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

რა ბრწყინვალედაც უნდა ასრულებდეს თავის როლს წამყვანი მსახიობი, თუ დანარჩენებმა ცუდად ითამაშეს, სპექტაკლი უფერული გამოვა. სკოლაშიც ასეა: როგორც არ უნდა ხსნიდეს გაკვეთილს მასწავლებელი, თუ მან ვერ შეძლო, მოსწავლეს თავისი როლი შეასრულებინოს, გაკვეთილი უინტერესო იქნება.

პედაგოგიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილის პროცესის წარ-მართვაში მოსწავლეთა მონაწილეობა შესაძლებელია სხვადასხვა დოზით. ჩართულობის ხარისხი იქიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რის მიღ-წევაა დაგეგმილი გაკვეთილის ფარგლებში ან როგორია მოსწავლეთა მზაობა. განვიხილოთ, რას ნიშნავს გაკვეთილის მართვაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შერი არსტეინის თანამონაწილეობის კიბის მაგალითზე:



თანამონაწილეობითი კიბე

შერი არსტეინმა მონაწილეობა აღწერა როგორც კიბის საფეხურები. არსტეინის კიბეს აქვს 8 საფეხური, რომელთაგან პირველია მანიპულაცია, ბოლო - კონტროლი. ექსპერტები ამ საფეხურებს 3 დონედ განიხილავენ:

ჩაურთველობის/ არმონაწილეობის დონე	**სიმბოლური ჩართულობის/ მონაწილეობის დონე**	**სრული ჩართულობის/ მონაწილეობის დონე**
მანიპულირება და თერაპია	ინფორმირება, კონსულტაციები, მხარდაჭერა	პარტნიორობა, დელეგირება, კონტროლი

დემოკრატიული კონცეფციიდან გამომდინარე, ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით ამ კიბის ჰორიზონტალურ ვარიანტს:



დავიწყოთ მცირედით. უმცირესი, რაც შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა გაკვეთილზე, არის მოსწავლეებისთვის **ინფორმაციის** მიწოდება იმის შესახებ, რის გაკეთებაც არის დაგეგმილი გაკვეთილის ფარგლებში.

კონსულტაცია — მასწავლებელი, მოსწავლეთა თანამონაწილეობით, გამოყოფს საკითხებს, პრობლემებს, ამ ყველაფერს უკავშირებს მოსწავლეთა გამოცდილებას, საჭიროებებს, მოსწავლეებთან ერთად განიხილავს საკონსულტაციო საკითხებს, ახორციელებს კონსულტაციებს და იღებს უკუკავშირს.

ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს, რომ მასწავლებელმა გამოიწვიოს, ჩართოს და წაახალისოს მოსწავლეები, რათა მათ ლეგიტიმურად გამოთქვან თავიანთი წინადადებები, განიხილონ მუშაობის წესები, რეგლამენტის საკითხები, შეფასების კრიტერიუმები, რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხები, ალტერნატივები და ა.შ.

ერთობლივი ქმედება არის მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი, დაგეგმილი მოქმედება, დაგეგმილი აქტივობა, რომლის მიზანი შეთანხმებულია მოსწავლეებთან. ეს მიდგომა კოლაბორაციულ პრინციპებს ეფუძნება, აქტივობის დრო, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია, რაც თავისთავად უკვე პარტნიორობაა.

ამ სქემაზე **მხარდაჭერა** ნიშნავს მოსწავლეების მხრივ დამოუკიდებელი ინიციატივების გამოვლენას და მასწავლებლის მხრივ მათ მხარდაჭერასა და წახალისებას.

რამ შეიძლება შეუშალოს ხელი თანამონაწილეობას?

გაკვეთილის პროცსში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა აქტუალური საკითხია. მას აფერხებს სხვადასხვა ფაქტორი. მასწავლებლებიც სხვადასხვა ხერხს მიმართავენ მოსწავლეთა აქტიურობის წასახალისებლად.

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ე.წ. CLEAR მეთოდი, რომელიც თანამონაწილეობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების დიაგნოსტირებისა და მათ დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა.

ამ მეთოდის მიხედვით, მუშაობაში ეფექტურ და აქტიურ მონაწილეობას განსაზღვრავს 5 ფაქტორი (მეთოდის სახელწოდება სწორედ ამ ფაქტორთა აბრევიატურას წარმოადგენს: Can do, Like to, Enebled to, Asked to, Responded to):

1. Can do – მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა (აქვთ სათანადო რესურსი, ცოდნა, გამოცდილება,უნარები);
2. Like to – მონაწილეებს სურთ მონაწილეობა;
3. Enebled to – არსებობს მონაწილეობის მექანიზმები;
4. Asked to – ხდება მსმენელთა მობილიზება;
5. Responded to – არსებობს უკუკავშირი (მოსწავლეები ხედავენ მონაწილეობის შედეგს).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თუნდაც ერთი ამ ფაქტორთაგანის არარსებობისას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობა და ჩართულობა სრულყოფილი ვერ იქნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის მართვისას აკონტროლოს აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფა გაკვეთილზე მოსწავლეთა წასახალისებლად.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომ წარმატებით გამოიყენოს ხუთივე ფაქტორი და გაკვეთილის პროცესში მოსწავლის მაღალი ჩართულობა უზრუნველყოს?

CLEAR მეთოდის ფაქტორები	**სწავლა - სწავლების კომპონენტები**
Can do – მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა (აქვთ სათანადო რესურსი, ცოდნა, გამოცდილება, უნარები)	**წინარე ცოდნა** და **საჭირო რესურსები** ეხმარება მოსწავლეს, ჩაერთოს გაკვეთილში
Like to – მონაწილეებს სურთ მონაწილეობა	**მოტივაცია** სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ჩართულობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია
Enebled to – არსებობს მონაწილეობის მექანიზმები	**სწავლების მეთოდები** ის მექანიზმებია, რომლებითაც ხდება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა
Asked to – ხდება მსმენელთა მობილიზება	**მოსწავლეთა ორგანიზება** მოსწავლეთა მობილიზების საშუალებაა
Responded to – არსებობს უკუკავშირი (მოსწავლეები ხედავენ მონაწილეობის შედეგს)	**მოსწავლეთა შეფასება** ის უკუკავშირია, რომელიც შეიძლება მოსწავლეთა ჩართულობის სტიმულად იქცეს

მიმოვიხილოთ CLEAR მეთოდის ფაქტორები და სწავლა-სწავლების კომპონენტები.

მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა; მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახვოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლისგარე ცხოვრებას შორის.

ჩართულობა. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებასა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად გულისხმობს გაკვეთილის პროცესში მათ მონაწილეობას.

საგანმანათლებლო რესურსები. სასწავლო პროცესში, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც, აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
ბ) დამხმარე ლიტერატურა;
გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
ე) ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

სკოლამ უნდა შეიმუშაოს, ხოლო მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის წესები.

მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. როგორც ცნობილია, მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მის კონტროლს. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეებისთვის თანაბარი პირობების შექმნას. მასწავლებელი უნდა ეცადოს, მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა ფორმით (ესეი, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).

სწავლების მეთოდები ის მექანიზმებია, რომლებითაც ხდება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. გაკვეთილის მხოლოდ ერთი მეთოდით ჩატარება შეუძლებელია. სწავლების პროცესში მასწავლებელს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უხდება, ხშირად — მათი შერწყმაც. მაგ., ლექციური ტიპის გაკვეთილის დროსაც კი მასწავლებელი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, მოსწავლეს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.

1. **დისკუსია/დებატები** ინტერაქციული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს მოსწავ-

ლეთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლოა კამათში გადაიზარდოს. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს მოსწავლეს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა.** ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებას. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველას მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** სასწავლო მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
4. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია, არა მხოლოდ თავად შეისწავლოს საგანი, არამედ თანაგუნდელსაც დაეხმაროს მის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყოველი მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
5. **ევრისტიკული მეთოდი** ეფუძნება მოსწავლეთა წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტის პრინციპს. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით სრულდება.
6. **შემთხვევის ანალიზი (Case study).** მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლის საკითხს. მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.
7. **გონებრივი იერიში (Brain storming).** ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია, რადიკალურად განსხვავებული იდეის ჩამოყალიბებასა და მათი გამოთქმის ხელშეწყობას. მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
8. **როლური და სიტუაციური თამაშები.** სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და მისი დაცვის უნარს.
9. **დემონსტრირების მეთოდი** ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს და საკმაოდ ეფექტურია. ხშირად უმჯობესია, მასალა ერთსა ად იმავე დროს აუდიო- და ვიზუალური გზით მივაწოდოთ მოსწავლეებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შეიძლება განახორციელონ როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლემ. ამ მეთოდით თვალსაჩინოებას ვმატებთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, ვაკონკრეტებთ, რის გაკეთება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრი-

რება შეიძლება მოხდეს როგორც მარტივად, — მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნით, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენით, — ისე რთული ფორმითაც, მაგალითად, მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარებით.

10. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი**.
    - **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან საზოგადოსკენ, ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული.
    - **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი ზოგადიდან კონკრეტულისკენ არის მიმართული.

    სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ეს აადვილებს რთული პრობლების წიაღში არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

    სინთეზის მეთოდი შებრუნებული პროცედურაა, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. **ახსნაგანმარტებითი მეთოდი** ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
12. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
13. **ელექტრონული სწავლება (E-learning)**. ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:
    - **დასწრებულს**, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
    - **ჰიბრიდულს (დასწრებული/დისტანციური)** — სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
    - **მთლიანად დისტანციური სწავლება** გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

    სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. არაბული სიბრძნის თანახმად, „ერთად სიარული დასაწყისია, ერთად ყოფნა — პროგრესი, ერთად მუშაობა — წარმატება!“

ეფექტური კომუნიკაცია საკლასო ოთახში, ანუ გზავნილების პედაგოგიკა

კვლევები ადასტურებს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ეფექტურ სასწავლო გარემოს კომუნიკაციის ხელოვნებაზე დაყრდნობით ქმნის. განვიხილოთ კომუნიკაციის პროცესის ორ დონეზე მიმდინარეობა:

- შინაარსის დონეზე;
- დამოკიდებულებების დონეზე.

როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება, შინაარსის გაცვლა ინფორმაციის დონეზე ხდება. რაც შეეხება გრძნობებს, რომლებიც კომუნიკაციის პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მათი გადაცემა დამოკიდებულების დონეზე ხორციელდება. მოსაუბრის მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი სიგნალები შეიძლება იყოს: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

როდესაც მოსაუბრის მიმართ დამოკიდებულება პოზიტიურია (ან ნეიტრალური), შინაარსის დონე თავისუფალია, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია ინფორმაციის შეუფერხებლად გაცვლა. როგორც კი დამოკიდებულების დონეზე უარყოფითი სიგნალები ჩნდება, მაშინ თავად მოსაუბრეებს შორის დამოკიდებულება იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ შინაარსის შეუფერხებლად გაცვლა შეუძლებელია.

როდესაც მოსწავლე-მასწავლებელს, მოსწავლე-მოსწავლეს შორის დამოკიდებულების დონე დარღვეულია (ნეგატიურია), არ უნდა მოხდეს ინფორმაციის, შინაარსის გადაცემა. ჯერ უნდა დაბალანსდეს დამოკიდებულების დონე და შემდეგ უნდა გაგრძელდეს კომუნიკაცია შინაარსის დონეზე.

წარმოვიდგინოთ, რომ მოსაუბრე „გადამცემია“ და მსმენელი – „მიმღები“. თუ ამ უკანასკნელს სურს, ვინმეს რაიმე აცნობოს, მან ჯერ შესაბამისი კოდი უნდა ამოირჩიოს, რომლითაც გრძნობებს გამოხატავს, შემდეგ კი გადამცემმა უნდა გააგზავნოს ეს კოდი (დავუშვათ, ვერბალური ცნობა). როდესაც მიმღები ამგვარ კოდს მოისმენს, იგი დაიწყებს დეკოდირების პროცესს: **შეიმუშავებს ვარაუდებს**, ან **მოსული ინფორმაცის საფუძველზე გააკეთებს დასკვნას იმის შესახებ, თუ რას შეიძლება განიცდიდეს გადამცემი.**

პრობლემა ისაა, რომ ეს დასკვნა თუ ვარაუდი შესაძლოა არ დაემთხვეს (უმეტეს შემთხვევებში, ასეც ხდება) იმას, რის გადაცემასაც ცდილობდა გადამცემი თავისი კოდების სისტემით.

ყოველივე ეს შეიძლება სქემატურად ასე გამოიხატოს:



ეს დიაგრამა არის ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი) კომუნიკაციის პროცესის ვიზუალური სქემა. კომუნიკაცია არ არის პროცესი, რომლის დროსაც ვიღაც მხოლოდ გამოთქვამს რაღაცას. კომუნიკაციის პროცესს განეკუთვნება როგორც გადამცემის გამონათქვამი, ასევე მიმღების შთაბეჭდილება. ეფექტური, ანუ სრულყოფილი კომუნიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შთაბეჭდილება უდრის გამონათქვამს, ანუ როდესაც **მოსაუბრის მიერ გადაცემული ინფორმაცია ზუსტად ისე აღიქმება მსმენელის მიერ, როგორც მოსაუბრეს სურდა.**

სამწუხაროდ, ეფექტური კომუნიკაცია, რომლის დროსაც ყველაფერი სწორად აღიქმება, ყოველთვის არ ხდება, რადგან:

- ერთი და იგივე სიტყვები განსხვავებულად ესმით მოსწავლეებს;
- მოსწავლეები ხშირად არ ამბობენ იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ;
- მოსწავლეებმა ხშირად არ იციან საკუთარი ნამდვილი გრძნობების შესახებ;
- მოსწავლისათვის არც ისე ადვილია გრძნობების სიტყვებით გადმოცემა, ანუ სწორი კოდის მოძებნა;
- მოსწავლეს და მასწავლებელს ხანდახან მხოლოდ ის ესმით, რის გაგებასაც ისურვებდნენ;
- მიმღები მოსწავლე ხშირად დაკავებულია არა დეკოდირების პროცესით, არამედ პასუხის მოფიქრებით;
- მასწავლებელმა არ იცის, სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება მიმღებმა.

კომუნიკაციის ეფექტურობას ხელს უშლის შემდეგი ბარიერები:

- **ბუნდოვანი პროცესი:** ინფორმაციის მიმღებსა და ინფორმაციის გადამცემ წყაროს ერთნაირად არ ესმით ენა, ჟარგონი, სიმბოლოები;
- **ინფორმაციის სტრუქტურა:** მრავალმხრივი და გადატვირთული გზავნილი;
- **პიროვნული ნიშნები:** ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, განათლების და ინტელექტის განსხვავებული დონე და ა.შ.;

- ადამიანის „ბუნება“: ცრურწმენები, ტრადიციები, კულტურული ნიშნები;
- კონფლიქტური მოსაზრებები და მიზნები: როდესაც ადამიანები საწინააღმდეგო მოსაზრებებს უჭერენ მხარს, მათ უჭირთ სხვა მოსაზრებების გაზიარება.

რეკომენდაცია ასეთია: კომუნიკაცია ეფექტური რომ იყოს, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, გაითვალისწინოს ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერების წარმოშობის შესაძლებლობა და თავი აარიდოს მათ.

სწავლა-სწავლების პროცესის დროს საუბრის მიზანია, გადავცეთ მსმენელს განსაზღვრული ინფორმაცია (გზავნილი), რომლის შინაარსი შეიძლება იყოს ემოციური ან საქმიანი ხასიათის.

მსმენელი-მოსწავლე თუ მსმენელი-მასწავლებელი ხშირად არასწორად იგებს საუბრის საქმიან თუ ემოციურ შინაარს. ასეთი პრობლემების მიზეზი, ძირითადად, შემდეგია:

1. **საუბრის არასწორად წარმართვა;**
2. **არასწორად მოსმენა.**

მოსმენის ძირითადი შეცდომები შემდეგი სახისაა:

- ინფორმაცია მთლიანად იკარგება;
- მას ემატება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ახალია და მოსაუბრეს არ გადმოუცია;
- მოსაუბრის მიერ გადმოცემული ინფორმაცია იცვლება ან მახინჯდება.

იმ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებლები არიან მსმენელები, მსგავსი სირთულეების თავიდან არიდება შესაძლებელია აქტიური მოსმენის, ანუ მოსაუბრე მოსწავლეზე ორიენტირებული ტექნიკის გამოყენებით.

ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ საუბრისას წარმოქმნილი გაურკვევლობების დაზუსტება და დარეგულირება მყისიერად, საუბრის მიმდინარეობის პროცესში ხდება.

კვლევები ადასტურებს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებელი დროის უმეტეს ნაწილს მოსმენას ანდომებენ — ურთიერთობის მთელი დროის დაახლოებით 70%-ს. მაშასადამე, მოსმენა გაკვეთილის უდიდეს ნაწილს იკავებს. საინტერესოა, რამდენად ეფექტურად იყენებენ ამ დროს მოსწავლეები — რამდენად ეფექტურია მოსმენა. აღმოჩნდა, რომ „ეფექტურად“ მხოლოდ საუბრის 25%-ის მოსმენა ხდება.

საერთოდ, მოსმენის რამდენიმე მოდელი არსებობს: კონკურენტული მოსმენა, ყურადღებიანი, ანუ პასიური მოსმენა და აქტიური, ანუ რეფლექსური მოსმენა.

კონკურენტული მოსმენა იმით ხასიათდება, რომ მსმენელი-მოსწავლე მოსმენის დროს ფიქრობს არა მოსაუბრე მასწავლებლის თუ მოსწავლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის აღქმასა და გადამუშავებაზე, არამედ საკუთარი პოზიციის, საკუთარი სათქმელის გამოთქმაზე. ის თითქოს თავს იცავს და ემზადება პასუხის გასაცემად მაშინაც კი, როდესაც სიტუაცია ამას არ მოითხოვს. არის შემთხვევები, როდესაც მსმენელი-მასწავლებელი ხშირად აწყვეტინებს მოსაუბრე-მოსწავლეს, ერთვება რეპლიკებით, რითაც საუბრის პროცესს არაეფექტურს და დაძაბულს ხდის.

ყურადღებიანი, ანუ პასიური მოსმენის დროს მსმენელი-მოსწავლე უსმენს მოსაუბრე-მასწავლებელს თუ მოსაუბრე-მოსწავლეს, მაგრამ არ უბრუნებს აღქმულ ინფორმაციას, არ აძლევს უკუკავშირს მიღებული ინფორმაციის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მოსაუბრე ნაკლებად ითხოვს მსმენელისგან აქტიურობას. პასიურ მოსმენას თავისი ნაკლი აქვს. ალბათ ბევრ მასწავლებელს გამოუცდია, როცა მოსწავლეების გარეგნული მანიშნებლების, მიმიკისა თუ ჟესტების გამო თვლიდა, რომ უსმენდნენ, მაგრამ სინამდვილეში მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მსმენელ-მოსწავლეებამდე არ მიდიოდა.

აქტიური მოსმენის დროს მოსაუბრე-მასწავლებელი თუ მოსაუბრე-მოსწავლე მსმენელისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული ინფორმაციის შესახებ როგორც ვერბალური (მეტყველებითი), ისე არავერბალური (არამეტყველებითი) მანიშნებლებით. აქტიური მოსმენა ყველაზე ეფექტურია. მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზე. აქტიური მოსმენა ეხმარება მოსწავლეს და მასწავლებელს, უკეთ გაიგონ მოწოდებული ინფორმაცია და არ დაამახინჯონ კომუნიკაციის პროცესი.

როგორ შეუძლია მსმენელს, მოსწავლე იქნება თუ მასწავლებელი, კომუნიკაციის პროცესის გართულება?

- მსმენელი რაღაცით არის დაკავებული, გართულია და არ უსმენს;
- მსმენელი იმდენად არის დაინტერესებული საუბრით და არა მოსმენით, რომ საბოლოოდ მოსაუბრეს უწევს მისი მოსმენა და სიტყვის „ჩასაგდებად“ მომენტის გამონახვა;
- მსმენელი ისმენს მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემდეგ მოსაუბრეს დაუპირისპირდეს და გააბათილოს მისი ნათქვამი;
- მსმენელი აფასებს და განსჯის მოსაუბრეს;
- მსმენელი არ ითხოვს განმარტებებს მაშინაც კი, როდესაც ნათქვამს ვერ იგებს.

როგორ შეუძლია მოსაუბრეს, მოსწავლე იქნება თუ მასწავლებელი, გაართულოს კომუნიკაციის პროცესი?

- მოსაუბრე ლაპარაკობს ძალიან დაბალი ხმით;
- მოსაუბრე იხსენებს ბევრ უმნიშვნელო დეტალს, ან ერთბაშად რამდენიმე თემას ეხება;
- მოსაუბრე იბნევა, კარგავს აზრს, ივიწყებს ნათქვამს და ზოგადად, საუბრის დანიშნულებას;
- მოსაუბრე იყენებს საუბრის შინაარსის შეუსაბამო არავერბალურ მანიშნებლებს (ჟესტებს, მიმიკას და ა.შ.). მაგ., იღიმება მაშინ, როდესაც სინამდვილეში საწყენ ან გასაბრაზებელ ამბავს ჰყვება.

მასწავლებელს შეუძლია, მრავალფეროვანი ხერხები გამოიყენოს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის დროს საუბრის სრულყოფილად წარმართვას, მაგალითად:

სასაუბროდ წახალისება – მასწავლებელი წაახალისებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარს გაუღებს მოსწავლეს საუბრის დასაწყებად.

პასიური მოსმენა – არიან დამფრთხალი მოსწავლეები, რომელთაც სჭირდებათ ჩუმად მოსმენა. ამ დროს ისინი გამბედაობას იძენენ. მსმენელი-მასწავლებლის და მსმენელი-მოსწავლეების მშვიდი ქცევა მოსაუბრე-მოსწავლის მიერ აღიქმება, როგორც ინტერესი. მსმენელების ჩუმად ყოფნა ძალიან ქმედითი ინსტრუმენტია – იგი მოსაუბრეს უბიძგებს, შფოთვის გარეშე ისაუბროს.

ყურადღების რექციები – არიან ლიდერი, თუ აქტიური მოსწავლეები, რომელთაც აქვთ მსმენელი-მასწავლებლის და მსმენელი-მოსწავლის მიმართ გაცილებით მეტი მოთხოვნილება, ვიდრე მხოლოდ ჩუმად ყოფნაა. მათ სჭირდებათ იმის დასაბუთება, რომ მსმენელი თავისი ფიქრებით არ არის დაკავებული. ამიტომ მსმენელმა დროდადრო უნდა აჩვენოს, რომ იგი ყურადღებით უსმენს.

აქტიური მოსმენა – სასაუბროდ წახალისება, პასიური მოსმენა და ყურადღების რეაქციები მოსწავლეებს უბიძგებს, საუბარი დაიწყონ, მაგრამ ცოტას თუ აკეთებს ზემოთ ნახსენები ტოლობისათვის: **შთაბეჭდილება = გამონათქვამს**. არც ერთი ზემოთ ნახსენები ტექნიკა არ აძლევს მოსაუბრეს რწმენას, რომ მას გაუგეს. თუ მოსაუბრეს სურს, დარწმუნებული იყოს, რომ მსმენელის შთაბეჭდილება მის გამონათქვამს შეესაბამება, მაშინ მსმენელმა მოსმენის აქტიურ ფორმას უნდა მიმართოს.

აქტიური მოსმენის სქემა ასეთია:



აქტიური მოსმენის პროცესი

- მოსმენა
- ინფორმაციის გაგება
- ემოციების იდენტიფიცირება
- ინფორმაციის და ემოციების გადამოწმება

კომუნიკაციის ხელოვნებას დაუფლებული პროფესიონალი მასწავლებლები აქტიური მოსმენის სამ ძირითად ვარინატს იყენებენ. ესენია: პერიფრაზი, შეჯამება, დაზუსტება. მასწავლებელი საუბრისას ცდილობს, მოსწავლემ აქტიურად უსმინოს და დროდადრო სთხოვს მსმენელ-მოსწავლეებს, გააკეთონ ამა თუ იმ მოსმენილი მოსაზრების პერიფრაზი, შეჯამება და დაზუსტება. ის ასევე ცდილობს, იყოს აქტიური მსმენელი.

პერიფრაზი – ამ დროს მსმენელი ცდილობს, მოსაუბრის გამონათქვამის გამეორებას თითქმის იმავე სიტყვებით, რომლებსაც თავად მოსაუბრე იყენებს. პერიფრაზის დროს მსმენელი ხაზს უსვამს როგორც მოსაუბრის ემოციას, ასევე მისი გზავნილის შინაარსობრივ მხარეს.

შეჯამება – ამ დროს მსმენელი ცდილობს მოსაუბრის შედარებით ვრცელი გამონათქვამიდან ძირითადი და საკვანძო მომენტების ხაზგასმას და გამეორებას სხვა სიტყვებით. შეჯამება ეხმარება მსმენელსაც და მოსაუბრესაც, მოახდინონ შინაარსის სტრუქტურირება და სწორი აქცენტების დასმა.

დაზუსტება – გულისხმობს დამატებითი კითხვების დასმას და ინფორმაციის მიღებას ბუნდოვანი საკითხების შესახებ, რაც ასევე ხელს უწყობს ინფორმაციის დამახინჯების და არასწორი აღქმის თავიდან არიდებას.

აქტიური მოსმენის მთელი ხელოვნება ის არის, რომ მიმღები ხშირად და თანმიმდევრულად აწვდის გადამცემს დეკოდირების შედეგებს. არასდროს არ შეგვიძლია ბოლომდე დარწმუნებული ვიყოთ, რომ სხვას ზუსტად გავუგეთ. ამიტომაც, აუცილებლად უნდა გადავამოწმოთ, რათა ამით მინიმუმამდე დავიყვანოთ ინტერპერსონალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი გაუგებრობები და დამახინჯებები.

სასაუბროდ წახალისება, პასიური მოსმენა და ყურადღების რეაქციები აჩვენებენ მიმღები-მასწავლებლის და მიმღები-მოსწავლეების **განზრახვას** – მოუსმინონ.

აქტიური მოსმენა იძლევა **დასაბუთებას**, რომ მიმღებმა-მასწავლებელმა თუ მიმღებმა-მოსწავლემ სწორად გაიგო მიწოდებული ინფორმაცია. ეს კი, თავის მხრივ, უბიძგებს გადამცემს, გააგრძელოს საუბარი, რათა უფრო ღრმად განიხილოს საკითხი.

როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი – გზამკვლევი მასწავლებლებს

პროექტი როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვას, კვლევას, პრაქტიკულ აქტივობასა და შედეგების წარმოდგენას არჩეული საკითხის შესაბამისად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სწავლა-სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული. როგორც ცნობილია, პროექტული მიდგომა საჭიროა მაშინ, როდესაც პრობლემაა გადასაჭრელი; პროექტი როგორც მრავალფუნქციური მეთოდი საშუალებას აძლევს პროექტის ავტორს, დეტალურად გაწეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო.

პროექტი შეიძლება შესრულდეს: ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში; რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია).

მასწავლებელი-მოსწავლეების დამოკიდებულების მხრივ შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას.
2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.
3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

საგანმანათლებლო პროექტი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

- თავფურცელი;
- ინფორმაცია პროექტის ავტორისა და შემსრულებლის შესახებ;
- პროექტის აღწერა;

- პროექტის შესრულების განრიგი;
- ბიუჯეტი/რესურსები;
- მოსალოდნელი შედეგები;
- მონიტორინგი და შეფასება.

განაცხადს უნდა დაურთოთ:
დამატებითი ინფორმაცია/დანართები (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განამტკიცებს განაცხადს და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს: კითხვარები, ფოტომასალა, ვიდეომასალა და ა.შ.).

არასრული განაცხადი ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავად.

ხშირად მასწავლებელს ან მასწავლებელთა ჯგუფს საგანმანათლებლო პროექტის შედგენა უწევს. ეს შეიძლება იყოს სასკოლო პროექტი ან განაცხადი, რომლითაც მასწავლებელი საგრანტო ან სხვა ტიპის კონკურსში მონაწილეობს. გთავაზობთ გზამკვლევს, რომელიც შეიცავს თეორიულ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ინფორმაცია პროექტის ავტორის შესახებ

საპროექტო განაცხადის ფორმა

პროექტის სათაური :			
საგნის/საგნების დასახელება:			
განმცხადებლის სტატუსი:			
	1. სერტიფიცირებული	2. სქემაში ჩართული	3. მასწავლებელი
განმცხადებელი, პროექტის ავტორი			
მასწავლებლის/ მასწავლებლების სახელი და გვარი:			
სკოლის დასახელება:			
სკოლის მისამართ:			
	ინდექსი, ქალაქი, ქუჩა		
პროექტის ავტორის ტელეფონი:			
	მობილური	სკოლის ტელ.	სკოლის ფაქსი	სახლის ტელ.
ელ-ფოსტა:			
პროექტის დაწყების თარიღი:		პროექტის დასრულების თარიღი:	

პროექტის აღწერა

ა) პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი)

გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი. პრობლემის ხაზგასმისას მნიშვნელოვანია დავეყრდნოთ კვლევებს, გამოკითხვას, არსებული მონაცემების ანალიზს.

მაგალითად

PIRLS-ი წიგნიერების საერთაშორისო კვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს, შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი.

მოზარდის როგორც მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესში 9-10 წელი მნიშვნელოვანი ასაკია. ამ დროს კითხვის უნარი, რომელიც ერთ-ერთი საბაზო უნარია, უკვე ჩამოყალიბებულია. ამ ასაკში ბავშვის კითხვის უნარის შემოწმება გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად წარმატებით შეძლებს მოსწავლე მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დაძლევას.

რას და როგორ კითხულობენ 9-10 წლის ბავშვები საქართველოში? რა ფაქტორები უწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში კითხვის უნარის განვითარებას და რამდენად ვუსწრებთ თუ ჩამოვრჩებით ამ კუთხით კვლევის მონაწილე სხვა ქვეყნებს?

საქართველომ ამ კვლევაში მონაწილეობა პირველად 2006 წელს მიიღო. ქართველმა მოსწავლეებმა საკმაოდ მოკრძალებული შედეგები აჩვენეს.

ჩვენი კათედრის წევრებმა ეს საერთო პრობლემა შეისწავლეს მეოთხე კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლით – განვიხილეთ მათი შეფასებები, პედაგოგთა დახასიათებები და შევჯერდით, რომ აღნიშნული პრობლემა ჩვენს სკოლაშიც აქტუალურია. ანუ მოსწავლეთა 50% კითხულობს გააზრებულად, 40% კითხულობს გაბმით, მაგრამ უჭირს გააზრება, 10%-ს უჭირს დეკოდირება (განხილული სიტუაცია სიმბოლურია).

ბ) მიზანი

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

მაგალითად

> დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა 1-4 კლასების მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებისთვის და პირველი სემესტრის ბოლო კვირას ჩატარდეს წიგნიერების კვირეული – „ჩვენ, მკითხველები“.

გ) ამოცანები

გულისხმობს მიზნის მისაღწევად გადასადგმელ კონკრეტულ ნაბიჯებს. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების შესრულებას აპირებთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მაგალითად

> 1. დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა 1-4 კლასების მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარებისთვის წიგნიერების დაუფლების ჩარჩოს მიხედვით: 1. მთლიანი კლასის სწავლება; 2. დიფერენცირებული სწავლება; 3. დამოუკიდებელი ვარჯიში.
> 2. შეირჩეს კითხვის ეფექტური მეთოდები კითხვის ხუთივე (ფონოლოგია, ანბანური პრინციპი, ლექსიკური მარაგი, გამართული კითხვა, გაგება-გააზრება) კომპონენტისთვის, 1-4 კლასების ტექსტის სირთულიდან გამომდინარე.
> 3. ყველა კლასში მასწავლებელმა გამოიყენოს სტრატეგიები 1. „წავიკითხე – დავხატე“; 2. „წავიკითხე – გიამბობთ“; 3. „წავიკითხე – გავითამაშებ“ 4. „წავიკითხე – ვკითხულობ“.
> 4. ჩატარდეს კვირეული.

დ) განხორციელების გზები

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელიც უპასუხებს შემდეგ კითხვებს:

1) „როგორ?“ – როგორ შეასრულებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?
2) „ვინ“ – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის პროექტში მათი ფუნქცია?

მაგალითად

1. **ამოცანა** – დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა 1-4 კლასების მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განსავითარებლად.

როგორ?	**ვინ?**

2. **ამოცანა** – შეირჩეს კითხვის ეფექტური მეთოდები კითხვის ხუთივე კომპონენტის გამოყენებით 1-4 კლასების ტექსტის სირთულიდან გამომდინარე.

როგორ?	**ვინ?**

3. **ამოცანა** – ყველა კლასში მასწავლებელმა გამოიყენოს სტრატეგიები 1. „წავიკითხე-დავხატე"; 2. „წავიკითხე-გიამბობთ"; 3. „წავიკითხე-გავითამაშებ"; 4. „წავიკითხე-ვკითხულობ".

როგორ?	**ვინ?**

4. **ამოცანა** – ჩატარდეს კვირეული

როგორ?	**ვინ?**

პროექტის შესრულების განრიგი

ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული თვეების (დღეების, კვირების, კვარტალების) მიხედვით, თქვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითად

ეტაპი	საქმიანობა	თვე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	მოსამზადებელი სამუშაო												
I	დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავდეს და განხორციელდეს ერთიანი სტრატეგია 1-4 კლასები მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განსავითარებლად.												
II	შეირჩეს კითხვის ეფექტური მეთოდები კითხვის ხუთივე კომპონენტის გამოყენებით 1-4 კლასების ტექსტის სირთულიდან გამომდინარე.												
III	ყველა კლასში მასწავლებელმა გამოიყენოს სტრატეგიები 1. „წავიკითხე-დავხატე“; 2. „წავიკითხე-გიამბობთ“; 3. „წავიკითხე-გავითამაშებ“; 4. „წავიკითხე-ვკითხულობ“.												
IV	ჩატარდეს კვირეული												

დროის ტაბულა ძალზე მოხერხებულია ვადების საჩვენებლად. როდესაც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა რამ არის დაგეგმილი, მასზე ეს შეიძლება თვალსაჩინოდ და გასაგებად გამოისახოს.

რესურსები/ბიუჯეტი

როდესაც პროექტი ხორციელდება სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით, პროექტის ამ ნაწილში უნდა მოხდეს რესურსების ჩამოთვლა.

თუ მასწავლებლის, სკოლის პროექტი საგრანტო კონკურსში მონაწილეობს, პროექტის ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

- ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე (იხ ცხრილი);
- თუ დაფინანსების წყარო რამდენიმეა, ცხრილს, შესაბამისად, უნდა დაემატოს სვეტი, სადაც მითითებულ იქნება: ა) დაფინანსების წყარო, ბ) დაფინანსების საგანი (სამუშაო/მომსახურება) და გ) თანხის რაოდენობა;
- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურეობის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს (ქვემოთ მოყვანილი

სამუშაოები/მომსახურების სფეროები მხოლოდ მაგალითებია). არ შეიტანოთ ბიუჯეტში ის პუნქტები, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი ან შეუსაბამოა თქვენი პროექტისთვის.

- ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს ლარებში.

ბიუჯეტის სავარაუდო ვერსია

N	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საბალო ღირებულება	რაოდენობა	მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	სულ
1.	**აღჭურვილობა**					
1.1	კომპიუტერი					
1.2	პრინტერი					
	სულ					
2.	**მომსახურება**					
2.1	სატრანსპორტო საშუალებების იჯარა					
2.3	ა. შ.					
	სულ					
3.	**ხელფასები/ჰონორარები**					
3.1	თანამშრომელთა ხელფასები					
3.2	ა. შ.					
	სულ					
4.	**საბანკო მომსახურება**					
	სულ					

აღჭურვილობის ჩამონათვალში კომპიუტერულ, აუდიო, ვიდეო თუ სხვა სახის ტექნიკაზე აუცილებლად უნდა მიეთითოს კონფიგურაცია, საფირმო დასახელება და მოდელის ნომერი.

- აღჭურვილობასა თუ მომსახურებაზე მითითებული ფასები უნდა იყოს დასაბუთებული (პროექტის დანართში უნდა იყოს ინვოისები) და ბაზრის შესატყვისი.
- საბანკო მომსახურებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის პუნქტების ჯამის 1%-ს.

მოსალოდნელი შედეგები

ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას.

სასურველია, შედეგები დაყოთ:
ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით;
ბ) თვისებრივი მაჩვენებლებით.

სასურველია მიუთითოთ აგრეთვე, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს თქვენ მიერ განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე, საზოგადოებაზე და ა.შ.

მონიტორინგი და შეფასება

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში თქვენ უნდა შესთავაზოთ სკოლას, ფონდს, დონორს, კონკურსის ორგანიზატორს, როგორ აწარმოოს დაკვირვება თქვენი პროექტის მიმდინარეობაზე და რა კრიტერიუმებით შეაფასოს მისი წარმატება.

მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, როგორი იქნება პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის)თქვენი მექანიზმი და პერიოდულობა.

შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავს თქვენი პროექტის წარმატებას. კრიტერიუმები უმეტესად დასახული ამოცანების გადაჭრის ხარისხის გასაზომადაა მიმართული.

მას შემდეგ, რაც პედაგოგი პროექტის შედგენას დაასრულებს, იწყება მისი დანერგვის პროცესი, რომელიც ძირითადად პროექტით განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს. პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის ავტორი და პროექტზე მომუშავე ჯგუფი შეისწავლის პროექტის შედეგებს და წერს პროექტის ანგარიშს.

პროექტის ანგარიშის ფორმა

პროექტის დასახელება .....
პროექტის ვადები .....

- განხორციელების მიმოხილვა
- წარმოშობილი სირთულეები და მათი დაძლევის გზები
- მიღწეული შედეგები
- გადაჭრილი პრობლემა, შესრულებული ამოცანა, მიღებული შედეგების მდგრადობა

ქეისებით სწავლება

ქეისებით სწავლების ძირითადი დანიშნულებაა, ასწავლოს მოსწავლეებს ისეთი რთული არასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა, რომელთა ანალიზური ხერხით ამოხსნა შეუძლებელია. მეთოდის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს პრობლემური სწავლების პრინციპების გამოყენება — რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება.

მეთოდი ავითარებს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- გუნდში მუშაობის უნარს;
- რეალური პრობლემების გადაჭრის უნარს;
- უმარტივესი განზოგადების უნარს;
- პრეზენტაციის უნარს;
- კითხვის ფორმულირებასა და პასუხის არგუმენტირების უნარს.

ქეისების კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა სირთულის მიხედვით კლასიფიკაცია. ამასთან, განასხვავებენ:

საილუსტრაციო სასწავლო სიტუაციები	**სასწავლო სიტუაციები**	**სასწავლო სიტუაციები**	**წვრთნები**
ქეისები, რომელთა მიზანია ცალკეულ პრაქტიკულ მაგალითებზე გამოუმუშავოს მოსწავლეს კონკრეტულ სიტუაციაში	ქეისები პრობლემის ფორმირებაზე, რომლებშიც აღწერილია სიტუაცია დროის კონკრეტულ პერიოდში. ასეთი ქეისის მიზანია სიტუაციის	ქეისები პრობლემების ფორმირების გარეშე, რომელშიც წინა ვარიანტთან შედარებით უფრო რთული სიტუაცია განიხილება, სადაც პრობლემა	გამოყენებითი წვრთნები, რომელიც ასახავს კონკრეტულ არსებულ ვითარებას და თავაზობს გამოსავალის მოძებნას. ქეისის მიზანი ამ

სწორი გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი;	დიაგნოსტირება და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;	მკაფიოდ კი არაა ჩამოყალიბებული, არამედ სტატისტიკური მონაცემების სახითაა მოცემული. ასეთი ქეისის მიზანია პრობლემის დამოუკიდებლად განსაზღვრა, არსებული რესურსების ანალიზით მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება;	შემთხვევაში არის პრობლემების გადასაჭრელად გზების ძიება.

ქეისების კლასიფიკაცია შეიძლება **სწავლების მიზნებისა და ამოცანების** მიხედვითაც. ამ კუთხით შეიძლება გამოიყოს:

1. **ქეისები ანალიზისა და შეფასების შესასწავლად;**
2. **ქეისები პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების შესასწავლად;**
3. **პრობლემის გადაჭრის ან მთლიანად კონცეფციის ამსახველი ქეისები.**

მნიშვნელოვანია ქეისების კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით:

- **სტრუქტურირებული ქეისი,** რომელშიც დამატებითი ინფორმაცია მინიმალურია. მასთან მუშაობისას მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კონკრეტული მოდელი ან ფორმულა, ამ ტიპის ქეისებს აქვთ ოპტიმალური გადაწყვეტა.
- **მცირე მონახაზი** რომელიც შეიცავს რამდენიმეგვერდიან ტექსტს და 1-2 დანართს. ისინი მხოლოდ ძირითად ცნებებს აცნობენ და მათი ანალიზისას მოსწავლე უფრო საკუთარ ცოდნას უნდა დაეყრდნოს.
- **დიდი** — 10-50 გვერდიანი — **არასტრუქტურირებული ქეისები** — ყველაზე რთულია ამ სახის სასწავლო დავალებებს შორის. მათში უსარგებლო ინფორმაცია ზოგჯერ ძალზე დეტალურად არის მოცემული, საჭირო მონაცემები კი, პირიქით, შესაძლოა არ იყოს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს ასეთი შეფარული მზაკვრობა და თავი გაართვას მას.
- **პიონერული ქეისები** — მათი ანალიზი მოითხოვს არა მარტო უკვე ათვისებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებას, არამედ რაიმე ახლის შეთავაზებასაც. ამასთან, მოსწავლეები და მასწავლებლები მკვლევართა როლში გამოდიან.

ქეისების ამოხსნა რეკომენდებულია 5 ეტაპად:

ქეისის ზომას უშუალო კავშირი აქვს მის დანიშნულებასთან. რამდენიმეგვერდიანი მინიქეისი ერთ გაკვეთილს იკავებს, საშუალო ზომისა — 2 საათს, ხოლო

პირველი ეტაპი – სიტუაციისა და მისი თავისებურებების გაცნობა

↓

მეორე ეტაპი – ძირითადი პრობლემ(ებ)ის გამოყოფა; იმ ფაქტორებისა და პირების გამოყოფა, რომელთა გავლენა გასათავლისწინებელია

↓

მესამე ეტაპი – გადაწყვეტისთვის კონცეფციების ან თემების შეთავაზება

↓

მეოთხე ეტაპი – ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგების ანალიზი

↓

მეხუთე ეტაპი – ქეისის ამოხსნა – ერთი ან რამდენიმე ვარიანტი (ქმედებათა თანამიმდევრობა, მითითება შესაძლო პრობლემებზე, მათი პრევენციისა და გადაჭრის მექანიზმები

დიდი ქეისი შესაძლოა რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მუშავდებოდეს. არსებობს ქეისები დანართებითა და დანართების გარეშე.

ქეისსწავლება როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგია

ქეისსწავლების მთავარი სირთულეა დისკუსიის მონაწილეთა შეფასება. ცოდნის შემოწმება და შეფასება უნდა წარიმართოს სწავლების დიდაქტიკური პრინციპების შესაბამისად. საჭიროა, მოსწავლე შეფასდეს დისკუსიაში აქტიური მონაწილეობისთვის ან ზეპირი პრეზენტაციისთვის, რაც მოიცავს:

1. გამოსვლას, რომელიც აღწერს სერიოზული წინასწარი ანალიზის მცდელობას (სწორი ვარაუდები, კარგი მომზადება, არგუმენტირება და ა. შ.)
2. ყურადღების გამახვილება ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც საფუძვლიან განხილვას მოითხოვს;
3. კატეგორიების აპარატის ფლობა, ცნებათა განმარტების, შინაარსის წვდომის სწრაფვა;
4. ლოგიკური აზროვნების უნარის დემონსტრირება;
5. ისეთი ალტერნატივების შეთავაზება, რომლებიც ადრე უგულებელყოფილ იქნა;
6. კონკრეტული სამოქმედო გეგმის ან გადაწყვეტის გეგმის შეთავაზება;
7. იმ არსებითი ელემენტების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია ქეისის ანალიზისთვის;
8. რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებაში მონაწილეობა;
9. განხილვის შედეგების შეჯამება.

ქეისის ანალიზის წერილობითი სახით წარდგენისას შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- პრობლემათა ანალიზი;
- ჩატარებული რაოდენობრივი გათვლები;
- დამოუკიდებელი დასკვნები;
- ინფორმაციის დამუშავების ადეკვატური მეთოდები;
- მოთხოვნის შესაბამისად შედგენილი დოკუმენტები;
- ანალიზის შედეგად გამოტანილი არგუმენტები.

განვიხილოთ ქეისის აგების პრინციპები.

ქეისის შექმნის პროცესს რამდენიმე ძირითადი ეტაპი აქვს:

1. ქეისის დიდაქტიკური მიზნების ფორმირება – ეს ეტაპი გულისხმობს სასწავლო კურსის, **სილაბუსის**, სტრუქტურაში ქეისის ადგილის განსაზღვრას, მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებას, მოსწავლეების ცოდნისა და უნარების დონესთან შესაბამისობას;
2. პრობლემური სიტუაციის განსაზღვრა;
3. ქეისის პროგრამული რუკის შედგენა, ძირითადი თეზისები, რომელთა ტექსტში ჩართვაც აუცილებელია;
4. ძიება **ინტეგრირების სისტემისა**, რომელსაც პირდაპირი პროგრამული კავშირი აქვს ესგ გამჭოლ პრიორიტეტებთან;
5. ამ ინტეგრირების სისტემაში ქეისის თეზისებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრება;
6. აგება ან არჩევა სიტუაციის მოდელისა, რომელიც ასახავს იმ შედეგებსა და ინდიკატორებს, რომელთა შესასრულებლადაცაა მიმართული სილაბუსის ესა თუ ის ნაწილი;
7. ქეისის ჟანრის არჩევა;
8. ტექსტის დაწერა;
9. ქეისის მართებულობისა და ეფექტურობის დიაგნოსტიკა, მეთოდური სასწავლო ექსპერიმენტის ჩატარება ქეისის ეფექტურობის შესამოწმებლად;
10. ქეისის საბოლოო ვარიანტის მომზადება;
11. ქეისის პრაქტიკული გამოყენება;
12. ქეისის მეთოდური რეკომენდაციების მომზადება.

დავალებებისა და სადისკუსიო კითხვების შემუშავებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ

- ქეისი უნდა იყოს საინტერესო, ადვილი და გასაგები ენით დაწერილი;
- გამოირჩეოდეს პრობლემურობით, განსაზღვრავდეს პრობლემის არსს;
- წარმოაჩენდეს როგორც დადებით, ასე უარყოფით მაგალითებს;
- შეესაბამებოდეს შერჩეულ მოსწავლეთა მოთხოვნილებებს, აწვდიდეს მათ აუცილებელ და საკმარის ინფორმაციას.

ამ მეთოდით მუშაობისას მოსწავლეები აკეთებენ თანამიმდევრულ ჩანაწერებს პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ეს მეთოდი უფრო პროცესზეა ორიენტირებული და არა შედეგზე. მას პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასებაც კი შეიძლება ვუწოდოთ. იმისათვის, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ, რა არის პრობლემა და ჩამოვთვალოთ მისი გადაჭრის შესაძლო ეტაპები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საგნისა და პრობლების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა გარკვეულწილად სხვადასხვანაირი იყოს:

პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, რთული საკითხი, ამოცანა, რომელიც შესწავლას და მოგვარებას მოითხოვს. პრობლემის მოგვარება გულისხმობს განსზაღვრული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით.

პრობლემის მოგვარება წარმოადგენს რთულ სააზროვნო უნარ-ჩვევას, რომელიც ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას ეფუძნება.

პრობლემის მოგვარების შესაძლო ეტაპებია:

1. პრობლემის განსაზღვრა;
2. სათანადო ინფორმაციის შეგროვება;
3. პრობლემის შესაძლო მიზეზების დადგენა;
4. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ხერხის მოფიქრება;
5. პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევა;
6. პრობლემის გადაჭრის გეგმის ჩამოყალიბება;
7. შედეგების შემოწმება და შეფასება .

პრობლემების გადასაჭრელად მოსწავლეების მიერ გადადგმული ნაბიჯების აღწერას, ანუ პროცესის შეფასებას პედაგოგისთვის სამი მიზანი აქვს:

1. შეაფასოს, როგორ მოაგვარებენ მოსწავლეები პრობლემებს;
2. განსაზღვროს, რამდენად კარგად ესმით და აღწერენ ისინი პრობლემის მოგვარების პროცესს;
3. შეისწავლოს მოსწავლეთა აზროვნების პროცესი და მათთან ერთად განიხილოს პრობლემის გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი გზები.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს პედაგოგს, გააანალიზოს მოსწავლეთა ჩანაწერები. ჩანაწერების ანალიზის შედეგად მას შეუძლია

- გაიგოს, პრობლემის გადაჭრის როგორი უნარ-ჩვევები აქვს თითოეულ მოსწავლეს;
- მისცეს მოსწავლეს დროული და მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა დახმარებითაც ის უკეთ მიხვდება საკუთარ შეცდომას და პრობლემის მოგვარების პროცესის კონტროლს ისწავლის.

პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი პროცედურების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ნებისმიერი საგნის შესასწავლად.

პედაგოგმა პრობლემა ისე უნდა დასვას, რომ მოსწავლეებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების საშუალება მისცეს.

პრობლემის მოგვარების პროცესის შეფასების სასწავლო მიზნებია:

- მოსწავლეთა მიერ ნაცნობი პრინციპების განზოგადება და პრობლემებთან მისადაგება;
- პრობლემის მოგვარების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საგნის სპეციფიკის გათვალისწინება;
- სწავლის სტრატეგიებისა და უნარ-ჩვევების განვითარება;
- ქეისის ამოხსნისას საჭირო ცოდნისა და უნარის ტრანსფერი.

კითხვების დასმა და პასუხზე ეფექტური რეაგირება დისკუსიისას

დისკუსიის წარმატება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შეკითხვა. შეკითხვით დიალოგში შევდივართ აუდიტორიასთან. დიალოგის რეჟიმში არ არსებობს კითხვების ავტორისა და მოპასუხის მკაცრად განსაზღვრული როლები, არავის აქვს სიტუაციის ფლობის ექსკლუზიური უფლება. სწორედ „შეკითხვების რეჟიმი" წარმოადგენს ახალი ცოდნისკენ მიმავალ გზას. დიალოგი ცოცხალია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვსვამთ ღია შეკითხვებს, ვაძლევთ სხვებს აზრის ღიად გამოთქმის შესაძლებლობას და არ ველით მათგან წინასწარ ჩვენ მიერ მოფიქრებულ „სწორ" პასუხებს.

შეკითხვების მეშვეობით დისკუსიის წამყვანს შეუძლია:

- **გააქტიუროს აუდიტორია**, მისცეს მას აზრის გამოთქმისა თუ ცოდნის წარმოჩენის შესაძლებლობა;
- **წააქეზოს გამოცდილების გაზიარებისკენ** — დისკუსიის მონაწილეებს შეუძლიათ, ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები, შეადარონ საკუთარი მოსაზრებები სხვისას;
- **დაეხმაროს სიტუაციის გაგებაში** — ფასილიტატორი ხელს უწყობს მონაწილეებს საკუთარი პრობლემების ჩამოთვლასა და სისტემატიზებაში (სტრუქტურირებაში);
- **გაიგოს სხვისი აზრი** — დისკუსიის პროცესში წამყვანი ცდილობს, მეტი გაიგოს საკითხისადმი/შეკითხვისადმი მონაწილეთა დამოკიდებულებაზე, მათ მოსაზრებებზე, ემოციებზე;
- **შეამოწმოს, გაიგო თუ არა აუდიტორიამ განხილული საკითხი** — სხვაგვარად მომდევნო საკითხზე გადასვლა არ შეიძლება;
- **შეაფასოს სიტუაცია** — მიიღოს უკუკავშირი. შეკითხვები სამუშაო სიტუაციის ანალიზსა და შეფასებაში გვეხმარება.

დისკუსიის წარმატება თავად შეკითხვაზეა დამოკიდებული. თუ დისკუსიის წამყვანს სურს, კარგი შეკითხვა დასვას, მან უნდა:

- იპოვოს შეკითხვისთვის შესაფერისი მომენტი;
- დასვას შესაფერისი კითხვა;
- სწორად შეარჩიოს შეკითხვის ფორმა.

ცნობილია, რომ შეკითხვას აქვს **შინაარსი** და **ფორმა**; ყველა კითხვა რაიმე **შინაარსს** უნდა შეიცავდეს, ფორმის მიხედვით კი განასხვავებენ ორ დიდ ჯგუფს — **დახურულ** და **ღია** შეკითხვებს.

დახურული შეკითხვა	**ღია შეკითხვა**
დახურულია შეკითხვა, თუ მისი პასუხი წინასწარ განსაზღვრულია. დახურულ შეკითხვაზე პასუხს დიდი ხანი არ სჭირდება; დახურული შეკითხვის შემთხვევაში ადამიანს, ჩვეულებრივ, პასუხის შერჩევა უხდება და არა შექმნა.	**ღია შეკითხვას** წინასწარ განსაზღვრული პასუხი არ აქვს. ღია შეკითხვა შესაძლოა დაისვას სხვადასხვა მიზნით — პასუხის დასაზუსტებლად, გასავრცობად, ახსნა-განმარტების მისაცემად და ა.შ.

გარდა ამ ორი დიდი კატეგორიისა, გამოყოფენ დისკუსიისას გამოყენებულ შემდეგი ტიპის შეკითხვებს:

1. ალტერნატიული შეკითხვა;
2. სუგესტიური შეკითხვა;
3. კონტრშეკითხვა;
4. დაბრუნებული შეკითხვა.

ალტერნატიული შეკითხვა — შეკითხვაში, ასარჩევად, შეთავაზებულია ორი ან მეტი ალტერნატივა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის შეკითხვა, რომელშიც ასარჩევად არის მოცემული პასუხის რამდენიმე ვარიანტი. მაგალითად: **„რა უფრო გიყვარს, ცურვა თუ თხილამურებით სრიალი?“**

სუგესტიური შეკითხვა — ამგვარი შეკითხვით მანიპულაციით ხდება პარტნიორისგან თანხმობის მიღება. მაგალითად: **„დარწმუნებული ვარ, როგორც ამ საკითხის მცოდნე, დამეთანხმებით, რომ ...“**

კონტრშეკითხვა — მსმენელს პასუხის გაცემისკენ უბიძგებს. ამგვარი ზეწოლის თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოვიყენოთ ერთ-ერთი მეთოდი — შეკითხვის არეკვლა, ანუ შეკითხვაზე შეკითხვით პასუხი.

დაბრუნებული შეკითხვა — ეს არ არის შეკითხვის დამოუკიდებელი ფორმა, ეს შეკითხვაზე რეაგირების სპეციფიკური სახეა. ამ დროს შეკითხვას მისივე ავტორს უბრუნებენ. მაგალითად: **„საინტერესო შეკითხვაა. თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ამის თაობაზე? რას ფიქრობენ ჯგუფის დანარჩენი წევრები?“**

დისკუსიის მონაწილეთა შეკითხვებიც შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფოთ. დისკუსიის წარმართვისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს, რა ქვეტექსტია ჩადებული კონკრეტულ შეკითხვაში, რომ მასზე სწორი რეაგირება მოახდინოს.



- **თემის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები** — თუ წინა შეკითხვას პასუხი არ გაეცა, მომდევნო თემის განხილვაზე გადასვლა არ შეიძლება — დისკუსიის მონაწილეები ვერ გაიგებენ მას ისე, როგორც საჭიროა. პასუხის დეტალურობა სიტუაციაზეა დამოკიდებული — შეკითხვა შეიძლება დავუსვათ ერთ მონაწილეს, ანდა თემის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვაში მთელი ჯგუფი ჩავრთოთ. ამისთვის შეკითხვა შეიძლება შევუბრუნოთ ჯგუფს და მონაწილეებს მასზე პასუხის გაცემა ვთხოვოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტიპის კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია (თუნდაც მოკლედ). მნიშვნელოვანია ძირითადი დასკვნების გამეორება.
- **პრაქტიკული შეკითხვები** — ამ ტიპის შეკითხვები შეიძლება ინტერესის გამომხატველი შეკითხვების სპეციალური ვერსია იყოს. ეს შეკითხვები თემის/საკითხის პრაქტიკული მხარის მიმართ ინტერესის მაჩვენებელია. კონკრეტული მითითებები უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ — როდესაც მონაწილეებმა იციან, რა კუთხით გამოადგებათ გარკვეული გამოცდილება თუ ცოდნა მომავალში, მათი მოტივაცია იზრდება. მოქმედებების დეტალური გეგმის შემუშავება შეიძლება მცირე ხნით გადაიდოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ამ თემის ირგვლივ პრაქტიკული სავარჯიშოებია დაგეგმილი.
- **შეკითხვები, რომლებიც ეხება თემის მნიშვნელობას/აქტუალობას** — „რისთვის უნდა გავაკეთოთ ეს?“ „რა საჭიროა?“ — ეს შეკითხვები იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები ვერ ხედავენ ინფორმაციის მნიშვნელობას, ვერ ხვდებიან, რა საჭიროა ეს. მათ სურთ, დარწმუნებულნი იყვნენ თემის აქტუალობაში. სხვაგვარად მათი მოტივაცია დაეცემა. შეიძლება, ეს შეკითხვა შევუბრუნოთ ჯგუფს და მიმანიშნებელი შეკითხვებით პასუხის გაცემაში დავეხმაროთ.
- **თემისგან შორს მყოფი შეკითხვები/დევიაციური შეკითხვები** — ერთი შეხედვით, პრაქტიკულ ან თემის აქტუალობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ჰგავს, მაგრამ დევიაციური შეკითხვების მიზანი მათზე პასუხის მიღება არ არის — მათი ამოცანა თემიდან ყურადღების გადატანაა. ამ ტიპის შეკით-

ხვებს ხშირად სვამს ის, ვინც არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში და დისკუსიის/თემის განხილვის დაწყებამდე მორცხვობს. დევიაციური შეკითხვები შესაძლოა იმის მანიშნებელიც იყოს, რომ მონაწილეები გადაიღალნენ — ისინი სვამენ ბევრ შეკითხვას და ნაკლებად აინტერესებთ პასუხები. წამყვანი უნდა შეეცადოს, დისკუსია ძირითად თემას დაუბრუნოს.

- **რიტორიკული შეკითხვები/გავლენის მომხდენი შეკითხვები** — რიტორიკული შეკითხვა უკვე შეიცავს პასუხს. ეს არის შეკითხვის ფორმა, რომელიც „სწორ პასუხს“ თავისთავად გულისხმობს. შეკითხვის ეს ფორმა გამოიყენება საწინააღმდეგო აზრის ჩასახშობად. მაგალითად: „როდესაც ადამიანი თავს არიდებს პასუხს, ე.ი. რაღაც დასამალი აქვს, არა?“ ამ ტიპის შეკითხვას ხშირად ისეთი მონაწილე სვამს, რომელსაც სურს, ექსპერტად აღიარონ, წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა, გამოხატოს პოზიცია. ხშირად რიტორიკული შეკითხვის ფარული მიზანი ჯგუფსა და დისკუსიის პროცესზე გავლენის მოხდენაა. წამყვანმა/ფასილიტატორმა უნდა დაადასტუროს შეკითხვა, მაგრამ, ამასთანავე, უნდა უთხრას ავტორს, რომ ის რიტორიკულ შეკითხვად იქნება განხილული.
- **ემოციური შეკითხვები** — ამ ტიპის შეკითხვაში მნიშვნელოვანია ემოციური შინაარსი და არა ფაქტები. ის შეკითხვის ავტორის ან მთელი ჯგუფის ემოციებსა და გრძნობებზე იძლევა სიგნალს — გამოხატავს უკმაყოფილებას, აგრესიას ან თავის არიდები სურვილს. ფასილიტატორმა მხოლოდ ფაქტობრივ შინაარს არ უნდა გასცეს პასუხი; მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ემოციურ მხარეზე, სადისკუსიო ჯგუფში არსებულ ატმოსფეროზე, მონაწილეთა განწყობაზე, აუცილებლად მოახდინოს მონაწილეთა სტიმულირება, რათა მათ ღიად ისაუბრონ თავიანთ განწყობაზე, სურვილებსა თუ მოთხოვნილებებზე. მათი წინადადებები ყურადღებით უნდა იქნეს მოსმენილი და გათვალისწინებული.

პასუხებთან მუშაობა და მათი დამუშავება

დისკუსიისას პასუხზე რეაგირება ისე უნდა მიხდეს, რომ მოსაუბრე კმაყოფილი დარჩეს — იგრძნოს, რომ დისკუსიაში წვლილი შეიტანა. მაშინაც კი, როდესაც პასუხის შინაარსობრივი მხარე მიუღებელია, დისკუსიის მონაწილე უნდა გრძნობდეს, რომ მას გაუგეს. თუ მონაწილემ ინანა აზრის გამოთქმა, მას დისკუსიაში მონაწილეობის სურვილი აღარ ექნება, ამას კი ხშირად აგრესიულ ქცევასთან მივყავართ.

პასუხებთან მუშაობისას ყოველთვის უნდა იქნეს დაცული კომუნიკაციის წესები, მოხდეს თითოეული პასუხის გამეორება, გაგება და დადასტურება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შინაარსის განხილვასა და შეფასებაზე გადასვლა.

საკითხის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიისას შეკითხვების ეფექტური გამოყენება და პასუხებზე ადეკვატური რეაგირება მოსწავლეებს დისკურსულ აზროვნებას უვითარებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დისკურსის დროს ხდება არა მარტო შინაარსისა და ფაქტების ორგანიზება საკითხის ირგვლივ, არამედ მისი ღრმა გააზრებაც ანალიზურ-სინთეზური გზით.

ტესტური დავალების ტიპები და პედაგოგიური ტესტის შექმნის მნიშვნელოვანი პროცედურები

ტესტი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ, რა და როგორ ისწავლეს მოსწავლეებმა, რა უნარ-ჩვევები განუვითარდათ მათ.

ყოველი ცალკეული შემთხვევისა და მიზნისთვის წინასწარ კარგად უნდა განისაზღვროს ტესტის ფორმატი, დავალებების ტიპები და შინაარსი, ასევე ისიც, რისთვის სჭირდება მასწავლებელს/სკოლას ტესტირების შედეგები.

პედაგოგიური ტესტების შედგენისას დაცულ უნდა იქნეს ოთხი პრინციპი:

1. დავალებები უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა შემოწმებაც ტესტირებით სურთ;
2. პედაგოგი წინასწარ ადგენდეს სწორ პასუხებს, რომელთა მიხედვითაც ერთმნიშვნელოვნად გაასწორებს დავალებებს;
3. სწორ პასუხს ანიჭებდეს ქულას, დახურული კითხვების შემთხვევაში - თითოეული სწორი პასუხისთვის ერთს;
4. ადგენდეს დროის ლიმიტს.

განურჩევლად იმისა, რა სახისაა და რა მიზანს ემსახურება ტესტი, ის რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

- **უნდა იყოს ვალიდური და სანდო.** ინსტრუქციები და საკითხები ისე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სწორედ იმ ცოდნას ზომავდეს, რომლის გაზომვასაც ეს კონკრეტული ტესტი ისახავს მიზნად, შეფასების შედეგები კი ნებისმიერ შემთხვევაში იდენტური იყოს;
- **უნდა იყოს გაზომვადი.** მისი შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შედგენილი პასუხებით ან შეფასების სქემით; წინასწარ უნდა იყოს დადგენილი ქულების რაოდენობაც სწორი პასუხისთვის; შეფასების მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი, იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს;
- **განსაზღვრულ დროზე უნდა იყოს გათვლილი.** დროის ფაქტორის გათვალისწინება და იმის ცოდნა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტესტის შესრულება, არამედ გამოყოფილ დროში ჩატევაც, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დროის უფრო ეფექტიანად გამოყენებას აჩვევს;

- **უნდა იყოს გამჭვირვალე.** მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, რა ფორმატისაა ტესტი, რას ამოწმებს, რამდენი დროა მისთვის გამოყოფილი და როგორია შეფასების მექანიზმი.

დახურული და ღია კითხვებზე აგებული ტესტები

ტესტური კითხვები ღიაც შეიძლება იყოს და დახურულიც. დახურული კითხვების შემთხვევაში მოსწავლემ მოცემული შესაძლო პასუხებიდან მხოლოდ ერთი უნდა აირჩიოს, ღია კითხვების შემთხვევაში კი ასეთი არჩევანი არ არსებობს, მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

დახურულ კითხვებზე აგებული დავალებების ტიპებია:

- ოთხი შესაძლო პასუხიდან აირჩიე და შემოხაზე სწორი პასუხი.
  ასეთი ტესტების შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი:
  - შეკითხვა ან პრობლემა მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული;
  - შეკითხვა არ უნდა შეიცავდეს უარყოფით ფორმას;
  - სწორი პასუხი მუდამ ერთსა და იმავე პოზიციაში არ უნდა იყოს /მაგალითად, არ უნდა იყოს შესაძლო პასუხების ჩამონათვალში ყოველთვის პირველი ან ბოლო/.

- მიუსადაგე /დაუკავშირე ერთმანეთს სიტყვები/ციფრები/დებულებები
  ამ ტიპის ტესტებში გასათვალისწინებელია შემდეგი:
  - მითითება უნდა იყოს გასაგები, მოსწავლემ მკაფიოდ უნდა გაიაზროს, რა მოეთხოვება;
  - დასაკავშირებელი სიტყვები მართლაც ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს;
  - ჩამონათვალი არ უნდა იყოს მოკლე, რათა თავი დავიზღვიოთ სწორი პასუხის შემთხვევითი აღნიშვნისგან.

- გამოიცანი, სწორია თუ მცდარი წინადადება.
  ამ ტიპის ტესტებში გასათვალისწინებელია შემდეგი:
  - კითხვაში მოცემული მსჯელობა უნდა იყოს სწორი ან მცდარი;
  - კითხვები არ უნდა იყოს ორაზროვანი;
  - კითხვებს არ უნდა ჰქონდეს ირელევანტური და ტრივიალური ხასიათი;
  - მსჯელობა არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული უარყოფითი ფორმით;
  - მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს სახელმძღვანელოს ენა;
  - მტკიცებულების მოდელები ნაკლებად უნდა შეიცავდეს სიტყვებს: „ყოველთვის“, „არასდროს“.

ღია კითხვებზე აგებული დავალებების ტიპებია:

- უპასუხე შეკითხვებს.
  ყველა თემა არ იძლევა ობიექტური ტესტის შედგენის საშუალებას, ამიტომ, თუ პედაგოგს სურს ტესტის ეფექტის მიღება (შეფასების თვალსაზრისით), რეკომენდებულია ე. წ. ტესტ-კითხვარის გამოყენება. ტესტი ალტერნატიულ პასუხებს არ შეიცავს, მაგრამ დასმულ კითხვებზე ლაკონიური პასუხების გაცემას მოითხოვს. ამ ტიპის ტესტები უფრო მეტად ამჟღავნებს მოსწავლის პოტენციალს, ვიდრე ობიექტური ტესტები, რადგან არ გვაძლევს მზა პასუხებიდან არჩევის საშუალებას. მოსწავლემ კითხვაზე საპასუხოდ ადეკვატური ინფორმაცია უნდა გადმოსცეს, ამასთან, ლაკონურად და სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

- შესავსები ტესტი
  მოცემული საკითხები გარკვეული ინფორმაციის ჩაწერას, პასუხს ან ტესტში შეცვლას მოითხოვს. ამ ტიპის ტესტების შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი:
  - უნდა გამოირიცხოს სახელმძღვანელოს ენა;
  - შეკითხვები უნდა გულისხმობდეს ზუსტ პასუხებს.

- ტესტი-დავალება
  შეფასების ეს მეთოდი ტესტის სახეცვლილი ფორმაა, რომელიც, ტესტ-კითხვარისგან განსხვავებით, არა კითხვებისგან, არამედ დავალებებისგან შედგება. მაგალითად, „გაიხსენეთ“, „აღწერეთ“ და სხვა.

- ესე
  ესე სწავლის შედეგების შეფასების (ანალიზი, სინთეზი, ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარი) საკმაოდ ეფექტური მეთოდია. ესე (Essai) ფრანგულად ნიშნავს „მცდელობას“, „მონახაზს“. ეს თავისუფალი კომპოზიციის მცირე ზომის თხზულებაა, რომელიც გადმოსცემს ავტორის თვალსაზრისს კონკრეტული საკითხების შესახებ.

  სასკოლო ესე მოწაფეს განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის, სუბიექტური შეფასების გამოხატვის, მასალის არასტანდარტული (შემოქმედებითი), ორიგინალური გზით გაშუქების საშუალებას აძლევს. შეფასების სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, ესეს მიზანია მოსწავლის შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, ფაქტების, მიდგომებისა და ალტერნატივების შედარების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას.

  სწავლებისას ესეს გამოყენება მოსწავლეებს აჩვევს აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანამიმდევრობით ჩამოყალიბებას, ტერმინოლო-

გიით მეტყველებას, მაგალითების, ციტატების გამოყენებას. არსებობს მისი რამდენიმე ფორმა:

1. დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობა მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ თემაზე (კეთდება როგორც საშინაო დავალება);
2. 30-წუთიანი წერითი დავალება შესწავლილი საგანმანათლებლო მასალის ირგვლივ;
3. 10-წუთიანი თავისუფალი წერა ახალი მასალის უკეთ გასაგებად და დასამუშავებლად;
4. 5-წუთიანი თავისუფალი თემა ლექციის შესაჯამებლად და თემის შესახებ ჩამოყალიბებული აზრებისა და დასკვნების დასაფიქსირებლად (ყველაზე ხშირად მოსწავლეებს ავალებენ დაწერონ, რა გაიგეს ახალი მოცემულ თემაზე და დასვან ერთი კითხვა, რომელზეც პასუხი არ მიუღიათ).

- პრობლემის მოგვარება
  მათემატიკური ამოცანა ალბათ პრობლემის ყველაზე ტიპობრივი მაგალითია, მაგრამ სხვა საგნებშიც არის პრობლემური სიტუაციები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს. ამისთვის საჭიროა არგუმენტირებული მსჯელობა, მასალით მანიპულირება /კვლევის დაგეგმვა, ჩატარება, შედეგების ანალიზი/ და ა.შ.

იმისდა მიხედვით, რის გაზომვა და შეფასება სურს პედაგოგს, ტესტი შეიძლება შედგებოდეს როგორც მხოლოდ ღია ან მხოლოდ დახურული, ისე ორივე ტიპის კითხვებისგან. დახურული კითხვები კარგად ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას, ხოლო ღია კითხვებით შეიძლება შემოწმდეს როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ისე ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის უნარი.

განვიხილოთ ტესტური დავალების ტიპები, მაგალითები, მათი უპირატესობა და ნაკლი.

ტესტური დავალების ტიპი	**მაგალითი**
ა. ჭეშმარიტია — მცდარია	ბომბეი ინდოეთის დედაქალაქია ○ ჭეშმარიტია ○ მცდარია
ბ. შესაბამისობის	უპოვეთ სიტყვებს ანტონიმები: ნასვამი: მძინარე: ნაღველი მხიარული ..... ფხიზელი .....

გ. კლასიფიკაციის	შეავსეთ ცარიელი ადგილები: საფრანგეთი პარიზი ევროპა ..... კენია აფრიკა შრი ლანკა .....
დ. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი	რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ტესტური დავალებები, რომლებიც პასუხის შერჩევას მოითხოვს:

ტესტური დავალების ტიპი	უპირატესობა	სისუსტე
ა. ჭეშმარიტია – მცდარია	○ ადვილი შესადგენია ○ ადვილი შესაფასებელია ○ ადვილია სასწავლო კურსის მრავალფეროვნების ასახვა	○ შემოიფარგლება ერთმნიშვნელოვანი არჩევანით ○ პასუხი ინტუიციურად არცთუ ადვილი ამოსაცნობია (50%)
ბ. შესაბამისობის	○ სასარგებლოა კავშირთა და მიმართებათა ტესტირებისთვის ○ ადვილი შესაფასებელია ○ ადვილი შესადგენია	○ რთულია ინსტრუქციების სიტყვიერი ფორმულირება
გ. კლასიფიკაციის	○ ადვილი შესაფასებელია ○ ადვილი შესადგენია ○ სასარგებლოა ფაქტობრივი ხასიათის მასალისთვის ○ სასარგებლოა მარტივი მიმართების ტექსტებისათვის	○ შემოიფარგლება ფაქტების დახარისხებით ○ შემოიფარგლება ერთმნიშვნელოვანი ფაქტებით
დ. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი	○ მრავალფეროვანია - გამოიყენება სხვადასხვა კოგნიტური პროცესის გასაზომავად	○ არ ხდება კრეატიული აზროვნების სტიმულირება ○ მის შესამუშავებლად ბევრი დრო იხარჯება

	○ ამცირებს სუბიექტური შეფასების ალბათობას ○ შედეგების ანალიზი გვაწვდის დიდი ოდენობით დიაგნოსტიკური ხასიათის ინფორმაციას ○ ადვილია ქულების მინიჭება	○ ძნელია მცდარი პასუხების ფორმულირება

ტესტური დავალებები, რომლებიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს

ტესტური დავალების ტიპი	მაგალითი
ა. მოკლე პასუხის მქონე ტესტური დავალება	○ მოიფიქრე წაკითხული მოთხრობისათვის საუკეთესო სათაური ..... ○ რა მოიმოქმედა გიორგიმ? ..... ○ რატომ გაბრაზდა მარი? .....
ბ. შეავსეთ ცარიელი ადგილები – წინადადების დასრულება	○ 16+39 = ... ○ საქართველოს ..... მხრიდან ესაზღვრება რუსეთი
გ. დახურული, მოდიფიცირებული ტესტური დავალებები	მოცემულია /შესწავლილი/ ტექსტი, სადაც ყოველი მეხუთე სიტყვა გამოტოვებულია/ან სიტყვის გამოტოვება კონკრეტული რეგულარობით არ ხდება
დ. განვრცობილი პასუხები	დაწერეთ მოკლე თხზულება, რომელშიც შეჯამებულია ფეირბანკის შეხედულება ოპიუმის პირველ ომზე, რა სახითაც ის ამ ნაწყვეტშია მოცემული

ე. პრობლემის გადაჭრა	მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის... ამოცანები ვანომ გასაყიდად გამოიტანა 3 საზამთრო და 3 ნესვი და ერთ მწკრივად დააწყო. მაღაზიის მეპატრონემ შენიშვნა მისცა — უკეთესი იქნება, თუ მონაცვლეობით დააწყობო. ვანოს ძალიან ეჩქარება და ურჩიეთ, სულ ცოტა, რამდენ მათგანს შეუცვალოს ადგილი, რომ საზამთრო და ნესვი მონაცვლეობით განლაგდეს?

ტესტური დავალებები, რომლებიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს

ტესტური დავალების ტიპი	უპირატესობა	სისუსტე
ა. მოკლე პასუხის მქონე ტესტური დავალება	○ ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას ○ მინიმუმამდე დაჰყავს პასუხის ინტუიციურად ამოცნობის ალბათობა ○ ადვილი შესადგენია ○ ადვილი შესაფასებელი	○ არ გამოდგება რთული ინფორმაციის გასაზომად ○ მოსწავლეს ადვილად მოსდის შეცდომა
ბ. შეავსეთ ცარიელი ადგილები-წინადადების დასრულება	○ ახდენს ფაქტობრივი ცოდნის ტესტირებას ○ მინიმუმამდე დაჰყავს პასუხის ინტუიციურად ამოცნობის ალბათობა ○ ადვილი შესადგენია ○ ადვილი შესაფასებელია	○ ძნელია მაღალი რიგის უნარჩვევების გაზომვა ○ მოსწავლეს ადვილად მოსდის შეცდომა
გ. დახურული, მოდიფიცირებული ტესტური დავალებები	○ ადვილი შესადგენია, ○ კარგად ზომავს სიტყვების ცოდნას ○ ამოწმებს ნაწყვეტის გაგების უნარს	○ არჩევანის მრავალ შესაძლებლობას მცირე ღირებულება აქვს

დ. განვრცობილი პასუხები	○ იძლევა მაღალი რიგის უნარების შემოწმების საშუალებას ○ ადვილი შესადგენია ○ ხელს უწყობს კრეატულ და კრიტიკულ აზროვნებას ○ შეუძლია გაზომოს დასწავლის ეფექტი	○ შეფასება ბევრ დროს მოითხოვს ○ სხვადასხვა შემფასებლის შეფასებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს
ე. პრობლემის გადაჭრა	○ იძლევა მაღალი რიგის უნარების შემოწმების საშუალებას ○ ადვილი შესადგენია ○ ხელს უწყობს კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებას ○ შეუძლია დასწავლის ეფექტის გაზომვა	○ შეფასება ბევრ დროს მოითხოვს ○ ზოგჯერ ძნელია შეფასების სტაბილური კრიტერიუმების დადგენა

რეალობა ხშირად ორგვარია; არის შემთხვევა, როდესაც ტესტურ დავალებებს ქმნის პედაგოგი ტესტირების მიზნიდან გამომდინარე. ხშირად მასწავლებელი გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ან ტესტების კრებულებიდან ტესტირების მიზნის შესაბამისად არჩევს ტესტურ დავალებებს და ადგენს ტესტს, რომელიც 45 წუთზეა გათვლილი, შეიცავს ცოდნის შესამოწმებელი დახურული კითხვების გარკვეულ რაოდენობას და ცოდნისა და უნარების შესამოწმებელი ღია ტესტური დავალებების გარკვეულ რაოდენობას. მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელსაც ტესტის სპეციალისტები მასწავლებელს აძლევენ, ასეთია: ტესტური დავალებები დალაგდეს მარტივიდან რთულისკენ, ტესტურ დავალებებში არ ჩაიდოს ერთი და იგივე სტიმულები, რათა ტესტირებისას მსგავსმა სტიმულებმა არ გამოიწვიოს მოყირჭება. როგორც ცნობილია, ტესტის შედგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს სტიმულს. ხშირად გამოიყენება დირექტიული და ინსტრუქციული ხასიათის სტიმულები.

დირექტიული ხასიათის სტიმულია ტესტში შემავალი ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სჭირდება ტესტირების მონაწილეს, რათა გაიგოს ტესტური დავალება, რომელიც უნდა ამოხსნას (ტესტის დავალების ღერძი, ბირთვი, ან თემა დეტალური ესესთვის).

ინსტრუქციული ხასიათის სტიმულია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იბეჭ-დება ტესტში და რომელსაც ითვალისწინებენ ტესტირების მონაწილენი ტესტში მოცემულ კონკრეტულ კითხვაზე საპასუხოდ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტესტის დაგეგმვის სქემა შემდეგ სახეს მიიღებს:

ტესტის დაგეგმვის სქემა

1. ტესტირების მიზნის განსაზღვრა
2. ტესტის სპეციფიკის განსაზღვრა
3. შესატყვისი პუნქტების შერჩევა
4. ცალკეული პუნქტების მომზადება
5. ტესტის შედგენა
6. ტესტის შემოწმება
7. ტესტის შეფასება
8. შედეგების გამოყენება

მასწავლებელი – სასწავლო მასალის, რესურსისა და აქტივობის ავტორი

მასწავლებელი მეთოდურად კარგად დაგეგმილი გაკვეთილითა და დამუშავებული სასწავლო მასალით მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების გააზრებაში ეხმარება. გაკვეთილის დაგეგმვას ის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტით – **შესასწავლი მასალის მეთოდური დამუშავებით** – იწყებს. კვლევები ადასტურებს, რომ დაგეგმილი გაკვეთილის თანმიმდევრული და მკაფიო სტრუქტურა განაპირობებს მაქსიმალურად კარგ შედეგს.

პრაქტიკოსი მასწავლებელი ოსტატურად ახერხებს სხვადასხვა ტიპის უნარებზე აგებული სავარჯიშოების სასწავლო მასალაში ინტეგრირებას, რათა თანაბრად უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის სწავლა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, მასწავლებელმა დაგეგმოს გაკვეთილი, დაამუშაოს მასალა ისე, რომ მოარგოს სხვადასხვა ტიპის მოსწავლეთა განსხვავებულ ჯგუფს. **ამისთვის ის გამუდმებით უნდა იკვლევდეს თავის სამიზნე აუდიტორიას და პოულობდეს პასუხს კითხვაზე, როგორ და რა გზით დააკმაყოფილოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მოთხოვნები და სწავლის განსხვავებული სტილი.**

სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მასწავლებელს სჭირდება, გასცდეს სახელმძღვანელოს ჩარჩოებს. **რეალურად ბევრი მასწავლებელი ქმნის სასწავლო რესურსს. აქ იგულისხმება არა სახელმძღვანელო, არამედ გარკვეული სახის დამატებითი მასალა, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს მასწავლებელს სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე.** ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ საკუთარი რესურსის, მასალის შექმნისას მასწავლებელს, რომელიც ამ მომენტში ავტორადაც გვევლინება, შეუძლია თავისი მასალის კონტექსტუალიზაცია და, სხვადასხვა მოთხოვნის შესაბამსიად, კონკრეტულ ჯგუფზე მორგება, რომელიც ემსახურება მის ხელთ არსებული სახელმძღვანელოს მოდიფიცირებას და გამდიდრებას. ეს არ არის იზოლირებული, სასწავლო კურსისა და სახელმძღვანელოსგან ცალკე მდგომი მასალა. ნებისმიერ სახელმძღვანელოსთან მუშაობის შემთხვევაში მასწავლებელს აქვს თავისუფლად მოქმედების უფლება, ანუ მას შეუძლია:

- დაამატოს დამატებითი სავარჯიშოები უკვე არსებულ აქტივობებს;
- გამოტოვოს ის აქტივობები თუ სავარჯიშოები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს მისი მოსწავლეების საჭიროებებსა თუ მოთხოვნილებებს;

- ჩაანაცვლოს სახელმძღვანელოში მოცემული მასალა სხვა დამატებითი თუ ავთენტური მასალით;
- შეცვალოს აქტივობების ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგ., წყვილები, ჯგუფები თუ მთელი კლასი.

მასწავლებლის მიერ საგანმანათლებლო რესურსის დამუშავებისას ან შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რა ემოციურ განწყობას უქმნის ესა თუ ის რესურსი მოსწავლეს, განაწყობს თუ არა პოზიტიურად. ეს კი იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რესურსის გამოყენება საშუალებას მისცემს მოსწავლეს, კომფორტულად იგრძნოს თავი და ჰქონდეს რწმენა, რომ შეძლებს სწავლას. ამის მისაღწევად აუცილებელია, სასწავლო რესურსი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- არ მოახდინოს მოსწავლეზე ზეწოლა, არ დაძაბოს და შეაშინოს იგი.
- მისმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის თვითრწმენისა და თავდაჯერების განვითარებას, ამიტომ მისი გამოყენებით მიმდინარე აქტივობები უნდა იყოს საინტერესოდ გამომწვევი და დაძლევადი.
- რესურსი უნდა იძლეოდეს უკუგებას სწავლის პროგრესის შესახებ, ეხმარებოდეს მოსწავლეებს საკუთარი თავის შეფასებაში და უბიძგებდეს მათ, იკისრონ პასუხისმგებლობა თავიანთ სწავლასა და პროგრესზე.
- რესურსის გამოყენების მეთოდიკა უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ სწავლის პროცესი, ისევე როგორც ზრდისა, თანდათანობითია და არა უეცარი და მომენტალური.

  გაკვეთილის მიზნის მისაღწევად, ამა თუ იმ სასწავლო მასალის ასათვისებლად მასწავლებელი ქმნის სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსს:
- სქემას;
- პოსტერს;
- ტაბულას;
- საპრეზენტაციო მასალას;
- მულტიმედიურ რესურსს
  და ა.შ.

იმისთვის, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი იყოს ეფექტური და ამ შრომისთვის დახარჯულმა დრომ ნაყოფი გამოიღოს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი მიდგომები:

1. რესურსი უნდა იყოს კონტექსტუალიზებული.

მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეების გამოცდილებას, მათ გარშემო არსებულ სინამდვილეს. გარდა ამისა, თემა

უნდა იძლეოდეს რეალური მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას. მან იმდენად უნდა დააინტერესოს მოსწავლე, რომ მას იმავე თემის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მოძიების სურვილი გაუჩნდეს. რესურსის გამოყენებით შეიძლება ისეთი სავარჯიშოებისა და აქტივობების მოფიქრება, რომლებიც ცოდნის გამოყენების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

რესურსის შედგენისას აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს სასწავლო გეგმის მიზნები და ამოცანები. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს პროგრამის მოთხოვნების ბრმად მიყოლას.

2. რესურსმა უნდა მოახდინოს ინტერაქციის სტიმულირება.

მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი მოსწავლეებს უნდა აძლევდეს მუშაობისა და ინტერაქციის საშუალებას რეალურ ცხოვრებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციებში. ამისთვის კლასში სამი პირობა უნდა არსებობდეს:

პირველი — უნდა გვქონდეს სათქმელი;
მეორე — უნდა გვყავდეს მიმღები, ვისაც ჩვენს სათქმელს გავუზიარებთ;
მესამე — ამასთანავე, გვაინტერესებდეს, რა შედეგს გამოიღებს ჩვენი კომუნიკაცია.

ამ მიზანს ემსახურება ისეთი რესურსების შექმნა, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის სავარჯიშოები. ასეთი აქტივობები ძალიან უწყობს ხელს რეალურ და არა ხელოვნურ ინტერაქციას. მოსწავლეებს შორის ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი და ყალბი. მაგ., მოსწავლეებმა არ უნდა დაუსვან ერთმანეთს კითხვები, რომელთა პასუხი თვითონვე იციან. ჭეშმარიტი კომუნიკაციის წინაპირობა მხოლოდ მოსწავლეთა რეალური მოთხოვნები და საჭიროებებია.

3. რესურსმა უნდა უბიძგოს და გეზი მისცეს მოსწავლეებს სწავლის უნარებისა და სტრატეგიების განსავითარებლად და დასახვეწად.

შეუძლებელია, მასწავლებელმა გაკვეთილის ფარგლებში გადასცეს მოსწავლეებს ყოველივე ის, რაც მათ უნდა იცოდნენ. მასწავლებლის მიერ შექმნილი და გაკვეთილზე გამოყენებული რესურსი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მასალის ათვისებაში, აჩვევდეს მას თავად სწავლის სწავლას, ეხმარებოდეს და უბიძგებდეს მიღებული ცოდნის საკლასო ოთახის გარეთ გამოყენებისკენაც.

კლასის გარეთ მოქმედების სითამამეს ხელს შეუწყობს ისეთი სტრატეგიების ათვისება, როგორიცაა კითხვის დასმა მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად და

პერიფრაზირება. შესაძლოა, რესურსის გამოყენებისას მასწავლებელმა შესთავაზოს მოსწავლეებს ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც დაეხმარება მათ, სწორად განსაზღვრონ, სწავლის რომელ სტილსა თუ სტრატეგიას ანიჭებენ უპირატესობას.

4. რესურსმა მოსწავლეებს საკითხში ჩაღრმავების საშუალება უნდა მისცეს.

იმისთვის, რომ აქტიური და დამოუკიდებელი მოზარდი თაობა გვყავდეს, აუცილებელია, სწავლებისას ვუბიძგოთ მათ, ანალიტიკურად მიუდგნენ საკითხს და გაგვიზიარონ თავიანთი აღმოჩენები შესასწავლი მასალის შესახებ. კარგად შედგენილი რესურსი მოსწავლეს საკითხის ღრმად გაგებაში უნდა დაეხმაროს.

მაგალითად, მეშვიდე კლასში საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლების შესწავლისას **გაკვეთილის სასწავლო მიზანია**, მოსწავლემ ინფორმაციის გამოყენებით იმსჯელოს ბუნებრივი წყლის დაბინძურების შედეგების შესახებ, გააანალიზოს და გამოთქვას ვარაუდი წყლის დაბინძურების თავიდან აცილების გზებზე **(ბუნ. VII. 13)**.

მასწავლებელი, შესასწავლი საკითხის შესაბამისად, ინტერნეტიდან მოიპოვებს ერთგვერდიან საინფორმაციო ტექსტს „მდინარე ლუხუნის ხეობა დაბინძურებულია“ და ამზადებს ამ ტექსტის გასააზრებელ რესურსს, რომლითაც სურს, მოსწავლეებს **მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებისკენ** უბიძგოს.

მდინარე ლუხუნის დაბინძურების პრობლემის განსაზღვრა

- პრობლემის განმარტება .....
  .....
  .....
  .....

- არსებული მდგომარეობის დაფიქსირება (რეალურად აღწერეთ კონკრეტული პრობლემით გამოწვეული მდგომარეობა, რათა შემდგომ მისი შეცვლის აუცილებლობა დაასაბუთოთ) .....
  .....
  .....
  .....

- პრობლემის მნიშვნელოვნების წარმოჩენა .....
  .....
  .....
  .....

- პრობლემის არსებობის მიზეზები, საფუძველი (რამ გამოიწვია პრობლემა) .....
.....
.....
.....

- რატომ ვერ მოგვარდა ეს პრობლემა დღემდე .....
.....
.....
.....

- პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების განხილვა .....
.....
.....
.....

5. რესურსი უნდა იძლეოდეს უნარების ინტეგრირების საშუალებას.

ზოგჯერ სასწავლო მასალა რომელიმე ერთ უნარ-ჩვევაზეა ფოკუსირებული. ამ შემთხვევაში მასწავლებელი სწავლებისას წარმატების მისაღწევად ქმნის საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც რამდენიმე უნარ-ჩვევის ბუნებრივად ინტეგრირების საშუალებას იძლევა.

მაგალითად, ბიოლოგიაში კვებითი კავშირების სწავლებისას მასწავლებელმა შეიძლება შექმნას სქემა, რომელიც შედგება ვიზულური მასალისა და სამი დავალებისგან, რომლებიც სხვადასხვა უნარზეა გათვლილი.

1. დაასახელეთ სქემაზე მოცემული ცოცხალი ორგანიზმები:.....
.....

2. ცოცხალ ორგანიზმებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით შეადგინეთ მარტივი კვებითი ჯაჭვი:.....
.....

3. სქემაზე მოცემული ცოცხალი ორგანიზმები დააჯგუფეთ ავტოტროფებად და ჰეტეროტროფებად:

ავტოტროფები	ჰეტეროტროფები

6. რესურსს საფუძვლად სანდო წყაროები უნდა ედოს.

მოსწავლეებისთვის საჭიროა, აღიქვან, მოისმინონ და წაიკითხონ ის მასალა, რომლის მეშვეობითაც უნდა ისწავლონ. ამიტომ აუცილებელია, რესურსის შექმნისას მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ავთენტური წყაროებით, – ენციკლოპედიით, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებით და ა.შ., – რომლებიც მოსწავლის ცოდნის დონის შესაბამისად იქნება მოდიფიცირებული და დამუშავებული.

მაგალითად, მასწავლებელი საგანგებოდ ქმნის რესურსს ავთენტურ წყაროებზე დაყრდნობით, რათა მოსწავლეებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი განუვითაროს. რესურსი მოიცავს:

1. თემას;
2. თეზისს ;
3. თემის განვრცობილ ვარიანტს;
4. ავთენტური წყაროდან თეზისის დამამტკიცებელ მასალას.

ამ მასალების განზოგადებით და დამამტკიცებელი მასალის გამოყენებით მოსწავლეებმა უნდა გამოიტანონ დასკვნა

თემა: ატომური ენერგიის გამოყენება ძირითადი სითბური ენერგიის რესურსის სახით არ არის გამართლებული

თეზისი: ატომური ენერგიის გამოყენება სახიფათოა

ლოგიკური გავრცობა: ძალიან ხშირად ხდება ავარიები ატომურ ელექტროსადგურებზე

დამამტკიცებელი მასალა: 1990 წ 14 ივნისს ჟურნალ „ატომურ ენერგიაში“ დაბეჭდილი სტატიის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ ელექტროსადგურებზე ავარია ყოველდღე ხდება. ეს ავარიები უმნიშვნელოა, მაგრამ კატასტროფის პოტენციური საფრთხე ყოველთვის არსებობს. გავიხსენოთ ჩერნობილის ატომურ ელეტროსადგურზე მომხდარი ავარიის გამანადგურებელი შედეგები. ნურც ის დაგვავიწყება, რომ მიწისძვრები და სხვა სტიქიური მოვლენები ატომური ელეტროსადგურების მწყობრიდან გამოსვლას უწყობს ხელს. იაპონიის 2010 წლის მოვლენები ამის ნათელი მაგალითია.

დასკვნა: .....
.....
.....
.....
.....
.....

7. რესურსი უნდა მისდევდეს გარკვეულ სქემას და იყოს თანმიმდევრული.

ორგანიზებულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია რესურსის შედგენისას. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა განსაზღვროს რესურსის მიზნები, რაც ხელს შეუწყობს, შექმნას დალაგებული და თანმიმდევრული მასალა, რომელიც შედეგის ნათლად ამსახველი იქნება და შეძლებისდაგვარად მისცემს მოსწავლეებს საკითხის აღქმის, განზოგადების, გააზრების საშუალებას.

8. რესურსს უნდა ერთვოდეს ნათელი, ადვილად გასაგები ინსტრუქცია.

თავისთავად, რაც უნდა კარგი იყოს თავად რესურსი, ზედმიწევნით დახვეწილი და გასაგები ინსტრუქციის გარეშე იგი ვერ იმუშავებს. კარგი ინსტრუქცია იწერება იმ ენით, რომელიც შეესაბამება სამიზნე მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

მაგალითად, მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა ჰორიზონტის მხარეების შესწავლის პროცესში შექმნა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც შედგება კონტურული რუკისა და მარტივი, ნათელი ინსტრუქციისგან.



დაასრულე საქართველოს ისტორიული მხარეების კონტურული რუკა. შემოსაზღვრულ, ცარიელ ადგილებში ჩაწერე შესაბამისი ისტორიული მხარე შემდეგი ინსტრუქციების გამოყენებით:

1. ქართლის აღმოსავლეთით მდებარეობს კახეთი;
2. ქართლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმი;
3. რაჭა-ლეჩხუმის სამხრეთით მდებარეობს იმერეთი;
4. იმერეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს გურია;
5. გურიის სამხრეთით მდებარეობს აჭარა;
6. იმერეთის დასავლეთით მდებარეობს სამეგრელო;
7. სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს აფხაზეთი;
8. აფხაზეთის აღმოსავლეთით მდებარეობს სვანეთი;
9. აჭარის აღმოსავლეთით მდებარეობს მესხეთ-ჯავახეთი.

9. რესურსი უნდა იყოს მოქნილი.

ერთი და იგივე რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა აქტივობისთვის, მაგ., როლური თამაშებისთვის, დებატისთვის, სხვადასხვა უნარ-ჩვევების გასავარჯიშებლად, განსამტკიცებლად და სხვა. ეს არჩევანი მასწავლებელმა შეესაძლოა თავად მოსწავლეებს მიანდოს და ამით უფრო მეტად ჩართოს ისინი სწავლის პროცესში, ასწავლოს პასუხისმგებლობა საკუთარ შედეგზე.

მასწავლებელს შეუძლია თავის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო რესურსის შეფასება:

მასწავლებლის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო რესურსის შეფასების სქემა

N	**შეფასების კრიტერიუმი**	1	2	3	4	5
1.	რესურსი კონტექსტუალიზებულია					
2.	რესურსი ახდენს ინტერაქციის სტიმულირებას					
3.	რესურსი უბიძგებს მოსწავლეებს განივითარონ და დახვეწონ სწავლის უნარები და სტრატეგიები					
4.	რესური საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ჩაუღრმავდნენ საკითხს					
5.	რესურსი იძლევა ინტეგრირების საშუალებას					
6.	რესურსი სანდო წყაროებს ეფუძნება					
7.	რესურსი მისდევს გარკვეულ სქემას და არის თანმიმდევრული.					
8.	რესურსს თან ერთვის ნათელი, ადვილად გასაგები ინსტრუქცია.					
9.	რესურსი მოქნილია					

ვინაიდან სწავლა ინფორმაციის პროგრესირებადი დაგროვებისა და გააზრების პროცესიცაა, სადაც მოსწავლის მონაწილეობა სწავლისა და უნარ-ჩვევის განვითარების საფუძველს წარმოადგენს, მასწავლებელს ხშირად უწევს, საჭიროებიდან გამომდინარე, შექმნას სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი ან მიზნობრივი აქტივობა.

რათა კოლეგებისა და განათლების ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები და აქტივობები, მან მასალები უნდა დაასტრუქტუროს ან მისცეს პროექტის სახე და რესურსის გამოყენების დადებითი შედეგების ამსახველ მასალებთან /მოსწავლეთა შედეგები, ნაშრომები/ ერთად განათავსოს პირად პორტფოლიოში.

ტექსტის გააზრების არალინგვისტური ხერხები და წიგნიერება

ამ სტატიის საგანმანათლებლო ინიციატივა იმაში მდგომარეობს, რომ წიგნიერების უნარის განსავითარებლად ხშირად გამოვიყენოთ ერთი და იმავე ტექსტის გააზრების მრავალი ხერხი. ამით მოსწავლეს შევუქმნით კითხვის განწყობას და მივაღწევთ, კითხვა გახდეს არა ექსტეროგენული, არამედ ინტროგენული ქცევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წიგნიერება გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე კითხვისა თუ წერისთვის ენის გამოყენების უნარი; თანამედროვე გაგებით, **წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძენს.**

განვიხილოთ სემიოტიკური კომპეტენციისა და წიგნიერების ურთიერთმიმართება კონცეპტუალურ ჭრილში, კონკრეტული მაგალითებითა და ერთი ტექსტის გამოყენებით.

საყოველთაოდ ცნობილია კითხვის სტრატეგიები და მეთოდები, მაგრამ ისინი ტექსტის გააზრების ერთადერთი საშუალება არ არის. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს სხვადასხვა ხასიათის ტექსტის გასააზრებლად საჭირო არალინგვისტური ხერხების ვრცელ რეპერტუარს.

წიგნიერ მოსწავლეს უნდა შეეძლოს წაკითხული ტექსტის მიხედვით რუკის, განტოლების, დიაგრამის, სქემის, ნახატის, აპლიკაციის, ნახაზის, საპრეზენტაციო მასალის, რეკლამის, მოდელის და ა.შ. **შექმნა** და **პირიქით**.

რას ნიშნავს „პირიქით“?

- გააშინაარსოს რუკა;
- გააშინაარსოს განტოლება;
- გააშინაარსოს დიაგრამა;
- გააშინაარსოს ნახატი, ნახაზი, აპლიკაცია;
- გააშინაარსოს საპრეზენტაციო მასალა;
- გააშინაარსოს რეკლამა;
- გააშინაარსოს მოდელი

და ა.შ.

რა ტიპისაა გასაზრებელი ტექსტები?

1. **მხატვრული** (ნარატიული ნაწარმოები – ლექსი, მოთხრობა, პოემა და სხვ.)
2. **განმარტებითი** (ტერმინი, ცნება, მახასიათებლების აღწერა)
3. **არგუმენტაციის შემცველი** (მოსაზრებები მტკიცებულებითურთ)
4. **პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული** (მტკიცება იმისა, რომ ესა თუ ის მოვლენა პრობლემურია)
5. **დიალოგებზე აგებული** (ინტერვიუები, დიალოგები).

რა არის ნარატიული ჩარჩო?

ნარატიული ჩარჩო არის მხატვრული ნაწარმოების შეჯამების ჩარჩო. იგი მოიცავს კითხვების სერიას, რომელსაც მასწავლებელი დაუსვამს მოსწავლეებს. ეს კითხვები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებმა ყურადღება კონკრეტულ ინფორმაციას მიაპყრონ.

გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის ტექსტის ჩარჩოს სავარაუდო კითხვებს:

განმარტებითი ტექსტის კითხვები	- რას განვმარტავთ? - რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ცნება? - რით განსხვავდება ის...
არგუმენტაციის შემცველი ტექსტის კითხვები	- რა ინფორმაციას მივყავართ არგუმენტამდე? - რომელია მთავარი მტკიცებულება? - რა მაგალითებია მოყვანილი არგუმენტებად?
პრობლემის აღმოფხვრაზე ორინტირებული ტექსტის კითხვები	- რაში მდგომარეობს პრობლემა? - სად არის გამოსავალი? - კიდევ რა გამოსავალი ისახება? - პრობლემის მოგვარების რომელი გზაა რთული? იოლი?
დიალოგზე აგებული ტექსტის კითხვები	- როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მოსაუბრენი? - რა თემას ეხება დიალოგი? - როგორ განვითარდა იგი? - როგორ დასრულდა?
მოთხრობის ნარატიული ჩარჩოს კითხვები	- ვინ არიან მთავარი პერსონაჟები? - სად და როდის ხდება მოქმედება?

	- რით იწყება მოქმედება ნაწარმოებში? - როგორ გამოხატეს თავიანთი გრძნობები პერსონაჟებმა? - რა მიზნები აქვთ პერსონაჟებს? - როგორ ცდილობენ მიზნის მიღწევას? - რა მოჰყვა პერსონაჟთა მცდელობას?

წიგნიერ მოსწავლეს შეუძლია, წარმატებით დაამუშაოს წაკითხული ტექსტი და გაიაზროს იგი კოგნიტური სქემების გამოყენებით. მაგალითად გთავაზობთ ტექსტს, რომელიც IV კლასის ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელმა დასამუშავებლად მისცა მოსწავლეთა ჯგუფებს, თითოეულმა ჯგუფმა ეს პატარა ტექსტი სხვადასხვა კოგნიტური სქემის გამოყენებით დაამუშავა.

დასამუშავებელი ტექსტი

უცხოელ მოგზაურთა ჯგუფი ერთ ნასოფლარს მიადგა. ნასოფლარს კარგად ეტყობოდა მეწყრისა და ღვარცოფის კვალი. ოდესღაც ამაყად მდგომი სახლები მიწას შთაენთქა და აქა-იქ სახურავებიღა მოჩანდა. უცხოელ მოგზაურებს ადგილობრივი მონადირე შეხვდა, მან მოკლედ უამბო მათ ნასოფლარის ისტორია:

„ეს ადგილები მდიდარი იყო წყაროს წყლებით. ხშირი წვიმების დროს ფერდობებიდან მიწა ცვიოდა. XIX საუკუნეში მომხდარმა მიწისძვრამ წვიმით გაჟღენთილი მიწა ფერდობიდან მოწყვიტა და მეწყერი წარმოქმნა, რომელმაც სოფლის ერთი უბნის ათი სახლი თავისი ეზოებიანად დასავლეთით მდებარე ხევში ჩაიტანა. XX ს-ის 20-იან წლებში სოფლის თავზე ტყე გაჩეხეს და ერთ წვიმიან გაზაფხულს ერთ-ერთი ფერდობი დაიმეწყრა; მეწყერმა თხუთმეტი სახლი შთანთქა. ახლა ამ მდინარეს შეხედეთ. ის სათავეს აღმოსავლეთით, ხოკის მყინვარიდან იღებს და სამხრეთ-დასავლეთით მიედინება. XX ს-ის 70-იან წლებში მყინვარის გვერდით, მთაზე, ვულკანმა გაიღვიძა და მყინვარი სწრაფად დაადნო. ამან მდინარე საოცრად აადიდა და მოვარდნილმა ღვარცოფმა სულ გაანადგურა სოფელში დარჩენილი ოცი სახლი. ხალხმა ძლივს მოასწრო გახიზვნა. ასეთია ამ სოფლის ისტორია“.

სქემა 1
დავალება: წაიკითხეთ ტექსტი და ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული კოგნიტური სქემა.

მოვლენა	მოვლენის მიზეზი	შედეგი
		სოფლის ადგილას – ნასოფლარი

სქემა 2

დავალება: ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული დროის დიაგრამა ისე, რომ დასახელებულ თარიღს მიუწეროთ, რა მოხდა იმ დროს.

როდის?	**რა მოხდა?**
XIX ს. XX ს-ის 20-იანი წლები XX ს-ის 70-იანი წლები	

სქემა 3

დავალება: წაიკითხეთ ტექსტი და მის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული სქემა – მოვლენათა ჯაჭვი:

მოვლენა #1	**მოვლენა #2**	**მოვლენა #3**	**შედეგი**
			ყველა სახლი განადგურდა და სოფელი ნასოფლარად იქცა

სქემა 4

ტექსტის მიხედვით შეადგინეთ სვეტოვანი დიაგრამა. თითოეული სვეტი სტიქიის თარიღის მიხედვით დაშტრიხეთ განადგურებული სახლების რაოდენობის შესაბამისად.



სახლების რაოდენობა XIX ს. XX ს-ის 20 წ. XX ს-ის 70 წ.

კომენტარი:

მასწავლებელი, რომელიც ტექსტის დამუშავებისას სასწავლო მიზნის შესაბამისად იყენებს კოგნტურ სქემას, ამით სერიოზულ გავლენას ახდენს მოსწავლის აზროვნების განვითარებაზე. ამ დროს ყალიბდება აზროვნების „ჩარჩოები“, რომლებიც ცოდნის, გამოცდილების, შეხედულებათა და ღირებულებათა განსაზღვრული სისტემებია. ყოველი კოგნიტური სქემა ერთ კოგნიტურ პატერნს ასახავს. ჩარჩო წარმოადგენს ადამიანის მეტაკოგნიციას, ანუ ამ პატერნის შესახებ რეფლექსიას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები სხვადასხვა აღწერითი ტექსტის გასააზრებლად კოგნიტურ სქემებთან ერთად ვიყენებდეთ:

1. პროცესის მოდელირებას;
2. სტრუქტურის მოდელირებას.

წიგნიერ მოსწავლეს წარმატებით უნდა შეეძლოს წაკითხული ტექსტის მიხედვით პროცესის ან სტრუქტურის მოდელირება.

გთავაზობთ ტექსტს, რომელშიც ასახულია პროცესები და სტრუქტურები, რომელთა მოდელირება შესაძლებელია.

ტექსტი თემა – გეოგრაფიული ობიექტები

დედამიწაზე ბევრ უცნაურ ზღვას ნახავ. ერთ-ერთი მათგანი ეგრეთ წოდებული მკვდარი ზღვაა. მასში დიდი ხანია განადგურდნენ თევზები, ლიფსიტები, ზღვის სხვა ცხოველები და მცენარეები. როგორ მოხდა ეს? ზღვამ დამლაშება დაიწყო და მარილის სიჭარბემ ცოცხალი ორგანიზმების განადგურება გამოიწვია, თუმცა წყალს ბევრი უცნაური თვისება შესძინა. ერთ-ერთი ის არის, რომ მკვდარ ზღვაში ცოცხალი ორგანიზმი არ იძირება. აქ ხშირად დაინახავ დამსვენებელს, რომელიც ზურგზე დაწოლილი ტივტივებს წყალში და თან გაზეთს კითხულობს.

იყო დრო, როდესაც ქვიშითა და ქვებით მოფენილ ზღვის ფსკერზე უამრავი წყალმცენარე ხარობდა, რომლებითაც თევზები იკვებებოდნენ, მათ მიერ გამოყოფილ უვარგის ნივთიერებებს კი ზღვის ლოკოკინები შეექცეოდნენ და წყალი მუდამ სუფთა იყო.

ტექსტის მიხედვით პროცესის მოდელირება

აიღეთ: პატარა ქილა, კვერცხი, ჭიქა, კოვზი და მარილი.

1. ჩაასხით ქილაში წყალი და ფრთხილად ჩადეთ კვერცხი /დაინახავთ – კვერცხი ჩაიძირა/.
2. ჭიქაში ჩაასხით წყალი და მასში თანმიმდევრობით ჩაყარეთ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.. კოვზი მარილი.
3. შემდეგ ქილაში ნელ-ნელა ჩაამატეთ ნაჯერი მარილიანი წყალი და წყალში ჩაძირული კვერცხის მდებარეობის ცვლილებას დააკვირდით.
4. რა ემართება კვერცხს წყლის დამლაშების პარალელურად?

აიღეთ: ორი ერთჯერადი ჭიქა, რომელიმე მცენარის ორი პატარა შეფოთლილი ტოტი, მარილი, კოვზი.

1. ორივე ერთჯერად ჭიქაში ჩაასხით წყალი, ერთ-ერთში ჩაყარეთ ორი კოვზი მარილი და მოურიეთ, სანამ მარილი წყალში არ გაიხსნება.
2. ორივე ჭიქაში ჩადეთ მცენარის შეფოთლილი, თითქმის ერთნაირი ზომის ტოტები.

3. დააკვირდით, რა ემართება დამლაშებულ წყალში მოთავსებული მცენარის ტოტზე არსებულ ფოთლებს და ივარაუდეთ, რა მოუვიდოდა წყალმცენარეებს ზღვის ინტენსიური დამლაშებისას.

ასეთივე პროცესები გაიარა მკვდარმა ზღვამ.

ახლა ტექსტის მიხედვით სტრუქტურის მოდელირება განვიხილოთ:

სტრუქტურის მოდელირება	**ტექსტი/სტრუქტურის აღწერა**
აიღეთ ქილა/ჭიქა, ფსკერზე დაყარეთ ქვიშა, დააწყვეთ ქვები, ჩარგეთ წყალმცენარეები. ჩაასხით წყალი და ჩაუშვით მასში წყლის ლოკოკინა და აკვარიუმის თევზები.	იყო დრო, როდესაც ქვიშითა და ქვებით მოფენილ ზღვის ფსკერზე უამრავი წყალმცენარე ხარობდა, რომლებითაც თევზები იკვებებოდნენ, მათ მიერ გამოყოფილ უვარგის ნივთიერებებს კი ზღვის ლოკოკინები შეექცეოდნენ და წყალი მუდამ სუფთა იყო.

დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“.

ტექსტის დამუშავებისას არალინგვისტური ხერხების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა მხოლოდ კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის მისაღებად, არამედ იმიტომაც, რომ ის წიგნიერების მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას განსაზღვრავს.